



K222375
3

ალი თორდეა

ვირჩოვანი
და
მისი „გაჭ-ცამე“

ერთამათ
1995



მშობელის აკადემიუმის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგალი თორმეა

ვიზდომასი და მისი „გან-ცავა“

წიგნი იბეჭდება ქუთაისის ა.წერეთლის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საგამოცემლო საბჭოს დაღვენილებით.

კომპუტერი

დამსმარე სახელმძღვანელო
(ხელისუட ლიტერატურაში)

სკოლა-2000
შემოწმებულია

წიგნი გამოდის კომპანია „პირ-აია ინტერნაციონალი ლტდ“-ს
ხელმძღვანელობის ფინანსური დახმარებით

საქართველოს
მრავალ
გიგანტი

შესავალი

ფირდოსისა და მისი პოემის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში უამრავი გამოკვლევაა დაწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, „ეს ირანული ცოდნის წიგნი“, რომელიც საქსეა ათასნაირი მნიშვნელოვანი ცნობით, როგორც საჭიროა, არავის შეუსწავლია“.* ამავე დროს, „შაპ-ნამე“ მარტო ცოდნის წიგნი არაა, ესაა ძეგლი, რომელშიც სპარსულმა ლექსის გენიამ თავის აპოგეას მიაღწია; თბზულება, რომელიც ქვეყნის შემოქმედმა ადამის ძეს შეაქმნევინა იმ მიზნით, რათა მკითხველმა ენით აღუშერელი ესთეტიკური ტკბობა მიიღოს; „ცოდნის მფლობელთ მასში ჩაიხელონ და შიგ იპოვონ... მეფეთა ყოფაქცევის წესები, მათი თვისება და საქციელი, კეთილი რჩევა, სამართალი და მართლმსაჯულება, საქმის გაძლოლა და სწორი განსჯა, ჯარის გაწყობა, ომის წარმოება, ქალაქების აღება, შურისგება და კდემა“** „შაპ-ნამეს“ იგივე ფუნქცია აქვს ირანულ სამყაროში, რაც „ვეფხისტყაოსანს“ ჩვენში, იგია ირანელი კაცის კირისა და ლხინის წიგნი, ერთს ზნეობის კოდექსი და ქმედების ორიენტირო. ამიტომაც წერდა მე-20 საუკუნის დიდი ირანელი მწერალი, პოეტთა მეფის ტიტულის მქონე ბაპტის (1886-1951) ლექსში, რომელიც იწყება ასე: „ჩერ თან დარ ხექ ზამან“: „გადაუჭარბებდად შეიძლება ითქვას, რომ „შაპ-ნამე ირანელთა ყურანი არისო“ ხშირად გაიგონებთ ანდა წაიკითხავთ გამოთქმას: „შაპ-ნამე მთელი ირანიაო“ აქ პოემის შეფასებაცაა მოცუმული და თავისებურებაც: მასში ასახული ამ დიდი ქვეყნის ისტორია დედამიწის შექმნიდან მე-7 საუკუნემდე და მასშიცეა ჩადებული ირანის სული. ფირდოსიმ იცოდა თავისი თბზულების ფასი, როცა იგი წერდა: „ამ წიგნს რომ დავამთავრებ, მთელი ქვეყანა ჩემი ლექსებით აიღება... ვისაც გონება აქვს, ვინც საზრიანია და სჯულიერი, ჩემი სიკედილის შემდეგ მე ქებით მომიხსენიებსო“*** როგორც უკვე აღნიშნეთ, „შაპ-ნამე“ გალექსილი ირა-

* ხაჭაპ ჭოქი, „შაპ-ნამე“ ვა ბასთანშენასი-ეუ ირან. „ქონარ-ო მარტომ“, შომბრუ-და 186, გვ. 2

** მოქამბარ ყაზვინი, მისთ მაყალა ჩილა-ე, დოვკომ, 1332 წ. გვ. 36 შემდეგში:

*** „შაპ-ნამე-და“ ჭერდაუსი, მე მონასებათ-ე აუშნ-ე ქებარუ-და თავალლოდ-ე ჭურდაუსი, თექან, გვ. 2885.



ნის ისტორიაა, მასში მითებიც არის მოქცეული და ნამდვილი ამ-
ბებიც. და იმით, რომ ფირდოუსიმ მითებიც გალექსა და ისტორიაც,
ერთი ჭკვიანი კაცის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, იგი ხან ჰომე-
როსს ჰგავს, ხან კიდევ — ჰეროდოტეს.*

„შაპ-ნამე“ უზარმაზარი წიგნია არა მარტო თავისი დანიშ-
ნულებითა და მხატვრული ღირსებით, არამედ — მოცულობი-
თაც. იგი დაახლოებით ექვსას ათას ბეითს ანუ ასოც ათას ტა-
ვებს შეიცავს. ბუნებრივია, ასეთი ფოლიანტი ადვილი გადასა-
წერი და გასაკრელებელი არ იყო (მით უმეტეს ძველ დრო-
ში). როგორ უყვარდათ იგი, ჩანს იქიდან, რომ ცნობილი ირა-
ნელი ბიბლიოგრაფის აქმად მონზავნს კატალოგში ფიქსირე-
ბულია მსოფლიოს სხვადასხვა სიძეველეთსაცავებში დაცული
ამ პოემის 525 ნუსხა.** მონზავნს კატალოგში, რა თქმა უნ-
და, მოხვედრილი არ არის კერძო კოლექციებსა და აღუწერელ
ფონდებში დაცული „შაპ-ნამეს“ კიდევ ასობით ხელნაწერი.

სამწუხაროდ, „შაპ-ნამეს“ ხელნაწერები, ისე როგორც საერ-
თოდ სპარსული ნუსხების ღიღზე ღიღი უმრავლესობა, გვიან-
დელია. ღლემდე მიკვლეული უძველესი, ე.წ. ფლორენციული
ხელნაწერი ჰიქრის 614 წელსაა გადანუსული,*** რაც ჩვენი
წელთაღრიცხვით 1217 წელს უდრის. მწარე ლიმილის მოგვრე-
ლია ის ფატალური ფაქტი, რომ „შაპ-ნამეს“ ერთი ბეითის ძვე-
ლი მინაწერი აღმოჩნდა რომელიმაც ბულისტურ ნუსხაზე და
იგი თარიღდება... იმავე 1217 წლით.**** როგორც გაირკვა,
მთლიანად სანდო არც ფლორენციული ხელნაწერია. და აქ არა-
ფერია მოულოდნელი. ცნობილია, რომ აღმოსავლეური ლიტერა-
ტურის ზოგი კლასიკოსის სიცოცხლეშივე გადაწერილი ნუსხე-
ბიც კი უამრავი შეცდომის შემცველია. არაფერის ვამბობთ თვი-
თონ ფირდოუსის თანამედროვე ასაღი თუსსნ ლექსიკონში სა-
ილუსტრაციო მოტანილი „შაპ-ნამეს“ სტრიქონების სანდო-
ბაზე (ასეთი ტექსტები ორმაგად არის საეჭვო: დამახინჯებებს
შეიძლებოდა ადგილი ჰქონდა თვითონ ასაღის ნაწერში, რომ
არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თავად ამ ნაშრომის გადამწერებს

* ფერედიქუ მამორ, ხერალდ ფერედუსი. „ფერედუს“, დაქთარე ლოვეომ თექან, 1369, გვ. 4.

** ფერედისთვის ხოსტება-დე ხათობ-დე ფარსი, ჩელი-ე ლოვეომ, ნეპარანდე აქმად მონზავნ, თექან, 1349, გვ. 295.

*** მოქამად-ქოსეან ბექრუზ, დარ ბერე-დე დასთნავნის-ე „შაპ-ნამე“. „მაქლუ-დე ირან-ნამე“, სალ-ე პაჭომ, შომბრე-დე ჩაქარომ, 1368, გვ. 722. არსებობს ამ ხელნაწერზე ლაურენციოლი გამოცემაც, რომელსაც, სამწუხარო, ჩვენ არ ცნობმა.

**** მასზე იმ: ამინჯ უქება, სოხანი-დე ლაგარ ლარ პაზშენსი-დე ბედონ ან „ვის-ო რამინ“ დარ ქოქანთარნ ნეკვეთუ-დე ფარსი ბეზმნდე ლარ უფონ. მარლუ-დე ირან-შენსი, 1367, შომბრე-დე უვალ გვ. 70. აქ იყითხება მეორე მინაწერი (ერთი ბეითი) „ვის-ო ჩამინიდანაც“.

შეეძლოთ დაეშვათ შეცდომები).*

„შაპ-ნამეს“ კრიტიკული თუ აკადემიური ტექსტის დასაღვენად ბევრი სამუშაო იქნა ჩატარებული შოთლიოს სხვადასხვა ირანის-ტიკულ ცენტრში: ეკროპაში, რუსეთში, ირანში, ტაჯიკეთში. მაგრამ ამ გამოცემების უმრავლესობა ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს. დიდი ლიტერატურა არსებობს „შაპ-ნამეს“ ტექსტის ამა თუ ის აღვილის დადგენის შესახებ რეცეზიებისა თუ დამოუკიდებელი სტატიების სახით. არც აქ გვაქვს უკეთესი მდგრამარეობა. „შაპ-ნა-მეს“ აკადემიური ტექსტის გამოცემის საქმეს არავითარი პირი არ უჩანს.** საუკეთესოდ მისი ტექსტები კოლექტიური შეჩომის ნაყოფია, თანაც ერთ ტომს ერთი კაცი აღვნის, მეორეს — მეორე, მესამეს — მესამე და ა.შ. გამოცემათა უმრავლესობას არა-მეცნიერული პრინციპი უდევს საფუძვლად. მათ შორის დომინირებს „პრინციპი“: „მონა-მორჩილის აზრით“ (ზე ნაზარ-ე მანდე); „და ალ-ლაჰმა უკეთ უწყის“ (უა ალლაჰა ა'ლამ) და ძევლი ხელნაწერის სიტყვისა თუ გამოთქმისადმი უპირატესობის მინიჭება***.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „შაპ-ნამე“ დაახლოებით ასო-ცათას ტაებს შეიცავს. მაგრამ საუკუნეების მანძილზე მისი ტექსტი ამ მოცულობისა როდი იყო. აგრეთვე 19 საუკუნის დასაწყისამდე იგი უამრავ მინარევს შეიცავდა (და, რა თქმა უნდა, ახლაც შეიცავს შე-მონახულ ხელნაწერებში). მხოლოდ 1829 წელს გამოიცა კალკუტაში პოემის პირველი კრიტიკული ტექსტი, რომელშიაც მისმა რედაქტორი მა თ.მაკანშა „შაპ-ნამეს“ ამოარიდა მისი მეტად დიდი ინტერპოლირე-ბული ნაწილი პოემა ბარზეს შესახებ, ჯამშედის თავგადასავალი, როსთამისა და ყაჩალი ქრესტის ვრცელი ამბავი, სატირა სულთან მაჭელზე****. „შაპ-ნამეს“ ტექსტის სხვადასხვა ნუსხაში შეკრი-ლია ბაკანის, — ესჭანდოვანის შეიღლის, — ამბავი, სამის შესახებ

* ასე რომ, გაუმართლებელია საყველური, ამ ლექსიონში ფიქსირებული ფირდოსის ბეითების წაკითხვა რატომ არ მიღეს მხედველობაში: მოკამალ დაბრი სუმუნ, დარ პარუ-აფ თასკი-ჭ „შაპ-ნამე“, „სოხან“, 1854, შომარევა 12, გვ. 1206 იმარმა მიაქცია უკრალება იმას რომ ვათვადს თავის ნაშრომში პოეტიკაზე ერთი მაგალითიც არ მოაქცის „შაპ-ნამედან“ (Ю.Н. Марр, К.И. Чайкин, Письма о персидской литературе. Составление сборника, редакция текста, предисловие и примечания С.М. Марр и А.А. Гвахария. Тб., 1976, გვ. 20 შემუღმეთ Ю.Марр, К.Чайкин, რასაც ქანიკინი იმით ხსნის, რომ ვათვადსა და შემს საერთოდ ყირატები მოქმენდათ არა პოემებიდან, არამედ ყაბილებიდან (იქვე გვ. 204 ლააარაია აკადემიურ გამოცემაზე). რომელსაც გარდა პირობითად დადგენილი ტექსტისა, უნდა ახლდეს ვარიანტების სისულ სურათი და კომენტარი. შრავალთაგან აქ მოვიზნოთ ერთ მაგალითს ტ.ხ. ხახლარსს არ ეძებია ეგნოვეს შეირ უკუდაბოლი ვარიანტი ფაშიზმან შორაზ ჩაქშ იმ მიზეზით რომ ეს ტაება ძველ ხელნაწერში გვხვდება, თითქოს ძველი ხელნაწერის ძეგლიდნებისაგან დაზიანებული იყოს (ფარგლეზნათელ ნანლარ, დასთან-ე როსთამ-თ სოქონები „სოხან“, 1353, შომარუ-აფ, გვ. 583).

** „შაპ-ნამეს“ პირველ გამოცემებზე ის: ოსაკ აქმარ, „შაპ-ნამე“ აზ ბათონ თა ჩატო. „სოხანის მარტომ“, შომარუ-აფ 162, გვ. 17.

ғафмопеъмеби და სხვა). რაკი გამოცემაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ აქვე ჩამოვთვლით პოემის დანარჩენ, ასე თუ ისე მნიშვნელოვანი, პეტლიკაციებს: 1425-26 წ. თემურიდმა უფლისწულმა ბადესუნიარძა სწავლულთ ერთმანეთთან შეაჯერებინა ჰერათის ბიბლიოთეკაში დაცული „შაპ-ნამეს“ ხელნაწერები და შეადგინა პირველი კრიტიკული ტექსტი. პოემის პირველი მეცნიერული გამოცემა განახორციელა მ.ლამსდენმა, რომლის მიერ მომზადებული პირველი ტომი გამოქვეყნდა კალკუტაში 1811 წელს. 1838-1878 წლებში პარიზში გამოიცა უმოლის მიერ მომზადებული კრიტიკული ტექსტი ფრანგული თარგმანითურთ. 1877 და 1879 წ. ლეიდენში ჰოლანდიელმა აღმოსავლეთმცოდნებმ ი.ვულერსმა გამოაქვეყნა პოემის ორი ტომი. 1884 წელს თხზულების მესამე ტომი გამოსცა ულერისის მოწაფემ ს.ლანდაუერმა შეოთხე, დამმთავრებელი, ტომი გამოუქვეყნებელი დარჩა). 1934-1935 წ. ფირდოსუსის საიუბილეოდ თეირანში გამოიცა პოემის ათტომეული, რომლის ექვსი ტომი ვულერს-ლანდაუერის გამოცემათა განმეორებაა, ხოლო მე-9 და მე-10 ტომები ს.ნაფისს ჩედაქციითა გამოსული (მე-10 ტომი დათმობილი აქვს ჩანართებს). 1960-1971 წ. „შაპ-ნამეს“ ტექსტის ცხრატომეული გამოსცა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნების ინსტიტუტმა, ხოლო 1964-1966 წ. ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიაშ. 1987 წ. პოემის პირველი ტომი, დაფუძნებული ფლორენციულ ნუსხაზე, ნიუიორკში გამოაქვეყნა ირანელმა ფილოლოგმა ჯალბლ ხელყენ მოთლაყმა.* როგორც იტყობინებიან, გამოსულია მისი შეორე ტომიც.

თავის დროზე ცნობილი იანელი ლიტერატური ლოტქ-ალი აშ-რი შურდა: „შაპ-ნამე“ ისე შერწყმილი გადამწერების მიერ, რომ შევ არ არის ბევრი, რომელზედაც დახამცველებით შეიძლებოდეს ითქვას, რომ ფირდოსუსის კალას ეკუთვნისო. როგორც ებერტელი აღნიშვნადა, ** ამ მართალმა განცხადებამ ცუდ გუნებაზე არ უნდა დაგვაყინოს. ფირდოსუსის აქ განსაკუთრებული არათვრი სჭირს ისეთი, სხვა ირანელ კლასიკის რომ არ ეხებოდეს, — ქართული ლიტერატურისა არ იყოს, მე-10-მე-15 საუკუნების სპარსული პოეზიის, მისი ამ თქმის ხანის მემკვიდრეობა ჩენ უმეტესად მე-17-მე-18 საუკუნეების ხელნაწერებითოლა გვაქს შემორჩენილი. ეს ყოველი სიტყვაა საეჭვო, თორებ ყელა სიტყვა, არა ასე რომ, „შაპ-ნამეს“ ტექსტის, ვთქვათ, 20 პროცენტიც რომ სხვისი იყოს, 80 პროცენტი

* ამავე ლა-ასევე ფერატიში, „შაპ-ნამე“, დაფთარ-ე აექომ, მე ქუშე-ე ჯალ-ლ ბალუენ-მომლაკ ნატ-მორქ, 1366. მასშე ჩეცენზია ის ასლი მათინი, ნაყდ-ე ბარჩასი-ე ქეთაბ „მარალ-დე იას-ნამე“, 1367, შობრუ-დე ლოვომ, ვე 338 აქვევ „შაპ-ნამეს“ გამოცემების სრული მიმოხილვა.

** Е.Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы. М., 1960, 23. 181 შემდეგში: Е.Э. Бертельс, История.

ხომ არის უკედავი მგონისის ხელიდან გამოსული. ამდენად, პოე-
მაში ფირდოუსის ჟყვეტი გვაქვს და მასში თუსელი ჯადოქრის
სული ტრიალებს.

„შაპ-ნამე“ მისი შექმნის ხანიდანვე გამხდარა პოპულარული მახლობელ აღმოსავლეთში. არაბულ მწერლობას მანამდეც ჰქონდა სპარსული ლიტერატურის ეწ. ფალაური ძეგლების საშუალო სპარსულ ენაზე შექმნილი ისტორიული და მხატვრული თხზულებების) თარგმნის მდიდარი ტრადიცია (აქ მაგალითად „მეფეთა წიგნსა“ და „ქილიოლა და დამანას“ დაგვასხელებდით). მართალია, მე-11 საუკუნის შემდეგ ცხოველი ინტერესი საშუალო სპარსულობან არაბულად თარგმნისა ერთგვარად განხელებულია, მაგრამ არაბს, ეტყობა, მაინც ეპირი თვალი ირანული პოეზიის წალკორისაკენ.* უოველ შემთხვევაში, ეს მაინც ფაქტია, რომ 1226 წელს დამასკოში „შაპ-ნამე“ არაბულად უთარგმნია ვინშე ყავნებიდან-დან ალ-ბონდარის. ეს თარგმანი, ჩვენდა საბედნიეროდ, შემონახულია, და სულ ცოტა, ორჯერ მაინც არის გამოცემული.** პოემის პირველი სრული ლექსითი თარგმანი შექმნეს თურქებმა მე-16 საუკუნის დასაწყისში, ახალ ხანაში იგი თარგმნეს ინგლისურ, იტალიურ და რუსულ ენებზედაც.*** განსაკუთრებულ უურადღებას იმსახურებს „შაპ-ნამეს“ ქართული თარგმანები, მიუხედავად იმისა, რომ არაქართველი ირანისტების მნით ეს უურადღება მას აკლია. საქართველო კი არის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც „შაპ-ნამეს“ ორიგინალში კითხულობდნენ და თარგმნიდნენ. მართალია, არავითარი პირდაპირი მითითება ან უკველი საბუთი იმისა, რომ „შაპ-ნამე“ მე-12 საუკუნეში ითარგმნა ქართულად, როგორც ამას ჩვენში ფიქრობენ, ჩეებ ხელთ არა გვაქვს,**** მისი გმირების მოხსენიება ქართულ ძვლებში ჯერ კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ აქ თარგმნის კვალი ჩანდეს, რადგან არ არის გამორიცხული, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქართლის ცხოვრების“ ავტორებს ორიგინალში კითხოოთ ფირფლოუსის პოემა. უფრო სავარაუდოა, რომ ჩვენს ძველებს ცნობოდათ ფირფლოუსის წყაროები, „ხვადა-ნამაკის“ ციკლი, მით უშეტეს, რომ ეს გმირები ქართულ მატიანეში სწორედ რომ ფალაური ფორმებითაა ნახენები, მაგ., იყიდება კექაპოს (ქექაოსს ნაცვლად), შიოშ (სიაუშის აცვლად), ვაშტაშაბ (გოშთასფის ნაცვლად), სპანდიატ (ესუანდიარის აცვლად) და ა.შ. „შაპ-ნამეს“ ინტენსიურად თარგმნა ქართულად და-

* Зефура Гюзбели в «Арабско-турецком словаре» с. 256. В.Р.Розен, К вопросу об арабских переводах Худай-Намэ. Сб. «Восточные заметки». СПб., 1895.

"აღ-გენ-გამე" ნაშმა ბილ-ჭარისძეთი ამჟ აღ-ყასტე აღ-ჭარდაუკი უ
თარგმანი ნაციუან აღ-ჭავთ იმ აღ-მონღლირ. აღ-ყასტიათ 1330. შეორე გამოცემა
თურქულში განხორციელებული 1970 წელს.

იწყო ეწ. ალორძინების ხანაში (მე-16-მე-18 სს.), როცა თურქეთისა და ირანისაგან გაპირვებაში ჩავარდნილი ქართული ფეოდალური საზოგადოებრივობა ლიტერატურაშიც ეძებს გამამნევებელ მოტივებს. ამ გარემოებას უნდა გამოეწვია საგათგებო მოთხოვნილება საღვევმირო უარის ლიტერატურაზე.* ქართულად შემორჩენილი გვაქს „შაპ-ნამეს“ როგორც პროზით, ასევე ლექსითი თარგმანები. ამავე დროს მათი დედანი არის როგორც ფირდოუსის პოემა, ასევე მისგან მომდინარე პროზითი ვერსიები. იგი პროზითი ვერსიდან გაულექსას ორ კატ: სერაპონ საბაშვილს (მე-15-მე-16 სს.) და ხოსრო თურქმანიძეს (მე-16 ს.). ლექსითი ვერსიებია: 1) „როსტომიანი“, 2) „ზაქიანი“, გალექსილი მამუკა მდივნის (თავაქალაშვილის) მიერ, 3) „უთრუთიან-სამიანი“. ქართული პროზითი ვერსიებია: 1) „ფრიდონიანი“, 2) „უთრუთიან-სამიანი“ და 3) „წიგნი სამ ფალავნისა“.

მე-16-მე-18 საუკუნეებში ირანსა და ინდოეთში იქმნება ძირითადი ფირდოუსის პოემიდან მომდინარე, მაგრამ სხვადასხვა ხალხური გადმოცემებითა (დასთანებით) თუ აეტორთა ფანტაზიით გაზავებული „შაპ-ნამეს“ პროზითი ვერსიები (რომელთა ავტორებია: თაყა ად-დინ მოჭამად შუშთარი, თავაქეროლ-ბეგი, ხურშიდ ესჭანდაშარი და სხვანი). ცალკე განხილვის მიზანია ფირდოუსის პოემის მიბაძვანი. ზოგი მკვლევრის აზრით, „შაპ-ნამეს“ პირველი მიმბაძველები გარკვეულ ხალხურ თუ ლიტერატურულ მასალებს ეყრდნობოდნენ.*** თუ ეს ასეა (ამის დამტკიცება კი არც ისე იოლია, — უკვე აღარ ვიცით, რა-რისგან მოდის: ლიტერატურული ძეგლი ხალხური დასთანისაგან, თუ — პირიქით), თუ ეს ასეა-მეტქი, უნდა ვითიქროთ, რომ ფირდოუსიმ მხოლოდ გარკვეული მანალები გამოიყენა და უამრავი ამბავი დარჩა (თუ დატოვა). ეს საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის დროსაც დგას. ეტყობა, რუსთველმაც გარკვეული ამბები აიღო იმ ციკლიდან, რომელიც მის დროს იყო საქართველოში გავრცელებული ტარიელის შესახებ. ამდენად, რუსთველის პოემის გამგრძელებლებმა თავად კი არ შეთხეს, არამედ მეტკვიდრეობით მიიღეს თავიანთი თხზულების ამბავი. უთითებენ „შაპ-ნამეს“ ისეთ ადგილებსა და ბეითებზე, რომელთაც ამ პოემაში შემდეგ განვითარება არ უპოვნია. ამავე დროს, „შაპ-ნამეში“ აღუწერელი დარჩა ბევრი პერსონაჟის ბედი. ეს ფაქტი თითქოს იმაზე უთითებს, რომ გაჩნდა მოთხოვნილება ამ „ლაკუნების“ შევსებისა. და გამოუჩნდა კიდევაც ფირდოუსის მრავალი მიმბაძველი. მათი რიცხვი დაზუსტებული არაა, თუმცა არც მიბაძვის განმსაზღვრელი კრიტერიუმია დადგენილი. აი, ზოგი მათგანი:

* ჯავახლოებები, II, იქვე ჩვენ ეპვი გვიჩნდება: რომ არ ჩანს აქ დამპყრობელი ქვეყნის გავლენა, ძალაუნებური ორიენტაცია ირანის კულტურისადმი? ის, დაკინ, კომისარი შაპ-ნამეს ქართული ვერსიების საქართველო წყაროები,

** ქმასსე, ფერდაუსი ვა ქამბე-აუ მელლო თამჩოზ, 1350, გვ. 38 შემდეგში კ გასსე

1) ასადი თუსესის „გერმანეთ-ნამე“ (დაწერილი 1066 წ.), 2) აბუ მო'ადალ ბალხის მე-10-მე-11 სს.) ამავე გმირისაღმი მიძღვნილი წიგნი, 3) ხოჯა 'ათა იბნ ხა'ფუ'ბ 'ათაშის (გარდ. 1078 წ.) „ბარზუ-ნამე“, 4) „კაშმირ-ნამე“, 5) „ბაჰმან-ნამე“, 6) „ფარმორჩ-ნამე“, 7) „ქუშ-ნამე“, 8) „ბანუკუშასფ-ნამე“, 9) „შაჰირიდან-ნამე“, 10) „ბიჟან-ნამე 69, 12) „ლოპრასუ-ნამე“, 13) „ქუშიშ-ნამე“, 14) „სუსან-ნამე“, 15) „ჯაჰანგირ-ნამე“, 16) „სა-ნამე“. ყველა ესენი შექმნილია მე-11-მე-15 საუკუნეებში.*

ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ მიმბადველები ირანელ მეცნიერს მ.მორთაშავანის სამ ჯგუფად ჰყავს დაყოფილი: 1) ისინი, რომლებიც სახელის მოხვეჭის მიზნით ხალხში დაოჩენილ და ფირდოუსის მიერ გაულექსავად დატოვებულ მასალებს ამუშავებენ. 2) ისინი, რომლებიც თავიანთი მეფებისა თუ მათი წინაპრების ამბებს ლექსავენ იმის მიხედვით, რომ მამდლუკი არ დაემგვანება მაქმუდ ლაზნელს და მწერალს გულუხვად აუნაზღაურებს შრომას. და ბოლოს 3) ისინი, რომლებიც შეფეთა დაკვეთით წერენ ასეთ თხზულებას, იმ მეფეთა, რომელთაც თავიანთი თავი არაფრით არ მიაჩნიათ ფირდოუსის პოემაში აღწერილ მეფებზე ნაკლებად.** ფირდოუსის პოემის მიმბადვით დაიწერა არა მარტო მხატვრული თხზულებანი, არამედ ისტორიული ხასიათის შრომებიც.***

„შაჰ-ნამეს“ ამბავს არაჩვეულებრივი პოპულარობა ხვდა წილად არა მარტო ირანულ სამყაროში, არამედ მის მოსაზღვრე ქვეყნებშიც. ასე განსაჭერ, რუსული ფოლკლორის ისეთი ეროვნული გმირის სახელი, როგორიც არის ერუსლან ლაზარევიჩი, როგორც ეს დამაჭერებლად დაამტკიცა ვსტასოვმა, სხვა არაფრითია, თუ არა როსთამ (ჩუსთამ) ზელ-ზაროვიჩი. ზელ-ზარი კი შაჰ-ნამეს გმირია, როსთამის მამა.****

* მათზე იხ.: ზაბრკ იოლუკ საქა, ჭამესესარამე დარ ირან. თექრან, 1333, გვ. 376; მონაგრ. IV, გვ. 2974; საქამა, „შაჰ-ნამე“ კა შექ-ნამე საქავან, „ქანიართ მარტომ“, შამპარუ-გვ 153-154, გვ. 129. შემდეგ მიაჩ ქამესესარამე. ბოლო ხანებში კიდევ აღმოჩნდა ასეთი ძეგლები (იხ.: P. ხაძივაძე, Неизвестноё подражание „Шах-наме“ Фирдоуси. „Народы Азии и Африки“, 1961, N 4, გვ. 195). მაგრამ უკავა გაირკეცა, თუ რა ვთავაზრისით არის ასეთი თხზულებანი „შაჰ-ნამეს“ მიმბადვით და შეიძლება რა სახელბასთან გვაძეს საქმეზ ნაზირასთან თუ ჯაბეთან. რაკედღიზდეს მიერ მიკვლეულ თხზულებამი ისტ როგორც ასეთად მინეულ მრავალ გენერაციში, სულ სხვა გეფეხებსა და ლინასტებზეა ლაპარაკი. ასეთი ძეგლი წარმოადგენს ჯავაბს (რომელშიაც, როგორც წესი, სხვა სიუკერია და ძროლი).

** მანუქიარ მორთაშავანი, მოყალიერინ-ე „შაჰ-ნამე“ დარ ლოქურ-ხე მოცული თომიური, „შამერიაფ-ხე დანერშეიღუ-ხე აღმომათ-ე თაბრიზი“, სალე. ქანიაროვომ, მოვარუ-ხე დოვკომ, გვ. 147.

*** ასეთია, შაგალანთალ გამს არ-დნენ ქაშანის „თანრიზ-დ მოლულ“, აქმად თამარიშის „ჩინგ-ზე-ნამე“, ჭამა კა-ლა-კ მოსთაურის „შაქარ-ნამე“, შარაფ აღ-დრინ ალი დაიღის თომურ-ზანდ-ზე, ყასები კონაბარის „შამ-რიზ-ნამე“, მოაბათ-ლორ ფურდაუს-ხე სანის „შაჰ-ნამე-დ ნალგი“, მირზა თავის „შაჰ-ნამე“ და მრავალი სხვა.

**** B.B. Стасов, Собрание сочинений, т. III, СПб., 1894, გვ. 951.

თუ როგორ უყვარდა და უყვარს ირანელ ხალხს „შაჰ-ნამე“, ამას მოწმობს ერთი მეტად თავისებური მოვლენა — „შაჰ-ნამეს“ მთელი ტექსტის თუ არა, მისი დიდი ნაწილის ზეპირად წაკითხვა ერთგვარი რეჩიტატივით ყავახანებსა და ხალხის შექ-რების აღგილებში. არსებობდა შაჰნამებანის („შაჰ-ნამეს“ წამ-კითხველის) სპეციალური ინსტიტუტიც. „შაჰ-ნამე“ შედიოდა ე.წ. ნაყალების („მთხოვობლების“) რეპერტუარში. ისინი პრო-ზითი, მაგრამ ერთგვარად ილუმინირებული, ტექსტით გადმოგ-ვცემდნენ პოემის შინაარსს და შიგადაშიგ ჩატრავდნენ ხოლმე ფირდოუსის პოემის ბეითებს (ზოგჯერ სხვა პოეტების სტრიქო-ნებსაც). არ ვიქნებოდით მართალი, თუ ვიტყოდით, რომ ამ ინ-სტიტუტს ფირდოუსის პოემამ დაუდო საფუძველი. ეტყობა, ირანში მანამდეც მღეროდნენ „შაჰ-ნამეში“ აღწერილი გმირების ამბებს. შაჰნამებანი ჰყოლია სულთან მაჭმუდს მისი სახელი ცნობილია - ქარბალი. როგორც პირველწყაროები გადმოგვცემენ, იგი სულთანის უახლოესი პირი ყოფილა).^{*} ირანსა და ტაჯი-კეთში ამ ბოლო ხანებამდე კიდევ შეიძლებოდა შაჰნამებანების მოსმენა. გარდა მაჭმუდისა, შაჰნამებანები სხვა მეფეთაც ჰყო-ლიათ. ცნობილია, რომ „შაჰ-აბდას I (1587-1629) ძალიან უყვარ-და „შაჰ-ნამე“ და ჰყავდა კიდევაც მისი წამკითხველები. ერთ მათგანს, 'აბდ არ-რეზებ' ყაზვინელს (რომელიც კალიგრაფიც იყო) იგი უხდიდა დიდ გასამრჩელოს (წელიწადში სამას თუ-მანს).^{**} ცნობილია სექტანთა ხანის სხვა შაჰნამებანებიც (ილ-დუზიქი, სოჭრაბ პამადანელი, მოლლე ჭათჭი, მოლლე ბისული, ნეგათო ბაჭყარ, მოლლე მო'მინი და სხვები). 1990 წ. ერთ სამეც-ნიერო ექსპედიციას ამაოდ უძებნია ნაყყალები.^{***} მეორე ცდა კი წარმატებით დამთავრებულა, მიუგნიათ ერთი მოხუცისათ-ვის, რომელსაც უთქვამს: ჩემ გარდა კიდევ არის შემორჩენილი რამდენიმე ნაყყალი, მაგრამ დაბერდნენ და პოემას ვეღარ კით-ხულობენო.^{****} თუ როგორ გავლენას ახდენენ ისინი მამენე-ლებზე, ჩანს ერთი ამბიდან, რომელიც რომელილაც ყავახანაში მომხდარია: ნაყყალ მორშედ რაჭიმს ერთხელ თურმე ვიღაც სა-სახლის მსახური წინასწარ დაემუქრა: ამაღამ ჩემს ხანგალს ვერ გადაურჩებიო! მორშედი გაოცდა: რას მერჩიო? მან თურმე უპა-

* ქოსევან ლესან, შაჰნამეტანი. „ქონარო მართომ“, მომარე-მე 159-160, გვ. 7, შემდგები ლესან.

** ნატრ ლლ-ლაქ ფილსაჭი, თარიქ-ე ყაქვე გო ყაქვებანე დარ ირან. „სოხან“, 1333, მომარე-მე. 4. გვ. 47; მოქამად გირ შოქრანი, შაჰნამებანი აზ ლიტ-მართოშენის. „ქონარო მართომ“, მომარე-მე 165-166, გვ. 57.

*** მოქამად რამაზანი, თასკორ-ე ლომარ ანდულ უერდაუს“, დაწთარე ჩაქარო, გვ. 9.

**** მოქამად ნეგარდუსთ, ანინ-ე ანურ შამარა აფრდაუს“, დაწთარე შეშომ, გვ. 20.

სუხა: როგორ თუ რას გერჩი! სოჭრაბი მოსაკლავად როგორ არ შეგეციდა! როსთამმა შვილი ვერ იცნო, ვერ იცნო, შენ ხომ იცოდი, რაშიც იყო საქმე, ჩვენ თვალწინ იგი როგორ განგმირეო! მორშედმა თურმე ღმერთს მაღლობა შესწირა, რომ მისმა მონათხრობმა მსმენელზე ასე იმოქმედა.* როგორ მოქმედებდა ხალხზე „შაპ-ნამე“, კერძოდ, როსთამისა და სოჭრაბის ამბავი, ამაზე მეტყველებს ესეც: როცა ნაყვალი სოჭრაბის სიკვდილის ადგილს მიუახლოვდებოდა, ზოგი მსმენელი გარეთ გარბოდა, რათა იგი არ მოესმინა. იყო შემთხვევები, როცა იჩანის სოფელში ნაყვალს ცხვარს ან ძროხას აძლევლნენ, ოღონდ მას სოჭრაბი არ მოექლა.** დღეს ასეთი მოვლენა დაუჯერებელიც კი ჩანს, მაგრამ „შაპ-ნამეს“ ამგვარი პოვლარობისა და ზემოქმედების მაგალითები ჩვენშიაც ყოფილა (ვინ დაიჯერებს დღეს, რომ ამ სტრიქონების ავტორიც ეზოში გარბოდა და იქ ტიროდა, როცა მისი ძმა, რომელიც უბირ გლეხებს „როსტომიანს“ უკითხავდა, ამ ტრაგიკულ ადგილს მიუახლოვდებოდა).

„შაპ-ნამეს“ მარტო გასართობად შეკრებილ ხალხს როდი უკითხავდნენ. დღესაც იჩანის ზურ-ხანეში მოჭიდავეთა სავარგიშო დარბაზი) ყველა ვარჯიში „შაპ-ნამეს“ კითხვით იწყება და თავდება. ერთი ინდიელი მეცნიერის ცნობით, ძველიდ ფეხაბში-აც ასეთი ჩვევა ჰქონიათ: თურმე შუაგზაზე იდგნენ და „შაპ-ნამეს“ მღეროლნენ.*** გვაქვს ცნობები, რომ „შაპ-ნამეს“ ბრძოლის წინ უკითხავდნენ მებრძოლებს და მით საომრად აღატყინებდნენ მათ. მაგალითად, ჩალდარანის ცნობილი ბრძოლის წინ ყიზილბაშთა სარალმა მოქამდად ესთხლუმ, რომელიც შპნამებნიც ყოფილა, თავის მეომრებს თურმე „შაპ-ნამე“ წაყითხა.****

„შაპ-ნამე“ დაწერილია სპარსული ენის ჩრდილოურ, ე.წ. დარის დიალექტზე. „მესამე საუკუნეში ერთსა და იმავე დროს ორი ენა არსებობდა: სამხრეთში — საშუალო სპარსული, რომელიც სასანიდების სამეფო კარის ენაც იყო, ხოლო იჩანის

* ჩემერ თანახურით, მე ჭავთ-ე მმაღან-ე სოჭრაბ-ე გოლმარან. „ფერდაუს“, შობარუ-დ ჩაბარუმ, გვ. 25.

** გვაჩვის გეზებან თარის-ე ნომადე დარ იჩან, გვ. 80. ბუნებრივია, შპნამებანები ლიტერატურული ქებლის იდეებისა და მხატვრული ლიტებულების ერთგული ჩაბარობენ, მაგრამ აღმართ მათ მსმენელების, ფართო წრის, გემოვნებასა და განწყობასაც უწევდნენ ანგარიშს. უოლკლორის გამძლეობის მიზნი არის ის, რომ იგი ემორჩილება მსმენელთა ეჭ. „წინასწარ ცენტურას“. აუდიორისა მხოლოდ იმ ნაწარმოებს გაითვისებს, რომელიც მის სულისკვეთებას ეხამება და რომელიც აქობირებულია მის წიაღში (А.Я. Гуревич, Проблемы средневековой народной культуры. М., 1981, გვ. 22).

*** „ფერდაუს“, დაჭარა-ე შეიმზ, გვ. 5.

**** ლესან, გვ. 12.

ჩრდილო ნახევარში — ფალაური, ანუ ფაპლავანური ენა. ფირზე, დოუსის ენა სწორედ საუკუნეთა შემდეგ შეცელილი სპარსული ენაა".*

"შაპ-ნამე" ბევრჯერ პიესადაც არის გადაკეთებული და დადგმული ირანის სცენებზე. ფილმებადაცაა გადაღებული. იგი ირანელი მხატვრების საყვარელი თემაა, მისი სხვადასხვა ეპიზოდის ამსახეელი სურათები აუცილებელი გამხდარა ირანული მინიატურების, საოჯახო ნივთების, ფრესკებისა და ქსოვილებისათვის.**

ფირდოუსი, როგორც ყველა კლასიკოსი, მთელი მსოფლიოს კუთვნილებაა; გარდა ირანელებისა, „შაპ-ნამე“ მშობლიურია ირანულენოვანი ხალხებისთვისაც, კერძოდ, ტაჯიკებისა და ავღანელებისათვისაც. იგი დარის, ხორასნის ღიალებრითაა გაწყობილი, თუმცა ზოგს შეიძლება მისი ავტორი პურისტიად მოეჩვენოს; ის ფაქტი, რომ მასში ცოტაა არაბული ლექსიკა, ფირდოუსის პურისტობას არ ნიშნავს. მისი ღროის პოემები ტრადიციული, არაბულით ნაკლებად გაზიავებული ენით იწერებოდა განსხვავებით ლირიკული ლექსებისა. აქ რაიმე განსაკუთრებული ტენდენცია, ეტყობა, არც ფირდოუსის პერიოდი.*** „შაპ-ნამეს“ სიყვარულის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ფირდოუსი კაცობრიობას ირანმა მისცა და ირანელებს აღიზიანებთ, როცა ამას სხვებიც იჩემდება. ასე, მაგალითად, ავღანელები თავიანთ პოეტად არა მარტო ფირ-

* ეტლმერ ლუზარ, 'ფარს-დე დარი დარ' ასრულ ფერდაუსი. „ირან-შენისი“, 1370, ჰომერულ კვეთა, გვ. 24.

** მახანგირ ქალათარი, რაზმ-ო ბაზმ-ე „შაპ-ნამე“ დარ ფარდებ-დე გაშენებულებად ქალათარი შემარტომ „შომარუ-დე 124, გვ. 2.

*** „შაპ-ნამეს“ არაბული ლექსიკის შესახებ დიდებული ლიტერატურა არსებობს. ვასახელებთ ზოგ მთავარ ნაშრომს ლორეზ შეიტყო, არაბული ლექსიკური ელემენტები ფირდოუსის „შაპ-ნამეში“, ენათეც ინსტ. შრომები, აღმოსავლეური ცერია. ტ. 1954 წ. გვ. 138 მისივე „შაპ-ნამეს“ ლექსიკის შესწავლისათვის, თუ ქარომები, ტ. 180 „აღმოსავლეურმცნეობა“. ტ. 1976 გვ. 25 მისივე „შაპ-ნამეს“ არაბული ლექსიკიდან, თუ შრომები. ტ. 186 „აღმოსავლეურმცნეობა“. ტ. 1978 წ. გვ. 33 მარტ ა-შ-შორა მაკან, საბჭენის, რელიეფური ლოგო, 1337, გვ. 22; მასრურ ქასებ, ქალამბათ-ე „არაბ დარ“ „შაპ-ნამე-დე“ ფერდაუსი. „ვაპრი“, ჩელო-ე სევომ, გვ. 643; ა-ლამბ შეანაზ, ფერდაუსი ვა ქალამბათ-ე „არაბ დარ“ „ვაპრი“, ჩელო-ე ლოგო, გვ. 14; ქ. მასსე, გვ. 268; ჩანა-ზარე, ქალამბათ-ე „არაბ დარ“ „შაპ-ნამე-დე“ ფერდაუსი. „ვაპრი“. ჩელო-ე სევომ, ჩელო-მო-თ ფარმა, გვ. 456, 552, 675; ე. ე. ბერტელის, იზбранные труды. История литературы и культуры Ирана, М., 1988, გვ. 432. შემდეგში: ე. ე. ბერტელის, История, культура.

დოუსის მიიჩნევენ, არამედ საქეუნოდ აცხალებენ პრეტენზიას ისეთ არაავლანური წარმოშობის კლასიკოსებზე, როგორნიც არიან: რუდაქი, ნასერ ხოსროვი, სენაკი, რუმის, იბნ სინი, ბირუნი და სხვები. ეს მაშინ, როცა ჯ. მათინის თქმით, „შაჰ-ნამეში“ საერთოდ არ იხსენიება ავლანეთი, ხოლო ირანი შეიძასჭერ არის მოხსენიებული.*

როგორც თ.კოვალსკიმ შენიშნა, მიუხედავად იმისა, რომ „შაჰ-ნამეში“ სულ ოშებია, იგი მაინც არ არის პირქუში ნაწარმოები, როგორიცაა, ვთქვათ, „ნიბელუნგები“. იგი, ისე როგორც ირანი, მზითაა განათებული, ასევე მხიარული და ცხოველი ტონი გასდევს მთელს პოემას.

* ჭალა მათინი, ირან დარ პარსულ ღიგარან. მარაულ ირან-შენის, 1368, შომარულ ავგალ, გვ. 3

„შაპ-ნამეს“ შექმნის ამბავი ფირდოუსის ცხოვრება

ფირდოუსის* „შესახებ პირველწყაროებში მწირი ცნობები მოგვე-
პოვება. იმდენად მწირი, რომ იმარი სერიოზულად სვამდა საკითხს:
არსებობდნენ კი საერთოდ რუდაქი და ფირდოუსი, ისინი „ბრძა
პომეროსები“ ხომ არ არიანო! იმარის მიერ საკითხის ასე დაყენება
კჩიაკის ჯერ ეწოთირა (1933 წ. 17.II),^{**} მაგრამ სულ მალე (25.01.
1934) იგი იმარს წერს: მე რუდაქი უფრო ჩაალურად მეჩვენება, ვიდრე
ფირდოუსიო. *** უფრო გვიან იმარმა ირწმუნა ფირდოუსის არსებობა,
მაგრამ აღნიშნა, რომ იგი ლეგენდებმა მოიცვა.**** აი, რას გვიამბობენ
მასზე პირველწყაროები (აქ მოვიტანთ სამ პირველწყაროს, ოთხ
დაანარჩენს, რომლებშიაც მეტად საეჭვო ინფორმაციებია შემონახული,
სტულენტებს ცუტოვებთ სათარგმნელად):

I. მომავალ აუქი (მე-13 ს.)

„ფირდოუსი, რომელიც ენამზეობის სამოთხის ანგელოზი და
მეტარმეტყველების პრეტენზის არგუმენტი იყო, ხელოვანების
მფლობელთა წინამდლოლი და გონებამახვილობის მეონეთა მეთა-
ურია. ამ შეხედულების დამადასტურებელი გახლავთ მთელი
„შაპ-ნამე“, რომელიც დაყიყიშ წამოიწყო და რომლის ოცი ათასი
ბეითი დაყიყის ნათევგამია, ხოლო დაანარჩენი სამოცი ათასი ბეითი
ფირდოუსის ეკუთვნის. მელექსეობის ნიმუში აქვს მოცემული და
სრულქმნილების ბეჭედი აქვს დასმული; წინამორბედთათვის
სირცევილი აქვს ნაჭმევი და მომავალი თაობისათვის თავსატეხი
საქმე აქვს დამართებული. მისი ხელოვანების სრულქმნილება
იმაშია, რომ [მისი წიგნი] თავიდან ბოლომდე ერთი სტილითაა
გამართული და. ერთი მანერითაა გაწყობილი. მისი დასასრული
ისეთივე მომხიბულელია, როგორც — დასაწყისი. ეს კი ოსტატობის

* ქართულში (ეტყობა ჩუსულის გავლენით) დამკვიდრდა ფორმა ფირდოუსი. საახსულად იგი გამოითქმის ასე: ფერდაუს ჩუსები ფირდოსის ხმარობენ, თუმცა იმარი ცდილობდა, დაემკვიდრებონ კჩიაკის მიერ შემოთავაზებული გამოთქმა: ფერდოსი. იხ. Ю.Н. Mapp, К.И. Чайкин, Письма о персидской литературе. Составление сборника, редакция текста, предисловие и приложения С.М. Марр, и А.А. Гвахария. Тб., 1976, გვ. 198. შემდეგში: Ю.Mapp, К.Чайкин, გვ. 198.

** ეპვ. გვ. 107.

*** ეპვ. გვ. 148.

**** ეპვ. გვ. 190, იხ. აგრეთვა: Ю.Н. Mapp, И.В. Мегрелидзе, К.И. Чайкин, Переписка по вопросам иранистики и грузиноведения. Тб., 1980, გვ. 88.

ძლიერება და უმაღლესი ხარისხის სრულქმნილებაა. და ყველა, ვინც წაიკითხავს ხოჯა მასულ საჭიროს, — აცხონოს იგი ალლაპშა!

— მიერ შეკრებილ „შაპ-ნამეს“ რჩეულ ადგილებს, იცის, სანამდის არის ფირდოუსი ასული. „შაპ-ნამეს“ გარდა, მისი ლექსები ცოტაა მოლწეული. ერთ ყაბილაში, რომელიც სულთან მამინ აღ-დავლა მაჭმულის, — ალაპმაც აცხონოს იგი! — საქებრად აქვს შეთხული [ფირდოუსი] ამბობს:

ლექსი

ორ რამეს ვხედავ შენთან უშიშრად,
რომელიც ვევდასთან შიშით არის მოცული:
დინარს, როცა თავშე გვირგვინს იდგამ,
ბრძოლის ველზე — სულ, როცა მუსარადს იხურავ (?) .

და მასვე უთქეამს:

ბევრი ჯაფა ვნახა, ბევრი ნათქეაში წაკითხებ
არაბულად თუ ფალურად (სარსულად?) ნათქეამი.
ამ ხელობაში ვითვი სამოცდარი წელიწადი,
რა საგზალი მქონდა აშკარა თუ დაფურულა?!
გარდა ჭმუნისა და ციდებისა (?)
ახალგაზრდობადნ არ დარჩენია რაიმე ნიშანი.
ახალგაზრდობის მოგრძებაზე ახლა ვტირი
აბუ ფაქერ ხისრევნოს ბეითით:
„ახალგაზრდობა მე ბავშვიერი მახსოვეს(?) ,
აუსეს ახალგაზრდობა, აუსეს ახალგაზრდობა!“ *

2. ნებაში 'არუში' სამარყანდელი (მე-12 ს.):

„ოსტატი აბუ ლ-ყასემ ფირდოუსი თუსის დეპუნთაგანი იყო. სოფლიდან, რომელსაც ბაქს უხმობენ და რომელიც თაბარანის მაზრაში შედის. ღიღი სოფელია, მისგან ათასი კაცი გამოდის [ჭარში?] ფირდოუსი ამ სოფელში შეძლებულად ცხოვრობდა, ისე შეძლებულად, რომ ყანების შემოსავლის წყალობით თავის მსგავსთაგან არავისზე არ იყო დამოკიდებული. ერთი ქალიშვილის გარდა სხვა ძე არ ესვა. „შაპ-ნამე“ გალექსა და მთელს იმედს იმაზე ამყარებდა, — ამ წიგნის გასამრჯელოთი უნდოდა ქალიშვილისათვის მზითევი გამოეწყო. ოცდახუთი წელიწადი წერა ეს წიგნი და დაასრულა. მართლაც რომ არაფერი დარჩენია სკულექსავი, ლექსი ცის ტატნობზე აიყვანა და გემოთი წყაროს

* ლომბად ალ-ალმაბ თალიტ-ე მოქამბად 'აუქტ თასქეპ-თ-ე ჭალტ ფა ჭავაშ-ონ თალიტ-ე ქამალ ბე ქრძებ-ე სა-ილ ნაწის. [თექან], 1335, გვ. 269. შეძლევში: ლომბად

წყალს დაამგვანა. რომელ ნიჭის ძალუს, ლექსი იმ ხარისხამდე აიყვანოს, მან რომ აიყვანა იმ წერილში, ზალი რომ მიუწერს სამ ნარიმანის ძეს „მაზანდარანში, როცა მას ქაბულის მეფის ასულის შერთვა უნდა:

„სპეთან წერილის მიწერა ინგბა.“

მე ირანში და, ვნებავთ, არაბულ პოეზიაშიც ასეთ ენამჭევ-რობას ვერ ვხედავ.

როცა ფირდოუსიმ „შაპ-ნამე“ დაასრულა, მისი გადამნუსხავი ალი დედლამი იყო, რევი (დეკლამატორი) — აბუ დოლაფი, მფარველი (მეცენატი) — ჰომად ყოთამბა, რომელიც თუსის ჰამელი (გამგებელი) გახლდათ და ფირდოუსის მფარველობდა. [ფირდოუსი] სამიცეს ასახელებს:

„ქალაქის წარჩინებულთაგან ამ წიგნში
წილი უძევთ აღმ დედლამს და აბუ დოლაფს.
სულ ჩემს ქედაში იყენებ ისინი,
მათი შექებით გამისეყდა ნაღვლის ბუშტი (ვიძლი).
ჰომად ყოთამბა წარჩინებულთაგანია,
ის არ ითხოვს ჩემგან ლექსს მუქთად.
ხარაჯის თავინა და სარგებელი მე არ მეკითხება,
ლიგინში ვერორაობ ნებივრად“.

ჰომად ყოთამბა თუსის ჰამელი (გამგებელი) იყო და იგი იმდენად აფასებდა ფირდოუსის, რომ ხარაჯისაგან იხსნა იგი; რასაკეირველია, მისი სახელი მეორედ მოსვლამდის დარჩება და მეფეები პატივს მიაგებენ მას.

შემდეგ ალი დედლამმა „შაპ-ნამე“ შვიდ ტომად გადაწერა. ფირდოუსიმ აიყვანა აბუ დოლაფი, ლაზანაში გაემართა ხელმწიფესთან და დიდი ხოჯის, აჭმად ჭასან ქათების (სასახლის მწერლის, წერილების შემდგენლის). — მ.თ.) შუამდგომლობით აუდიონცია თხოვა მას. [ფირდოუსი] მიღებულ იქნა. მაჲმუდი მოწყალე თვალით უყურებდა ხოჯას, მაგრამ დიდ ხოჯას [სასახლეში] მოწინააღმდეგები ჰყავდა, რომლებიც მისი მაღალი ადგილის ჯამში მიწყივ სახელის გატეხის ნაგავს ჰყრიდნენ. მაჲმუდი მათ დაეთათბირა: ფირდოუსის რა მიკუთოო? უპასუხეს: „ორმოცდათი ათასი დირემი. ესეც ბევრია მისთვის, რადგან იგი რაჭიზიტია და მუთაზილიტობის მიმღევარი. მის მწვალებლობაზე ეს ბეითი მეტველებს:

* ავტორს მოაქვს თორმეტი ტაქპი „შაპ-ნამედან“. რომელსაც ჩვენ აქ არ განვიმეორებთ, რადგან თარგმანი მიახლოებითაც ვერ გაღმოსცემს ორიგინალის თვის ფუნქციას ვერ შეასრულებს.

და მის ულმერთობაზე მიგვანიშნებს ეს ბეითები, რომელიც მან
გამოთქვა:

„გრინიურმა ქვეყანა ზღვის მსგავსად გადაშედა,
მძაფრმა ქარძმ მასზე ტალღა ატესა.
სამოკლაათი ზომალდი ააშენა მასში
და მასზე კულება იალქანი აუშეს.

შეაში ერთი პატარაძლივით ამოდ საჭერეტი ხომალდი ძოროთ როგორც „მამლის თვალი“ (*abrus precatorius*). მასზე მოვალეობა არ არის დანართული.

მოციქულის მთები თჯანი და 'ალა.

თე სამოთხე გინდა მეორე სამყოფელში,

მოციქულისა და 'აღმს ახლოს დაიჭირე ა-
თუ შენ ეს არ ვა გთა. მა მქონებს იორე

ასე იცოდე, ეს გზა ჩემი გზა.

ასეთი დავიბადე და ასეთივე მოვკვდები.

დაბეჯითებით უწყოლე, რომ 'აღნს ფეხის მტკური ვარ'.

სულთანი მაჭმული ფანატიკოსი კაცი იყო, ავი ენისა დაიჯერა
და [ეს თაობირი] ყურად იღო. საბოლოოდ ფირდოსის ოციათასი
დირემი გაუგზავნა. [ფირდოსი] ძალიან გაბრაზდა, აბანოში
წავიდა და იქ ლუდი დალია. ის ვერცხლი ნახევარი მეაბანოეს
აჩუქა, მეორე ნახევარი კიდევ — ლუდის გამყიდველს. მაჭმულის
დაუნდობლობის ამბავი იცოდა, [იმავე] ღამეს ღაზნიდან გაიქცა
და ჰერათში ესმა-წლ ვარდყის, აზრიყის მმის, დუქანს შეაფარა
თავი. ექვსი თვე მის სახლში იმაღლებოდა, სანამ მაჭმულის შიერ
გამოყიდებული მდევრები თუსში არ ჩავიდნენ და უკან არ
გაბრუნდნენ. თავი რომ უშიშრად იგრძნო, ფირდოსი ჰერათიდან
თუსში დაბრუნდა, „შაპ-ნამე“ აიღო და თაბარისთანში სპასპეტ
შაპრინგშრთან გაემგზავრა, რომელიც თაბარისთანის მეფე იყო და
ბავენდის შროს ეკუთვნოდა. ეს ლიდი ჩამომავლობის საგვარეულო
მეფე მაზდეგარის უკავშირდება. შემდეგ მაჭმულზე სატირა
დაწერა. ას [ბეითზე] მეტი, და [იგი პოემის] შესავალში [ჩართო].
[სატირა] შაპრინგშრთან წაუკითხა და უთხრა: „ეს წიგნი, რომელიც
მაჭმულს მივუძლვენი, ახლა მინდა, შენ მოვიძლვნა. იგი მთლიანად
შენი წინაპრების შესახებაა და მათზე შემორჩენილი ამბებისაგან
შედგება“. შაპრინგშრმა ფირდოსის დაუყვავა, მოწყალე ექმნა
და უთხრა: „ოსტატო, მაჭმული შეაგულიანენ, შენი წიგნი ისე არ
წარუდგინეს მას, როგორც ეგებოდა და შენ სახელი გაგიტეხს.
ესეც არ იყოს, შენ შიიტი ხარ და ვერავინ, ვინც მოციქულის
ოჯახს ესავს, ვერაფერს ვერ მიაღწევს(?) ამ ქვეყანაზე, როგორც

თვითონ მათ ვერ მიაღწიეს ვერაფერს (၇). მაჭმული ჩემი მბრძანებელია, შენ „შაპ-ნამე“ მისაღმი მიძღვნილად დატოვე. მასზე [დაწერილი] სატირა კი მე მომეცი, მე მას მოესპობ და შენ სათანადო საზღაურს გიბოძებ. [აი, ნახავ] მაჭმული თვითონ გიხმობს, შენ რომ გინდა, ისე მოგექცევა და ამხელა წიგნზე დასარჯული შრომა ფუჭად არ ჩაგივლისო“.

მეორე დღეს [შაპრინგარმა ფირდოუსის] ასი ათასი დირექტორები გაუგზავნა და უთხრა: „[შენი] ყოველი ბეითი ათას დირექტორები ვიყიდე. ის ასი ბეითი მე მომეცი და მაჭმულზე გული მოიბრუნეო“. ფირდოუსიმ ის ბეითები შაპრინგარს გაუგზავნა და მანაც ისინი გაანადგურა. ფირდოუსიმაც მოსპონ [თავისი] შავი და [ამდენად] ის სატირა მოისპონ. მისგან ეს ექვსი ბეითილაა შემორჩენილი:

„მე ცილი დამწამე: ის ენაწყლიანი
მოციქულია და 'აღმა' ხევარულში დაბერდაო.
მე რომ მათი ხევარულის შესახებ ვიღაპარაკო,
მაჭმულისთვანა ას გამოვეკომაგება (გაუწევ დახმარებას).
მსახურის ნაშიერი [არაფერში] არ გამოდგება,
რაც გინდა მეცე ქავეს მამად.
ამზე სანამ უნდა ვიღაპარაკო,
ზღვის მსგავსად, ნაირი (დასასრული) არ ვიცი.
შაპს კეთილი ბენდა არ ჰქონდა,
თორუე მე ტატტე დახმაშდა.
რადგან მას ჯილაგში დიდებულება არ ჰქონდა,
არ იცოდა დიდი ადამიანების სახელის მოსმენა“.

ეეშმარიტად, მაჭმულს შაპრინგარმა დიდი სამსახური გაუწია და მაჭმულიც დიდად მაღლობელი იყო.

ხუთას თორმეტ (1120/21) წელს ნიშაფურში ამპტ მო'ეზისაგან მოვისმინე: 'აბდ არ-რეზაყისაგან მოვისმინე თუსში: როცა მაჭმული ინდოეთში იყო და იქიდან ლაზნაში ბრუნდებოდა, გზაში ერთი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, — მტკიცე ციხეში იყო გამაგრებული. მეორე დღეს მაჭმულს იმ ციხესთან უნდა შეესვენა. [იმ კაცს] მოციქული გაუგზავნა და შეუთვალია: „ხვალ მეიხლები, ძლვენს მომართმევ და ჩემს კარზე მიღების ცერემონიის დროს სამსახურს გასწევ. სამაგიეროდ საპატიო ხალათს მიღებ და უკანვე გაბრუნდებით“. მეორე დღეს მაჭმული ცხენზე შექდა. დიდი ხოჭა გვერდით, მარჯვენა მხარეს, მიჰყვებოდა. ამასობაში ის მისი მოციქული მობრუნებულიყო. სულთანს ემთხვია. სულთანმა ხოჭას ჰკითხა: „პასუნი როგორი არისო?“ ხოჭამ ფირდოუსის ეს ბეითი უთხრა:

„თუ პასუნი ახეთი არ იქნება, როგორიც მე მინდა,
აგერ მე, აგერ გერზი, აგერ ბრძოლის კედი და აწრანსიანბი“. -

მაჭმულმა იკითხა: „ეს ვისი ბეითია, კაცს რომ ვაუკაცობას

მატებსო?“ უპასუხა: „საწყალი აბუ ლ-ყაშემ ფირდოუსისაა, ოცდახუთი წელიწადი ჯაფაში რომ იყო, ასეთი წიგნი დაასრულა და ვერავითარი საზღაური ვერ მიიღოთ“. მაჭმულმა უთხრა: „რა კარგი ქნი, რომ ეს ამბავი გამახსენე! ახლა ვნანობ, რომ ის ლირსეული კაცი ჩემგან ასე დაზარალდა. ღაზზაში გამახსენე და მას რაიმეს გავუგზავნიო“. ხოჭა ღაზზაში რომ დაბრუნდა, მაჭმულს [ეს საქმე] შეახსენა. სულთანმა ბრძანა: „სამოცი ათასი დინარის საფასური ინდიგო გაუგზავნონ აბუ ლ-ყაშემ ფირდოუსის თუსში სულთანის აქლემებით და მისგან პატივება ითხოვონო!“

ხოჭას წლების განმავლობაში აფიქრებდა ეს საქმე და ახლა, როგორც იქნა, მოაბა მას თავიზე. აქლემი გააგზავნა და ინდიგომაც შევიდობით ჩააღწია თაბარანამდე. აქლემი რულბარის ალაყაფის კარებში შედიოდა, როცა რაზენის ალაყაფის კარებიდან ფირდოუსის ცხედარი გაჰქინდათ.

იმ ხანებში თაბარანში ერთი წესის ამგები იყო, ქვა ისროლა და თავი შეუშეირა: „ნებას არ მოგცემთ, მისი ცხედარი მუსულმანების სასაფლაოზე დამარხოთ, რადგან იგი მწვალებელი იყოთ“. ხალხი რამდენიც არ ეცვეწა იმ სწავლულს, ნაყოფი არ გამოიღო. ალაყაფის კარების გარეთ ერთი ბალი იყო, ფირდოუსის საკუთრება, იქ დაასაფლავეს. დღესაც მანდ მარხია. ხუთას ათ (1116/17) წელს მე მოვინახულე იგი და პატივი მივაგე მის ნეშტს.

ამბობენ, რომ ფირდოუსის დარჩა ერთი ქალიშვილი, მეტად ლიტერუნებოვანი. უნდოდათ, სულთნის საბორგარი მისთვის ჩაებარებინათ. არ მიიღო. თქვა: „არ მესაჭიროებაო“. [სულთნის] გამოვგზავნილმა კაცმა [ეს ამბავი] მაჭმულს მისწერა. სულთანს რომ მოახსენეს, ბრძანა, იმ თავვასულობისა გამო, რაც ჩაიღინა, იმ სწავლულს თაბარანი დაეტოვებინა და თავის სახლ-კარზე ხელი აეღო. ის ქონება კი ხოჭა აბუ ბაქრ ესჭაყ ქარმისათვის ჩაებარებინათ, რათა მას აეშენებინა რაბათი ჩაჰში, რომელიც თუსის სანახებში მდებარეობს, ნიშაფურსა და გარეს შორის. ამ ფირდომანმა თუსში რომ ჩააღწია, ბრძანება შეასრულეს. რაბათ-ე ჩაჰში იმ ქონებითაა აშენებული“.*

ის ამბავი, რომ პოეტის სიკედილიდან ერთი საუკუნის შემდეგ მისი საფლავი ნეზამი არაშემდეგ მოინახულა (და იგი შემონახული იყო), იმაზე მეტყველებს, რომ მას მოილოცავდნენ.

* ჩაჰშ მაყალე, თალატები აქმად იმან „ალი ნეზამი არაშემდეგ სამარყანლი, თასკან ქარქ-ე ლორათ ბე ქეშემ-ე ალი ქასტრი, თექრან, 1345, გვ. 57. შემდეგში: ჩაჰშ მაყალე.

3. დავლათ-შეპ სარყანდელი, „თაშქერათ ოშ-შო’არბ“ (ამოსა-შერია სპარსული ტექსტი და სათარგმნია დამოუკიდებლად).
4. ჭამდ ალ-ლაპ მოსთაუფის, „თპრის-ე გოზიდე“ (ამოსა-შერია სპარსული ტექსტი და სათარგმნია დამოუკიდებლად).
5. „თპრის-ე სისთან“ (ამოსა-შერია სპარსული ტექსტი და სათარგმნია დამოუკიდებლად).
6. შეერი „ნთაშქადე“ (ამოსა-შერია სპარსული ტექსტი და სათარგმნია დამოუკიდებლად).

7. არსებობს კიდევ ერთი ლეგენდა, რომელიც ახლავს „შაპ-ნამეს“ რამდენიმე ხელნაწერს და მათ შორის ჯერჯერობით ცნობილ ყველაზე ძველ, ე.წ. ფლორენციულ ნუსხას (გადაწერილია 1217 წელს). მისი ძირითადი შინაარსიც ისეთვეა: ხორასანში, თავის სამშობლო თუსში ფირდოუსის უთანხმოება მოუხდება აღვიღობრივ მმართველთან: იგი იძულებულია, ჩავიდეს ლაზნაში, აქ პოეტი დაუახლოვდა სასახლის დიდ მოხელეს, ვინმე მაჟაქს. ეს უკანასკნელი პოეტი ჩააყენებს საქმის კურსში: სასახლეში კარის პოეტები „შაპ-ნამეს“ ლექსავენ და მაჟმული მათი ნაწერების გარჩევით არის გართული. ფირდოუსი დაწერს როსთამისა და ესტანდიდარის პოემას, რომელიც მაჟმული მოეწონება. ფირდოუსი ხდება კარის პოეტებს: ონცორის, ფარრობეს და ’ასჯადეს. მათ შორის გაიმართება ის ცნობილი გაშაირება. ტირდოუსი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ყველაზე. ჩევნი სასახლე შენ სამოთხედ (ჭერდაუს) აქციეო, უთხრა სულთანმა. პოეტმაც ამის გამო დაირქვა ფირდოუსი. შემდეგ მეფე მგოსანს ჩევნთვის ცნობილ პირობას დაუდებს. და დაურღვევს. ფირდოუსი წერს სატირას და თავს აფარებს ბალდალში ხალიფის კარს. მაჟმული მიიცვლება და მის ნაცვლად ტახტზე ადის მას’უდი. ფირდოუსი ბრუნდება თუსში. მას სიზმარში როსთამი გამოეცხადება და განძს ასწავლის. ფირდოუსი მდიდრდება.*

ამავე წყაროს ცნობით, პოეტს სახელად ერქვა მანქური, ქონდად ჰერნია აბშუ ლ-ყანსემი. მამამისი ყოფილა მაელსნა აჭადიბნ მაელსნა ფარრაპ ალ-ფერდაუსი. აქ ორი რამე იქცევს ყურადღებას: მისი მამა და პაპა საპატიო ინტელიგენტური წოდებით არიან მოხსენიებული (მავლან), ხოლო ფირდოუსის ფსევდონიმს ატარებდა უკვე პაპამისი.

როგორც ვხედავთ, პირველწყაროებში არ არის რაიმე ცნობა,

* ქალაქ ბალეკი მოთლაკ, დასთავის-ე „შაპ-ნამე-შე“ მოვარას 614 კეტრი-დე ყამარი. „ირან-ნამე“, 1367, შომარე-დე უკვალ გვ. 89.

რაშიაც ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდეს. ფირდოუსის ცხოვრება
ისევ და ისევ ლეგენდების სუეროში რჩება.

ამ კაცის გაცნობის გზაზე პირველი ნაბიჯიც ვერ გადაგვიდგამს.
არა გვაქვს აუცილებელი და ორდინარული ცნობა: არ ვიცით, რა
ერქვა მას. ბონდარის არაბული თარგმანისა და ბადუნყარის
ნუსხის წინასიტყვაობის მიხედვით, მას მანისური ეწოდება, მამამისს
კი პირველით — ჭასანი, მეორით — აჭმადი¹. „თარის-ე გოზიდეს“
მიხედვით კი, როგორც დავინახეთ, მას მანისური კი არ ჰქვია,
არამედ — ჭასანი, მამამისს კი ალი ერქვა. დავლათ-შეპი და
პზერი, როგორც ვნახეთ, ეთანხმებიან „თარის-ე გოზიდეს“ იმაში,
რომ „შაპ-ნამეს“ ავტორს ჭასანი ერქვა, მაგრამ მისი მამის შესახებ
განსხვავებულ ინფორმაციას იძლევიან: მას ესჭაყი (ისაკი) ეწოდე-
ბოდაო, გვარწმუნებენ. სამაგიეროდ მეტ ცნობებს გვაწვდიან,
გვამცნობენ: მისი მამის მამას შარაჭ-შეპი ერქვაო. „წინასიტყვა-
ობის“ მიხედვით კი მას ჭარჩაპი რქმევია. „თარის-ე სისთანისა“
და „ჩაპპრ მაყალეს“ ავტორები კი ერთ პირზე დგანან, პოეტის
სახელზე საერთოდ არ გვეუბნებიან არაფერს, სამაგიეროდ გვანე-
ბივრებენ მისი ქონისა თუ ლაყაბის გაცნობით: აბუ ლ-ყასემ
ფერდაუსი იყოო. ქონდას თვითონ ირქმევდნენ: აბუს მნიშვნელო-
ბებია: მამა; რაიმეს მქონებელი; რაიმე თვისების მქონე. აბუ
ლ-ყასემის ყველაზე ორდინალური მნიშვნელობა ქონის მიხედვით
იქნებოდა: „ყასემის მამა“, რომელსაც იმაზე უნდა მიეთითებინა,
რომ ფირდოუსის ეყოლა ვაერ, რომელსაც დაერქვა ყასემი და
ამით იგი ავტომატურად გახდა „ყასემის მამა“ აბუ ლ-ყასემი.
ყველაზე ნაკლებად მოსალოდნელი ეს ვარიანტია. უფრო სავარა-
უდოა, აქ საქმე გვქონდეს ლაყაბითან, შეჩქმეულ წოდებასთან,
რომლის მნიშვნელობა იქნებოდა: „განაწილების (გასაჩუქრების)
თვისების მქონე“. მაგრამ რამდენად შეეფერებოდა ეს ლაყაბი
ფირდოუსის? უმალ ის უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ქონდა კი არა,
ლაყაბი გვაქვს, მაგრამ იგი მხოლოდ ენობრივი მნიშვნელობით
არის ასეთი. არ არის გამორიცხული, პოეტს ვინენს პატივისცემით
აეღოს ეს ლაყაბი. აბუ ლ-ყასემი გახლავთ მუპამედ მოციქულის
ერთ-ერთი ლაყაბი. ასეთი წოდება ჭერნდა სულთან მაჭმულსაც.
იქნება გვეფიქრა, რომ ფირდოუსი მოიქცა ისე, როგორც შემდეგში
— სა'დი შირაზელი, რომელმაც ლაყაბი სა'დი აიღო ფარსის
პატრონის სა'დ ბენ ზენგისადმი პატივისცემის ნიშნად. მართალია,
სულთანი მაჭმული, ხორასანში რომ გამეფდა (998 წ.), ფირდოუსი
ჭარმაგი კაცი იყო, მაგრამ არც სა'დი ყოფილა ახალგაზრდა, როცა



ასეთი ლაყაბი აირჩია. არც ჭერდაუსის მნიშვნელობაა ნათელი. ბოლოკიდური ი დაბეჭითებით არაფერს გვეუბნება. იგი სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსიცაა და რამესთვის მიმკუთვნებელიც. ამდენად, პოეტი ყოფილა ჭერდაუს-ელი ან ფერდაუსისებური თუ ფერდაუსისეული. მაგრამ თავად ამ სიტყვის მნიშვნელობა სადაცა. ჭერდაუს სპარსულში ბერძნულიდან არის ნასესხები (ბერძნ. პარადეიზოს) და სამოთხეს ნიშავს. ფირდოუსის მეცნიერი ბიოგრაფები ამ საკითხს იოლად უყურებენ, ფირდოუსი სამოთხელს ნიშავსო, განმარტავენ და საქმეს ამით ილევენ. მაგრამ ჩვენი პოეტი მართლა და მართლა სამოთხიდან ხომ არ იყო წარმოშობით, რომ ასეთად წარმოედგინა მას თავი. ანგარიშგასაწევია დავლათ-შაპის ცნობა: ხორასნის გამვემ, სურიმ, გააშენა ბალი, რომელსაც უწოდა ჭერდაუს („სამოთხე“), ფირდოუსის მამა იქ მებალედ იყო და პოეტმაც აქედან აწარმოა თავისი ფსევდონიმიო. როგორც ვნახეთ, „შაპ-ნამეს“ წინასიტყვაობის ცნობით, ფერდოუსი ეწოდება პოეტის პაპასაც. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, აქ უმაღ გეოგრაფიულ პუნქტთან შეიძლება გვქონდეს საქმე, ვიდრე სამოთხესთან. რაც შეეხება მის მოსახსენიდებელ ტერმინებს: ჰაქიშ („ბრძენი“) და ოსთავ („ოსტატი“), ისინი შეიძლება შემდეგ იყოს დაკავშირებული ჩვენი პოეტის სახელთან.

მაშ, რა უტყუარი და უეჭველი ცნობა დაგვრჩა ხელთ პოეტის შესახებ პირველწყაროთა და პირველ ბიოგრაფთავანზ არაფერი. და ყველაზე სარწმუნო წყარო პოეტის შესახებ, როგორც ამას ე.ბროუნი აღნიშნავდა, ისევ და ისევ მის „შაპ-ნამეს“ შემოუნახავს.^{*} თუმცა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ პოემაში გამომკრთალი ცნობები პოეტის შესახებ, შეიძლება, ყოველთვის სანდო არც იყოს, რადგან ადვილი შესაძლებელია, ეს ცნობა ინტერპოლატორის მიერ ჩართული აღმოჩნდეს. ^{**}

პოეტის დაბადების თარიღზე ირანისტიკაში დიდი კამათი იყო გაშლილი. უთითებდნენ სხვადასხვა გამოთვლის შედეგად მიღებულ სხვადასხვა თარიღზე. ამ ბოლო ხანებში ირანელმა მეცნიერმა შაფურ შაპბაზიმ, ვფიქრობთ, საბოლოოდ დააზუსტა იგი: ბაპრამ მეორის მეფობის დასაწყისს რომ აღწერს, პოეტი გვამცობს: 63 წელი შემისრულდა (გვ. 2023), ხოლო 800 ბეითის შემდეგ, შაფურ მეორის მეფობა რომ უნდა აღწეროს, გვეუბნება: ბაპმანის

* E.G. Browne, A literary history of Persia, II 1906 გვ. 13 შემდეგ მა. E.Browne, II 1888, გვ. 60.

პორმოზდის პარასკევის 63 წლისა გავხდიო. მეცნიერის გამოთვლით, ბავშვის თვის პორმოზდი, ანუ წლის მეთერთმეტე თვის პირველი დღე, ხაზდეგარდული კალენდრით ზუსტად არის 1003 წლის 14 იანვარი, რაც ჩევნი კალენდრით 939 წლის 18 დეკემბერი იქნება.^{*}

როდის დაიწყო ფირდოუსიმ „შაპ-ნამეზე“ მუშაობა და როდის დასასრული იგი? თვითონ პოემაში დაცული ინფორმაციებიდან გამომდინარე ამის დადგენა თითქოს იოლი უნდა იყოს. პოემის დასასრულში პოეტი გვეუბნება: ხუთჯრ თოხმოცი წელი დგასო. პიჯრის 400 (5x80) წელი უდრის 1010 წელს. მაგრამ საქმეს ართულებს ის, რომ ზოგ ხელნაწერში იკითხება: „პიჯრიდან გასული იყო სამასი და მიათვალე მას ოთხმოცდათხი“. ე.ი. მდგარა 994 წელი. ფირდოუსის ორ ეტაპად უნდა შეექმნა თავისი პოემა, ერთხელ უკვე დასასრულებული თხზულება მას ხელის უნდა გადაემუშავებინა, რადგან სამანიანთათვის მისართმევი ძეგლი მან მაჭმუდ დაზნელს მიუძღვნა. ამასობაში, როგორც თავად აღნიშნავს, დრო გასულა და მოელი პოემის შექმნას, მისი დასაწყისიდან მიყოლებული მეორე და საბოლოო რედაქციის დამთავრებამდე, პოეტი 35 წელი მონდომია.

შეა საუკუნეების აღმოსავლეთში პოემები ან რომელიმე მეცნიერის შეკვეთით იწერებოდა, ანდა იმის იმედით იქმნებოდა, რომ მის ავტორს რომელიმე მდიდარი მფარველი დასაჩიქვრებდა. ბუნებრივია, რაც გინდ გულკეთილი თანამდგომნი არ ჰყოლოდა მას (რომელთაც იგი მაღლიერების გრძნობით ასახელებს), ფირდოუსის მაინც რომელიმე დიდი ფიგურის, უპირველესად, სავარაუდებელია, მონარქის, იმედი უნდა ჰქონოდა. რაკი პოემის წერა მან სამანიანთა ზეობის ხანაში დაიწყო და პოემაც ირანული სულისკვეთებით იყო გამსკვალული, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ მისი ორიენტირი სწორედ სამანიანთა სამეფო კარი იყო. მაგრამ ვებერთელა ეპოვეის წერა გაქიანურდა და როდესაც იგი დამთავრდა, ხორასანში სამანიანთა ირანული დინასტიის ნაცვლად თურქი მაჭმუდი ბატონობდა.

ჩვენ არ ვიცით, როგორი არჩევანი გააკეთა ფირდოუსიმ: 35 წლის მანძილზე იგი ერთმანეთის მიყოლებით რომ ლექსივდა და ერთმანეთისაგან თითქმის დამოუკიდებელ პოემებს რომ ქმნიდა (ამ პოემებმა შეადგინა მისი ეპოვეა), მაშინათვე აქვეყნებდა (ე.ი. რამდენიმე ცალად გადააწერინებდა და გაავრცელებდა ხალხში) ამ

* „ბავშვის პორმოზდის პარასკევე“ თეორიანულ გამოცემაში არ იკითხება და 2061 ივი გვაქვეს მოსკოვურ გამოცემაში (ტ. VII, გვ. 256). შპერ შაბაზი, შატრუნე-ფერდაუსი, „ირანშენასი“, 1369, შომბარუ-ფა ლოვკომ, გვ. 370.

პოემას, თუ სანამ იგი, მთელი ეპოქეა, მთლიანად არ დაასრულა, არ მოუხდენია მისი პუბლიკაცია. თუ პირველ ვარაუდს მივიღებთ, რაც ჩვენ დასაშვებად მიგვაჩინია (ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ ზოგ ამ პოემას გარეგნულადაც შესაბამისი სახე აქვს: გააჩნია, შესავალიც კი), მაშინ ამ პოემებში არეკლილი უნდა ყოფილიყო რომელიმე მამდუჭვის სახელი. ეს ფაქტი კი, თუ ამ პოემებმა პოპულარობა მოიპოვა ხალხში (ეს კი ასე იქნებოდა), უარყოფით როლს ითამაშებდა ახალი მამდუჭვის თვალში. არ იყო გამორიცხული, ახალ მამდუჭვს წყენოდა, რომ მას მიართეს ისეთი საჩუქარი, რაც თავიდანვე მისთვის არ იყო გამიზნული და იგი შემდეგ, გვიან, მოაგონდათ. ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, მამდუჭვის მიერ ფირდოსუსის პოემის დაუფასებლობის ერთი, სავარაუდო, მიზეზი სწორედ ეს იყოს. აქ კი ფირდოსუსისა და მამდუჭვის ურთიერთობის პოპულარულ საკითხს მივადექით.

როგორც აღვნიშნეთ, ფირდოსუსის ეს პატრიოტული პოემა სამანიანთა კარზე წარსაღვენად ჰქონდა დაწერილი. ბედის ირონიით კი მოხდა ისე, რომ სწორედ მაშინ, როცა მრავალწლიანი ჯაფა დასრულდა, ხორასანში ირანულ დინასტიას ბოლო მოუღო დამპყრობელმა თურქმა, იქ ირანულ ნაციონალურ სულისკვეთებაზე გაიმარჯვა ანტიირანულმა სულისკვეთებამ. ფირდოსუსის ხელში შერჩა სამანიდებისათვის მისართმევი ანტითურქული პოემა, ეს უძლიერესი ირანული იარალი, რომელიც სამანიდებს დამპყრობელთა წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინათ. მამდუჭვი სამანიდების მემკვიდრედ თვლიდა თავს და გამეფების პირველ წლებში ირანოფილობდა კიდევაც. მაგრამ შემდეგ მან ანგარიში გაუწია მოსაზღვრე თურქებს და შეძლო, მათთან საერთო ენა გამოეხახა. გარდა ამისა, ამ დროისათვის მამდუჭვი ინდოეთში გასალაშექრებლად ემზადებოდა და უნდოდა, თურანის მხრივ ზურგი უშიშარი ჰქონოდა (მან ზავი შეკრა თურქ ყარახანიდებთან). ამის გამოც არ იდგა მამდუჭვის კარზე ფირდოსუსის ანტითურქული იდეით გაეღლენთილი პოემის დასაფასებლად შესაფერისი ამინდი.^{*} ასე რომ, საფიქრებელია, 1010 წლისათვის, როდესაც ფირდოსუსიმ სულთან მამდუჭვის წარუდგინა თავისი გადაკეთებული პოემა, რომელშიაც პოეტის ოფიციალური მამდუჭვი მამდუჭვია (მას ეძღვნება პოემა და ისაა ნაქები შიგ), ამ უკანასკნელს ფაქტიურად ხელი ჰქონდა აღებული სამანიანთა ირანული ტრადიციის გაგრძელებაზე. მის კარზე ბატონობდა სუნიზმი.

* A.A. Стариков, გვ. 498.

ფირდოუსის გზის მაჩვენებელსა და პროტექტორ მედმანდის
 პირველწყარო არ სდებს ბრალს ამ საქმეში და გვარებუნებს, იგი
 ეხმარებოდა პოეტს სასახლეში წარდგინების დროს, მაგრამ ამ
 ვეზირს მტრები ჰყავდნენ და იმათ გაუფუჭეს ფირდოუსის საქმეო,
 მაგრამ არ უნდა დაგვაეციყდეს. რომ მაჭმულის. კარზე ასე
 აღზევებული ეს პირი იყო შუუბიური იდების მოძღვე მტერი.
 ეს უკვე ის დროა, სპარსული ენა რომ იდევება სამეფო კარიდან
 და სახელმწიფოს ცენტრალურ აპარატში მის აღვილს არაბული
 იქტერს. პოემაში ნაქები აბრ ლ-ფაქლ იბნ აჭმადი ამ დროისათვის
 შერისხულია და სასახლიდან გაძევებული. თუ ვინეზე შეიძლება
 ითქვას, მეფეთა მეხოტე არ იყოო, ფირდოუსიზე შეიძლება
 ითქვას. მაგრამ ელემენტარული ოფიციალური ეთიკა მოითხოვდა,
 რომ პოეტს თუნდაც გულის გარეთ სახოტბო სიტყვები ეთქვა
 მონარქზე, მით უმეტეს, თუ ნაწარმოები პონორარის გამორჩენის
 მიზნით მისადმი იყო მიძღვნილი. და ფირდოუსისაც გადაუდგამს
 ნაბიჯი. მას დიდხანს ჰქონდა შინ თავისი მრავალი წლის ნაგავი.
 ბეჭაყი გვაუწყებს, რომ სწორედ ამ დროს, მე-11 საუკუნის
 დასაწყისში, ხორასანში ისეთი სიღატაკე და შიმშილობა მძეინვა-
 რებდა, ერთი თანაფი (ნახევარი ჰექტარი) მიწა ერთ ტუბეტეკია
 (ე.ი. რაც ერთ პატარა ქუდში მოთავსდება, იმდენ) მარცვლად
 იყიდებოდა. * პოეტს უკირდა, არ ჰქონდა პური, არ ჰქონდა
 შემა, არ ჰქონდა მარილი. და ეს ხელმოკლეობა ისეთი მწვავე
 ყოფილა, რომ პოეტი იძულებულია, თხრობა შეწყვიტოს და
 საგანგებოდ დაიჩივლოს ამაზე. პირველად იგი, ამ საწოთორო
 საქმისაგან შორს მდგარი და მისთვის სათავილო ნაბიჯის გადად-
 გმის წინ ერთგვარად დარცხვენილი პოეტი, მაჭმულს შეფარევით
 იხსენიებს თავის უკვდავ პოემაში, რომლის ფასი მან შშენივრად
 იცის (როგორც ალინიშნა, ამაზე იგი საგანგებოდაც წერს), 66
 წლის მოხუცი გვეუბნება: „მაშინ, როდესაც მე 58 წლისა გახლდით,
 ახალგაზრდა ვიყავი და, როცა ახალგაზრდობა გავიდა, მაღალი
 ხმა გავიგონე ქვეყნიდან, რომელმაც დააფიქრა მოხუცი და მე
 უვნებელი გამხადა: სახელოვანნო და დიდებულნო, ვინც
 ფარიდუნის ნიშანს ეძიებდით! გაცოცხლდა გულით ცხოველი
 ფარიდუნი, საწუთრო და ქვეყანა მას დაემონა“ და ა.შ. (ვვ. 1274).
 ჩვენი აზრით, აქ საინტერესო ისიც არის, რომ ამას წერს პოეტი
 თავისი პოემის მეხუთე ტომში (დღევანდელი დაყოფით), როცა
 იგი 66 წლისაა, რვა წლის შემდეგ, რაც მაჭმული გამეფდა. არავინ
 უშლიდა ხელს, მაშინათვე ეძღვნა ხოტბა სულთნისათვის, მაგრამ

* Е.Э. Бертельс, История, гл. 185.

მას ეს არ გაუკეთებია. მხოლოდ ახლა გამხდარა იძულებული, მოესენებინა იყი (თანაც არა პირდაპირ, არამედ ფრიდონის სახით). მატმუდის საქებრად პოემაში აქა-იქ ჩართულ ბეითებში მატმუდი მოვალეობის მოხდის მიზნით არის მოხსენიებული თბილი სიტყვებით. ახლა ისევ ამბის თხრობას განვაგრძობო, იტყვის ხოლმე და შეწყვეტს ქებას (გვ. 1909). ასეთი ტრანი, შეიძლებოდა, მკრეხელობადაც კი ჩაეთვალათ პოეტისათვის. ეს რომ გადაჭარბებული ნათქვამი არ არის, ჩანს თუნდაც ერთი ასეთი ადგილიდან, სადაც იგი მატმუდის ცალყბა ქებას წყვეტს და საკუთარი თავის ხოლმის შესხმაზე გადადის. იმ ზემოთ მოტანილ ნართაულ ქებაში პოეტი თავისი თავის შესხმას იწყებს (ეს კი ნამეტანია): „ერთი [ისეთი] მონობა ჩავიდინე, ხელმწიფეო, რომ ამქვეყნად ჩემგან სახსოვარი დარჩება. ნაშენი სახლები დაინგრევა წვიმისა და მზის მცენვარებისაგან, მე კი ლექსის ისეთი მაღალი სასახლე ავაშენე, რომელსაც ქარი და წვიმა ვერ დააზიანებს. ამ წიგნზე წლები გადაირბენენ და ვისაც გონი აქვს, მას წაიკითხავსო“ (გვ. 1275). მატმუდს დილხანს არ გაჰქარებია პოეტი (თუ, საერთოდ, თუნდაც წიგნის დასრულების შემდეგ მაინც, პეტრი მასთან შეხვედრა). ყოველ შემთხვევაში, პოემაში ამის კვალი არ ჩანს. პირიქით, თითქმის წიგნის ბოლოში გასული პოეტი მასზე წერს: „ნეტავი იმას, ვინც მის გვირგვინს, მის სასახლესა და ჭარს შეავლებს თვალსო“ (გვ. 1729). საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფირდოუსისათვის უცნობია მუბალირა (გადაჭარბებული ხოლმა).

რის გამო შეიძლებოდა, ჩამოვარდნილიყო უთანხმოება ფირდოუსისა და სულთან მატმუდს შორის (როგორც აღვნიშნეთ, გამორიცხულია, უთანხმოების მიზეზი პოეტისა და სულთნის გარიგების მატმუდისმიერი დარღვევა ყოფილიყო)? ჯერ უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ უთანხმოება, შეიძლებოდა, ისეთი უკიდურესი არც ყოფილიყო, როგორიც გადმოცემებმა დაგვიხატეს, — შეიძლება, სინამდვილეში საქმე გვექონდა პოემის სათანადოდ შეუფასებლობასა და ამის შედეგად პოეტის განაწყენებასთან. როცა ნამდვილი მიზეზი არ იცი, ვარაუდი ბევრია. რა ვარაუდები აქვთ გამოთქმული მკვლევართ? ყველაზე დაუჭერებელი და გულუბრყვილო მიზეზი, თვითონ ნაწარმოებში გატარებული ანტილეგიტიმისტური განწყობა, მოტანილი აქვს ა.სტარიკოვს, სპარსულ და, საერთოდ, აღმოსავლურ ლიტერატურას მანამდეც და შემდგომაც ახასიათებდა ხალხთა მასების ასახვისა და ლიტერატურულ სარბიელზე გამოყვანის ტენდენცია. ი.მარის აზრით,

* А.А. Стариков, გვ. 500.

ფირდოუსი თავის პოემას წერდა ფეოდალური არისტოკრატიის, სათვის, რომელთა წარმომადგენლები მას თანაუგრძნებლენენ და წაახალისებდნენ კიდევაც საამისოდ. და როდესაც დაამთავრა მისი წერა, ლეგენდის მიხედვით, იგი მიართვა უცხო კაცს, რომელსაც ამ პოემის არც მოწონება შეეძლო და არც დაწუნება, „მავმუდის არ შეეძლო მისი შეფასება არა იმიტომ, რომ იგი იყო თურქი ან სუნიტი ან კიდევ „მცირე განათლების“ მქონე, არამედ იმიტომ, რომ იყო უცხო და სხვა ინტერესები ჰქონდა^{**}. იჩანელი მეცნიერი ზ. საჭავალი ამ მიზეზების მთელ სპექტრს წარმოადგენს. აი, ისინი: 1) ფირდოუსი შიიტი იყო (აქებს პოემაში 'ალის'), მავმუდი კი — ფანატიკოსი სუნიტი. 2) პოემაში ნაჯებია აბუ-ლ 'აბბას ფაზლ იბნ აქმადი. პოემის სასახლეში წარდგენის დროს კი ეს პირი მავმუდისაგან შერისხული იყო. 3) სამეფო კარზე ფუთფუთებდნენ ფირდოუსის მოშურნე პოეტები ზვერ დავენდით, მოშურნეებს, ნებამნისა არ იყოს, ფირდოუსი მართლა ხშირად უჩივის. გვ. 2869). 4) ფირდოუსი იჩანელი იყო და იჩანის პატრიოტი, მავმუდი კი — თურქი. ხოლო პოემაში თურქები იჩანის მტრებად და ბოროტ ძალებად არიან გამოყვანილი. 5) მავმუდი, ეტყობა, მართლა იყო ძუნწი ბუნებით^{***}. 1334 წელს დაწერილ ნაშრომში „მავმა'ან-ანსაბ“ („კრებული წარმოშობათა შესახებ“, „გენეალოგიათა კრებული“) მოჰამმად იბნ 'ალი შაბანეპრე წერს: მავმუდს ლექსი უყვარდა და პოეტებსაც წყალობდა, მაგრამ ფირდოუსის არ შეხედა კარგი თვალით. „ამის მიზეზი ორი იყო: ერთი ის, რომ 'ონსიორის მისი ლექსის ხელოვანების ფასი გაიგო და იგი სულთანს დაუმალა. შეეშინდა, ფირდოუსის რომ სულთნისაკენ გზა გაეკაფა, ყველა პოეტის ბაზარი გაფუჭდებოდა. მეორე: ფირდოუსი შიიტი იყო და სუნას უარყოფდა (ამიტომ?) სულთანს არ უყვარდა. ამის გამო არ დაიახლოვა და ფირდოუსიმ მისგან ვერ იხეირა^{****}.“ აქ უკვე წინა პლანზე გამოდის ეჭვი: ხომ არ მტრობდა ფირდოუსის ვინე გავლენიანი რაყიფი, მოშურნე პოეტი მავმუდის სამეფო კარზე. ხომ არ შეასრულა, ვთქვათ, იმავე 'ონსიორის, სამეფო კარის პოეტთა მეთაურმა და სასახლის გავლენიანი პირმა, ეწ. სალიერის როლი? ეს შეიძლებოდა, თავისთავად მომხდარიყო, 'ონსიორის ცდის გარეშე. ებერტელისის აზრით^{*****}, მავმუდის თვალში 'ონსიორის ყასიდებმა დაჩრდილა ფირდოუსის პოემა და ეს მოხდა იმიტომ,

* Ю. Mapp, K. Чайкин, გვ. 206
** ჰუსკან.

*** ციტირებული გვაქვს წიგნიდან: სა'ბდ ნაფისი, ასტრუ გოშმოდუ-მე აბუ-ლ-ფაზლ ბექაუ, თექრან, 1315, გვ. 50. შდრ. აგრეთვე ლობამ. გვ. 60.

**** E. E. Бертельс, История, გვ. 204.

რომ „შაპ-ნამეში“ შექებულია ძველი გმირები და აღწერილია გარდასული ამზები, მაშინ, როდესაც მაჭმულის კარის პოეტების ყასიდებში ასახული იყო, თანაც გადაჭარბებულად იყო ნაქები, მაჭმულის კონკრეტული საქმეები. „შაპ-ნამეს“ არდათასებას მაჭმულის კარზე (თუ ასეთი რამ მართლა იყო), შეიძლება, მხოლოდ ერთი მიზეზი მართლაც არ ჰქონდეს. ერთი ასეთი ფაქტორი კი მართლაც შეიძლებოდა პოეტთა ურთიერთქმები და ონბიორისა და ფარროხის სამეფო კარზე ზეობა ყოფილიყო. მათი ყასიდები (სახორცო ლექსები), მსოფლიო პოეტური გენის ეს შედევრები, რომლებიც, ვიცით, ასე ტყუიან ფაქტების ასახვის დროს, მაგრამ ასე მართალი არიან მხატვრულად და ასე გვხილავენ ჩენ, ჰერქეზისა და რუსთველის მომსწრე ხალხს, ონბიორისა და ფარროხის ეს შედევრები-მეთქი, ვამბობ, იქნება იყო ის ფაქტორი, რომელიც თანამედროვეთა თვალში ფირდოუსიზე დაბლა არ აყენებდა მათ. ღაზნელი პოეტები ერთმანეთსა კამდნენ; ცნობილია, მაგალითად, პოეტ ღაზამერისა და ონბიორის ქიშპობა. ასევე, უნდა გავიხსენოთ, რა ხშირად უჩივის მანუჩერი ვიღაც მოხუც რაყიფს (შეიძლება, იგი სულაც ფარროხი იყოს). არის სხვა აღტერნატივაც: თუ ფირდოუსი ნაწილ-ნაწილ აქვანებდა თავის ეპოპეაში შემავალ პოემებს მის მთლიანად დასრულებამდე, ბუნებრივია, ეს პოემები პოპულარული იქნებოდნენ 1010 წლამდეც და მაჭმულს, რა თქმა უნდა, ექნებოდა საშუალება, ცოდნოდა, როგორი ტენდენციის მატარებელი იყო ისინი. ესეც არ იყოს, მარტო სახელწოდება „შაპ-ნამეს“ მოსმენა უკვე განაწყობდა კაცს ირანული ელემენტის სასაჩვენებლოდ. ფირდოუსის ვერსიის გარეშეც ყველამ იცოდა მისი სული და შინაარსი. მაჭმულს, თუ მას რაიმე გამოკვეთილი ლიტერატურული პოზიცია ჰქონდა და მხატვრულ ნაწარმოებში ირანული ნაციონალური სულის ზეობა არ სიამოვნებდა, ფირდოუსის პოემის გარეშეც ყველში ექნებოდა ამოსული ეს ირანული ტენდენცია, იგი ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდა მეფეთა წიგნის როგორც ფალაურ, ასევე ახალსპარსულ ენაზე გადმოტანილ ვერსიებს, მისგან მომდინარე უამრავ ხალხურ თქმულებებსაც. აյნ, როგორც უკვე ვთქვით, სულთნის კარზე ისე ყოფილა აღზევებული ირანის „მეფეთა წიგნი“, რომ მაჭმულს სასახლეში ჰყოლია შაპ-ნამებანი, სახელად ქარსეს, რომელიც ძალიან ყოფილა დაახლოებული სულთანთან. ასე რომ, ვთქვათ, ფარროხის ასეთ დიფირამბში მაჭმულისადმი:

ნამ-ე თო ნამ-ე შაპ-ნა ბესოთორდ-ო ბებორდ,

„შაპ-ნამე“ ფას აზინ პან ნადარად შეყდნა.

„შენმა სახელმა მეფეთა სახელები წარხოცა და განვეტა,

შეიძლება, კონკრეტულად ფირდოუსის პოემა კი არ იგულისხმებოდეს, არამედ მისი ძველი ვერსიები. ასევე, სწორია, განგვაწყობს იქვისთვის, რომ ტენდენციური, შეიძლებოდა, ყოფილიყვნენ: ბეჭაყარი (996-1077) და მანუჩეპრი (გ.1041 წ.), რომელიც ვის არ ისესნიებენ თავიანთ თხზულებებში, ფირდოუსიზე კი კრინტს არა ძრავენ. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს მხოლოდ იქვისთვის განწყობაა.

უნდა შევეხოთ ფირდოუსის „სატირის“ საკითხს. შეიძლებოდა თუ არა, იგი მართლა დაეწერა ფირდოუსის? ჩვეულებრივ, „სატირის“ არსებობას უარყოფენ იმ მოტივით, რომ არ შეიძლებოდა, რაიმე პირობა ყოფილიყო მაჭმულსა და ფირდოუსის შორის, რადგან მაჭმული რომ გამეფდა, ფირდოუსის თავისი პოემა უკვე დამთავრებული ჰქონდა. მაგრამ ავიწყდებათ, რომ „სატირის“ დასაწერად არ იყო აუცილებელი, მაინცდამინც სულთნის მიერ პირობის დადებას და მერე თავისი სიტყვის გატეხას ჰქონდა ადგილი. შეიძლებოდა, მიძლეული გასამრჩელო (რომელიც არავითარ წინასწარ შეთანხმებასთან არ იყო დაკავშირებული) მცირედ მოჩენებოდა პოეტს. ანდა, იქნება სულაც უმიზეზოდ ახირებოდა პოეტი სულთანს და გაელანდა იგი. ჩვენ ხომ არ ვიცით, პიროვნულად როგორი ხასიათისა იყო ფირდოუსი (სამაგიეროდ რამდენი მაგალითი ვიცით, რომ გენიოსი პოეტები იდეალური ხასიათის მქონენ სულაც არ ყოფილან). ასე რომ, „სატირის“ დაწერის უარყოფა ზემოთ განხილული პირობის უქონლობის გამო დასაბუთებულად არ მიგვაჩნია.

ჯერ კიდევ ე-მოლმა შენიშნა, რომ „სატირის“ ტაეპთა რაოდენობა სხვადასხვა ხელნაწერში 30-დან 160 ბეითამდე მერყეობს.^{*} მაგრამ მიმოხილვებში (თაზექერებში) ამ ბეითთა რაოდენობა 14-ს არ აჭარბებს. ეს, ას თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ „სატირა“ (იგი საერთოდ თუ არსებობდა) მხოლოდ 14 ან ნაკლები ბეითის შემცველი ყოფილიყო, — მიმოხილვაში აუცილებელი არ იყო, იგი მთლიანად მოეტანათ. უმაღ ისაა საფიქრებელი, რომ მათ ავტორებს მისი მხოლოდ ნაწყვეტი მოქმედდეთ. „სატირის“ ბეითთა დიდზე დიდი ნაწილი იკითხება „შაჰ-ნაშეს“ ტექსტში სხვადასხვა ადგილას. არის გამოთქმული მოსაზრება, რომ ყალბისმქნეელს

* Le Livre des Rois par Abou 'l Kasim Firdousi, traduit et commenté par I.Mohl. Paris, 1876 (Preface, p. XLI, note 1).

„შაპ-ნამედან“ გამოუკრებია სტრიქონები, შეუცვლია მათი დანიშ-ნულება, გაუერთიანებია რა ისინი მაპმუდის საწინააღმდეგოდ დაწერილ გესლიან სატირაში^{*}. ისე კი, თითქოს უფრო ბუნებრივი ჩანს, ცალკე არსებულიყო სატირის ტექსტი და გადამწერთ მერე შეეტანათ მისი ესა თუ ის აღვილი პოემაში. კ.ჩაიკინის ეჭს იწვევდა ის ფაქტი, რომ „სატირა“ დაწერილია მესანევის ფორმით. „ყველა ჩვენთვის ცნობილი სატირა დაწერილია ყასიდური ფორმით. რა უცნაური იღეაა სატირის წერა ეპიკური სტროფიკით, უფრო ზუსტად, რითმული წყობის შემცველი ეპიკური ლექსით! ამაზე სატირის დამცველთ შეუძლიათ უპასუხონ, რომ პოეტმა ეს გააკეთა იმისათვის, რათა სატირა მოეთავსებინა თავისი პოემის თავში ან ბოლოში და ამის საშუალებით გაებათილებინა პოემაში ჩართული ყველა მრავალრიცხოვანი ქება მაკმუდისა. კეთილი. მაგრამ რითი აეხსნათ მაშინ ის ფაქტი, რომ „შაპ-ნამეს“ ყველა უძველეს ნუსხაში... სატირა არ გვხვდება, როგორც არ გვხვდება არც თავსა და არც ბოლოში^{**}. იმარი საკითხს ასე აყენებს: თუ პოემაში მესანევის ფორმით გაწყობილი შაპის მაღჭები (ხოტბანი) ჩაირთვებოდა, რა უშლიდა ხელს, რომ მათი ძაგებაც ასეთივე ფორმით ყოფილიყო დაწერილი და ჩართული პოემაში.^{***}

ამ ბოლო ხანს „სატირის“ შესახებ მეტად საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა და საგულისხმო მასალები მოიტანა ირანელმა მეცნიერმა მაჭმულ პმიდ სკლარმა. მან მიუთითა მსოფლიო ლიტერატურაში ჭერ კიდევ ანტიკური ხანიდან ცნობილ ეწ-მე-პურის შვილი მეფის“ მიერ პოეტისა თუ ბრძენის დაუფასებლობის მოტივზე. აღმოჩნდა, რომ „მეპურის შვილი“ იკითხება „სატირის“ ერთ-ერთ ვარიანტში და ფირდოუსისა და მაჭმულის შესახებ არსებული ლეგენდა ასეთი მოტივის ანარეკლად მიიჩნია. ფირდოუსისა და მაჭმულის ურთიერთობის მოდელი ისეა ცნობილი, რომ იგი შეტანილია აარნე-თომბსონის ფაბულათა კატალოგში. — ამ ფაქტს, შეიძლება, საკითხის კვლევის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობაც მიენიჭოს და ეს სადაო საკითხი ამით მოიხსნას.

„შაპ-ნამეშივე“ გვაწვდის ფირდოუსი სხვა ავტობიოგრაფიულ ცნობებსაც. ეტყობა, მთელი იმ 35 წლის მანძილზე, როცა იგი ამ ძეგლს ქმნიდა, პოეტი თავის მშობლიურ სოფელში ცხოვრობდა. იგი ტიპიური დეპინი იყო და ნატურალური შემოსავლით

* დავით კობიძე, სპარსელი ლიტერატურის ისტორია, თბ., 1975, გვ. 151.

** Ю. Mapp, K. Чайкин, გვ. 223.

*** იქნა.

**** მაჭმულ პმიდ სალარ, დარ ბარე-ჯე ბეჭთი აზ „მაჭ-ნამე-ჯე“ ფერდაუსი. „ირან-ნამე“, მომარქ-ჯე ავგალ, 1370, გვ. 479.

გაპტონდა თავი. მაგრამ მდიდარი იგი არ ყოფილა და თუ მთლიანად ამ საქმეს მიეცემოდა და სხვა საქმისათვის ვერ მოიცლიდა, მას, ეტყობა, სიღარიბე დაემუქრებოდა. მაგრამ აი, გამოდის ხანი და მეცენატის მიერ შეგულიანებული პოეტი იწყებს ჩივილს თავის ხელმოკლეობაზე, რაღაც ეს მისი კეთილისმყოფელი, მანქურ იბნ მოჰამმადი, მალე გარდაიცვალა. სამოც წელს გადაცილებული ფირდოუსი სიღარიბეზე წუწუნებს: აღვირის ნაცვლად მათხოვრის ჯოხი მიყრია ხელთ, ქონება დამებნა (გვ. 680); ხელმოკლედა ვარ, ამიტომ გახლავართ გულგათანგულით (გვ. 823). რაც უფრო ასაკში შედის, მით უფრო აუტანებლი ხდება ხელმოკლეობა. ზამთარს მოუმზადებელი შეხვედრია. თოვლი მოსულა, მას კი უკვე შემოლევია შეშა, მარილი და ქერი (გვ. 2115). გასავალი მეტი აქვს, ვიდრე შემოსავალი (გვ. 3007). სეტყვას პოეტის ყანები გაუოხებია, სიკვდილი ურჩევნია ასეთ სეტყვას; ისევ აკლია შეშა, ხორბალი, ცხვარი (იქვე) და ა.შ. ფირდოუსი გარემოების საყვირი იყო. რეტრო-დეპინი ახალი ყოფისათვის ფეხის აწყობა, ალბათ, არც შეეძლო და, რომც შეძლებოდა, არ ეცალა მისთვის, ისეთ საქმეს იყო შეჭიდებული.* ხორასანში კი ამ ღროს მოქმედებდა ე.წ. ლენური სისტემა და მიწათმფლობელობის ტრადიციული წესი სულ ლაფავდა. დეპინები ღარიბიდებოდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ დეპინი სპარსულად ფეოდალსაც ნიშნავს და გლეხსაც. ძელი მემამულე დღითი-დღე მცირემიწიან მეურნედ იქცეოდა. იყო დიდი ცდუნება, — პანეგირიკობა, მაგრამ ნუ გვექნება მარტივი წარმოდგენა ამ უანრზე. უნდა გვახსოვდეს, რომ პროვინციელი კაცისათვის მონარქის კარზე ჯერ მოხვედრა იყო ძნელი, მერე კრდევ იქ დამკვიდრება, — ხოტბაში გაწაფული პოეტების ისეთი პლეადა ელვარებდა სულთნის ირგვლივ. მეორე, თვითონ ფირდოუსიც არ იყო თავისი ბუნებით მიღრებილი პანეგირიკობისადმი (აյი იგი დაყრიცს აძაგებს მეხოტბეობისათვის) და, ეს კი ხშირად ავიწყდება ყველას: იქნება ძალიანაც უნდოდა, მაგრამ არ ჰქონდა საამისო ნიჭი, — ლაპარაკია ისეთ ნიჭზე, რომელიც ამ საქმეში 'ონსორის', ფარრონებისა და 'ასჭადის' გაუწევდა მეტოქეობას. იქნება, სცადა კიდევაც სასახლეში ადგილის დამკვიდრება (და, ეგების ტყუილა ვკიცხავთ დავლათ-შპს, სამეფო კარის პოეტებთან

* დეპინთა ერთი ნაწილი, უმეტესად წერილი დეპინობა, თუმცა ეს გამუსულმანდა, მანიც ინახავდა ტრადიციებს (იმდენად, რომ მთელი ნახევარი საუკუნით გვიან ხორასნერი პოეტი ნასერ ხოსრუვი თავის ერთ ლექსში კილავს ზორასტრიელ მღვდელმასურს: ზენდა და ფაზანდს კი კითხულობ, მაგრამ ლმერთი არა გწმისო.

** ასეთ ცნობას ებერტელისი სულელურს უწოდებს (E. E. Berthelot, История, культура, გვ. 202).

ფირდოუსის სპონტანურ გაჯიბრებაზე რომ გვაუშეყებს), მაგრამ საბოლოოდ მაინც ეგებ ვერ მოიკიდა იქ ფეხი. ასეა თუ ისე, ფირდოუსი დაბერდა, იგი ცხოვრობს თავის მამულში, ლექსავს „შაპ-ნამეს“, უჩივის სიღარიბეს, წუწუნებს სიბერეზე და, რაც მთავარია, აძრწუნებს შიში, ვაი თუ ვერ მოასწროს ამ ეპოპეის დასრულება. იგი შიგადაშიგ, ლირიკულ წიაღსვლებში ლაპარაკობს თავის ახლობლებზე: ვაჟზე, რომელიც მოუკვდა, ვინმე ბეჭრუზება და პაშემზე, რომელთაც თხოვს, ღვინო მომიტანეო (ხან ერთს, ხან — მეორეს) (ცვ. 2067); მხევალ ქალზე, რომელსაც ისეთი ტრადიციული განათლება პქონია, რომ ფირდოუსის უკითხავს ფალაურ ენაზე შექმნილ ძველ ამბავს (ცვ. 1066); ცხოვრების თანამეზავრებზე, რომლებიც მოუკვდა (ცვ. 618). განსაკუთრებით აღსანიშნავია სტრიქონები, რომლითაც ის თავის გაუს დასტირის. თვითონ ამ დროს 65 წელს ყოფილა გადაცილებული, როდესაც 37 წლის ვაჟი გარდაცვლია (ცვ. 2799). უცნაური ისაა, რომ პირველწყაროში გვეუბნებიან, ერთი ქალიშვილი ჰყავდა, სხვა ძე არ ესვაო, თვითონ პოემის მიხედვით კი ირკვევა, — და ეს ხომ უტყუარი საბუთია, — რომ პოეტი პყოლია ვაჟი, ქალიშვილზე კი პოემაში არაფერია თქმული). „ჩაპარ მაყალეს“ ცნობითაც ფირდოუსის ქალიშვილი პყოლია (ვაჟზე არც ის და არც სხვა ვინმე არავითარ ცნობას არ იძლევა).

ფირდოუსის გარდაცვალების თარიღიც, რა თქმა უნდა, არ ვიცით. თვითონ აქვს ცნობა (რომელიც ზემოთ უკვე მოვიტანეთ), რის მიხედვითაც, პოემა საბოლოოდ 1010 წ. რომ დაასრულა, 80 წელს არის მიტანებული. ნეზამი არსების არ იცის, როდის გარდაცვალა პოეტი, დავლათ-შპპის მიხედვით კი იგი 1020/21 წელს უნდა მიცვლილიყო, მოსთაური ამ თარიღს ხუთი წლით გვიან დებს. ბროუნი, შებლი და საჭარბე დავლათ-შპპის ცნობას სანდოდ მიიჩნევენ. ამ დროისათვის, მათი აზრით, პოეტი 90 წლისა უნდა ყოფილიყო.^{*} თუ სარწმუნოა ცნობა, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ, პოეტი მუსულმანთა სასაფლაოზე დამარხვის ღირსად არ უცნიათ და მისი ნეშტი ქალაქებით, მისსავე ბაღში დაუსაფლავებიათ. — კიდევ კარგი, მისი საფლავი მაინც არ დაკარგულა და დღემდეა შემონახული.

და მაინც, ფირდოუსის გაუმართლა, მან მოასწრო მთავარი, — ამ ვეებერთელა და გენიალური პოემის დასრულება. არადა ის ხომ სულ იმის შიშში იყო, ვაი თუ ამ თხზულების გასრულება ვერ მოვასწრო (ცვ. 680); ღმერთს ევედრებოდა, კიდევ მაცოცხლე

* E.Browne, II, გვ. 140.

** ეს ამბავი გალექსილი აქვს ჭარბ აღ-დინ აღმარტის თავის „ასრარ-ნამეში“.

ერთხანს, რათა ეს წიგნი დავასრულო და ამით ამქეეყნად სახელი დავიგდოო (ცვ. 764; 1494). მან შესანიშნავად იცოდა, რას დაკარგვადა კაცობრიობა, თუ ამ პოემის გასრულებას ვერ მოასწრებდა და რა დიდებას მოიხვეჭდა თავად, თუ ლმერთი მას ამ წიგნის დამთავრებას დააკლიდა. მეცნიერებაში (თ.ნოლდეკე, ი.მარი) შემჩნეულია, რომ ფირდოუსის ასეთი გამონათვევამები ჰავას პინდარესა (მე-5-მე-4 სს) და პორაციუსის (I ს. ჩვენს ერამდე) შეხედულებებს თავიანთ შემოქმედებაზე.*

* ამდ არ-რაჭმნ ჯმი (1414-1492) თავის „ბაჰარესთანში“, როცა იგი ფირდოუსის ეხება, წერს: „კაცს, რომელსაც ასეთი ქმნილება (ლექსი) ეკუთვნის, როგორიც „შაჰ-ნამეა“, სხვათა ქება რაში სკორდებაო“,** ხოლო მეორე დიდი ირანელი პოეტი ირაჯ მირზა (1874-1926) ამ თხზულებას სპარსული პოეზიის ყველაზე მაღალ დონედ მიიჩნევს.***

ძველი სხვადასხვა თაზექრებისა (ანთოლოგიუმის) და კრებულების ავტორები ფირდოუსის მიაწერენ სხვადასხვა ლირიკულ ლექსის. დანამდვილებით ძნელია თქმა, ეკუთვნის თუ არა ისინი ფირდოუსის. 1973 წელს თავრიზში მე-20 საუკუნის ირანის უდიდეს პოეტს შაჰრიხმარს (როცა მან მისტურა თავის ბინაზე) ვკითხე: „ეს ლექსები ვისი გგონიათ-მეტქი?“ მან მიპასუხა: „ვერ გეტყვით, ფირდოუსისად მიაჩინიათ და შეიძლება, მართლა მისი იყოსო“.****

მოკლედ, მაგრამ საგანგებოდ გვინდა შევეხოთ ფირდოუსის პოემის სათაურის (სახელწოდების) საკითხს, რომელსაც ძალიან

* Ю.Н. Marr, Статьи и сообщения, II, М.-Л., 1939, № 3.

** ამდ არ-რაჭმნ ჯმი, მაქრესთან, ლითოგრაფული გამოცემა, გვ. 89.

*** ვამთავრებთ რა აქ ფირდოუსის მიოცრავის ბაცა შტრიხებით მოხაზვას, დაეუძარებთ რომ მას მაწურებ ისკებ მშენებერის ბიბლიურ სიუებზე შექმნილ პოემას „დესუატ-ო ზელინს“, რომლის ტექსტიც შემორჩენილია. ბრიტანეთის მუზეუმში დანართულ ნუსხაში წერას ეს პოემ ფირდოუსის ეკუთვნისო. ასეთი ცნობა, ბუნებრივია, სარჩმულ მიიჩნიეთ ქეთე, თხოლდეკე, ებროუნი. მაგრამ ზოგი შეკლეუარი მას ფირდოუსის ნახელავად არ თვლის (ჭორული, 'ამდ ოლ-აზიმ ყარიბი, მოქთაბა მწნოვან, ხამამშური, საჭა და სხების საჭას აზრით, ეს პოემა არ შეიძლება ფირდოუსის ქმნილებად მიიჩნიოთ შემდეგი მოსაზრებებისა გამოს 1 ესაა არაბიზმებით სავაე თხზულება არაბიზმები კი ფირდოუსის ეპიკისათვის არაა დამაბასიათებელი. 2 თავად ნაწარმოები სუსტია. 3) სტილი ფირდოუსიზე უფრო გვიმდებარის. 4) მისი ავტორი შეიტო არ არის (შევ ალმს ქება არ იყოთხება) ფირდოუსი კი გამოკვეთოლი შეიტო იყო. 5) პოემის ავტორის ახსენებს ფირდოუსისათვის უცნობ გამღვივება და ისეთ პოემებს რომლებიც „შაჰ-ნამეს“ ავტორისათვის უცნობი ტე. საჭა ჯელ-დე ავვალ, გვ. 490 მაგრამ მაინც, როგორც ერთი, ისე მეორე შეხედულების ავტორთა ანალიზი გადასასინება, საბოლოო დასკვნის გამოსატანად საჭირო ტექსტის კვლევის თანამედროვე მეთოდის მომარტვება (მაგ ფირდოუსისთვის ასეთ პოემები (თემები) უცხოა, რომ გვეტყვებიან, განა ჩვენ უაყით რა იყო მისთვის უცხო ან რა — არაუცხო) და კელვაში, სტილის გასარევევად კომიტეტების გამოყენებაც კი.

ხშირად არ განიხილავენ. მას დღეს „შაპ-ნამე“ ეწოდება. შავ მეფეს ნიშნავს, ნამე — წიგნს, „შაპ-ნამე“ მეფეთა წიგნი ანუ მეფის (უკეთ, მეფეთა) შესახები წიგნი იქნება. ჩვეულებრივ, ამ სახელწოდებას ასე რომ გაიაზრებენ, გულისხმობენ, რომ ესაა წიგნი ირანელი შაპების შესახებ. თავისითავად კი წიგნში ირანელი შაპების შესახებ ივარაუდება ირანის მთელი ისტორია. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და შემდგომში საგანგებოდაც გვექნება ლაპარაკი იმაზე, რომ სხვა მასალათა შორის ფირდოუსიმ გამოიყენა ირანის ისტორიის შემცველი ქრონიკები. ზოგ მათგანს „ხვადა-ნამაქ“ ერქვა. ეს სიტყვა კი იმავე მნიშვნელობისაა: ხვადა (ხოდა) საშუალო სპარსულ ენაზე უფალს, პატრონს, მეფეს ნიშნავს, ხოლო ნამაკ — ნამეს. ფალაურივე ფორმაა. ასე რომ, აქ საეჭვო ან-საკამათო არათერი უნდა იყოს. მაგრამ ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ფირდოუსი თავის პოემას ყოველთვის იხსენიებს არა „შაპ-ნამეს“ სახელწოდებით, არამედ ფრაზით „ნამე-ხე შაპრემპრ“ ან „ნამე-ხე შაპრემპრან“ („წიგნი მეფისა“, „წიგნი მეფებისა“) (ცვ. 8, 11, 13, 2017). იმის თქმა, რომ ფრაზა შაპ-ნამე მოთაყარების ზომაში (რომლითაც არის გაწყობილი მთელი პოემა) ვერ ჯდება და ამიტომ არ იხსენიებს პოეტი თავის პოემას ასეო (როგორც ამას ზოგი მკვლევარი აცხადებს), გულუბრყვილობაა თუნდაც იმიტომ, რომ იგი მოთაყარების ზომაში თავისუფლად ჯდება: შა (—) ჰ (—) ნა (—) მე (—). აქ დამატიქრებელი ისაა, რომ ერთი-ორგან ფირდოუსი თავის წყაროსაც კი იხსენიებს „ნამე-ხე შაპრემპრან“).

ამ ბოლო ხანებში ცნობილმა ირანელმა პოეტმა ნადერფურმა გამოიტვა მოსაზრება: „შაპ-ნამე“ მეფეთა წიგნს კი არა მეფე წიგნს, საუკეთესო წიგნს, ყველაზე მნიშვნელოვან წიგნს ნიშნავს.

„შაპ-ნამეს“ შედგენილობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „შაპ-ნამეს“ ოფიციალური ტექსტი დღეს დაახლოებით ასოც ათას ტავს შეიცავს. თეითონ ფირდოუსი აღნიშნავს წიგნის ბოლოში: ეს პოემა „ეეგუჯერ ათიათას ბეითს შეიცავსო“ (ცვ. 3017). ემოლისთვის, აღმათ, ეს ინტორიმაცია იყო ერთგვარი ორიენტირი, როდესაც მან „შაპ-ნამეს“ ხელნაწერებს გვიან ჩართული აღვილები ამოარიდა. მან სწორედ ამ რაოდენობას მიახლოებული, შემდეგში თითქმის კანონიკურად ქცეული, ტექსტი მოგვცა.

ყველა იმ ხანის პოემის მსგავსად, „შაპ-ნამე“ შეიცავს შესავალს,

* ნადერ ნადერფურ, „შაპ-ნამე“: ფასოზე ჭერდაუსი ბე ზარუსათ-ე თარის „თარან-შენასი“, 1369, შომარქ-ხე ღოვვომ, გვ. 308.

საკუთრივ პოემას და ბოლოსიტყვაობას. საკუთრივ პოემასო, რომ ვამბობთ, აქედანვე უნდა ვიცოდეთ, რომ ესაა არა ერთი პოემა ამ ტერმინის ჩვეულებრივი გავებით, არამედ ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებულ პოემათა ციკლი, თუ გნებავთ, ეპოპეა. ზემოთ გავტრით უკვე გვაქვს ნათქვამი, რომ ამ ეპოპეაში შემავალი ზოგი პოემა თავისთვალი შეიცავს შესავალს, რაც გვაფიქრებინებს, რომ, შეიძლება, ფირდოუსი მათ დამოუკიდებელ პოემებად წერდა და ავრცელებდა კიდეც. „შაპ-ნამე“ არის ერთ-ერთი პირველი (თუ პირველი არა. შემოწმება უნდა) პოემა სპარსულ ლიტერატურაში, რომელსაც უძლვის ასეთი მრავალნაწილიანი და მრავალობიანი შესავალი. ამ მხრივ მას წინამორბედი არა ჰყავს და ახლო მდგომთაგან ნებამნი უფრო მისდევს, ვიღრე, ვთქვათ, ადჟყყა. ამ უკანასკნელის პოემის „ვარყა და გოლშპპის“ შესავალი მხოლოდ ორი ნაწილისაგან შედგება (უფლის ქება და მაჭი), მაშინ, როდესაც ფირდოუსის „შაპ-ნამეს“ შესავალი თერთმეტ განყოფილებას შეიცავს: 1) ბისმილლაპ (უფლისა მიმართ). 2) გონების ქება. 3) ქვეყნის შექმნის შესახებ. 4) მზის შექმნის შესახებ. 5) მთვარის შექმნის შესახებ. 6) მოციქულის ქება. 7) „შაპ-ნამეს“ წარმომავლობის შესახებ. 8) დაყინის შესახებ. 9) პოემის შექმნის თაობაზე. 10) აბჟუ მანქურის ქება. 11) სულთან მაჭმუდის ქება. მთელი შესავალი თეირანულ გამოცემაში 237 ბეითს, ანუ 474 ტაქსს შეიცავს. სოლიდური ციფრია. გაეცისენოთ, რომ აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ მხოლოდ 424 ტაქსისაგან შედგება.

შინაარსობრივად „შაპ-ნამეს“ სამ ნაწილად ყოფენ. ესენია: 1) მითოლოგიური ნაწილი — მეფე ქადაგმარსილიან მოკიდებული ჭარბლუნის მეფობამდე (ჩათვლით). 2) სავგმირო (საფალავნო) ნაწილი — ზაპექის დამარცხებიდან როსთამის სიკვდილამდე. 3) ისტორიული ნაწილი — ესფანდიქმარის ძის ბაპენის ამბით მოკიდებული ბოლომდე (არაბების მიერ ირანის დაპყრობამდე). ასეთი დაყოფა, ჩვენი აზრით, ლოგიკას არ ექვემდებარება. მითოლოგიურის არსებობას ვერ უარყოფთ, — მითოლოგიურ გმირებზე რომ არაფერი ვთქვათ, აქ თვითონ ღმერთი გამოდის სარბიელზე. ვერც ისტორიულ ნაწილზე ვიტყვით ვერაფერს, — გოშთასფილან მოკიდებული წიგნის ბოლომდე ისტორიულად არსებული მეფეები მოქმედებენ (თუმცა მითოლოგიური ელემენტები აქაც შეიმჩნევა, რაც სრულიად ბუნებრივი მოვლენაა შუა საუკუნეების ეპოსისათვის). რაც შეეხება საგმირო ნაწილს, თუ აქ კრიტერიუმი გმირობის ჩადენაა (იმას ვერ ვიტყვით, აქ კრიტერიუმი გმირის წინა პლანზე წამოწევა არისო, რადგან ასეთ წინა პლანზე ისინი ორ დანარჩენ ნაწილშიც არიან), მაშინ გმირობა სამივე ნაწილში დომინირებს და ამ ნიშნით ეპოპეს ცალკე

ნაწილის გამოყოფა ყოვლად გაუმართლებელია. ჩვენი აზრით, „შაპ-ნამეში“ ორი ნაწილი უნდა გავარჩიოთ: მითოლოგიური და ისტორიული.* ამდენად, იმ 50 მეტობის ხანიდან, რომელთა ნიშნით იყოფა პოემა, მითოლოგიურ ნაწილს განეკუთვნებიან შემდეგი მეცნიერი: ქადჟუმარსი, ჰუშანგი, დაპეტრასი, ჯამშილი, ჭაპქი, ფარიძლისი, მანუსეპრი, ნავზარი, ზუ-თამასფი, ქადყობადი, ქადებუსი, ქადხოსროვი, ლოპრასფი, გოშთასფი. ისტორიულ ნაწილს განეკუთვნებიან: ბაპმანი, ჰომამ, დარაბი, დარა, ესქანდრი, არდაშირი, შაფური, ურმოზდი, ბაპრამ ურმოზდის ძე, ბაპრამ ბაპრამის ძე, ბაპრამ ბაპრამიშვანი, ნერსე ბაპრამის ძე, ურმოზდ ნერსეს ძე, შაფურ ბეკბრტყელი, არდაშირ კეთილმოქმედი, შაფურ შაფურის ძე, ბაპრამ შაფურის ძე, ავდაზდეგარდი; ბაპრამ-გური, მაზდეგარდ ბაპრამ-გურის ძე, ჰორმოზდ მაზდეგარდის ძე, ფირუზ მაზდეგარდის ძე, ბალაშ ფირუზის ძე, ყობად ფირუზის ძე, ნერუშირვანი, ჰორმოზდ ნერუშირვანის ძე, ხოსროვ ფარევიზი, ყობად ფარევიზის ძე, არდაშირ შირუქეს ძე, ფარავნი, ფურან-ლოხთი, ვაზარმ-ღოხთი, ფაროხზდი და მაზდეგარდი. პოემის მიხედვით, პირველი მეცნიერი ქადყობადამდე ფირუზდანთა დინასტიის ეკუთვნიან (ეს სახელწოდება ამ დინასტიის შეგრძელებული აქვს ჰუშანგის, ქადჟუმარსის ძის, მეტსახელიდან: ფირუზდა („სამართლის გამჩენი“), „ის, ვინც სამართალი გააჩინა“), ქადყობადით დაწყებული ესქანდარამდე (ალექსანდრე მაკელონელამდე) — ქადნთა (ქამ, ანუ ავესტ. ქავი, ნიშანეს მეცნეს, მფლობელს): ხოლო არდაშირიდან მოკიდებული ბოლომდე კი — სასპნიანთა დინასტიის სახელწოდება მოდის სასპნის სახელიდან. არდაშირი არის ბპბაქის (ვაპაქის) ქალიშვილისა და დარას შეილიშვილის, სასპნის, ვაკი.

ფირუზდანთა დინასტიის წარმომადგენლები „ავესტაში“ გამოყვნილი არიან როგორც ნახევრად ღმერთები და ნახევრად გმირები. უთუოდ მართალია მოსაზრება, რომ ფირდოუსის „შაპ-ნამეშ“ გადაურჩინა კაცობრიობას მასში ფირუზდებული მითები და დასთანები. მისი საშუალებით შემოგვრჩა ზლაპრები, უამრავი ქპრ-ნამე („საქმეთა წიგნი“), რუზ-ნამე („მარიანე“), სალ-ნამე („ქრონიკა“), ვაჟნ-ნამე („ადათის წიგნი“), ხოლა-ნამე („მეცნიერის ისტორია“), თარას-ნამე („თარილები“) და ა.შ. შეიძლება, არ იყოს სიმართლეს მოკლებული გამოთქმული მოსაზრება, რომ „თავად ფირდოუსის

* ზოგი მეცნიერი აქ სხვაზე უფრო დაბნეული და მოითხოვს მეოთხე ნაწილის გარჩევას, ერთგვარ ინტერესულს, ნაწილს სამიროსა და ისტორიულ ნაწილს ჰორის, რომელშიაც შეაქვს ნახევრად ისტორიული და ნახევრად ლეგენდარული გმირების შესახები თავები (И.С. Брагинский, Из истории персидской и Таджикской литературы. М., 1972, გვ. 253).

წარმოდგენაში მისი პოემა არ იყოფოდა მითოლოგიურ და ისტორიულ ნაწილებად. ფირდოუსი წერდა ისტორიას, როგორც წერდნენ მის დროს, როგორც წერდნენ შემდგომ ხანებში, — არ ასხვავებდა რა ერთმანეთისაგან ლეგენდასა და ისტორიულ ფაქტს, მითისა და რეალურ სინამდვილეს*. „ოსეთის ეპოსის მასალებით, ისე როგორც ირანის რელიგიის ძეველი ძეგლის „ავესტასი“, მე შვებით ამოვისუნთქე, როცა დავრწმუნდი, რომ ალტერნატივა: მითოსი ან რელიგია, კრუ ალტერნატივაა. ერთიც და მეორეც უეჭველად თან ახლავს ამ ძეგლებს. რა თქმა უნდა, ყოველთვის ძნელია ერთისაგან მეორის გამოცალ კევება. მოხდება, შეიძლება, ისტორიული მიიღო მითოსად ან მითოსური — ისტორიულად!“[†]

„შაპ-ნამეში“ სამი სამოქმედო დრო გვაქვს: მითიური, ქვაზის-ტორიული (მოჩვენებითი ისტორიული) და საკუთრივ ისტორიული. საესებით მართალია ე.მელეტინსკი, როდესაც ფიქრობს: თვით ისეთი გმირებიც კი, როგორნიც აჩიან: ქადუქარსი, ჯაშიდი, გერშასფი, ჰუშანგი, ფარიდუნი, თვით როსთამის შესახები ზღაპრული ამბებიც კი, ჩამულია ქვაზისტორიულ ქრონილოგიურ ჩარჩოში.“[‡]

აქვს თუ არა რაიმე ისტორიული საფუძველი „შაპ-ნამეს“ მითოლოგიურ ნაწილს, ხომ არ ჰყავთ მის გმირებს პროტოტიპი (ან პროტოტიპები) ირანის ისტორიაში? გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ავესტას“ ქავაიდები რეალური მეფეები იყვნენ. ისინი მე-9-მე-7 საუკუნეებში მეფობდნენ ჩვენს ერამდე ბაქტრიაში (ა.ქრისტენენი, მ.დიაკონოვი). ნერშახის ცნობით, თურანის მითიური მეფე აქტრას მამები ისტორიული პირი იყო და დასაფლავებულია ბუხარაში, მააბადის კარებთან. — ხოლო სიმაუში — იმავე ქალაქში, ჩალის გამყიდველთა ბაზრის ალაყაფთან.⁺ მაგრამ აქ ზედმეტი ოპტიმიზმი გვავნებს.

მითოლოგიურ მეფეთა ზეობის წლებზე ზუსტი ინფორმაცია

* И.А. Орбели, გვ. 3.

** В.И. Абаев, გვ. 54.

*** Е.М. Мелетинский, Введение в историческую поэтику эпоса и романа. М., 1986, გვ. 99. შემდეგში: Е.М. Мелетинский.

**** Нершахи, М., История Бухары. Перевод П.Ликошина. Ташкент, 1897, გვ. 25.

[†] იქვე გვ. 35 მარქვარტის აზრით, „შაპ-ნამეს“ გისთასფი ისტორიული ვოლაგას I-ია ტ-78 წწ., ხოლო ესტანდიჩრი, მისი შეილი, შას გაიგიებული აქვს ვოლაგას I-ის შმასთან, ტირიდართან. ეს ანალოგია მარქვარტს ისე სწორა, რომ იგი გისთასფისა და გისი შთამომავლობის შესახებ არსებულ გადმოცემების გამოიყენებს არეაშიღების მეფობის შესაწაელად (В. Бартолობ, VII გვ. 390). ასეთ ისტორიულ პირად მიაჩინათ პოემს გუდარზი. თავად ისტორიულ ნაწილშიაც ბეჭიანი ზღაპრულ ელამენტი. მაგ, კაშლის ჭია, რომელიც ისე გაიზარდა, რომ გველებად იქცა (გვ. 1950) და ბევრი სხვა.



(ცუშანგის მეფობა 40 წელიწადი გაგრძელდა“ და ა.შ.), ბუნებრივია, ჩვენს ნდობას არ იმსახურებს, პირიქით, განგვაწყობს იმისათვის, რომ თხზულებას არ ვენდოთ ისტორიულ ნაწილშიც, ქავი (ქამ), „ავესტას“ მიხედვით, მმართველთა ტიტული იყო და მხოლოდ გვიანდელმა ტრადიციამ მიიჩინა იგი დინასტიად. მითოლოგიურსა და საგმირო ნაწილს აერთიანებს ერთი დუღაბი, მთელი „შაპ-ნამეს“ დედაბორი როსთამი. იგი მანუჩერის მეფობის დროს იდგამს ფეხს და აგერ ბაჰმანის ზეობის ხანაში აღსრულება. საგმირო ნაწილი შეუმნიერებლად გადადის ისტორიულში. ახლა აქედან, ისტორიული სინამდვილის პოზიციიდან, თუ ვიმსჯელებთ, ირანთა უძველესი დინასტია აქემენიდებისა „შაპ-ნამეში“ არეკლილი არ არის. „შაპ-ნამეს“ არც მითიური და არც ისტორიული ნაწილის მეფები არ გვანან აქემენიან მეფებს, მოქალაქები და დემოკრატები ისინი უფრო არიან, ვიდრე აქემენიდები. ამ უკანასკნელთ ორი ასპექტი ჰქონდათ: საკრალური და სამოქალაქო. ისინი, როგორც ფიქრობენ, უგვიპტელთა გავლენით ლვთაებრივი წარმომავლობისად მიიჩნეოდნენ. მეცე ამავე დროს ქურუმიც იყო.*

ჩვენ უკვე ვიცით, რომ საგმირო ეპოსი ჩაისახა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის ეპოქაში, ტომობრივი ოქების გაძლიერებისა და ამა თუ იმ ტომის ეგიდით სამხედრო-პოლიტიკური კავშირების შექმნის ხანაში.** არშაკიდების (აშქანიანების) ხანას „შაპ-ნამეში“ მხოლოდ 22 ბეითი ეძღვნება. ეტყობა, სასანიდებმა გაანადგურეს ამ დინასტიის შესახებ არსებული პირველწყაროები. რაც შეეხება სასანიდებს, აქ ლიტერატურა და ქრონიკები უფროა შემოჩენილი (მით უმეტეს, ფირდოსუსის დროს უფრო მეტი იქნებოდა) და პოეტსაც მათი ზეობა და ვინაობა უფრო მეტი სიზუსტითა და სისრულით აქვს გადმოცემული.***

ე.ბერტელსმა შენიშნა, რომ „შაპ-ნამეს“ სამივე ნაწილი ერთ-ნაირად იწყება და ერთნაირად მთავრდება: იწყება ირანის შესნელის გამოჩენით და მთავრდება კატასტროფით. პირველი ნაწილი მთავრდება ირანის დაუძინებელი მტრის აქრასიჩაბის აღზევებით. ირანს მოსპობა ემუქრება. მეორე ნაწილი იწყება როსთამის, ირანის იმედისა და ქომაგის, გამოჩენით და თავდება როსთამისა და სხვა ირანელი ფალავნების (გრივის, ბიჟანისა და სხვათა) დალუპვით.

* P. Фрай, Наследие Ирана. М., 172 გვ. 136. შემდეგში: P.Фрай.

** Е.М. Мелетинский, გვ. 62

*** გაგ. შატურ არდაშირის ძეზე ფირდოსუსი გვაუწყებს: „იმეფა 31 წელი, ერთი თვე და ორი დღეო“ (გვ. 2003).

მესამე ნაწილი იწყება არდაშირის გამოჩენით და მთავრდება ირანის სამეფოს დამხობითა და იქ არაბების გამატონებით.^{*} „შაჰ-ნამეს“, ამ მზიანი წიგნის, ფინალი მართლაც ტრაგიკულია.

წყაროები და წინამორბედები

ფირდოუსი გარკვეულ წყაროებს ეყრდნობოდა. როგორც გადმოგვცემენ, სასანიანთა სამეფო კარზე დგებოდა ქრონიკები, ე.წ. „ხვადახ-ნამაკები“ („მეფეთა წიგნი“), რომელშიაც გარდა ისტორიული მონარქების შესახები ამბებისა, შეტანილი იყო მითიური მეფეებისა და ფალავნების საქმეთა ამსახველი თქმულებებიც. ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათიას (მე-6 ს.) ცნობით, მისი თანამედროვე ირანის შაჰის პნუშტირეანის (531-578) სასახლეში ინახებოდა თქმულებების წიგნი ირანის მეფეთა შესახებ.^{**} მე-7 საუკუნეში ეს ქრონიკები გააერთიანეს ერთ წიგნად, რომელსაც „ხვადახ-ნამაკ“ („მეფეთა წიგნი“) უწოდეს.^{***} მისი ერთ კორპუსად გამაერთიანებელი უნდა ყოფილიყო ვინმე დეპყანი დანიშვნი. ეს იყო ფალაურ (საშუალო სპარსულ) ენაზე შედგენილი ქრონიკა. მითიური გაიუმართილიან (ქადუმარს) მოკიდებული ხოსროვ ფარვაზის მეფობამდე (590-628). მაგრამ ირანული ეპოსის კვლევისათვის უპირველესი წერილობითი წყარო „ავესტა“, იგი მხოლოდ წყაროა და ისტორიად, რა თქმა უნდა, არ გამოდგება, მაგრამ ამ დროისათვის რეალური ისტორია უკვე დავიწყებული იყო — და სასანიდებს, სჯეროდათ ამ მასალების ლეგენდარულობა თუ არა, სხვა გზა არა ჰქონდათ, — ირანის ისტორიად იგი უნდა მიეღოთ.

„შაჰ-ნამეს“ თითქმის ყველა მითიური პერსონაჟი გახვდება ზოროასტრულ ძეგლებში: ქადუმარს — გაიო (სიცოცხლე) + მართ („მოკვდავი“); „თაპმურას — თავმ (გმირი) + ურას(?) ქამშიდ —

* Е.Э. Бертельс, История, გვ. 223.

** Агафий, О царствовании Юстиниана. М.-Л-д., 1953, გვ. 135.

*** გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ხვადახ-ნამაკი“ შეიძლებოდა რქმეოდა არა მთელ კორპუსს, არამედ მის პირველ ნაწილს, რომელიც ფრშლილიანებს შეეხდა სეიდ ქასან თაყი-ზალე, ჭურღაუსი ვა „შაჰ-ნამე-ხე“ უ. თემრან, 1349, გვ. 89. ძემდეგში: თაყი-ზალე

**** Р.Фрай, გვ. 61.

ჯამ(„ჯამი“) + შიდ („ელვარე“); აპრიმან — ანგრა („ბილწი“) + მაინმაუ („ბუნება“) და ა.შ. ძველ ინდოელთა და ირანელთა საერთო წარმოდგენით ჯამშილი, მაგალითად, პირველი მეფეა (ზოგი მითის მიხედვით — პირველი ადამიანია), ყოველშემთხვევაში, მან პირველმა დაწურა ჰომა (თაფლუქი). იგი მეფობდა დევებზე, ადამიანებზე, ჯადოქრებსა და ფერიებზე. მის დროს სიკვდილი არ იყო. „მისი მეფობის დროს არც სიცივე იყო, არც — სიცხე, არც მოხუცებულობა იყო, არც — სიკედილი“.^{*} მაგრამ ჯამშიდმა „დორულს (ტყუილს; ეშმას. — მ.თ.) მისცა თავის გულში აღგილი. და როდესაც მან თავის გულში დორულს მისცა აღგილი, მას აშკარად ჩამოსცილდა ჭარრი (სამეფო შარავანდედი. — მ.თ.), ფრინველის სახით. ამის შემდეგ მორკემულმა ჯამშიდმა დაჰკარგა ნებიერება და მოსვენება“.^{**} ძველ ირანელ მეფეთა შესახები ეპიზოდები გამოსახულია სასანურ ვერცხლის ჯამებზე, რაც, როგორც სამართლიანად აღნიშნა ქრისტენისენმა, იმაზე მიუთითებს, რომ ეს ეპიზოდები ფართოდ იყო ხალხში პოპულარული და იმღერებოდა. ჩვენ ზემოთ ვამბობდით, რომ ირანელ მეფეთა ამბებს ფირდოსუსის „შაპ-ნამეს“ შექმნამდეც მღეროდნენ შპპნამებანები. საფიქრებელია, რომ მათს რეპერტუარში ძირითადად სწორედ ეს საყოველთაოდ ცნობილი ეპიზოდები შედიოდა.

არაბების შეირ ირანის დაყრობის (642 წ.) შემდეგ სახალიფოში დაიწყო საშუალო სპარსულ ენაზე არსებული დიდი სპარსული (როგორც მხატვრული, ისე სამეცნიერო და ისტორიული) ლიტერატურის არაბულ ენაზე თარგმნა. თუ როგორი გაცხოველებული მთარგმნელობითი მუშაობა წარმოებდა არაბულ სამყაროში და, ამავე დროს, რამდენად დიდი მნიშვნელობა მიუკიათ მათ სპარსული ქრისიკებისათვის, ჩანს იქიდან, რომ არსებულა „ხვადად-ნამაკის“ ფალაური ვერსიების სულ ცოტა ცხრა თარგმანი (ისინი არ შემონახულა). ცნობებს მათ შესახებ იძლევიან: პამზა ისპანანელი თავის „ისტორიაში“ (დაახლ. 957 წ.), ფაბარის „ისტო-

* იხ. ბორბენ-ე კატე, თალიფე მოქამდათ-ქოსენ იმნ ბალაქ თამარიშჩი, მოთახალულებს მე ბორბენ. ბე ეპთემბაზე როქთორ მოქამდალ მოპნ. ოქრან, 1330-1335.

გვ. გ3. 1872, 539, 887, 189. შემდეგის მოქმედების დროის განვითარება. ართურ ქრისტენის, ქარისმატიკ შპპნ, დარ რაგამთე ირან-ე გასთან. თარგმაზე გვ. ამირაბენი და მამან საჩქრასთო, თამარიშჩი, 1350. გვ. 5. შემდეგის: ართურ ქრისტენის.

*** იქვე გვ. 47.

რიცს “ბალ’ამისეული სპარსული თარგმანი (დაახლ. 973 წ.) და იბნ ალ-ნადირის „ქეპტერესთი“ (დაახლ. 984 წ.). ეს თარგმანებია: 1) იბნ ალ-მოყაფას „ფარსის მეფეთა ცხოვრების აღწერა“. 2) მოჭამად იბნ ჯაჰემ ბარმაქს ამავე სახელწოდების თხზულება. 3) „სპარსელ მეფეთა ისტორია ამოლებული მამუნის ბიბლიოთეკიდან“. 4) ზადეშ იბნ შაჰირ იმავე სახელწოდების თხზულება. 5) მოჭამად იბნ ბაჰრაშ იბნ მათეარ ისპაანელის ამავე სახელწოდების თხზულება. 6) ჰეშამ იბნ ყასემ ისპაანელის „სასანელ მეფეთა ისტორია“. 7) ბაჰრაშ იბნ მანდან შაჰირ ამავე სახელწოდების წიგნი. 8) მუსა იბნ ქესრავს იდენტური სახელწოდების თხზულება. 9) ომარ იბნ ფარროხანის ასეთივე თარგმანი.*

სპარსული ძეგლების არაბულ ენაზე თარგმნის ტალლა ჯერ კიდევ არ იყო ჩამდგარი, რომა არაბების მიერ დაპყრობილი ირანის ტერიტორიაზე უკვე დაიწყო არაბთა ბატონობით უკმაყოფილო ირანელების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მე-8 საუკუნის შუა წლებში და განსაკუთრებით კი ამ საუკუნის მეორე ნახევარში არაბთა ბატონობის წინააღმდეგ და დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით ხორასანში, თაბარისთანასა და სიისთანში ძირითადად შიიზმის დროშით დაიწყო მასობრივი გამოსვლები და აჯანყებები. ჩნდება თანამერიანთა (821-873), საფარიანთა (861-900), სამანიანთა (819-999) და ბურიდთა (935-1055) ფაქტურად დამოუკიდებელი საამიროები. ეროვნულმა სულმა წარსულის მემკვიდრედ თავისი თავის გამოცხადების აუცილებლობა მოითხოვა. გაჩნდა მისწრაფება ძველი კულტურული ტრადიციების გათავისებისა. ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა ფალაურ ენაზე შექმნილი ძეგლების, უპირველს ყოვლისა, ძველი ირანული ქრონიკების, მოძიების საკითხი. მაგრამ გაირკვა, რომ სპარსულ ენაზე ამ მემკვიდრეობიდან თითქმის აღარაფერი იყო შემოჩენილი. და ამ დიდი კულტურის შექმნელი ირანელები იძულებული გახდნენ, ოდესლაც სპარსულიდან არაბულად თარგმნილი (სხვათაშორის, ისევ წარმოშობით ირანელი სწავლულების მიერ). ძეგლები ახლა უკავე ეთარგმნათ არაბულიდან (კიდევ კარგი, რომ ერთი ნაწილი

* В.Р. Розен, К вопросу об арабских переводах Худай-наме. „Восточные заметки“. СПб., 1895. Шემდეგში: В.Р. Розен; მოჭამად ყაზენი, მოყალიბამუკუდენი, ყაზენი, კულტურული, თემატიკური, 1332, გვ. 5; მემკვიდრეობისთვის მანუსკრიტი Th. Noldeke, Das Iranische Nationalepos, „Grundriss der Iranischen Philologie“. Strassburg, 1898, გვ. М.Н. Османов, Своды иранского героического эпоса („Худай-наме“ и „Шах-наме“) как источник „шахнаме“ Фирдоуси. „Ученые записки института востоковедения“, 1958, გვ. 153.

ამ მემკვიდრეობისა არაბულად მაინც არსებობდა!). ასე დაიბრუნეს ირანელებმა ხელახლა უკან ზოგი თავისი კლასიკური ძეგლი. მათ შორის „ხვადა-ნამაკი“. მაგრამ ირანელები ძველი, ფალაური, წერილობითი ძეგლების მარტო არაბულიდან თარგმნას როდი ჯერდებიან. ამ ღროვისათვის აქა-იქ, განსაკუთრებით ირანის პროვინციებში, ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი ფალაური წერილობითი ძეგლები და ისინიც სწორედ მათს ახალ სპარსულ ენაზე გადმოთარგმნას დაეშურნენ. დგება ტექსტები, ხდება სხვადასხვა ნაშრომის კომპილირება. გამოჩენილან ამ დიდი პატრიოტული საქმის თაოსნები და მეცენატები. ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება აქ „ხვადა-ნამაკის“ ვერსიებს უნდა დათმობოდა. და ასეც მომხდარა. „სიისთანის ისტორიის“ ავტორის ცნობით, ვინმე აბუ ლ-მო'ადდად ბალხელი აღგენს „შაპ-ნამეს“ პროზაულ ვერსიას.

ბაქსუნყარისეული „შაპ-ნამეს“ წინასიტყვაობას თუ ვერწმუნებით, ერთი ასეთი თაოსანი, თუსის მმართველი აბუ მანსურ მოჭამალი დავალებას აძლევს „ოთხ გამჭრიას კაცს“, ჰერათელ შეს ხორასანერის ძეს, სიისთანელ აზდნდად შაფურის ძეს, ნიშაულურელ მაჰებ-ე ხურშიდ ბაპრშის ძესა და თუსელ შედნ ბაზინის ძეს, შეკრიბონ მეფეთა შესახები წიგნები დასაბამიდან მოყიდებული ხაზდეგარდ III-მდე. მათაც შესარულეს ეს დავალება და შეადგინეს ასეთი წიგნი.^{*} ამავე „წინასიტყვაობის“ ცნობით, კაცი, ვინც ამ ოთხ სწავლულს ხელმძღვანელობდა, იყო აბუ მანსურ მოჭამმალის მოხელე (ქეთხოდა, „მამასახლიისი“). მას აქმევია მას-ულ იბნ მას-ული, თუ — აბუ მანსურ აჰმად იბნ 'აბდ ალ-ლაჰ იბნ ჯა'ფარ იბნ ფარრობზედი. როდის შედგა ეს კორპუსი, დანამდვილებით არ ვიცით. ერთი წყარო პიჯრის 919 წელს უთითებს, მეორე — 971.^{**}

მესამე ძეგლი, რომელიც აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს, არის დარის (ახალ სპარსულ) ენაზე გალექსილი „შაპ-ნამე“, რომლის შემკვეთია აბუ 'ალი მოჭამმალ იბნ 'აბდ არ-რაზზაყი (გ.962 წ.). ჩვენ სავანგებოდ გვექნება საუბარი ფირდოუსის ერთ მთავარ წინამორბედზე, დაყიყიზე, აქ კი ის გვინდა ვთქვათ, რომ თავის „ქრონილოგიაში“ ბირუნის ნახსენები პყავს ვინმე აბუ 'ალი მოჭამმალ იბნ აჰმად ალ-ბალხის მიერ დარისავე ენაზე ლექსალ

* ბისთ მაყალე, გვ. 36

** თაყი-ზალე, გვ. 166

გაწყობილი „შაჰ-ნამე“ ვ.ბარტოლდმა გამოთქვა არცთუ დაუჭერებელი მოსაზრება, ეს აბრ ალი მოჰამმადი იგივე დაყრიც უნდა იყოს.^{*}

თავის წიგნში „საწყისი და ისტორია“ არაბ ივტორს ალ-მოყადასის მოაქვს ალ-მას'უდის სამი სპარსული ბეითი: „პირველად ქადუმარსი გახდა მეფე, ქვეყნად მან დაიკავა წინა ადგილი. რა ოცდაათი წელი იყო მეფედ ქვეყნად, ყველგან ასრულებდნენ მის ბრძანებას...“ „დამეთავრდა ხოსროთა (იჩანელ მეფეთა. — მ.თ.) ხანა, რა ნება აისრულეს ამ ქვეყნად“.^{**}

არ არის გამორიცხული, ჩვენ მიერ დასახელებული და მეცნიერებისათვის ცნობილი ეს თხზულებანი (შექმნილი ახალ სპარსულ ენაზე) ფირდოუსის ძირითადი თუ არა, ერთ-ერთი წყარო მაინც ყოფილიყო. არც იმის დავიწყება შეიძლება, რა თქმა უნდა, რომ შესაძლოა, მას სხვა მასალებიც ჰქონდა ხელთ. და ეს ასეც მომხდარა, — ჩვენ ქვემოთ გვექნება საშუალება, საგანგებოდ შეეჩერდეთ მათზე. ახლა რაც შეეხება ფირდოუსის ურთიერთობას ამ ოთხ წყაროსთან. ერთ-ერთი მათგანი ე.წ. აბრ მანსურისეული „შაჰ-ნამე“ ნამდვილად რომ ჰქონია ხელთ ფირდოუსის, ამას თითქოს თავად გვამცნობს წიგნის წინასიტყვაობაში: „რასაც მე ახლა ვიტყვი, ყველაფერი [უკვე] თქვეს. ცოდნის ბაღში ყველაფერი მოიხვევეს (?). ...ეინც მაღალ დანაკასკულს შეეფარება, მისი ჩრდილი აარიდებს მას ვნებას (?). შეეძლებ ვითომ, ფეხი მოვიყიდო იმ ჩრდილოვანი საროს ტოტზე! ვინძლო ამ სახელოვან მეფეთა წიგნით ქვეყნად დავტოვო სახსოვარი... ძველთაგან ერთი წიგნი იყო, იგი მრავალ დასტანს (ამბავს) შეიცავდა. სხვადასხვა მიმედების ხელთ იყო იგი გაფანტული... ერთი ფალავანი იყო დეჰენის ჩამომავლობის, გულადი, დიდებული, გონიერი და კეთილშობილი... ყოველი ქვეყნიდან ხანდაზმული მობედები მოასხა და ეს წიგნი მოაგროვა. გამოჰყოთხა მათ ქადანთა გვარის [წარმომავლობის] შესახებ და იმ სახელოვან გმირებზე... დიდებულებმა სულ მოახსენეს მეფეთა სიტყვებისა და ქვეყნის ტრიალის თაობაზე. როდესაც იმ სეფაპბოდმა მოისმინა მათი სიტყვა, ერთ ცნობილ წიგნს ჩაუყარა საფუძველი... [მინდოდა] ამ წიგნისთვის მომეკიდა ხელი, რევულიდან ჩემს ენაზე გარდამეთქვა, ყველის გამოვკითხე უთვალავჯერ [მის შესახებ]“ (ცვ. 8). როგორც

* В.В. Бартольд, К истории персидского эпоса. ЗВОРАО, т. XXII, вып. III-IV. 1915, გვ. 279.

** Е.Э. Бертельс, История, გვ. 195.

ფიქრობენ, აქ სწორედ აბრ მანსურ მოჭამმალი უნდა იგულისხმეობოდეს.

საერთოდ ყველა ძველი წყარო, რომელშიაც მემატიანეს ესათუ ის ამბავი აქვს აღწერილი, ობიექტური და სანდო როდია. უნდა გვიჩვენოთ კარის მემატიანებისა მიკერძოებულნი იყვნენ და ფაქტიურად თავიანთი პატრონის ქებას წერდნენ. ძალიან ხშირად თვითონ მონარქები აკონტროლებდნენ მათ საქმიანობას. არდაშის პატაქის ძეს ორი კაცი ჰყავდა დაქირავებული, რომელთაც მეფის გამონათქვამების დაწვრილებით ჩატარა ევალებოდათ. გამონათქვამს მეფეს ერთ შეუცვლი, მაგრამ მემატიანეთა მიერ მისი საქმიანობის ილუმინირება ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო.

რა ურთიერთობაშია ფირდოუსის „შაპ-ნამე“ აბრ მანსურ ფარპხზედისეულ თხზულებასთან? ვ.როზენისა და ვ.ბარტოლდის აზრით, ფირდოუსიმ გამოიყენა „ხვადა-ნამაკის“ არაბული თარგმანები. ვ.როზენი ასეც ფიქრობდა: მას არაბული თარგმანები თუ არა, მათზე დაყრდნობილი აბრ ალ ბალხელის სპარსული ვერსია უნდა ჰქონდათ.*

თ.ნოლდეკეს აზრით, ფირდოუსიმ გამოიყენა ახალ სპარსულ ენაზე გადმოტანილი ფალაური და არაბული ქრონიკები. ამავე აზრისაა ა.სტარიკოვი: პოეტს ხელთ უნდა ჰქონოდა, ძირითადად, აბრ მანსურის ხელმძღვანელობით შედგენილი კორპუსი. თუმცა იგი, ეტყობა, ამას არ სჯერდებოდა და სხვა მასალებსაც იშველიერდათ.** ეს ბოლო მოსაზრება პრინციპში სხვა სიბრტყეზე აყენებს საკითხს: ერთი წყაროთი კი არ ისარგებლა ფირდოუსიმ, არამედ სხვა მასალებიც ჰქონდა მას. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ როდესაც „შაპ-ნამეს“ და მის წყაროდ საგულვებელ ტექსტებს ვუდარებთ ერთმანეთს, იმდენად მაინც უნდა ვიყოთ ფრთხილად, რომ კატეგორიული დასკვნები არ გავაკეთოთ, ვინაიდან ჩვენ გვაქვს საქმე დაუდგენელ, პირობით ტექსტებთან და რომელიმე მათგანში ზედმეტი ინფორმაციების არსებობა ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას, მათი კავშირები გამოვრიცხოთ.

აქ გვინდა განვიხილოთ ამ საკითხის ასახსნელად აუცილებელი და თავისთავად მნიშვნელოვანი საკითხი: იცოდა თუ არა ფირდოუსიმ ფალაური ენა?

მ.ბაპტრის აზრით, ფირდოუსიმ ფალაური არ იცოდა.*** თითქოს

* B.R. Rosén, გვ. 190

** A.A. Стариков, გვ. 549-550

*** მალევ თშ შოარს მანარ, ჩულო-ე ავგალ, გვ. 85

იმის გამო, რომ ფირდოუსი თავად არის დეპუტატი, თავისი ქვეყნის წარსულის პატრიოტი კაცი, მშობლიურ ტრადიციებზე გაზრდილი იჩინელი, პურისტი მოქალაქე და, ბოლოსდაბოლოს, მწერალი, რომელიც ფალაურ თუ არაფალაური წარმოშობის ძეგლებს აგროვებს და ამუშავებს, თითქოს ამის გამო-მეთქი, ვამბობ, უნდა გვეფიქრა, რომ მან ფალაური იცოდა. ისიც გასახსენებელია, რომ ამ დროისათვის ხორასანში ბევრმა იცოდა ფალაური. მაგრამ, ვიმორებთ, რამე ხელის მოსაჭიდებელი საბუთი არ გაგვაჩნია. ბოლოსდაბოლოს, რატომ არ უნდა სცოდნოდა მას ფალაური! „შაპ-ნამე“ ენა ძალიან კი არაა დაშორებული საშუალო სპარსულს, არც დამწერლობის ათვისებაა პრობლემა, ორ-სამ კვირაში მას იოლად შეეძლო, დაეძლია ერთიც და მეორეც. ჰ.მასსეს აზრით, ფირდოუსიმ ფალაური იცოდა. ამის საბუთად მას მოაქვს აღვილი „შაპ-ნამედან“, სადაც პოეტი იხსენიებს რა ამუ-დარიის ფალაური ფორმით „არვანდი“, იქვე განმარტავს: „ფალაური თუ არ იყი, იცოდე, რომ არაბები არვანდს დიჭლას უწოდებენ“. მიუთითებენ აღვილებზე „შაპ-ნამეში“, რომლებიც ასე თუ ისე ჰგავს სხვადასხვა ფალაურ ძეგლს. მაგ., ფირდოუსი წერს: „წითელი იაგუნდისაგანაა ლურჯი ცა და არა წყლისგან, მიწისა და კვამლისაგანო“ (გვ. 4). ფიქრობენ, რომ ეს გამოთქმა პოეტს წამოღებული აქვს „მამო-ე ხრალიდან“, სადაც ვკითხულობთ: „ცა იაგუნდისაგან ანუ ალმასი-საგან არის შექმნილი“. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, უშუალოდ ეს ფალაური ტექსტი ეჭირა პოეტს ხელთ თუ მისი თარგმანი. ფირდოუსი ხშირად გვამცნობს: „ფალაურად მთქმელს ასე უთქ-ვამსო“ (გვ. 1815), მაგრამ აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ასეთი გამოთქმაც: „ერთი ფალაურის მცოდნე მოხუცი იყო. ფალაური რვეულიდან ასე ამბობს“ (გვ. 2530). აქ რომ იმაზე იყოს ლაპარაკი, რომ ფირდოუსის ხელთ იმ ფალაურის მცოდნე მოხუცის რვეული უკირავს, იტყოდა: „ასე ამბობს ფალაურ რვეულშიო“, მაგრამ ამბობს: „ჩონინ გუმად-აჭ დაჭთარ-ე ჭამლავნ“. ეს კი ნიშნავს: ფალაური რვეული გამოუყენებით არა ფირდოუსის, არამედ იმ მოხუცის, რომლის ნაწერი (თუ ნათქვამი) ფირდოუსიმ გალექსა, ე.ი. პოეტის უშუალო წყარო ფალაური არ არის. კიდევ ერთი ამ ტიპის მაგალითი. პოეტი ერთგან წერს: მარტო ვიყავი, ხარჭას

* ქ. მასსე გვ. 70.

** მაქლი ლარავა, ფარუქაშ დარ „შაპ-ნამე“. „ქონარო მარტომ“, შომარე-ე 167, გვ. 26.

სანთელი მოვატანინე და ჩანგი დავიკვრევინე. ქალმა ჩემთან ერთად დალია და მითხრა: „ერთ ძველ დასთანს წაგირითხავ რვეულოდანო?“ მე ვუთხხარი: „მომიყევი ამაღამ ის დასთანი-მეთქი. მითხრა: ჩემგან სიტყვას მოისმენ და შენ გალექსე ფალუური რვეულოდანო. ვუთხხარი: მოიტანე, ლაშაზო მთვარევ, წაიკითხე დასთანი და გაზარდე სიყვარული... შენგან ჩასაც მოვისმენ ნაწილ-ნაწილ (კარით კარად), ლექსად გადავიტან დასთანს თავიდან ბოლომდე-მეთქი... წამიყითხა იმ საყვარულმა ქერპმა დასთანი ძველ დროში დაწერილი რვეულოდან. ახლა ჩემს ლექსად გარდათქმულს დაუგდე უური“ (ცვ. 1066). პირველი, რაც აქ კაცს თავში მოვუა, არის ის, რომ პოეტმა არა თუ ფალუური წიგნის კითხვა არ იცოდა, არამედ სულ ან კარგად არ იცნობდა ფალუურ ენაზე არსებულ ლიტერატურას. ამ დასთანის (ეს კი ბიჭენისა და მანწუეს ცნობილი დასთანია) შესახებ პოეტი პირველად იგებს, თანაც იგებს მისი მხევლისაგან, მოსამსახურე ქალისაგან. კიდევ მეტი, ეს ქალი ფირდოუსისას ცხოვრობს, ეს ფალუური წიგნი ფირდოუსის სახლში პქნიათ, ის კი ამის შესახებ თითქოს ბაიბურში არ ყოფილა. და მერე ვინ, კაცი, რომელიც, როგორც თავად არაერთგზის გვაუწყებს, წლების განმავლობაში აგროვებდა „შაპ-ნამეს“ მასალებს (ფალაურ, ახალსპარსულსა და არაბულ ენებზე არსებულს) და ლექსავდა მას. ჩენს უურადლებას სხვა ინფორმაციაც იქცევს. მხევალი მხოლოდ უკითხავს მას ფალაურ წიგნს. არაფერია ნათქვამი იმაზე, ესმის თუ არა მისი წაეკითხული პოეტს, არაა ნათქვამი, მითარგმნიდა მასო. ეტყობა, რომ ქალი მხოლოდ კითხულობს ფალაურ ტექსტს, მისი შინაარსი კი პოეტს ესმის. არაეითარი დამატებითი მასალა, რომელიც დაგვისაბუთებდა, რომ ფირდოუსი უშუალოდ კითხულობდა ფალაურ ტექსტს. როგორც წყაროს, პოემაში არ მოიპოვება. ერთი იქვი გვებადება: სუნიტ რჯულის მოძღვართა შიშით ხომ არ ასავსავებს ფირდოუსი ხელებს, ხომ არ ეუბნება მათ: შემომხედეთ, მართლმორწმუნე მუსულმანი ვარ, ფალაური არ ვიცი და ზოროასტრიულ ლიტერატურას არ ვკითხულობო. მან ხომ იცოდა, რომ მისი წინამორბედი დაყიყი, რომელიც თავის ზოროასტრიელობას არ მალავდა, გაუგებარი თუ საეჭვო მიწეზით მოკლეს.

ერთხელ იოსებ გრიშაშვილს „ანუშისა“ და „ერთი წვეთი თაფლის“ თარგმანები ვუქე და ვუთხარი (ვიცოდი რა, რომ ხარისუბში იყო გაზრდილი): სომხური, ალბათ, იცით-მეთქი. მან დამიღასტურა: სომხური ენა როგორ არ ვიცი, მაგრამ წერა-კითხვა

არ ვიცი სომხურიო. მე გამიკვირდა: სომხური ენა თუ იყის, სომხური წერა-კითხვის შესწავლას რაღა უნდა-მეთქი! ეს ფატტი საჯულისხმოა. არ არის გამორჩიული, ფირდოუსის ფალაური ენა სცოდნოდა, ფალაურად წერა-კითხვა კი — არა.

ახლა კი პირველსავე სიტყვას მოკიდეთ და ვნახოთ, რა წყაროები გამოიყენა ფირდოუსიმ?

სამწუხაროდ, ზოგჯერ ფირდოუსი ლაპარაკით კი ლაპარაკობს ამა თუ იმ წყაროზე, მაგრამ რა წყაროა იგი და რა ეწოდება მას, ამაზე არაფერს გვეუბნება (ერთი წიგნი ვნახე დასთანებით საეს; ძეველი ზღაპარი იყო და პროზითი იყო“, გვ. 1554), ხოლო ზ. საჭარით, ესენია: სპარსული თქმულებები, სპარსული სასულიერო თქმულებები ზარატუსტრის „შესახებ, „ხოდად-ნამაკი“ და „ირანელ მეფეთა საქმეების წიგნი“ (ქახუმარსიდან მოკიდებული ხოსროვ ფარვიზის ჩათვლით).^{*} ი. ავტორები, რომელთაც პოეტი ასახელებს: შპლან ბარზინი („ქილილა და დამანას“ ინდოეთიდან წამოლების ამბავი); დეჯანი („სიძლუშის ამბავი“, „როსთამისა და აქვენ დევის ამბავი“, „ლოპრასბის ამბავი“, „ქამუს ქაშანელის ამბავი“, „ქახუმარსის ამბავი“, „სოპრასბის ამბავი“, „არშაკიდების ამბავი“, „გოშთასფისა და არდაშირის ამბავი“, „ესტანდიდას შვიდი გმირობის ამბავი“);^{**} პშედ სარვე („როსთამისა და შელპლის ამბავი“); მანი („პორმოზდის ამბავი“). თ.ნოლდეკემ გამოთქვა მოსაზრება, მას შეიძლება, იყოს დამახინჯებული ფორმა სპა-ისა, რომელიც შედიოდა იმ ოთხეულში, აბუ მანსურმა რომ „შაპ-ნამე“ შეადგენინაო. მის ვარაუდს სხვებიც იზიარებენ.^{***} ფირი (თუ შაპუ-ჟე ფირი). ფირ მოხუცს ნიშნავს. ამავე დროს ესაა ტერმინი, რომელსაც ზოროასტრული თემის სჯულის მოძღვარს, წინამდგომს უწოდებდნენ. ისლამურ ხანაში ამ ტერმინით იწოდებოდა სუფიური ორდენის მეთაური, მოძღვარი შაპუ-ჟე ფირ შეიძლება, ნიშნავდეს მოხუც შაპუსაც. ამ პირს დაესქსხა ფირდოუსი „კაღრაკის გამოგონების ამბის“ გადმოცემის დროს. ეს შაპუ ლიტონი ფირ ფორმით არაა მოხსენიებული (გვ. 2530). ცალკე უნდა შევეხოთ „როსთამისა და ესტანდიდას ამბის“ წინასიტყვაობაში მოცემულ ერთ ცნობას: ზე ბოლომოლ შანიდამ ჟექი დასთან („ბულბულისაგან გამიგონია ერთი ამბავი“). როგორც ჩანს, აქ ბულბული (ბოლომლ)

* შაბრჯ ილ-ლაქ სახა, ნაზარი მე შაბაზ-ე „შაპ-ნამე“ ვა ლიგარ ჭემბასექ-ჟე მელლო. „ირან-შენაძე“, 1370, შოპრუ-ჟე ავგალ, გვ. 25.

** არ არის გამორჩიული, აქ იგულისხმებოდეს აბუ მანსურისეული ვერსია თაყა-ზალე, გვ. 166.

յմուտ մուսո პորշանքը լուսական մեջ ասեա, ჩանս ոյնօքան, հռմ օց Շերտանուն առա այշտ սპահսունու Ծիյէստուս սաելուտա սածոյեցընուն). ჩեզեն անհուտ, այ սայմը սնճա ցվյոննու սապուտար սաելուտան տու ցուցագունումտան, հռմելուու մուս პատրունս Շերյմեցուա (ան տագագ Շերյմեցուա) ծովածունու նունու կալոնծանց Ռուն. Կոնծունու անշերինաչան նուն մոմլուրալու ծովածունու), այ յրտագ համուտունու Շաբա պայլա դուրմուտ պայլա սաելուս, հռմուտաց ցուրտունուսու մուսեցնուցնուն ձայնս տացուս վուգնու նեպուրու տու Վարունունու վարունուն աշտուրեցնու: Յանդ սարցու, ծաշերմու, ցուրու, մաշեր-մա ցուրու, միացալնապագու ցուրու, եռուասնու ցուրու, ցանատլու- ծովածունու ցուրու, ցայշնու ցուրու, ցայշնու, մաշալուցնուն ցայշնու, միացլուսմենաշեցուն ցայշնու, հահելու ցայշնու, մոլույսու ցայշնու, մոմլուրալու ցայշնու, մարցալու ցայշնու, մոծեցու նամուրու ցայշնու, ցոնցեցնատելու սպահսունու, եանդանմունու մոմլուրալու, Շաբան ծարինու, սպահսունու մոխմունու, մանու, ցոնցեցնատելու յացու, վոնա- մորինու մոծեցու, եռշմուրուն սոմեցուս մց. այ ժասաելուցնուն 24 յրտելունու համունու ցալցու սացուլցուցնուն վերսունա, հայն առ յուցու. ծեցրու յանուրու հանս լա առ արուս ցամորուցնուն, յև յանուրու մոծեցու սպահսուն մի համունումը პուրուս ալմնունունու ոյուս. ամացը դրուս արց ուս արուս Շեցլուցնուն, հռմ, ցոյշատ, եռուասնու ցուրու, մաշեր-մա ցուրու լա ցանատլուցնուն ցուրու սեցադասեցա პուրունու ոյունուն. հաւ Շեցեցնա ցուրտունուս եարցուս, ուս Վարու առ արուս, ոցո սեցուս, անոնմուն նաբարմուցն յուտելունուն.

ամ ժասալատացան, ցոմերուցտ, նոցու ցալասուրու ոյու, նոցու — աեալս սպահսունուն. Շեյմլութա, ցուրտունուս ցամուցնունուն ցալասու- հունու ան սպահսունու հարածու ցնանց ցալունունուն յիրոնուցնու տու մեաբարունու յեցլուցնու.

յև ոյու ուս, հաւ Շեցեցնու տցուտոն ցուրտունուս մոյր ժասաելուցնուն Վարունուն լա մուս վոնամորինուցնու. աելա ցնաետ, սեցա, ցայշունու ոնցուրմացուցնու հա ուսետ ժասալուն ոյունուն, հռմելուու Շեյմլունու ցուրտունուս Վարու սոմունուն: ցալասուրունց, հա տյմա սնճա, սամ ցնանց սնճա արսեցնունու: ցալասուրունց, արածունուս լա աեալս սպահսունունց. տանաւ որու հոցուս սնճա սոմունուն: սաուս ըրունու լա մեաբարունու. ցուրտունուս դրուս ցաբեռցունուն մունան Վարունու լա ցալասուրու ցնանց յիրոնինունուն մեաբարունու յեցլուցնու աեալս սպահսուն ցնանց ցալունունուս սամանունուն լա սայրունու աեալ ցրոցնուն լոնաստուցնու եղուս ամլուցնու սպահսունու յիրոնուցնու լա լաստանցնու Շեյրունու.

მათგან ლუქსითი ვერსიების შექმნა, ამით ისინი ირანის მითიურ თუ ისტორიულ მეფეებს უკავშირებდნენ თავიანთ თავს. მე-12 ს. ენციკლოპედიური ნაშრომის „ნოზბათ-ნამე-მე „ალას“ ცნობით, ბუდების სამფლობელოში სწორედ ფირდოსუსის დროს შექმნილა ირანული საგმირო გადმოცემების სამი დამუშავება. ერთი მათგანი ქადუმარსით იწყებდა თხრობას და ბუდი ამირის შამს აღ-დავლა აბუ დაქერის ზეობით (997-1020) ამთავრებდა.“ არავინ არ დავობს იმაზე, რომ ფირდოსუსის უნდა გამოყენებინა ისლამურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული თქმულება ალექსანდრე მაკედონელის შესახებ. პოეტი თავად ასახელებს ამ ძეგლს. ეტყობა, მას ერქვა „ესქანდარის გალავანი“ (საღდ-ე ესქანდარი): „მოვრჩი „ალექსანდრეს გალავანის“ თხრობასო“, გვაუწყებს ერთგან (ცვ. 1918). ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ ფირდოსუსის მიმბაძველებმა (ჭამი, ნავარებმა და სხვებმა) თავიანთ პოემას ალექსანდრე მაკედონელის შესახებ უწოდეს „ესქანდარის გალავანი“. ფალაურ ენაზე არსებული „ვრსას [ძე] ფირანის წიგნი“ („ფირან-ვისაქ-ნამაქ“), რომელიც შემდეგ, როგორც გვაუწყებს აბუ ლ-ფარაჰი თავის „ტეპრესთში“, არაბულად უთარგმნიათ. აბუ ლ-ფარაჰის ცნობითვე, იმან ალ-მოყაფიას ჰქონია (არაბულად) თარგმნილი „„ფედეს-ჩ-ნამაქ“ („ბრძოლის წიგნი“), რომელიც ესჭანდიშარის ბრძოლებს შეეხებოდა. როგორც იგივე ავტორი გვაუწყებს, ჯაბალათ იმან სალემს უთარგმნია „სიისთანის მფლობელთა წიგნი“, აქვეა „დარა და ოქროს კერპი“, „ბაპრამი და ნერსე“, „მაზდაქის წიგნი“, „ნერშირეანის წიგნი“, „ბაპრამ ჩებბინის წიგნი“, „შპერარაზი და ხოსროვ ფარვაზიზი“ და სხვ. არსებობდა, ბუნებრივია, სხვა თარგმანებიც, მათ შორის მხატვრული ძეგლებისაც.“

როგორც ვთქვით, ფირდოსუსის ხელთ უნდა ჰქონიდა როგორც ქრონიკები, ისე მხატვრული ლიტერატურაც. როგორც ერთის, ისე მეორის კვალი „შაპ-ნამეს“ ეტყობა. მაგალითად, ჩვენი აზრით, მხოლოდ ქრონიკის გამოყენებით შეიძლება აიხსნას, რომ ფირდოსუსი ჩერდება ისეთ მეფეებზედაც. რომელთა ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ არაფერი არა აქვს სათქმელი მაგ., სასანი, გვ. 1757). პოეტი ქრონიკას უწევს ანგარიშს და იმეორებს მის

* A.H. Болдырев, Новоперсидские обработки эпических преданий в западном Иране. „Краткие сообщения Института народов Азии“, 1963, N 67 გვ. 132.

** ქრისტენსენის აზრით, შეიძლებოდა, ზოგი მათგანი გალექსილიც ყოფილიყო.

ა ქრისტენსენი, გვ. 40.

*** მათ შესახებ, იხ: თაყ-ზალე, გვ. 1-26.



ინფორმაციას. ასე რომ არა, ისეთი უფრუნქციო და უამბავო მეფის გამოგონება მას არ დასჭირდებოდა. გარდა ამისა, მის ინტერესებში არ შედიოდა ვრცელი ნარატიული წყაროს მინიმუმამდე (ფაქტიურად, ნულამდე) შეკუმშვა, არც პრინციპი პქონდა მას ასეთი.

ახლა შევეხოთ მხატვრულ-ლიტერატურას, რომელთა არსებობა (ამ დროისათვის) ჩვენ ვიცით და რომელებიც, როგორც ვთქვით, შეიძლება, ფირდოუსის გამოეყენებინა. ერთი ნაწილი ამ ლიტერატურისა თავისი შინაარსით ისევ საისტორიო იყო, მაგრამ მხატვრულად გახლდათ ხორცშესხმული, გალექსილიც კი. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაგასახელოთ „ქართამაქ-ე არდაშირ-ე პაპაკან“ („არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი“), რომლის ერთი ვერსია დღემდევა შემორჩენილი; „შათრანჯ-ნამე“ („პადრაკის წიგნი“), „ხადგარ-ე ზარირან“ („ზარირის მოსაგონარი“). როგორც ებენვენისტმა ცხადჰყო, ეს უკანასკნელი თხზულება ლექსია. ასევე, თეთი შეფურული პირველის ორენოვანი ნაწერების (პაგიაბადში) ფალაური ტექსტის ბოლო ნაწილი მეცნიერმა ლექსად წაიკითხა (რგი შვიდ რვამარცვლოვან ბეითად დაყო).

წერილობითი წყაროებით სარგებლობდა ფირდოუსი თუ ზეპირი გადმოცემებით? შებლი ნომენის აზრით, ფირდოუსი მხოლოდ წერილობითი წყაროებით სარგებლობდა. ეს იქიდან ჩანს, რომ პოეტი არაფერს ამბობს აშქანიანებზე (არშაკილებზე), რადგან წერილობითი წყაროები ამ დინასტიის შესახებ არ არსებობდა. პოეტი ერთგან არშაკილებზე წერს: „მათზე მათი სახელის მეტი არაფერი მსმენია, არც „მეფეთა წიგნში“ წამიერთხავს“ (გვ. 1923). აქ უავე გვაქვს დამაეჭვებელი გამოთქმები: „მსმენია“ (რომელიც, მართალია, მაინცდამაინც და მხოლოდ ყურით მოსმენას არ გულისხმობს, მაგრამ არც ასეთ აქტს გამორიცხავს) და „წამიკითხავს“. ებერტელი არ ეთანხმება შებლის მოსაზრებას და მოაქვს პოემიდან აღილები, სადაც პოეტი ამბობს: „მეგრუმა სოხნა ჰარჩე ზე მატთამ“, რომელსაც ასე თარგმნის: „...что слыхал от него“. მაგრამ, ჩვენი აზრით, ებერტელი ფაქტს ძალას ატანს: მატთამ ნივთიერ პოენას ნიშნავს, ხოლო სოხნა აქ ლექსს გულისხმობს და არა სიტყვას. თუმცა მაინც უნდა ვთქვათ, ეს ფაქტი როდი მიუთითებს იმაზე, რომ ფირდოუსი საერთოდ ზეპირად თქმულსაც

* ქ. მასხე, გვ. 26

** შებლი ნომენი, შერ-ე აკამ, ჩელო-ე სევეომ, გვ. 281.

*** Е. З. Бертельс, История, გვ. 197.

არ უგდებდა ყურს და·მას არ გამოიყენებდა მოახლის .მაგალითი ხომ გვასოვს). ვნახოთ, სხვაგან რა ინფორმაციას გვაწვდის „შაპ-ნამე“ ამის თაობაზე. ერთგან პოეტი გვამცნობს: ერთი წიგნი ვნახე, ძველი დასტანებით იყო სავსე. პროზითი იყო, ორი ათასი წლისა. ერთმანეთთან არ იყო დაკავშირებული. დაყიყნს ქება შევასხი, რომ მან გაფანტული ამბები შექრა (გვ. 1554). წყაროს-მიერობას და ამდენად მის ტენდენციურობას მოწმობს არღაშირის, ბაპტისტ-გურისა და პნეშირევნის ასე ნაქები სიქველე პოემაში. ჩვენ კი ვიცით, რომ სინამდვილეში ეს მეფეები ამ თვისიებებით არ გამოიჩინდნენ. სხვაგან პოეტი მის ხელთ არსებულ წიგნზე მიგვითოვებს ისე, რომ ამ წყაროს არ ასახელებს: „დავთრიდან [ამოკითხულს] ჩემს ნათქვამად ვაქცევო“ (გვ. 9). ასევე, იგი ასახელებს თავის წყაროს: ერთგან მას „ნამე-ჟე შაპრიდანს უწოდებს (გვ. 13), სხვაგან — „ნამე-ჟე ხოსროვნის“ (გვ. 1923) (სწორედ აქაა, რომ გვამცნობს: არშაკილებზე არც „ნამე-ჟე ხოსროვნში“, — „მეფეთა წიგნში“, — მინახავს რამეო). ერთგან ფირდოუსი გვიყვება რომელილაც ძელ პოემაზე, რომელიც თურმე სამი ათას ბეითს არ აღმატება, თანაც მას მდარე ბეითებს თუ ამოარიდებ, ხელში ხუთას ბეითზე მეტი არ შეგრჩებათ (გვ. 2868) და ა.შ. პოეტი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, ეს ამბავი მე მავანისაგან გადმოვიდე და არაფერი დამიკლია, რომ დამეკლო, გული სრული არ მექნებოდათ (გვ. 1048); როგორც მოვისმინე, ისე მოვყევიო (გვ. 1140) და ა.შ.

3.მასსე სამ ჯგუფად ჰყოფს იმ ლიტერატურულ წყაროებს, რომელიც ფირდოუსიმ გამოიყენა: ერთი უკავშირდებიან ძეველ წიგნს, რომელიც შეიძლება ფალაური „შაპ-ნამე“ იყოს, მეორენი — იმ მწერლებს, რომელთაც ის „შაპ-ნამე“ ახალ სპარსულ ენაზე თარგმნეს (თაჯი, მხეთა, მაკრა, შადრი). მესამე წყაროა როსთამის სიკვდილის ამბის გადმომცემი დასტანის ტიპის მასალები.* არ უნდა ვიფიქროთ, რომ დღემდე შემორჩენილი ფალაური ძეგლები აუცილებლად ნაცნობი იყო ფირდოუსისათვის (ანდა თუნდაც მისი წრისათვის). მაგრამ ზოგ დღემდე შემონახულ ძეგლზე კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი იყო ფირდოუსისათვის ცნობილი. ასეთი თხზულებები უნდა იყოს „არდაშირ პაპაქის ძის საქმეთა წიგნი“,

* ქ. მასსე, გვ. 107.

„ამათქარ-ე ზარერანი“ და „ხოსროვ კავალის ძე და ყრმა“. ეს ძეგლები ბევრ რამეში არ ემთხვევა „შაპ-ნამეს“ შესაბამის აღილებს (ისინი ერთმანეთს შეუდარეს), მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ფირდოუსის არ გამოყენებინოს.^{*}

როგორც ვთქვით, წერილობითი ძეგლების გამოყენების ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ ფირდოუსის უარი ეთქვას ზეპირი წყაროების გამოყენებაზე. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ პოეტი ზოგ წყაროზე გვაუწყებს: „არ მსმენიაო“, გვეუბნება: მათზე არაფერი მსმენია და არც რამე წამიკითხავსო. აქ უკვე აშკარაა, რომ ორი რიგის წყაროსთან გვაქვს საქმე, ზეპირთან და წერილობითთან. ფირდოუსის დროს უამრავი სპარსული ზეპირი სიტყვიერების ნიმუში არსებობდა. გაღმოგვცემენ, რომ, როცა ალექსანდრე მაკედონელი შევიდა ირანში, იქ უკვე მღეროდნენ ოდათისისა და ზარიადრესის მომხიბლავ სასიყვარულო ამბავს.^{**} ზეპირი წყაროები ძირითადად საგმირო და სატრიფიალო დასთანები უნდა ყოფილიყო (ზოლი და რუდაბე და სხვა). ირანულ სამყაროში არსებობდა ერთმანეთთან გენეტიკურ კავშირში მყოფი მრავალი დასთანი როსთამის შესახებ. ასევე „გერმასფ-ნამეს“, „ბაჰმან-ნამეს“, „ბარზუ-ნამესა“ და მისთანათა ფოლკლორული წყაროები. ზემოთ უკვე ერთხელ მოხსენიებული ისტორიების ნერშახეს (გ. 959) ცნობით, მის დროს ბუხარაში გავრცელებული ყოფილა სიმღერა „სიმაუშის სისხლის ალება“. ჩაკი იგი სიმღერა იყო, ბუნებრივია, მისი ტექსტიც ტონირებული იქნებოდა და იგი უმაღ ლექსად უნდა ვივულისხმოთ, ვიდრე პროზად. შეუძლებელია, ფირდოუსის არ ცნობოდა ამ ლიტერატურული მემკვიდრეობის ნაწილი მაინც.

* E.Browne, I, გვ. 137; M. Дьяконов, Фирдоуси. Жизнь и творчество. М.-Л.-Д. 1940, გვ. 110. შემდეგში: M. Дьяконов. В. Луконин, Древний, 177; ქარამე-ე შაპ-ნამე, დარ რაკმათ-ე ირან-ე ბასთან, თალიფ-ე ართურ ქრისტენებს, თარგმ-ე ბაკერ ამარანენ კა ბაქმან სარქანოთ, თამარან, 1350, გვ. 28. ვლუյონინი პარალელებს ავლებს რა „შაპ-ნამეს“ ამა თუ იმ აღილსა და ფალაურ ენაზე შემორჩენილ ძეგლებს ცერძოდ, „ხოსროვ კავალის ძე და ყრმას“ შორის, წერს: „შედარება, როგორც ჩანს, საინტერესოა იმისათვის, რათა შევაფასოთ ფირდოუსის მიღებოდა ტექსტისადმი, რომელსაც ის ლექსას“ (В. Луконин, გვ. 360 ხაზი ჩენია. — მთა მაგრამ ჩვენ განა დავამტერიცეთ. რომ ფირდოუსიმ გალენის „ქარ-ნამაჟი“ ან „ხოსროვ კავალის ძე და ყრმა“ არა ისინი ფირდოუსის წყარო არის თუ არა, ჩვენ დანამდევილებით არ ვიცით.

** J. მასსე, გვ. 26.

იგი, ხორასნელი დეპუნის შვილი, ხომ ამ ხალხური სიტყვიერების ტრადიციებზე იქნებოდა აღზრდილი.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ფირდოუსის, როგორც მხატვრის, როლი სპარსულ ლიტერატურაში, გარევეული მნიშვნელობა აქვს იმის დაზუსტებას, თუ რა მიმართებაშია ჩვენი პოეტი თავის წინამორბედებთან. მათი ეპიკური ქმნილებები კი მხოლოდ ფრაგმენტების სახითა გვაქვს შემორჩენილი.^{*} ფირდოუსიმ დიდი ლიტერატურული, მათ შორის ეპიკური, მემკიდრეობა მიიღო. უთურდ სწორი იყო ცნობილი ირანისტი დავით კობიძე, როცა წერდა: „რუდაქისა და აბუ შექურის შემოქმედების გარეშე ძნელად საფიქრებელი ფირდოუსის შეეთხზა ისეთი გენიალური პოემა, როგორიც შაპ-ნამეა“.^{**} მეცნიერი უფრო შორს მიდის, აანალიზებს რა რუდაქის საგმირო შინაარსის შემცველ ბეითებს, გამოთქვამს ვარაუდს, რუდაქი „შესაძლებელია „შაპ-ნამეს“ ზოგიერთი ეპიზოდის ავტორიც იყოსო“.^{***}

ჩვენ საგანგებოდ გვექნება საუბარი ფირდოუსის უდავო წინამორბედზე, დაყიყიზე, — აქ კი მაინც გამოვყოფთ სამ პოეტს, რომელთაც ამ დროისათვის „შაპ-ნამე“ ჰქონიათ: „ყაბრუ-ნამესა“ და თაბარის ისტორიის ბალ'ამსესული თარგმანის წინასიტყვაობაში „შაპ-ნამეს“ (უფრო ზუსტად: თხზულებას რქმევია „დიდი შაპ-ნამე“) ავტორად იხსენიება აბუ მო'ამად ბალხელი. აბუ რედან ბირუნის წიგნში „ალ ასპრ ალ-ბაყიმა“ იხსენიება აბუ ალი მოჭამმად იბნ აქმად ბალხელის ამავე სახელწოდების წიგნი (ცროზენის აზრით, ეს თხზულება, შეიძლება, სწორედ ის ცნობილი აბუ მანსურ იბნ აბდ არ-რეზაყის, „შაპ-ნამე“ იყოს. ასეთი მოსაზრებისაკენ იხრება თაყი-ზედეც, თუმცა არც ერთს და არც მეორეს რაიმე საამისო საბუთი არ გააჩნია).^{****} ყაბრუ-ნამეს თავის წიგნში „ღურარ აბბან მულუქ ალ-ფარს უა სამრუქუმ“ გაგვაცნობს „შაპ-ნამეს“ კიდევ ერთ ავტორს, მას-ული მარვაზნს. მეოთხე თხზულებად აქ შეიძლებოდა, დაგვესახელებინა აბუ'ალი ბალხს „შაპ-ნამე“, რომელზედაც ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი და რომლის შესახებაც აღვნიშვნეთ, რომ ვბარტოლდს ეს ავტორი დაყიყისთან აქვს გაიგივებული. ყველა თუ არა, ზოგი ამათგანი, ალბათ, წაკითხული

* იქ აშორი ქამასრონი რუდაქი. სტალინობოდ, 1958, გვ. გვ. 4, 42, 57, 122, 123.

** დაყიძე რუდაქი, ქრ. „რუდაქი“, თბილისი, 1957, გვ. 55.

*** იქვე, გვ. 55. A.T. Tagirov-Janov, Roudaki. Жизнь и творчество. История изучения. Л-Д, 1968, გვ. 301. ჩვენი აზრით, რუდაქის, შესაძლებელია, გალექსილი ქებონდა „ერთ-ო რამინი“ (იქ ა. მოღლუა ნამი ისპანელის „ერთ-ო რამინი“, „ესეთის უზრუნველისი ტერიტორიის მომბე“, 1993 წ. N 1 გვ. 34).

**** თაყი-ზედე, გვ. 153.

ქეონდა ფირდოუსის და ის ეპითეტები, რომლითაც იგი იხსენიებს „შაჰ-ნამეს“ ზოგ ავტორს, ალბათ, სწორედ მათ ეკუთვნის. ის კი არა, შეიძლება, სწორედ ზოგ მათგანს გულისხმობდეს დაყუყი, როცა წერს: ჩონბრ გოჭთ გუმანდე — „ასე თქვა მთქმელმა“ (გვ. 1544). ასე რომ, ფირდოუსის ხანაში, მე-9-მე-10 საუკუნეებში, „შაჰ-ნამეს“ მხატვრული ვარიანტის შექმნის ციებ-ცხელება მდგარა. მასალებიც ბევრი ყოფილა და ამ მასალათა დამშუშავებლებიც. მაგრამ აქ საქმე გაიოლებულად არ უნდა წარმოვიდგინოთ. ეს მასალებიც მზამზარეული როლი ელაგა ჩვენ პოეტს. იგი თავად მოიპოვებდა წყაროს, ამოწმებდა მათ, არჩევდა, ეძიებდა მის ვარიანტებს. ერთგან იგი ასახელებს ერთი ამბის სამ წყაროს: „ამ ამბავზე მთქმელმა თქვა, მეორე ამბობს ძველ ამბავს“ (გვ. 764). აქ სამ ინფორმატორთან გვაქვს საქმე. ერთმა მთქმელმა თქვა და ამასვე ამბობს მეორე მთქმელი, რომელიც თავისითავად ძველ ამბავს იმეორებს. სხვაგან პოეტი გვაუწყებს: „დღევანს ვკითხე მე ძველ დროებაზე. მან ნაშროვნები ეს მიამბოო“ (გვ. 2402), „ჩემი წყაროები სხვადასხვა იყო და გაფანტული. ჩემი ნათქვამით ცოემით. — მ.თ.) შეიკრიბა ისინი, მე გავაერთიანეო“ (გვ. 2553). ფირდოუსიმ საბოლოოდ შეაჯამა სიისთანური და ზაბულისთანური საგა ირანული ტრადიციის მდინარებაში.* „ფირდოუსი დიდოსტატურად უკავშირებს ერთმანეთს ქრონოლოგიური ჯაჭვის რგოლებს... უველას უხილავად აერთიანებს საგმირო ეპოსისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და ხერხები“** ამ ერთმანეთო-საგან დამოუკიდებელ მასალებს, ჯერ ერთი, მოძიება უნდოლა, შემდეგ აუცილებელი იყო მათთვის აღვილის მიჩენა ეპოპეაში. და ბოლოს, როცა უკვე ქურაში ეწყო მადანი, საჭირო იყო მთავარი რამ: მაღალი ტემპერატურის პოეტური ცეცხლი, რათა ყველაფერი ეს ერთად გადამდნარიყო, ვინძლო თვისიობრივად ახალი მონოლითი მიგველო. ტუშილა კი არ ფიქრობენ, რომ „შაჰ-ნამე“ დაახლოებით იგივე ლიტერატურული კრებულია, რაც „ხოდამ-ნამე“, მაგრამ მასში, განსხვავებით თავისი წყაროსი, ეროვნული სულია ჩადგმულიო.*** ფირდოუსის კიდევ ერთი დამსახურება კაცობრიობის წინაშე ისაა, რომ მან, და მხოლოდ მან, გადავირჩინა ირანული მხატვრული და მეცნიერული აზროვნების უამრავი შედევრი. მართალია, როგორც შენიშვნავენ, ფირდოუსიმ მემკვიდრეობით მიიღო (თუნდაც დაყრყისაგან) „შაჰ-ნამეს“ არა მარტო წყაროები,

* Jan Rypka, Iranische Literaturgeschichte. Leipzig, 1959, გვ. 160.

** ა. გვარია, ფირდოუსი, თბ., 1963, გვ. 3 შემდეგში: აგვახარია.

*** ქალაქ ჩალეუქ მოთლიუ, ანსარ-ე დასტ დარ მარჩი აზ დასთანქ-მე „შაჰ-ნამე“. „ირან-ნამე“, 1370, შომარუ-დე ავალ, გვ. 52.

არამედ მისი ერთგვარი ქარგაც, მაგრამ არ უნდა დავიკიწყოთ, რომ მას თავისი, საკუთარი, მოდელი უნდა შეექმნა. მან ის შექმნა. და ეს მოდელია დღეს ერთადერთი და გენიალური.

როგორ ეპირობოდა ფირდოუსი თავის წყაროებს, საკუთარი ფანტაზიის მიხედვით გადაამუშავებდა, თუ ბრძად მისდევდა მათ? ზოგჯერ ფიქრობენ: რადგანაც ეპოპეაში ზოგი ეპიზოდი რაიმეთი (ცროლოვით ან ეპილოვით) არ არის გადამტული მეზობელ ეპიზოდთან, ეს იმას უნდა ნიშავდეს, რომ ფირდოუსი იგი სრული გულდაჯერებით გარდათქვა ლექსად, ყოველგვარი გადამუშავების გარეშე.⁹ როგორც უკვე ვთქვით, მეფეთა შესახები მოკლე ინფორმაციები, ალბათ, იმით არის გამოწვეული, რომ არც წყაროში იყო მეტი ცნობები. ფირდოუსი რაიმე ისტორიული ხასიათისას, არამხატვრულს, არაფერს უმატებს თავის წყაროებს. ზოგჯერ ის იტყვის: „წყაროში რაც ნათქვამია, შეიძლება, არ მოგეწონოს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა, უნდა მოისმინოთ“ (ვ. 1050). სხვაგან ის იტყვის: „დავასრულე ქამასის ბრძოლაც. გრძელია. მისგან ნამცეციც არ გამომიტოვებიათ“ (ვ. 1048). ჭავაჭვალი ფიქრობს, პოეტი წყაროებს მხოლოდ ლექსავდა, მისთვის არ გადაუხვევიათ. ¹⁰ ეს თუ ასეა, მაშინ „შაპ-ნამეს“ დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც საისტორიო წყაროს. ¹¹ მ.დიაკონოვის აზრით, ფირდოუსი თავად იძლევა ახალ ვარიანტს. იგი ქრონიკებიდან ყველაფერს არ იღებს. ზოგ მეფეზე იმეორებს იმას, რაც წყაროშია, ზოგს კი, რომელიც მის ფანტაზიას საკვებს არ აძლევს, მხოლოდ ჩამოთვლის. ¹² ეს მოსაზრება ძნელად გასაზიარებელია. ასეთი დასკვნა შეიძლება კაცმა გამოიტანოს იმის შედეგად, რომ, ვთქვათ, ზოგი წყაროს ინფორმაცია განსხვავდება ჩვენი პოემის შესაბამის ადგილისაგან. მაგრამ განა ჩვენ ვიცით, რომ მაინცდამაინც ეს წყარო ეპურა ხელთ ფირდოუსის ანდა, ასეც რომ ყოფილიყო, განა გვაქვს იმის გარანტია, რომ ხელნაწერებში სხვაობა არ იწენდოდა?

როგორც უკვე ვუთითებდით, ფირლოუსი ასეც იტყვის: დამ-
თავრდა ესა და ეს ამბავი, მისგან მე არაფერი დამიკლია, როგორც
მოვიპოვე, ისე გადმოვცემო. დავიხსომოთ ეს ფაქტი, იგი ჩვენ

* J. 2006, 33, 235

*** მაგისტრული სახი, ქემიკურისტი დარ ისან, ეკლე-ზ ველა, ა. 100.

*** ფირფოლუსის მეტე მითითებული მეცნიერებული გვ. სა
მერწილად სანდო არაა მაგრამ აქ თავად პოეტი როლია დამაადვი ხელანძერებიც
სკოლაშვილი. მაგ, ბაქტომ გურის ჟღობის ხაზად პოემაში 63 წელს ვკითხულობთ,
რომ ის ისტორიულ წყაროება 23 წელს მიუთითებენ. ირკვევა, რომ ბისთ
(„ოცუ“) შეუცვლიათ ისახით („სამოცუი“) იხ. შეუტრ შეამნით, დარ ჭამიდუ-დე
„შე-ნამე“, „ორანიო-ო მარტომ“, შომაჩუ-დე 153-154, გვ. 112.

**** М. Дьяконов, зз. 54

ქვემოთაც დაგვჭირდება, როცა ფირდოუსის მხატვრულ ხერხებზე გვექნება, საუბარი.

ფირდოუსი და დაყიყი

„შაპ-ნამეში“ გვაქვს ისეთი ფაქტი, რომელსაც სპარსულ პოეზიაში ანალოგი არ მოეპოვება, — ფირდოუსის თავის ეპოპეაში ჩართული აქვს სხვისა პოემა, კერძოდ, მისი თანამედროვე პოეტის „აბდ ალ-ლაჰ დაყიყის „შაპ-ნამე“. ფირდოუსი ხომ ქრონოლოგიურად მიუკვება თავის თხზულებას. და აი, როცა ის მიადგება მეფე გოშთასტა და ირანში ზოროასტრული რელიგიის შემოღებას, თვითონ წყვეტს თხრობას და, ასე ვთქვათ, სიტყვას აძლევს დაყიყის. აქ მას რამე ბარიერი არ ელობება, — ამ უკანასკნელის პოემაც მოთაყრების ზომითაა გაწყობილი, პირდაპირ გადადის მის ტექსტზე. მოაქვს მისი ორიათასტაეპიანი პოემა (თუ პოემის ნაწილი) და მის შემდეგ ისევ თავად განაგრძობს თხრობას. თანაც გვეუბნება: აი, აქ იწყება დაყიყის ლექსიო. რომ ჩამოათავებს, გვაფრთხილებს: აქ დამთავრდა დაყიყის თხზულებაო. მაგრამ ამასაც არ სჭერდება პოეტი და თავის პოემის შესავალშიაც საგანგებოდ მოვითხრობს დაყიყისადმი მიძღვნილ თავში: „პოეტი დაყიყის ამბავი“ (ცვ. 8). ამ ათბეეთიან ტექსტში პოეტი გვაუწყებს: ერთი ახალგაზრდა გამოვიდა მჭერმეტყველი. სიტყვას (ლექსს) კარგად ამბობდა და გონებანათელი იყო. თქვა: ამ წიგნს მე გავლექსავო. ამით ხალხის გული გაახარი. მის ახალგაზრდობას ავი ბუნება ერთო, სულმუდამ ამ სიავესთან ჰქონდა ბრძოლა. მას უეცრად დაეცა სიკვდილი და თავზე ბნელი მუზარადი დაახურა. იმ ავი ბუნებით განუტევა ტკბილი სული. ამ ქვეყნისაგან ერთი დღე არ ჰქონია გული გახარებული. ერთბაშად აქცია ბედმა მას ზურგი. ერთი მონის ხელით მოკლულ იქნა. წავიდა ის და ეს წიგნი დაუმთავრებელი დარჩა. ასე დაიძინა მისმა მღვიმია ბედმა. უფალო, შეუნდე მას ცოდვანი მისნი, მეორედ მოსვლის დროს აღმატება მიეცი მის ლირსებას!“ (ცვ. 9). როგორც აღვნიშნეთ, გოშთასბის ამბის დაწყების წინ ფირდოუსი გვაფრთხილებს: აქ იწყება დაყიყის ლექსიო. ეს პოეტს თავისი გადამდებური მხატვრული ხერხითაცა აქვს გადმოცემული, — მას დაყიყი სიზმარში გამოეცხადება. თავსაც ასეთი სათაური აქვს: „ფირდოუსის მიერ დაყიყის სიზმარში ნახვა“. ფირდოუსი გვიამბობს: „ერთ ღამეს [ამის] მთქმელმა ასეთი სიზმარი ნახა: გოლაბის მსგავსი ჯამი ეჭირა ხელში. დაყიყი გამოეცხადა მას და იმ ღვინის ჯამზე ამბები თქვა:

ფირდოუსის ხმა უყო: „...ამ წიგნს თუ მოაშურე, რაც იძიე, ყველაფერი მოიპოვე. ამის შესახებ მე აღრე ვთქვი ლექსი, თუ იპოვი, ნუ იძუნწებ! გოშთასბისა და არჯასტის შესახებ ათასი ბეითი ვთქვი და გათავდა ჩემი სიცოცხლე. თუ ეს განძი მეფესთან მიაღწევს, ჩემი სული მიწიდან მთვარემდე აღზევდებაო“. ახლა მე მოვყვები ლექსი, რომელიც მან თქვა. მე ცოცხალი ვარ, ის კი მიწაშია“ (გვ. 1495). ათასი ბეითის შემდეგ კი მანამ, სანამდის დაიწყებოდეს თავი: „არჯასტის ლაშქრის ჩამოსვლა ბალხში და ლოპრასტის მოკვლა“, ფირდოუსი ჩაურთავს თავს: „დაყრის ნათქვამის დამთავრება და ფირდოუსის კვლავ გამოსვლა“ (გვ. 1554). აქ პოეტი გვაუწყებს: „დაყრისმ აქამდე მოიტანა ლექსი, საწუთრომ ძირით მოთხარა მისი სიცოცხლე. ამ წუთისოფლიდან მოსტაცა მას სული, მას შემდეგ, რაც მრავალი ტანჯვა მიაყენა. მისგან სახსოვარი არ დარჩენილა ქვეყნად, გარდა ამ უსუსური ლექსებისა. ვერ იცოცხლა მან, რომ დაესრულებინა [ეს] წიგნი და მასზე ბოლომდე გაეტარებინა კალამი. ახლა ფირდოუსის ლექსი მოისმინე, ფაქიზი და გულში ჩამწვდომი სიტყვები. როცა ეს წიგნი ჩამივარდა ხელში, ჩემს ანკესს თევზის დაჭრა მოუნდა. გავსინჯე ეს [მისი] ლექსი და სუსტი მეჩვენა, ბევრი ბეითი გაუმართავი გამოდგა. მე ეს დავწერე, რათა მეფემ უწყოდეს უმაქნისი სიტყვის ამბავი. ამ ორი ძვირფასი თვლებით მოვაკრესთან ორი მარგალიტი იყო, ახლა შაპი უგდებს ყურს [ჩემს?]. ნათქვამს. თუ შენ ამგვარად გინდა ლექსის თქმა, ნუ იტყვი და ნუ მიაყენებ ჯაფას შენს თავს. როდესაც სულზე ბორკილს იდებ და ტანს იტანჯვა, ნუ თხრი იმ ქანს, სადაც ძვირფას ქვას ვერ იპოვნი. როდესაც ბუნება ანკარა წყაროს მსგავსი არა გვაქვს, „მეფეთა წიგნს“ ნუ ეპოტინები. პირში ლუკმა რომ არ ჩაგივარდეს, ისა სჭობს, ვიდრე უკეთური სუფრა გაშალო“ (გვ. 1054).

საქმეს ართულებს სხვა წყაროთა ინფორმაცია. ’აუქი, როგორც ვნახეთ, გვაუწყებს: „შაპ-ნამეს“ გალექსვა დაყრისმ დაიწყო და მისგან (ე.ი. მთლიანი „შაპ-ნამედან“. — მ.თ.) ოცი ათასი ბეითი დაყრის ეკუთვნის, დანარჩენი სამოცი ათასი ბეითი ფირდოუსის ნათქვამიაო“.* ჰამდლა ალ-ლაჰ ყაზვინის ცნობით, დაყრისმ დარჩა სამი ათასი ბეითი. კჩიკინბა სორურის „მაჯმა-ჟ ქორსში“

* ლობაბ, გვ. 269.

** E. E. Berthelot, История, გვ. 195 Tarikh-i Guzida of Hamdullah Mustawfi. GMS, XIX. London, 1911, გვ. 38 შემდეგში Tarikh-i Guzida.

ყურადღება მიაქცია თაყპრობის ზომით გაწყობილ 14 ბეითს, რომელიც საგმირო ხასიათისაა და მექნევის ფორმით არის გამართული. ისინი დაყრყის „შაპ-ნამეში“ არ იკითხება. აქედან კ-ჩაიკინი ასკვნის მიაჩნია რა ისინი დაყრყის უსულიდ, დაყრყის ათას ბეითზე მეტი უნდა ჰქონდა გალექსილიო. მკელევარმა აქ ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ფირდოუსი წერს: ჩემამდე სამი ათას ბეითზე მეტის შემცველი პოემა არავის ჰქონია ამ თემაზე დაწერილიო. და აქ ფირდოუსი, ალბათ, დაყრყის პოემას გულისხმობს. ოცი ათასი ბეითი უნდა დარჩენოდა დაყრყის დ.კომიტესის აზრითაც. აქედან კი ფირდოუსის მხოლოდ ათასი ბეითი უნდა შეეტანა თავის პოემაში, თანაც იმისთვისაც რედაქცია უნდა გაეკეთებინა. — თ.ნოლდეკეს აზრით, დაყრყის თავიდან უნდა დაეწყო მეფეთა წიგნის გალექსვა. იგი აქ ორ არგუმენტს იშველიებდა: 1) ფირდოუსის პოემაში ჩართული დაყრყის ნაწილი მოსხლეტით იწყება. 2) 'აუქს' ცნობით, დაყრყიმ ოცი ათასი ბეითის დაწერა მოასწრო. — ა.გვახარია ფიქრობს: „იქნებ ფირდოუსი ერთგვარად თავსაც იზღვევდა მუსლიმანური რეაქციის წინაშე, ვინ იცის! ვინ იცის, ეკუთვნოდა კი ის ათასი სტრიქონი დაყრყის, ან განა მარტო ათასი?“ ეს მოსაზრება (რომ შეიძლებოდა, ფირდოუსის ჰქონოდა შიში, ზოროასტრიკელობის ქადაგება არ დამჭამონ) კარგა ხანია, გამოთქმულია. 1934 წ. ფირდოუსის დაბადებიდან ათასი წლის თავისადმი მიძღვნილ იუბილეზე ინდოელ ირანისტს მ.ჩეჩიავეს წაუკითხავს მოხსენება, რომელშიაც თურმე ამტკიცებდა, რომ იმ ათასი ბეითის ავტორიც ფირდოუსია. მას ეშინოდა, ამ ეპიზოდის ავტორობისა გამო არ დამსაჯონ და ამიტომაც მიაწერა იგი დაყრყისო, ეს კი სრულიად დაუკერებელია, — ისე განსხვავდება დაყრყის სტილი ფირდოუსის სტილისაგან. დაყრყის ნაწილი მართლაც ერთგვარად მოსხლეტით იწყება. მაგრამ ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ თვითონ დაყრყიმ სწორედ ამ აღვილიდან დაიწყო მეფეთა წიგნის გალექსვა, იქნება, მას ირანის დანარჩენი ისტორია არც აინტერესებდა. ის გამოკვეთილი ზოროასტრიკელი იყო (მდრ. მისი ლექსი: „ოთხი რამ აირჩია დაყრყიმ“) და ეგებ ზოროასტრიზმის ისტორიას მიაპყრობდა თავის

* Ю.Н. Mapp, К.И. Чайкин, გვ. 148.

** დაკომიტე, რუდაქი, „რუდაქი“, თბ., 1957, გვ. 55 მისივე, სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973, გვ. 144.

*** Tarikh-i Guzida, გვ. 88.

**** ა.გვახარია, ფირდოუსი, გვ. 23.

ყურადღებას. დაყრიც ვალდებული არ იყო, თავიდან დაეწყო  მეფეთა შესახებ არსებული ციკლის გალექსვა და ბოლომდე ჩაეთავებინა იგი. საამისოდ ჩვენ სხვა მაგალითებიც ვიცით. პომეროსმა, მაგალითად, მთელი ტროის ოში და მასთან დაკავშირებული პერიპეტიები კი არ გალექსა თავის „ილიადაში“, არამედ — მისი ერთი, კერძოდ, აქილევსის გაბრაზების ეპიზოდი. მაგრამ აქ გარკვეული უნდა იყოს საკითხი: ბირჟნის მიერ „შავ-ნამეს“ ერთ-ერთ ავტორად დასახელებული აბუ ’ალი მოჭამად იმან აჭმად ბალხელი იგივე დაყრიც თუ არის, როგორც ამას ვბარტოლდი ფიქრობდა, მაშინ მას, თუ ბირჟნის ვერწმუნებით, თავიდან ჰქონია დაწყებული მეფეთა წიგნის გალექსვა (უკავი შაქარა აბუ ’ალი მუქამად იბნ აჭმად ალ-მალხ ალ-შა’ირ ჭა ალ-შავ-ნამათი ჰაჭა ალ-ჰადის ჭა ბაღვი ალ-ინსანი — „მოხსენიებული აქვს პოეტი აბუ ’ალი მოჭამად იბნ აჭმად ბალხელს [თავის] „შავ-ნამეში“ ეს ამბავი [თავში] „კაცობრიობის დასაბამი“).*

როგორც ვნახეთ, ფირდოუსი არ არის მაღალი წარმოდგენისა დაყრიცს ლექსზე. პოეტს ამაში ეთანხმება ე.ბერტელსი, თუმცა იგი შეძრწუნებულია ფირდოუსის სისატიკით.^{*} ეს-ესაა ზემოთ მოვიტანეთ დ.კობიძის შეხედულება: სწორედ იმის გამო, რომ დაყრიცს ლექსი მდარე იყო, ფირდოუსის მისთვის ჩალხი უნდა გაეკრაო. მაგრამ რა ვუყოფ იმ ფაქტს, რომ თავად ფირდოუსი ამაზე არაფერს გვეუბნება? რა უშლიდა მას ხელს, ბარემ ესეც ეცნობებინა ჩვენთვის? ფირდოუსი უთუოდ ტენდენციურია. დაყრიცს სხვა ლექსები შემორჩენილია და მათი მაღალი დონე არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მათ აეტორზე ასეთი წარმოდგენა ვიქონიოთ. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, „შავ-ნამეში“ შემონახული დაყრიცსეული ტექსტი ფირდოუსის ლექსთან თვალში საცემ კონტრასტს ქმნის. მათ შორის მკვეთრი მიზნა გაივლება, მიუხედავად იმისა, რომ აქ ორი ფაქტორი შეიძლება მოქმედებდეს: 1) დროთა ვითარებაში გადამწერლების ხელში დაყრიცსა და ფირდოუსის სტილისტურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ტექსტი ერთ ქვაბში იყოს მოხარული. 2) ფირდოუსის, თუ მან რედაქცია გაუკეთა დაყრიცს ლექსს, დაემგვანებინოს ის. დიახ, დაყრიცს ლექსი ვერ აღის ფირდოუსის ლექსის დონეზე, მაგრამ სხვაობის მიზეზი მარტო დონე არ არის. დაყრიცს ლექსი, როგორც სამართლიანად

* ბაქარ; II, გვ. 2

** Е.Э. Бертельс, История, გვ. 167.

შენიშნავდა ი.მარი, დაწერილია სხვა ენაზე, სხვანაირია აქტების წესი, სხვაგვარია ფრაზათა აგებულება, სხვაგვარი მნიშვნელობისაა შისი სიტყვები.* ი.მარი მიუთითებდა დაყიყის სტილის ერთ თავისებურებაზე, კავშირების გამოყენებაზე რითებად (იქვე). ჩვენც მივუთითებთ ზოგ ასეთ მოვლენაზე. შეიდგითში 15-ჯერ არის განმეორებული ჰამეტ (გვ. 1510). დაყიყი, ბრძოლას რომ აღწერს და გმირების სიკვდილს რომ გვაუწყებს, რეჩიტატივად იტყვის: აფსუსო!

დარი ან ნექტრე-აე თაბან ჩი მაპ
„აფსუს ის ლაგაზი, მოკარესავით მანათობელი სახე!“ (გვ. 1523).

დარი ან შაპ-ე ფარვარდე ბე ნის

„აფსუს ის ნახად გაზრდილი შაპი!“ (გვ. 1524) და ა.შ. რაც ფირდოუსის ტექსტში არ გვხვდება.

დაყიყისათვის ფრსი უფრო რომანტიკული გმირია, ვიდრე — ფირდოუსისათვის (რომელთანაც ეს გმირი ერთგვარიად აბუჩად აგდებულიც კი არის), იგი გმირობის ეტალონია: „იტყოდი, სპასეტი თუსიაო!“ — აღტაცებით წამოიძახებს ხოლმე დაყიყი (გვ. 1523).

დაყიყი ფირდოუსის თანამედროვე იყო, შეიძლება, მისი კბილაც. გავრცელებულია მოსაზრება, თითქოს „შაპ-ნამეს“ გალექ-სვა ფირდოუსის დაყიყის კვალდაკვალ დაეწყოს. ეს ვარაუდი არაფრით არ არის გამაგრებული. შეიძლება, ფირდოუსის დამოუკიდებლად დაეწყოს „შაპ-ნამეს“ გალექ-სვა და დაყიყის „შაპ-ნამეზე“ ინფორმაცია მას გზაში წამოწეოდეს.”

ციტატები

ფირდოუსის არც ისე იშვიათად მოაქვს სხვათა გამონათქვამები. ზარატუსტრას ერთი დარიგების გასხვნება პოეტს ორჯერ დასჭირებულია:

გალექან აექმ დასთან ახთ ნაღნ,

მაგარ ბეშანვად მარდომ-ე ფაქ მაღნ;

ქე ზარდოში გემად ბე „ასთვ-ეო ზანდ“;

ქე პარ ქას, ქე აზ ქერდგარ-ე ბოლანდ,

ბეფინად ბე აექ საღ ფანდამ დეპიდ,

პამან მამე-აე სეუმანდამ დეპიდ.

სარ-ე საღ აგარ ბაზ ნემადად ბე რაპ,

ბეპალალშ ქოშთან ბე ფარმან-ე შაპ.

ჩი ბარ დანდეგარ-ე შაპ დოშმან შავად,

* J.O.H. Mapp, II, გვ. 29.

** Е.Э. Бертельс, История გვ. 178

სარაშ ზედ ბრძან ქე ბი თან შევაღ.

„მაგრამ ერთი კარგი ნათქვამია, ვინძლო გონებანათელმა ხალხმა ისმინოს. ზარდოშთი ამბობს „ზენდ ავესტაში“: ვინც უზენაეს უფალს გადაუდება, ერთი წელიწადი მას კუუ არიგეთ, მიეცით მას სასარგებლო განძი (დარიგება). წლის თავზე თუ სკეთილ გზას არ დაადგა, ხამს მისი მოკვლა მეფის ბრძანებით. როდესაც შაპის სამართლის მტერი გახდება, ხამს თავი ტანიდან ჩეარა მოაცილონ“ (გვ. 2723).

სხვაგან:

ნეშვად ქეზნ ქამ ქონამ აზ ჭოზენ,
ქე ზარდოშთ გებად ბე „ზანდ“ ანდარუნ;
ქე პარ ქას ქე ბარ გერდად აზ დინ-ე ფაქ,
ზე ასზან ნადარად ბე დედ თარს-ო ბაქ,
ბე სალი პარ ბამადაშ დად ფანდ,
ნო ფანდათ ნაბაშად ურა სულმანდ,
ბებადადშ ქოშთან ბე ფარმან-ე შაპ.
ჭეგანდან თან-ე ფორ გონპაშ ბე რაპ.
ნო ბარ შაპ-ე გრთ ბოვად ბალგომან,
ბებადადშ ქოშთან ჰამ ანდარ ზამპან.

„არ ევების ამას დაუკვლო. ზარდოშთი ამბობს „ზენდში“:
ყველა, ვინც წმინდა რეულს განუდება, გულში უფლის შიში და
რიდი არა აქვს, ერთი წელიწადი უნდა არიგო კუუაზე და როცა
შენი დარიგება ვერ გასტრის, ხამს, იგი მოიკლას მეფის ბრძანებით
და მისი ცოდვილი ტანი გზაში გადაიგდოს. როდესაც ქვეყნის
მეუფის ავის მდომელია, ხამს, მოიკლას იგი მაშინვე“ (გვ. 2699).

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქეს არა ზუსტ ციტირებასთან,
არამედ „ზენდში“ ფიქსირებული ზარატუსტრის დარიგების ზეპირ
გაღმოცემასთან. ამ ადგილის მიხედვით, რა თქმა უნდა, შეუძლებელია,
დავამტკიცოთ, რომ პოეტს უშუალოდ „ზენდიდან“ მოპ-
ქონდეს ეს გამონათქვამი. იგი მოარული გამოთქმის სახით
შეიძლებოდა ცოდნოდა მას.

ფირდოუსი ხშირად ესესხება ვინმე მობედს. ვინაა იგი, არ
ვიცით.

სინინ გოფთ მოვბად, ქე მორდან ბე ნაშ
ბეა აზ ზანდე, ღოშმან ბარუ შადქშ.

„ასე თქვა მობედმა: სახელოვნად სიკვდილი სჯობს, ვიდრე
ცოცხალი იყოს [კაცი] და მტერი ხარობდეს მასზე“ (გვ. 484).

ნაბინ ქე მოვბად ბე ხოსროვ ჩე გოფთ
ბედნ გპ, ქე ბეგშად რაც აზ ნეპოფთ:
სოხან, — გოფთ, — ნგოფთ ჩენ გოუმარ ასთ,

ქოჯა ნა ბესტელე ბე ბანდ ანდარ ასთ.
ჩო აზ ბანდ-ო უემვანდ მაბად რაპ,
ლერაპშანდე მოპრ ბოვად ბი ბაპ.

„ვერა ხედავ, რა უთხრა მობედმა ხოსროეს მეფესი), როცა
დაუარული საიდუმლო გამოამუღლავნა. უთხრა: უთქმელი სიტყვა
ძვირფასი თვალივითაა, ყუთში რომ არის უვნებლად დაცული.
როგორც კი გამოვა გარეთ ყუთიდან, მბრწყინავი ბეჭედი
ელვარებას ჰქარგავს“ (გვ. 483).

ჩე გოფთ ანდარნ მოვბად-ე უმშროე:
ქე ჟარგაზ ნაგერდად ქოპან გაშთე ნოუ.

„რა თქვა ამაზე შინამძლოლმა მობედმა: დაძველებული არა-
სოდეს განახლდებაო“ (გვ. 524).

ნონნ გოფთ მოვბად ბე ბაპრამ-ე თიზ:
ქე სუნ-ე სარ-ე ბიკონაპნ მარნ.

„ასე უთხრა მობედმა გაცხარებულ ბაპრამს: უდანაშაულოთა
სისხლი არ დალვაროთ!“ (გვ. 1396).

ფირდოსუსი დამოწმებული ჰყავს ვინმე (პოეტი) „ასე
თქვა ენატებილმა ბაპრამმა...“ გვ. 520); ვინმე „გზის მაჩვენებელი“
(„ამაზე ასე თქვა გზის მაჩვენებელმა...“ გვ. 555; 708); მეფე
(შაპრიმმა) „ამაზე ასე თქვა შაპრამმა...“ გვ. 500); საბატონი
(„სპასპეტმა ამაზე თქვა...“ გვ. 1192); ბალის მოლექსე („შეხე, რა
თქვა ბალის მოლექსემ...“ გვ. 2703); დეპუნი მოლექსე („შეხე,
დეპუნმა მოლექსემ რა თქვა...“ გვ. 117); ანონიმი ხანდაზმული
(„მაგრამ ასე თქვა იმ ხანდაზმულმა...“ გვ. 84); მაკანი („ამაზე ერთი
რამ თქვა ერთმა კაცმა...“ გვ. 2703). აქ უნდა შევნიშნოთ, რომ
ორიგინალში ყველგან გვაქვს არა „თქვა“, არამედ: „დასთანი თქვა“
(„რა კარგი დასთანი თქვა“ და ა.შ.). დასთანი ამ კონტექსტში
„ურთიან სიტყვას“, „მოსწრებულ გამოთქმას“ ნიშნავს და არა
ამბავს. პოეტი გავვაცნობს მათ გამონათქვამებს.

ჩევნს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ციტატები, რომლებ-
შიაც გამოთქმული აზრები მიეწერება ცხოველებს: „ამაზე ერთი რამ
თქვა ვეფხვმა, როცა ბრძოლის დროს ქანგი გაიმახვა: ჩემი სურვილი
ბრძოლაა, ჩემს მამას პაპაჩემისგან ჰქონდა მიღებული ასეთი ბუნება.
მამის ნიშანი შვილზე გადადის. მისგანა აქვს ნება, რომ [მისი] უნარი
დაკანინოს!“ (გვ. 181). „ასე უთხრა თავის ლექს მებრძოლმა ვეფხვმა:
ჰერ უნარიან, ბასრი ბრკვალების მქონე შვილო! კარგად რომ არ
გასინჯო, ისე საქმეში ნუ იჩქარებ. ჯერ აწონ-დაწონე საქმე“ და ა.შ.
(გვ. 117); „ამაზე ასე თქვა ვეფხვმა...“ (გვ. 2980); „ამაზე თქვა ვეფხვმა,

როცა იგი ლომთან გავიდა საბრძოლველად...“ (გვ. 1154); „შენ გაგიგონია, ნიანგს რა უთხრა ვეფხვმა, როცა წყალში...“ (გვ. 1114); „მძვინვარე ლომმა თქვა: როცა ირემს სიცოცხლე უთავდება...“ (გვ. 730); „შენ გაგიგონია, მძვინვარე ლომმა რა უთხრა მგელს?..“ (გვ. 1151); „ძუ ლომმა ამაზე თქვა...“ (გვ. 134); „ნიამორს უთხრა გაბრაზებულმა ჯიხვმა...“ (გვ. 1180). ზოგჯერ აქ ასეთ გამონათქვამთა ავტორად გვევლინება უსულო საგანიც: „შეხედე, რა უთხრა გორგონმა თუკ...“ (გვ. 1396).

თოთქოს უნდა გვეფიქრა, რომ საქმე უნდა გვქონდეს რომელილაც ცხოველთა ეპოსთან (თუ ეპოსებთან), რალაც თხზულებასთან (თუ თხზულებებთან), რომელშიაც მოქმედ გმირებად ცხოველები უნდა უფლისყვენ გამოყვანილი. თანაც თავისი ხასიათით ეს თხზულებანი უფრო დიდაქტიკური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ არის კი ეს ასე? ხომ არა გვაქვს აქ ცხოველთა ხასიათთან დაკავშირებული გასიუჟეტებული ანდაზები თუ გამოთქმები, ვთქვათ, ისეთი, როგორცაა ქართული ანდაზა: „თევზმა თქვა, სათქმელი ბევრია, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო“. ანდა: „სირაქლემას უთხრეს: გაფრინდიო! უპასუხა: მე აქლემი ვარო. — მაშინ ტვირთი აიკიდეო! — უპასუხა: ფრინველი ვარო“. ანდა კიდევ: „ჭორს ჰეითხეს: მამაშენი ვინ არიო? უპასუხა: დედაჩემი ცხენიაო“.

ლირიკული წიაღსვლები

სპარსული ლიტერატურის ლირიკული წიაღსვლები ამ ბოლო ხანებამდე საგანგებო კვლევის საგანი არ ყოფილი. საერთოდაც ლიტერატურის თეორეტიკოსები მას ძალიან ცოტა ყურადღებას უთმობენ.* დღემდე განსაზღვრული არ არის თვითონ ცნება, გამიჯნული არ არის იგი მონათესავე კატეგორიებისაგან.

„შაჰ-ნამეში“ მრავალი ლირიკული წიაღსვლაა. ჩვენ არ ვიცით, ვინმე ჰყავს თუ არა ფირდოუსის აქ წინამორბედი. არ ვიცით, რაღან ფირდოუსიმდელი ეპიკური თხზულებებიდან მხედველო-

* ამ მხრივ გამონაკლისია მარინე მიქაშვილის შრომების გმირაშვილების წიაღსვლების პოეტიკის საკითხი ნიზამის პოემებში. „ჩემუერენციის პრობლემები ენასა და ლიტერატურაში“. თბილისი, 1987 წ; მისივე კოტექსტისა და წიაღსვლის ურთიერთმიმართების ზოგი საკითხი ნიზამის პოემებში. „შაჰნე“ ცინისა და ლიტ. სერია, 1988, N 2. M.Ш. მიკაშავიძე, Авторские отступления в поэмах Низами Гянджеви (Автореферат). М., 1988 г.

ბაში გვაქვს რუდაქის პლეადა) მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი, რაც შეეხება მის თანამედროვეთ (დაყიყის, 'ონსურას', 'ადუყის'), მათს პოემებში წიაღსვლები გვაქვს.^{*} განსაკუთრებულ ვითარებას ქმნის 'ადუყის' ლირიკული წიაღსვლები, რომელიც წარმოადგენს პოემაში ჩართულ უცხო სხეულს, ღაზელებს. დაყიყის პოემაში ლირიკული წიაღსვლები არა გვაქვს. შეიძლება, ისინი არც ჰქონდა მას. მაგრამ რომც ჰქონდა, ფირდოუსი ამოილებდა მათ, — თავის ეპოპეაში სხვისი განცდების ჩატოვება მის საკუთარ სამყაროს ვერ გამოახატვინებდა. ფირდოუსის შემდეგ ლირიკული წიაღსვლები თავიანთი პოემების აუცილებელ კომპონენტად გაიხადეს ნეზამი, ხოსრო დეპლევიმ, ჯმიმ. გამოთქმულია მოსაზრება და, როგორც ჩანს, იგი სწორია, რომ საყი-ნამეს უანრის გაჩენა სპარსულ პოეზიაში ფირდოუსის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. ^{**} მართლაც და თავის ლირიკულ წიაღსვლებში იგი ხომ ხშირად მიმართავს მწდეს, მოუტანოს ღვინო და ამით გააქარგებინოს მას დარღი. ირანელი მეცნიერის მ.-ჭ. მაჟკურის აზრით, საყი-ნამე და მოლანნი-ნამე, როგორც უანრი, პირველად ქახრ ად-დინ გორგანისთან უნდა გვხვდებოდეს ^{***} ჩვენდა თავად დავძნენით, რომ საყი-ნამეს თემა გვხვდება გორგანის თანამედროვე პოეტის 'ადუყის' რობაიშიც). ^{****} თავად თემას თუ გამოვეკიდებით, 'ომარ ხამიაში' იმითაა თავისი ბური, რომ ცალკე უანრად აქვს საბოლოოდ რობაი ჩამოყალიბებული და ცალკე სალექსო ფორმაც აქვს საამისოდ შერჩეული, თორემ თემატიკითა და განწყობით იგი ფირდოუსის გამმეორებელია. ამა დაუკვირდით ფირდოუსის ამ ლირიკულ წიაღსვლას, იგი ხამიაშის რობაის თუ არ მოგაგონებთ, ამ უკანასკნელის მთავარი კომპონენტები უკვე არის მასში:

ჩინინ ასთ ქარ-ე სარა-ა-ე სეფანჯ,
ჩი დანინ, ქე ანდარ ნერანი, მარანჯ.
მახურ ანდე-ო ბადე ხურ რე-ო შაბ,
დელათ ფორ ზე რამარ, ფორ ას ხანდე დაბ.

* იხ. ასეთი წიაღსვლები 'ონსურას' პოემაში ბეითები NN 44, 45, 47, 48, 54, 89. მასზე: *Инга Каладзе*, Эпическое наследие Унсуфи. Тб., 1983. გვ. 62-63, 65.

** ფარმოტბაზე გურურბი, ნაბარი ბე „შა-ქანმე“ ვა თასტირე ან მარ საყი-ნამექა. მონარო-ო მარტომ, მომარტომ-ე 153-154, გვ. 97.

*** მოქამარ-ქარტურ მაჟკური, მასინავთ სარა-ა-ე დარ ზაბან-ე ფარსი თა ფაშან-ე ყარნ-ე ფანრომ-ე ქერი. „ნაზრიდე-ა-ე აღამიშამ-ო თამარტბა“, სალ-ე ფანზოპამ, მომარტომ-ე სევვომ, 1342, გვ. 27.

**** მაგალი თოლუა ქართულ-სპარსული ეტიუდები III თბ. 1971 გვ. 193.

„ასეთია ამ ძველი სახლის (წუთისოფლის) საქმე,

როცა იცი, რომ მასში არ დარჩები, ნუ იწუხებ!

ნუ ეძლევი მწუხარებას და ლეინო სეი დღე და ღამე;

გული სიამოვნებით აივსე და ბაგეები — სიცილით!“ (გვ. 2829).

ფირდოუსის ლირიკული წიალსვლები ფორმითა და მოცულობით ერთნაირი არ არის, ყველაზე ღიდი ფორმატის წიალსვლა მთელ თავს წარმოადგენს და, ამდენად, დასათაურებულიცაა, მაგ., „ფირდოუსის ჩივილი სიბერესა და საწუთროზე“ 23 ბეითს შეიცავს (გვ. 1918), „საწუთროს გაუტანლობაზე თქმული“ — 13 ბეითს (გვ. 1994), „პოეტის ჩივილი სიბერეზე“ — 15 ბეითს (გვ. 2309). ზოგჯერ ლირიკული წიალსვლა გამოდის ერთგვარი შესაელის როლში (გვ. 1049), ზოგი კი იწყებს თავს (გვ.გვ. 523, 1141). არის წიალსვლები, რომელნიც ერთ ბეითს შეიცავენ (გვ. 552). იკითხება ერთტავიანი წიალსვლებიც (გვ.გვ. 17, 19, 1917, 2957 და ა.შ.).

ფირდოუსის ლირიკული წიალსვლები ყოველთვის კონტექსტისშიმიერია. ასე, მაგალითად, როდესაც პოეტი გვიამბობს იმის შესახებ, თუ უფლისწული ნუშზდი როგორ გაახარა მამამისის პნუშირვანის სიკვდილმა, იქვე გვეუბნება: „მამის სიკვდილმა გაახარა ნუშზდი. ნურასოდეს ნუ ელირსება მას სიტყბო და სიკეთე“ (გვ. 2353). ზმა გვაქვს: ნუშ — ტკბილს ნიშნავს). ფირდოუსის წიალსვლას კონტექსტში ეძლევა მხატვრული დატვირთვა, მისი ეპიცენტრი კონტექსტია. იგი ტექსტში მოთხოვობილი ამბის ერთგვარ აპოთეოზად გვევლინება. შემთხვევითი არ არის, რომ ხშირად კირს გარკვევა, სად იწყება იგი ან სად თავდება (განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი აგრძელებს პოემის გმირის მონილოგს). ფირდოუსის ლირიკული წიალსვლების თემა მრავალფეროვანი არ არის, რადგან თავად პოეტის შინაგანი მონოლოგი არ მოიცავს ფართო დიაპაზონს, იგი სულ რამდენიმე საჭირო-როტო საკითხს უტრიიალებს, ძირითადად სოფლის სამდურავია, მაგრამ ამით ამ წიალსვლებს მნიშვნელობა არ აკლდება, პირიქით, აკვიატებული თემების ვარიეტება უფრო ხვეწავს წიალსვლების ფაქტურას, უფრო აღრმავებს მათს შინაარსს და უფრო ემოციურს ხდის მათ. აქ ერთი რამე თავიდანვე ნათელი უნდა იყოს: ლირიკულ წიალსვლებში გაშლილი თემები ოდენ წიალსვლისეული არ არის, ეს თემები, ვთქვათ, სოფლის მდურვა და მისთ., პოემაში სხვა საშუალებითაც არის გამოხატული, კერძოდ, გაშლილია პერსონაჟების დიალოგებსა და მონოლოგებში. ფირდოუსი მართლმორწმუნე მუსულმანია, შიიტი. ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი ფირდოუსის მსოფლმხედველობაზე, აქ კი გვინდა ვთქვათ, რომ, როგორც რუსთველს, ფირდოუსის გამიჯნული აქვს ერთმანეთისა-5. გ. თოდუა.



გან უფლის უზენაესი ნება და წუთისოფელის ძალა, ღმერთი და წუთისოფელი. ეს უკანასკნელი მას რამდენიმე ტერმინით აქვს აღნიშნული: დაჭრ („დრო, ხანა; სამყარო, ქვეყანა; ყოფა; ბედი; ბედისწერა. გვ. გვ. 1919, 2961), გონბად („ცის გუმბათი“, გვ. 2677), სეფექრ („ცა, ცის სფერო“. გვ. 1235); ჩარბ („ცის სფერო, ცარგვალი“, გვ.გვ. 823, 856, 1918), ჯაპან („ქვეყანა“. გვ.გვ. 17, 20, 22, 63, 300, 315, 693, 842, 1807, 1921, 1961, 2935), გოთი („სამყარო“. გვ. გვ. 34, 92, 1139, 1142, 2493), რუზგარ („დრო, ხანა“; „ბედი“, გვ. გვ. 672, 2507), ზამპნე („ხანა, უამი“; „ბედი“. გვ. 2677), სარამ-ე სეფანგ („ხრწნადი ქვეყანა“; „საწუთო“. გვ.გვ. 34, 1743). პოეტი არ იძლევა ამ ტერმინთა დიფერენციალის. ყველა ისინი მისთვის ერთი ცნებაა, ამიტომაც აღნიშნოთ ყველა ისინი ტერმინით „წუთისოფელი“. პოეტი ყველა ამათ ემდურის, რადგან ყოველი სიავე ამქვეყნად სწორედ მათგან მოდის. მათი მინდობა არ შეიძლება, ისინი ჯერ თავს შეგავარებენ, შემდეგ კი გიმუხთლებენ. ეკამათება კიდევაც მათ. მხატვრული ხერხების ფლობის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ეს კამათი. ორი რამე იქცევს ყურადღებას: ფირფოუსის აზრით, განგება, ცარგვალი ბოლოშია გაუტანელი, თორებ თავიდან ისიც ტკბილი და კეთილისმყოფელია. ამავე დროს იგი უკვე აღარაა უზენაესი ძალა (როგორც აღრე იყო აღამინის განვითარების გარკვეული ეტაპისათვის), იგი ღმერთის მიერაა შექმნილი (ციურ მნათობებთან ერთად) და მასევ ემორჩილება.

აი, თემები, რომლებიც გაშლილია ფირფოუსის ლირიკულ წიალსკვლებში: სიკვდილი გარდუვალია, უსამართლო და შემზარავი: „თუ სიკვდილი სამართალია, უსამართლობა რაღაა?“ (გვ. 433). „როცა ამ ქვეყნიდან გასვლის ტაბლას დაუკრავენ, მიწაში ჩავა კიანკველის თავიც და სპილოსიც“ (გვ. 2891), გინდ მეუე იყავი და გინდა — ღატაკი, ბოლო მაინც მიწა (გვ. 2893), სიკვდილს ვერც ბრძენი გადაურჩება და ვერც გმირი. მეუე ვიქნებით თუ გლახაკი, დადგება დრო, ლეიბად მიწა გვეგება და ბალიშად — აგური. ამიტომ, სანამ ცოცხალი ხარ, იხარე! (გვ. 1399). რამდენ ხანსაც არ უნდა იკოცხლო, ბოლოს მაინც მოგიწევს ამ ქვეყნიდან გასვლა (გვ.გვ. 714, 2264). მიწიდან მოვედით და მიწად ვიქუევით (გვ. 618). სიკვდილისთვის სულ ერთია ბებერი და ახალგაზრდა (გვ. 434). ამ ქვეყნიდან რომ წახვალ, მერე უკან ვეღარ მობრუნდები (გვ. 714). სიკვდილისა უკველას ეშინია, ფოლადის გულიც რომ ჰქონდეს (გვ. 826). „მემენტო მორი“ (გვ. 713). სიკვდილის წამალი არ იპოვება, მასზე დიდი განსაცდელი არ ასებობს (გვ. 766). ამ ქვეყანაზე კარგიც წარმავალია და ცუდიც,

განძი და ფული უმაქნისია, იყავი სამართლიანი და გულუხვი (გვ. 61). მხიარულად იცხოვრე (გვ. 679). სიხარბე ნუ გაგიტაცებს (გვ. 53). „ავი ბუნებისაგან მოდის ყოველი სიავე, ვინძლო ავი ბუნებისაკენ არ მიიხარო“ (გვ. 2579). სიკეთეს მისდინ (გვ. 960) და არავინ შეაწუხო (გვ. 714). სიკეთე ჩუმად უნდა აკეთო (გვ. 2409). განძი მის შესაძენ ჯაფად არ ღირს (გვ. 2493). ეს ქვეყანა ტანგვის ბუდეა, თუნდაც დიდხანს იცოცხლო, აქ ისე დაიტანჯები, რომ ამ ქვეყნიდან გასვლა მოგინდება (გვ. 1142). ვინც ადამიანურობას ჰკარგავს, ის ავი სულია; ვნებამ არ უნდა აგიყოლიოს, კინით ატეხილი კაცი ცხოველზე უარესია (ცხოველი საკუთარ შეილს გამოიცნობს, კაცი კი — არა, გვ. 489). კაცი სამ რამეს უნდა დასჯერდეს: საჭმელს, ტანსაცმელსა და ლოგინს (გვ. 1142). შენ თუ სისხლი მოგწყურდება, საწუთროსაც მოსწყურდება შენი სისხლი (გვ. 503). შური, მტრობა და შურისძიება პრიმიტივ ადამიანებს ახასიათებს (გვ. 16). კამე, რაცა გაქვს; ღმერთმა შენ თუ მოგცა, შენს შვილსაც გაუჩენს საჩჩოს (გვ. 764). დება რა სავარგულია, კამე (გვ. 679). სოფლის საიდუმლოებას ვერ გაიგებ (გვ. 2021) და ნურც იძიებ (გვ. 679). ამ ქვეყნიდან გასვლას ეცადე, მისი ეარდი შხამიანია და მას ნუ ყნოსავ (გვ. 2366).

ბუნებრივია, მოცულობით ასე ვეებერთელა წიგნში, რომელსაც დიდხანს წერდა, პოეტი ყოველთვის თანმიმდევრული ერ იქნება. იგი იძლევა ასეთ დარიგებასაც: მოხუცო, ლხინსა და შეებას თავი ანებე და ცოდვები მოინანიო (გვ. 2569). მას, მართლმორწმუნე მუსულმანს, საიქიო ცხოვრება სწამს და მკითხველს არიგებს: ჰქენი ამ ქვეყნად სიკეთე, რათა სამაგიეროდ იმ ქვეყნად საწადელს ეწიოო (გვ. 1743). ფირდოუსი მეფეებს აფრთხილებს, სამართლიანი იყვნენ: სწავლულთ ყური უგდე! მეფევ, თუ გინდა, რომ იმქვეყნიური ტანგვისაგან თავისუფალი იყო, ამ ქვეყნად ხელქვეითები არ ტანგო (გვ. 1987)! ფირდოუსის ბევრი ბეითი მკითხველისადმი მიმართვაა. იგი უშუალო კონტაქტში შედის მასთან, არიგებს რა მას (ლირიკულ წიაღსვლათა დიდი ნაწილი მენტორული დარიგება), შვილობით მიმართავს (გვ.გვ. 63, 2354). მოძღვავს ფირდოუსი საკუთარ თავსაც, ასე და ასე ქენიო (გვ. 524). და ბოლოს, ფირდოუსი, ისე როგორც სა'დნ და ნეზმი, მშვენივრად ხედავს ამ ქვეყნის სოციალურ უკულმართობას და ნივთიერ კონტრასტებს: ცარგვალი ერთს შიშველ-ტიტველს ატანტალებს, მას არა აქვს მოსვენება, საჭმელი და ბინა, მეორეს კი თაფლითა და რძით შეზავებულ ბალას ასმევს, დიბაში, აბრეშუმსა და ფარჩაში გამოახვევს (გვ. 2905). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხალხთა სოციალური თანასწორობისათვის მეტროლი მაზდაკისაღმი მიძლ-

ვნილ ამბავს ასე ამთავრებს: „შენ თუ გონიერი ხარ, მაზდაკის გზას არ გაჰყეო“ (გვ. 2307).

მსოფლმხედველობა. აღმსარებლობა

„შაპ-ნამე“ მხოლოდ ისტორიის პოეტური ხედვა არ არის, ესაა აგრეთვე პოეტის ფილოსოფიური იდეების გამოხატულება და ისტორიის ფილოსოფია. * ფირდოუსის მსოფლმხედველობა ძირითადად მის ლირიკულ წიაღსვლებშია გამოხატული, მაგრამ ასახულია ის აგრეთვე გმირთა ხასიათებსა და ქმედებებში.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ეპოპეა გაშლილია კეთილისა და ბოროტის ურთიერთბრძოლის ფონზე, ფირდოუსის არ ახასიათებს არც ეროვნული და არც რელიგიური მიერბოება. ის მუსულმანი ობივატელია, არც მეტი, არც ნაკლები. კეშმარიტების, ღვთაების შეცნობა ფირდოუსის აზრით, შეიძლება ჩრდილი ცულით) და არა ცოდნით (ცონებით). (მდრ. ჭალალ ად-დინ რუმი, თომა აქეინელი). მას ერთმანეთისთვის დაპირისპირებული აქვს ფილოსოფია და სარწმუნოება. პოეტი ფილოსოფოსს ყბედს უწოდებს: „ჰეი ენაჭარტალა ფილოსოფოსო, არ დავადგები იმ გზას, შენ რომ მეუბნები, დაადექიო. მონოთეიზმზე უკეთესი სიტყვა არ არსებობს. უფალი ერთია, გინდ ილაპარაკე და გინდა, ნუ იტყვი“ (გვ. 1049). ყველაფერს ჰყავს ჯუფთი, მხოლოდ ღმერთია ერთადერთი (გვ. 617).^{*} იგი აღმატება სახელს, ნიშანსა და ფიქრს (გვ. 1), უფალი შეუცნობელია (გვ. 2), ღმერთის არსის ჩასაწედომ გზას გონება ვერ იძოვის (გვ. 2). [და ამას ამბობს კაცი, რომელიც ღმერთის მიერ შექმნილ არსთა შორის უკეთესად ალიარებს ადამიანს, რაღან მას აქვს გონი (ხერად). პოეტი გვეუბნება: „შენ არაფერი მიიჩნიო გონებაზე უკეთესად. გონება თუ არ იქნა, სულიც (სიცოცხლეც) არ იყოს, ეგების. გონება სულის (სიცოცხლის) სულია (სიცოცხლეა) [და] იზალია (ღმერთია) ამის მოწმე. გონება არის საუკეთესო იმათ შორის, რაც ჩვენ ღმერთმა მოგვცა

* Tadeusz Kowalski, Studia nad „Sah-Name“. T. I, Krakow, 1952-1953, გვ. 319.

** ჩანს, უფალი ასე გვაქვს გააზრებული ქართველებსაც (ღმერთი, როგორც ქამტეციცა თავის მოხსენებაში აკინძეარაულშა ქართველ ღიალებროვაზე სესიაზე (იხ.: „ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1993 წ., NL გვ. 17).

ცვ. 2). პოეტისათვის ის ლექსია სიამოვნების მომნიჭებელი, რომელიც გონებას უკავშირდება (გვ. 523).] ყურანის მიხედვითაც, ალაპი არის ყოვლის შემძლე, ყველგან მყოფი, ყოვლის მომცველი, მარადიული. ალაპმა შექმნა არსი არარაისაგან, შექმნა დედამიწა, ასევე სამყარო (ზეცა), რომელიც შვიდი ცისაგან შედგება, მანვე გააჩინა სამოთხე და ჯოჯოხეთი, დააწესა განკითხების ღლე. „უფლისაგან არის დასაწყისიც და დასასრულიც“ (გვ. 1818). ყველაფერი მისი ნებით ხდება (გვ. 1802) და ყოველ სიკეთეს მას უნდა ვუმაღლოდეთ (გვ. 2792). განგებაც კი, რომლის ნება გარდუვალია, უფალს ემორჩილება. უფალია სიკეთისაკენ გზის მაჩვენებელი (გვ. 960, 1696). იმარჯვებს არა ის, ვინც ძლიერია, არამედ ის, ვისაც ღმერთი მფარველობს (გვ. 1182). ღმერთს თაყვანი უნდა სცე, ენაზე მხოლოდ მისი სახელი უნდა გეკეროს (გვ. 960). გაჭირვებისაგან მხოლოდ ღმერთი გიხსნის და საამისოდ მხოლოდ მას უნდა მიმართო (გვ. 338). ღმერთის შიში უნდა გვქონდეს და მის მიმართ უნდა ვილოცოთ, ვინც ლოცულობს, ის იმარჯვებს (გვ. 1182). „შაპ-ნამეს“ გმირები ყოველი ბრძოლის წინ ლოცულობენ და გამარჯვების შემდეგაც არ ავიწყდებათ მაღლობის თქმა ღმერთისათვის (გვ. 375). ლოცვის ღრის უზენაესი მონარქებიც ტირიან. როსთამი რომ როსთამია, ასეთი უძლეველი დევგმირი, ისიც ლრმად მორწმუნე კაცია და ღმერთის დახმარებაზე დიდ იმედებს ამყარებს (გვ.გვ. 995, 1055). ყურანის მიხედვით, ალაპს ამ ქვეყნად ჰყავს მოციქულები. ასეთი მოციქულები იყნენ: ადამი, აბრამი, მოსე, იესო, მოქამმადი. მოქამმადი უკანასკნელი მოციქულია, სხვა მოციქული აღარ იქნება. ფირდოუსის საგანგებო თავი აქვს მიძღვნილი მოქამმადისადმი. აქებს მას და მის ამხანაგებს (გვ. 6). ვთქვით, რომ, როგორც მორწმუნე მუსულმანს, ფირდოუსის სწამის საიქიო ცხოვრება. ღმერთი იქ ეგულება (გვ.გვ. 241, 315). პოეტი შენატრის დარეიშს, რომელიც ამ ქვეყანაზე კი დაიტანა, მაგრამ საიქიო სასულეველი გარანტირებული აქვს. პოემაში იყითხება ციტატები და პარაფრაზები ყურანიდან და ჭადისებიდან.* პოეტი თავს გაგვაცნობს ცოდვილად, „ჩემსავით კი არ იქნება შევიწროებული და ბედგამწყრალი, რომელსაც ბარგი-ბარხანა

* ამის შესახებ უფრო კრიტიკულად ის: მოქამმად ომის სალარ, ბაზარ აქადის-ენამურ ღარ „შაპ-ნამეს“. „ირან-შენაბი“, 1370, შომარქ-ფე ავგას, გვ. 110.

ჯოგონეთში მაქვს გაგზავნილი. ორც იმ ქვეყნის იმედი მაქვს და
 არც ამ ქვეყნად ვარ მორკმული" (ცვ. 2262). სამოთხეს პოეტი
 როუშანამ („ნათელი“)-ს უწოდებს (ცვ. 2899). (შდრ. „როუშანამ-
 ნამე“). იმისათვის, რათა სამოთხეში მოხვდე, საჭიროა, ამ ქვეყნად
 იყო მართლმორწმუნე და ღვთისმოსავი (ცვ. 2274). პოეტს სწამს
 მეორედ მოსვლა და განკითხვის დღე (ცვ. 1086, 2573). როგორც
 ზემოთ უკვე აღვინიშნეთ, ღმერთია ყველაფრის შემოქმედი. „შაპ-
 ნამეში“ ორეკლილია ასტრალური კულტების აღიარების, ასევე
 მათზე ერთი უფლის, ღმერთის, გამარჯვებისა და მისი ძლევამო-
 სილების ფაქტებიც. ღმერთს ემორჩილება ცა (ცარგვალი, ჩარხი) და
 ყველა ციური სხეული: მზე, მთვარე, ვარსკვლავები. მაგრამ
 „შაპ-ნამეში“ გვხვდება ისეთი აღგილებიც, სადაც ასტრალურ
 კულტებს, ასე ვთქვათ, კული აქეთ მოქნეული, ისინი მეორე
 ეშელონის ძალებად გვევლინებიან. ფირდოსუსისთვის ცა და ციური
 სხეულები, ასევე ღრო (ზამპნე, ღაპრ) ერთმანეთის სინონიმებია
 და, როგორც უკვე ვთქვით, დაახლოებით იმას აღნიშნავენ, რასაც
 — ქართული „სოფელი“ და „წუთისოფელი“. ისინი ყოველთვის თუ
 არა, მათი უმეტესობა ღმერთთან შედარებით ან უძლურ არსებებად
 არიან გამოყვანილი, ან ისეთებად, რომელთა მინდობა არ
 შეიძლება. ღმერთი კი კეთილია. გამოთქმულია მოსაზრება,
 რომლის მიხედვით, „შაპ-ნამეს“ „ცა არაა ფიგურალური გამოთქმა
 ღვთისა და განგების აღსანიშნავად, როგორც ეს დღევანდელ
 სიტყვახმარებაშია მიღებული. აქ ეს ნამდვილი ფიზიკური ცაა,
 რომლის მოძრაობა მოვლენათა მსვლელობას განსაზღვრავს, წი-
 ნაალმდევ შემთხვევაში მას „სიავე“ ორც მიეწერებოდა (ღმერთი
 ფირდოსუსისათვის კეთილია).“ ამიტომაცა, რომ პოემაში ყველა
 მეფეს ჰყავს ასტროლოგი და იგი ორც ერთ საქმეს არ იწყებს მისი
 რჩევის გარეშე. ზნიჭის საშუალებით ყველაფრის წინასწარ იგებენ,
 ახალშობილის მომავალსაც კი. ნ.ნათაძის მოსაზრებით, „ვეფხისტ-
 ყაოსანშიაც“ ასტროლოგიური ცის სიმრგვლის (რაც იგივე გარღუნი
 და ჩარხია) წარმოდგენა ღვთის წარმოდგენას უთავსდება:
 „...ღმერთმან სიმგრავლე ცისა ჩვენთვის რისხვით წამოგრავნა“.⁴⁰
 საქმე ის არის, რომ უთავსდება იმიტომ, რომ ცა ღმერთს

* ნ.ნათაძე, ვეფხისტყაოსნის სამი აღგილის გაგებისათვის. კრებ. „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, ცვ. 313.

⁴⁰ იქვე ცვ. 315.

ემორჩილება. აქ შეიძლებოდა, ცისთვის ისეთივე კვალიფიკაცია მივევეცა, როგორც სოფლისთვის. „ვეფუნისტუარსნის“ მიხედვით სოფელი ცუდ დღეში აგდებს კაცს, გასწირავს კიდევაც მას თავის მხრივ, მაგრამ მის ქმედებაზე მაღლა დგას ღმერთი: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა მისგან განაწირსა“.

ადამიანის, ცარგვალისა და ღმერთის ურთიერთმიმართება კარგად ჩანს „შაპ-ნამეს“ თავში „ფირდოუსის ჩივილი სიბერესა და საწუთროზე“:

„ჰერ ზეაზიდულო მაღალო ჩარხო, ამ სიბერეში ჩატომ გყავარ ასე შეკირვებული როცა ახალგაზრდა ვიყავი, გულში გყავდი ჩახურებული, სიბერეში [კი] ასე უპატიოდ დამაგდე ყვითლდება ჩემი ნებიერი ვარდი. სატანჯველისგან აბრეშუმი ქაცვად მაქვს გადაქცეული. ის წერწეტა სარო წელში მოიხარა ბალში, დაიშრიტა ის ჩახახა ჩირალი. შავი მთიანეთი თოვლმა დაფარა... აქამდე დედასავით მყავდი, შენგან მოყენებული ტანჯვისაგან სისხლი უნდა დაიღვაროს. გატანა შენ არ იცი და საზრიანობა შენ არ გაგანია, შენი ბნელი გულისა გამო სიმძიმილში ვარ ჩავარდნილი. ნეტავ სულაც არ გაეზარდე და თუ გამზარდე, ასე არ შეგეჭირვებინე! მაშინ, როცა ამ წყვდიადიდან გავალ, შენგან მოყენებული სიმძიმილის გამო ღმერთს შევახსენებ, ტირილით შევჩივლებ შენზე წმინდა უფალს ალრიალებული და თავზე ნაცარგადაყრილი. საწუთრომ მე შეკირვებული დამინახა. თავისი ცოდვიდან ორი ნაწილი მე დამიბრუნა (მე გამამტყუნა). მაღლმა სფერომ ასე მიპასუხა: ჰოი, ყბედო მოხუცო! ჩემს ავსა და კარგს ჩას ჩაციდო? განა ასეთი შოთქმა ეგების ბრძენი კაცისაგან! შენ ჩემგან ყველაფრით პატივდებული ხარ, სულს სიბრძნით კვებავ ხოლმე. საჭმელი გაქვს, საძინებელი და საჭდომი, საშუალება გაქვს კარგი და ავი გაარჩიო. რაც შენ თქვი, მასზე მე ხელი არა მაქვს, მზე და მთვარე ამ საქმის ბაიბურში არ არიან. იმასთან ეძიე გზა, ვინც გზა შექმნა, ვინც გააჩინა დღე და ღამე, მზე და ვარსკვლავები. ერთი ის, რომ მისი არსებობა საიდუმლოება არაა, მის საქმეს არც დასაბამი აქვს და არც დასასრული. მე ერთი მისი მონა ვარ, შემოქმედის თაყვანისმცემელი. მისი ბრძანების გარეშე არ ვმოძრაობ, მის ბრძანებას ერთს არ გადაუხვევ. ესავდე უფალს და უფლის საესავი, რიგისამებრ რაც გინდოდეს, მას სთხოვე. მის გარდა არავინ არ ცნა ცარგვლის, კაშკაშა მთვარის, ცისკრის ვარსკვლავისა

და მნის გამჩენად. მისგან აკურთხე მოციქულის სული და მის თანამოსაგრეთ სათითაოდ მიაგე მისაგებელი" (გვ. 1918).

მაშასადამე, ფირდოუსის მიხედვით, მზე, მთვარე და ასტრა-ლური კულტები, რომელთაც თაყვანს სცემდნენ, როგორც ლოთა-ებათ, ძველ აღმოსავლეთში, ღმერთის შექმნილია.* აქვს კიდევაც საგანგებო თავები პოემაში: „მნის შექმნის შესახებ“ (გვ. 5) და „მთვარის შექმნის შესახებ“ (გვ. 5). სხვაგანაც პოეტი არაერთგზის უსვამს ხაზს იმას, რომ მნისა და მთვარის შემქმნელი ღმერთია (გვ. 2529). ეტყობა, იყო ასეთი მტკიცების საჭიროება). ღმერთის შექმნილია, ფირდოუსის შეხედულებით, მუშთარი (გვ. 203). ცარგვალი ღმერთითაა, ადგილზე რომ დგას (გვ. 960). „შაპ-ნამეში“ ღმერთს ეხვეწებიან, შენ როცა ხარ, სატურნისა და მერკურის არ შევჩივლებო (გვ. 2783). თავის პოემაში „შვიდი მთიები“ ნეზამი მიმართავს უფალს: თუკი რამ ვარსკვლავთ აღსარიცხი ცხრილები იყო და ცაზე სფეროს რამე საიდუმლო თუ ჰქონდა, სულ შევისწავლე და ძირის ძირამდის ჩავსდიე, მაგრამ გიპოვე შენ და ცარგვალს ზურგი ვაქციე, რადგან მივუხვდი, რომ ის თვითონ უფალს შეპყურებს. ხოლო უფლად კი შენ გიცანიო.** ნეზამის მეორე პოემაშიც მაჯნუნი ჯერ ასპიროზისა და მუშთარს შეთხოვს შევალს, მაგრამ, როცა ისინი დილაზე გაქრინენ ციდან, ღმერთს ეაჭება: მიკვირს, შენს მონებს რას ვეხვეწებოდი, როდესაც შენ სუფევო.*** პარალელებმა გავვიტაცა და ბარემ იმასაც გავიხსე-ნებთ, რომ „ვეფხისტყაოსანშიაც“ მთვარეს ღმერთი ჰყავს. „მთვა-რესა ეტყობის: იფუცე სახელი ღმრთისა შენისა“.**** პ.რინგრენის

* ეს არ გამორჩენია კნოზაძეს: „ფირდოუსისათვის მზე არის შექმნილი. იგია შექმნილი ღმერთის მიერ და ეს შეხედულება შაპ-ნამეში ძალიან ხშირადაა გამოითქმული“ (კნოზაძე, კვეთნისტყაოსნის შინისმეტყველება. სანტიაგო და ჩილე, 1987, გვ. 88). ასევე მეცნიერების ისიც აქვთ მითოთებული, რომ პოემის გმირები მანეს სცემენ თაყვანს, როგორც ლოთაებას (იქვე).

** ნეზამი განაცირ, ქაფთ ფამქარ, მათნ-ე ჟღმინ კა ენთეცადი, მოყალდამე კა ქაფში ბე ყალამ-ე თაპქრ აქმად ორლო მოვარრამოთ, მოსქოუ, 1987, გვ. 5.

*** ნეზამი განაცირ, ლემლო-მო მაწრუნ, ბე თასქპ-ე ვაქრდ დასთგარდი, ჩაფუ ღოვკომ. თერან, 1333, გვ. 178.

**** ეხება რა ამ ადგილს, ზვიად გამსახურდია საესებით სწორად შენიშნავს „რომელია მთვარის ღმერთი — პლანეტარულ გენიას იგი უკრ იგულისხმებს, ვინაოდან თავად მას მიმართავს. ე.ი. ამ პლანეტარულ გენიაზე გალლა მღვიმი ღმერთი შეიძლება იყოს მხოლოდ სულიწმინდა“. ზეიად გამსახურდია. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება. თბ. 1991 გვ. 119. შემდეგში: ზეგამსახურდია.

აზრით, ლეთისა და ბედის რწმენა ერთმანეთს ვერ უთავსდება. მისი ფიქრით, ეს წინააღმდეგობა თვითონ ფირდოუსის ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი. „დრო“, „ცა“, „ბედი“ მისთვის უფრო მარტივი სიტყვებია, რომელთაც მხოლოდ ის უნდა გამოხატონ, რომ ცველაფერი, რაც ხდება, ჩვენზე მალლა მდგომი, ზეადამიანური ძალის მიერ არის განჩინებული^{*}.

ბედი და დრო „შაპ-ნამეში“ გაიკიცებულია და ამით ეს პოემა ენათესავება სპარსულ მითებს. მათში გატარებულია წინასწარგან-საზღვრულობის (პრედესტინაციის) შეუვალი პრინციპი. ისინი (დრო და ბედი) ლმერთს ემორჩილებიან. მაგრამ გავიხსენოთ, რომ ზემოთ უკვე მოტანილი ტერმინები სინონიმები არიან და გადატანით ნიშნავენ: სამყაროს, ბედს, წუთისოფელს.

„შაპ-ნამეში“ ორი რეალური დრო გვაქვს: ერთი — პოეტის წინარე დრო, რომელიც აღწერილია პოემაში; მეორე — ფირდოუსის დრო, რომელიც ავტორის ძალაუნებურად, არც თუ იშვიათად, შეპარულია მასში. ისტორიული წარსულის ამსახავმა მწერლებმა და მხატვრებმა მათი აწმყოს წარსულისაგან გამიჯვნის მოვალეობა მხოლოდ ამ ბოლო საუკუნეში იტვირთეს, აღრე მათ ეს დროები და შესაბამისი ფაქტურა (ყოფითი რეალიები) ნებსით თუ უნებლიერ აღრეული პრინდათ. ფირდოუსიმ მშვენიერად იციდა, რომ მის პოემაში აღწერილი ხანა ისლამური არ იყო, მაგრამ აქა-იქ ისლამის რეალიები მაინც აქვს შეტანილი. შეიძლება, ეს ანაქრონიზმები მას კი არ პრინდეს დაშვებული, არამედ მის წყაროს, ფირდოუსის „დანაშაული“ კი შეიძლება ის იყოს, რომ მან „ვერ შეაჩნია“ ისინი. „შაპ-ნამე“ უზარმაზარ ხანას მოიცავს, ქვეყნის გაჩენის დღიდან მე-7 საუკუნემდე. ზოროასტრიობას კი იჩანგი 14 საუკუნის ისტორია პრინდა, ყოველ შემთხვევაში, პოემის მიხედვით, მითოლოგიურ სამყაროს იგი არ უნდა გადაწყვდენოდა. მაგრამ ეს ასე არ არის. ფირდოუსის მითიური გმირებიც კი, არის ნიშნები, იაზდანს ესავენ. ასე, მაგალითად, მითოლოგიური მეფე ჭარილშნი მეპრაგნის დღესასწაულზე ირქვამს გვირგვინს (ცვ. 62). ჩვენ კი ვიცით, რომ ამ, წინაზოროასტრიულ ხანაში, ირანში თაყვანს სუემდნენ ასტრალურ კულტებს. ფირდოუსის დროს ეს იციდნენ. სწორედ ფირდოუსის თანამედროვე მეცნიერი ბაზრუნვე ამას გვაუწყებს თავის „ასპ-ალ-ბაზ-მემათში“. ამ რელიგიას იგი ბუდასტის რელიგიას უწოდებს. ზოროასტრიზმი კი „შაპ-ნამეს“

* ციტირებული გვაქვს ნნათაძის წიგნიდან. ის: ნ.ნათაძე, გვ. 314 ის: აგრეთვე ქ'თებალ-ე ჭერდაუსი ბე სარნავაშთ დარ „შაპ-ნამე“. „შაპ-ნამ-დე ქუთამ“, 1978, ძობაზე-ავ 8-10, გვ. 570.

მიხედვითაც გოშთასფის დროს იქნა ალიარებული. უთუოდ თავისი
 წყაროებიდან აქვს ფირდოუსის მექვიდრეობით მიღებული ანგე-
 ლოზის ინსტიტუტი. ანგელოზები ისლამსაც გადმოჰყვა ძველი
 რელიგიებიდან, მაგრამ სორუში ძველი ირანული ანგელოზია
 (ავესტა — სრაოშა, ფალაური — სროში).* ლმერთის ნების
 გამომხატველი ეს სორუში, როგორც ამას წინათ ვთქვით, ისე ერევა
 გმირთა ცხოვრებაში, როგორც რიგითი ლმერთები „ილიადასა“ და
 „ოდისეაში“. მისი სამყოფელი სამოთხეშია („სორუში. მოვიდა
 მასთან სამოთხიდან“). გვ. 50). „ფირდოუსის ფატალიზმი კომბინი-
 რებული ხასიათისაა, იგი შემდგარია ზოროასტრული და მუსულ-
 მანური ელემენტებისაგან. მუსულმანური თვალსაზრისის თანახმად,
 ლმერთი ყველაფრის წყაროა — კეთილისა და ბოროტის, ბედისა
 და უბედობის. ზოროასტრული ღუალისტური თვალსაზრისი
 ქვეყნის ბრუნვის ორ ფაქტორს სცნობს: — უძრავ ვარსკვლავთა
 ქეთილ გავლენასა და მთიებთა ბოროტ გავლენას, რომელთაგან
 პირველი კეთილი ღვთის ნების გამოვლინებაა, ხოლო მეორე —
 ბოროტი სულის აპრიმანის ნებისა. არათანმიმდევარია ფირდოუსი
 ღვთისა და ბედისწერის (destiny) მიმართების გაგებაშიც, სადაც
 მასთან ორი ლოგიკურად ურთიერთგამომრიცხველი აზრთა მდი-
 ნარება ერთმანეთს უთავსდება. ერთის თანახმად, როგორც ითქვა,
 ლმერთი სიკეთისა და ბოროტების წყაროა, ყოველივე მისგან ხდება
 და მისით. ეს მონოთეისტური თვალსაზრისია. მეორის თანახმად,
 ლმერთი უპირისპირდება ავ ბერს, ანუგეშებს კაცს ცუდი ბედისგან
 მიყენებულ უბედურებაში. მის წინაშე უჩივიან ბერს, ღვთის ნება
 ცას მოწყალედ ხდის და ა.შ. ბოროტი საწყისის — აპრიმანის
 როლი მხოლოდ მორალურ ბოროტზე. ცუნებაზე, დაიყენება:
 იგი აცთუნებს მოქმედ პირთ, შთააგონებს მათ ბოროტ ზრახებს,
 რასაც სასჯელი შემდეგ ბუნებრივად მოსდევს“.** „შაპ-ნამეში“,
 მიუხედავად მისი ღილი სიმართლისა და ინტუიტური პუმანიზმისა,
 რომელიც კაცომყვარეობასა და სინანულში ელინდება, არ არის
 დამოუკიდებელი ინტერესი კაცის ბუნებისა და ლირებულებები-
 სადმი, არამედ მხოლოდ მისი ბედისადმი, მაშინ როდესაც, ვთქვათ,
 „ცელხისტყაოსანი“ პროდუქტია კულტურისა, სადაც ყველა ამ
 ადამიანურ სწრაფეათა კანონიერება პრობლემად იყო ქცეული.
 ამიტომ მასთან ადამიანური გრძნობების არა მარტო მართალი
 სიტყვა გვაქვს, არამედ ეთიკური შეფასება და შეგნებული

* ბორაძნი, გვ. 1132.

** ნ.ნათაძე, ვეფხისტყაოსნის სამი აღგილის გაგებისათვის, გვ. 34 (H.Riggner, 23. 110-130).

განდიდებაც. და სწორედ ესაა, რომ „ვეფხისტყაოსანს“ სპარსულ ეპიკასთან შედარებით მთელი კულტურულ-ისტორიული ციკლით — სპირიტუალიზმის ინტერესებში ხორციელების დათმობით და შემდეგ, უფრო მაღალ დონეზე, ისევხორციელებასთან მიბრუნებით — მაღლა აყენებს.“^{*}

და მართლაც, ლირიკული წიაღსვლებითა და გმირთა პირით ფირდოუსი ბედისწერის გარდუვალობას ქადაგებს. თვითონ როსთამი რომ როსთამია, გაგიკირდებათ, რა უსუსურად წარმოგვიდგენს თავის თავს ბედისწერის წინაშე და რა წარამარა ჩივის ამაზე. ხშირად ბედი წინასწარაა გაგებული და იციან, ეინ როდის და ვისი ხელით უნდა მოკვდეს (აქ ზოგჯერ ლიმილის მომგრეული ეპიზოდებიც გხევდება. ერთხელ ომში გრეს მიეცემა შემთხვევა. მოპელის ფირჩნი, მაგრამ თავს იკავებს, რადგან იცის, ნაწინასწარმეტყველებია, რომ ეს საქმე გუდარზმა უნდა ჩაიდინოს. გვ. 1220). როგორც მუსულმანი, ფირდოუსი არ თაკილობს ქრისტეს ხსენებას და მის ციტირებას (გვ.გვ. 2751, 2756, 2760). ამ შემთხვევაში მისი წყარო ყურანია.

პოემის როგორც მითიური, ისე ისტორიული ნაწილის სამყაროს ლმერთი განავებს, ამ ქვეყნად მისი სურვილის გარეშე არაფერი არ ხდება, მაგრამ განსხვავებით, ვთქვათ, ბერძნული მითებისაგან, აქ ლმერთი მოქმედებაში უშუალო მონაწილეობას არ ლებულობს (გამონაკლისია ერთი შემთხვევა, როცა ანგელოზი იხსნის ხოსროვ ფარეგიზს აშკარა სიკვდილისაგან).

ამ ბოლო წლებში, ისლამური რევოლუციის შემდეგ (თითო-ოროლა ასეთი ცდა აღრეც ყოჭილა) ირანში მომრავლდა შრომები, რომელთა ავტორები ამტკიცებენ, თითქოს „შაპ-ნამეში“ ჩადებული იყოს მისტიკური იდეები და სიმბოლოები. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ როსთამის შვიდ გმირობაში შვიდ მისტიკურ სიმბოლოს ხედავენ.“^{**}

სამშობლო

მთელი „შაპ-ნამე“ პატრიოტული სულისკვეთებითაა გაულენ-თილი. აქ ირანელებს ირანი უყვართ ხაზგასმულად, თურანელებს — თურანი. მაგრამ მაინც, რადგანაც იყი ირანის გალექსილი ისტორიაა, შიგ ირანელთა ყოფაა აღწერილი და ირანული სულია ჩადგმული, ფოკუსში ირანია დაყენებული და სამყარო ირანელის

* ნ.ნათარე, რუსთველური მიწნერობა და რენესანსი. თბილისი, 1966 გვ. 201
** მოქამძალ-ალე ამირ-ე მო'ეზი, ნექათი-დე ჩანდ დარ პარ-დე თა'პბირ-ე ურაბენ-დე „შაპ-ნამე“. ირან-ნამე, 1370, შომბრ-დე ავგას, გვ. 76

თვალით არის დანახული. ირანელი „შაპ-ნამესთვის“ ტრადიციული მოქალაქეა და თავისი მრავალსაუკუნოები ისტორიის მქონე ქვეწის მოყვარული. შემთხვევითი არ არის, რომ ირანელის ცნება გამოხატულია ტერმინით დეპუნი („მიწათმოქმედი“; „გლეხი“; „მემამულე“; „არც დეპუნი დარჩება, არც თურქი და არც არაბი“. გვ. 2929).

პატრიოტული გრძნობის გაცხოველებას არაბების მიერ დამონებული, დიდი ისტორიული წარსულის მქონე და ახლა უკვე ანექსირებული სახელმწიფოს მოქალაქეთა გულში, როგორც ვიცით, მოჰკვა ეროვნული სამეფოებისა და ღინასტიტიტის გაჩენა. ამ სამეფოთა იდეა პატრიოტობაზე იყო დაფუძნებული. ფირდოსის მიერ პოემაში ხაზგასმული მამულიშვილობა და ტრადიციულობა არც შემთხვევითი იყო და არც იშვიათი. შაპილან მოყოლებული გლეხამდე სამანიანთა სამეფო ამ იდეით იყო შეპყრობილი. „შაპ-ნამე“ მათი აპოთეოზია. მაგრამ ნუ დავუკარგავთ ფირდოსის ამ კიდევ ერთ დიდ დამსახურებას: თემის არჩევას. ჩვენ ვიცით, რომ ფირდოსის თანამედროვე კლასიკოსები ან სულთანი მაჭმულისა და მისი მემკვიდრისიათვის ხოტბის შესხმით იყვნენ გართული, ანდა მისტიკურ (უზრუნველ) სიყვარულს უმღერდნენ („ონცორის „ვამეუი და 'აზრა“, 'ადამის „ვარყა და გოლშპი“).

„შაპ-ნამეში“ ნაქადაგებია ირანის ერთიანობა, ირანული მოდგმის ხალხების გაერთიანების იდეა. ამ ეპოპეის მთავარი მოქმედი გმირი, ირანის დედაბოძი როსთამი წარმოშობით ზაბულისთანელია, რაღა წარმოშობით, ახლაც, როცა პოემაში მოქმედება ხდება, ზაბულში აქვს სახლ-კარი, სიისთანში ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად, მამის სიახლოესი. ირანი სხვა მხარეა და სიისთანი სხვა, მაგრამ პოემაში დახატული გვაქვს ის ხანა ირანის ისტორიისა, როდესაც მიმდინარეობდა ირანელი ხალხის ეთნოგრენეზისი, სხვა-დასხვა ირანული წარმოშობის ხალხების ბაზაზე შექმნილი ახალი ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბების პროცესი. როგორც ზემოთ უკვე უთქვით, გაერთიანება მოხდა ირანის გარშემო და მისი ნიშნით. დაკვირდით, როგორ უყვართ ირანელებს სამშობლო: ხოშა ბად-ე ნუშნ-ე ირანშამჩნ — რა კარგია ირანის სამონიავი! (გვ. 2968) და როგორ განიცდიან მის ბედს: დარბო ასთ ირპნ, ქე კორნ შავად, ქონპ-ე ფალანგან-ო შირნ შავად — „აფსუსია ირანი, რადგან გავერანდება იგი, ვეფხვებისა და ლომების ბუნაგად იქცევა“ (გვ. 392). მაგრამ ესეცაა, ირანის სიყვარული ფირდოსის თვალს როდი უბრმავებს, იგი ობიექტური განმსჯელის როლში გამოდის და როცა ხედავს, რომ მისი თანამემამულები თავიანთ მოსისხლე მტერს



უსამართლოდ ექცევიან, ამტყუნებს მათ (ცვ. 818), წერს, ირანე-
ლებმა უდანაშაულო ხალხი დახოცეს (ცვ. 1376).

მოკლედ შევეხებით იჩანისა და თურანის ურთიერთობის
საკითხს.

თითქმის ყოველ ნაშრომში, სადაც ზერელედ მაინც არის
განხილული ფირდოუსის „შაპ-ნამე“, გვიწერენ, რომ ესაა ნაციო-
ნალური ეპოსი, რომლის შინაარსი გაშლილია კეთილისა და
ბოროტის ურთიერთბრძოლის ფონზე. ძირითადად ებრძვიან კი
ერთმანეთს ირანი და თურანი. ამდენად ირანი კეთილი ძალაა,
თურანი — ბოროტი. თურანი დღესაც დაახლოებით იმავე ადგილს
გვიქვია, რაც ფირდოუსის დროს იყო, — თურანად ითვლება
არალის ზღვის ბასეინი. ირანიც ყოველთვის იქ იყო, სადაც დღესაა.
თავისთავად ტერმინი ირან არის შრავლობით რიცხვში დასმული
აირჩა (აირჩ ანამ), რაც ნიშნავს: „არიელები“, „არიელების
ქვეყანა“¹. თავიდან ეს ტერმინი არ იყო ეთნოგრაფიული შინაარსის
მატარებელი, იგი პოლიტიკურ ნიშანზე მიუთითებდა. ასევეა
ნაწარმოები თურან სიტყვისაგან თურ, რომელიც ნიშნავს: „გმირს“,
„ფალავანს“. შემდეგში ირანელებმა თურქებისათვის, რომლებიც
თურანის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, — და ცხოვრობენ
დღესაც, — ვერ გაიმეტეს ასეთი მნიშვნელობა და, როგორც ხდება
ხოლმე, ამ ტერმინის დიაპაზონი გააფართოვეს, მისცეს რა მას
მნიშვნელობებიც: „გიუი“, „ველური“. ფირდოუსის დროს ირანი
როგორც ტერიტორიულად, ასევე პოლიტიკურად დაკინებული
ქვეყანა იყო. ძევლი, ვრცელი და ძლიერი ირანი, მთლიანი ირანი,
ფირდოუსის დროს ირანული მოდგმის ხალხთა ოცნების საგნად
იყო ქცეული. ფირდოუსი თავის სიისთანელ გმირს, როსთამს,
როგორც შემდეგშიც აღვნიშნავთ, წარმომავლობით არაირანელს,
საქს (სიისთანი არის იგივე საქსთან, საკების ქვეყანა, ამ
დროისათვის ირანის ნაწილი) ათქმევინებს: თუ ირანი არ იქნება,
მაშინ დაე, მეც ნუ ვიქნებიო! ამავე დროს ამ ხანაში ეთნიკური
თუ ტომობრივი დიფერენციაცია ჯერ კიდევ კარგად შეიმჩნევა.
ირანში რა ამბავია? — კითხულობს სიისთანეში მყოფი გმირი
(ცვ. 462). მაგრამ ეს სიისთანელი თავის თავს ირანელად თვლის.
აქ ისეთი ვითარებაა, როგორც ჩვენში. გარკვეულ დრომდე
„ქახელი“ სხვა ცნება იყო და „ქართველი“ — სხვა, ქართველი
ნიშნავდა მხოლოდ ქართლელს. დროთა ვითარებაში, როდესაც
ერთიანი ერის იდეა შეიქმნა, ამ უკანასკნელმა ტერმინმა ორი
მნიშვნელობა მიიღო: შეინარჩუნა რა ვიწრო ტომობრივი მნიშვ-
ნელობა (ქართლის მკვიდრი), მიიღო ფართო მნიშვნელობაც
სრულიად საქართველოს მკვიდრი). ჩვენს პოემაში ქართლურის

ხანიდან მოყოლებული ტომობრივი სული უკვე აღვილს უთმობს ზოგად ეროვნულ სულს.

ფირდოუსის ღრმის მართლაც ესხმოდნენ ხორასანს თავს მავერ ან-ნაპრელი თურქები, ხოლო რადგანაც მავერ ან-ნაპრი თურანი იყო, პოემაში იგი თურქთა ისტორიულ სამშობლოდაც იქნა მიჩნეული.

„შაპ-ნამეს“ თურანი არაა მომთაბარების ქვეყანა, აქ ისეთივე ქალაქები, ნაშენები და სახნავ-სათესებია, როგორც ირანში. იგი მიწათმოქმედი ხალხით არის დასახლებული. როგორც გათხრებმა დაამტკიცა, ამუ-დარის გაღმა მხარე ჯერ კიდევ I ათასწლეულში ჩვენს ერამდე მართლაც წარმოადგენდა განვითარებულ კუთხეს, მაღალი დონის საირიგაციო სისტემითა და ორგანიზებული სახელმწიფოებრიობით.

მეფე, სამეფო შარავანდი (ფარრი)

ფირდოუსის პოემას „მეფეთა წიგნი“ (უფრო ზუსტად, „მეფის წიგნი“) ეწოდება, რაც თავისთვად უთითებს იმაზე, რომ თხელების მთავარი მოქმედი გმირები ირანის მეფები არიან. ეს ასეც იყო მოსალოდნელი. ძველი ქრონიკების მოქმედი გმირები ხომ მეფები იყვნენ. ამიტომაც წერდა ილია კავკავაძე: ეს ოხერი ჩვენი ისტორია მეფებისა და ომების ისტორიაა, შივ ხალხი არა ჩანსო.

ფირდოუსი არ იძლევა მეფის რაიმე განსაკუთრებულ მოდელს, ისეთს, რომლითაც იგი მკეთრად იქნებოდა განსხვავებული საშუალო საუკუნეების პოემებში დახატული მეფეებისაგან. ამას რომ ვამბობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ „შაპ-ნამე“ ირანის გალექსილი ისტორიაა და აქ პოეტმა მექანიდრეობით მიიღო მითოლოგიური თუ ისტორიული მეფეების, ერთმანეთისაგან განსხვავებული პირების შესახებ უკვე შექმნილი მთელი გალერეა. ზოგი მათგანი მტარვალი იყო, ზოგი — კეთილი, ზოგი — მხდალი, ზოგი — გულადი, ზოგი — კანონიერი მთლობელი ტახტისა, ზოგიც — უზურპატორი და ა.შ. ასე, მაგალითად, ზაპაქი მტარვალია და უზურპატორი, ანუშერევნი — მართლმსაჯული, ბაპრამ-გური — თავაწყვეტილი მოქეიფე, მონადირე და ქალთა მოყვარული.

ფირდოუსის პოემაში მუდამ იგრძნობა მეფის კულტი. კარგი მეფე ყოველი სიკეთითა შემკობილი. იგი ფიზიკურადაც გამორჩეულია და გონებრივადაც. „ქვეყანა ტანია, მეფე — თავი“ (გვ. 2525). ჯერ კიდევ პლატონი მოითხოვდა მეფის პიროვნებაში პრაქტიკული გონიერებისა და გონივრული პრაქტიკის შერწყმას,

რაც ძალიან იშვიათია. მეფე-ფილოსოფოსის პრობლემა იმთავითვე
 იდგა. ეს საკითხი დასვა ფირდოუსიმაც. მან ერთმანეთს შეურჩყა
 მეფე ანუშირენის სამართლიანობა და მისი მრჩევლის ბოზორ-
 გამილის გონიერება. მეფე ღმერთის რჩეულია. იგი ქვეყნად
 იმისთვისაა მოვლენილი, რომ ხალხს სიკეთე მოუტანოს. თუ მეფე
 ტირანის გზას დააღვა, „მთვარე ცაზე აღარ იბრწყინებს... ძროხებს
 რაც უშრებათ“ (გვ. 2157). განსხვავებით ზოგი ხალხის, ვთქვათ,
 ეგვიპტელთა, მეფებისაგან, ჩვენი პოემის მეფები თავს ღმერთე-
 ბად არ მიიჩნევდნენ. ირანელი ხალხი, ჩვეულებრივ, თაყვანს სცემდა
 შაჰებს, ოლონდ, ვიმეორებთ, ისინი მას გაღმერთებული არა ჰყავდა.
 მისი აზრით, აჰურა მაზდა ანიჭებს მეფეს ძალაუფლებასა და
 საწმინდეს. ე.ი. მეფე ღვთისაგან არის დაყენებული და მის
 წინააღმდეგ ხელის ამართვა უფლის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნავს.
 ირანელ მეცნიერებს სწორედ „შაჰ-ნამეს“ მიხედვითა აქვთ მეფის-
 თვის ასეთი კვალიფიკაცია მიცემული: 1) მეფობას კაცს ღმერთი
 ანიჭებს. 2) რაც მეფეს გააჩნია, უფლისგანაა. 3) უფალი მეფის
 მეფობარი და მფარველია. 4) უფალია მეფის გზის მაჩვენებელი.
 5) მეფის ავის მდომი უფლის მტერი და ეშმაკის ნების
 შემსრულებელია. 6) მეფის ჩამომავლობის მფარველი უფალია. 7)
 მეფის ავის მდომი დაუსჯელი არ დარჩებიან. 8) მეფეს მოდგამს
 განსაკუთრებული ჯიში. 9) მეფე ქვეყანასა და ხალხთან არის
 უშუალო კავშირში. 10) არავის არა აქვს წილი მეფობასთან გარდა
 მეფისა, რომელიც უფლის მიერ არის დანიშნული. 11) მეფეს ცველა
 უნდა ემორჩილებოდეს. 12) უფლის შემწეობით მეფე ყოველ
 ხეაშიადს ფლობს. 13) უფლის დახმარებით მეფე ბუნებისმიერ
 სიძნელეებს გადალახავს. 14) გამარჩვება მეფეს უფლისა და ჭარბის
 შემწეობით ენიჭება. 15) მეფის ნება უზენაესია. 16) მეფე
 სარწმუნოების ქომაგია და მისი მოქმედება — წესისა და რიგის
 შესაბამისი.* როგორც ვხედავთ, მეფის უკან ღმერთი დგას. მეფის
 კულტი მარტო ირანში არ ყოფილა და „შაჰ-ნამეში“ არ არეკლილა.
 გავიხსენოთ, რომ ასე იქცევა ბიბლიური დავითი. იგი სამაგიეროს
 არ უხდის მეფე საულს, არ აღმართავს ხელს მის წინააღმდეგ
 (პირველი მეფეთა 24,7-14; 26,9-11) და სჯის მის და მის შვილთა

* „ალ-კულტ ე'თემად-დ მოყადამ, ფალეშან ვა ფალეშან აზ დადე-აზ
 ირანიშან ბარ ბონიდ-ე „შაჰ-ნამე-აზ“ ფერდოუსი. თექან, 1346, გვ. 6.

Թյալելու, հագցան մատ ցածրեց Աքեծուլուս մոյզելա. որանության մոյր ոռլաճ օյնա Շըմինելու, հոմ մեղուս ծրանեցնու Շյուսհոյ-լութուն ա, „Տաճ-ճամես“ ցմուրեց լրտու ՇինաՇյ հագենու պալաճ մոահնուտ, տյոնճապ ուսոնու ամ ծրանեցնու շյանոնու տալութենեն. ուսոնու ճահիմունեցնու արուան մանու, հոմ մեղուս ծրանեցնու տացու արությունուտուս ամյայնաճապ ճասչյեցնու ճա ոմյայնաճապ.^{*} մացրամ პոյմուս մոտոլոցուր նախունու, տու ցաճակահիմունու ար ցամոց-չուա, մարդու ջնջուլուս յանոնու մոյմելութեն: ցոյց ճա մուսու յալունու ցմուրեց ուսուրյան ցմուրիություն մեցու, մացրամ հուստամու — չուալութուս արա. հուպա սայմե Շյեկեցն մուսու პորոցնեցնու լուհուցնու դապաս, օցու անշնությունու ար ացլութեն մեցու, յաճ-յայսու, յաճրություն ճա ամծուն: „Մյ տացուսություն ցար ճաճաճություն, մոնա յու արա ցար, մյ մեռլու շյուլուս մոնա-մորհիու ցարու“ (հուստամու լուհուցնու գամբայություն ցայլունեցն, մանուն հությունու յափանդիքնու տացուսություննուն յանոնու ճապատ յացու եցաւ, տյոնճապ ամուտ პորաճու լուհուցնու գատրալունու ոյսու). ցուանու ասու ոյս. մյ-5 և. սոմեցնու ուսուրու-յուսու ցացերուս ծայծանուն ծնունդու, սոմեցետա մեցու ձաճու ցայլիկ տացուսություննուն յանոնու ճապատ մոյմեց, ծրանունու ալծանու մեցու հարու ար մոաչյալուն! սահճալմա շյանուեա: մեցու Շյեն շնճա ցայսթորդու ճա արա մյ. մյ ցարուցունուսանչյ եցու արասությ ալմոմահուտաց ճա արու ալզմահուտաց. մյ հոմ մեցու համուարությ եցու, ար մոյզելապ, տյոնճապ յու սուրուելուս յասաճ ճամուգություն:“

յուրածուսուս մոյր ճաճաթյունու մեցույեց, հուշուր ց ցոյզուտ, յուալութուս յարունարու ար ահուան. հա տյմա շնճա, յյ ար Շյունդյուն շյուլապելունու პոյմուս პոնիուր ճա մոյուրունեցն, մաս էյոնճա սամուս շյուլություն ճա սամուալություն: հապ Շյեկեցն մուս մոյր յեցնու մոեսենություն մոնահյեցն, տու յյ Շյենդյուրունուն ճացունահաց, հյենու ածիրու, ար շնճա ցոյզոյիրու, հոմ ամ Շյենդյուրունունուն ավրուր մանութամանու յուրածուսու, პոյմու մարունեցն լոյյսաց, մարունեցն յու յա հյեն ցոյուր, սթորդ մոյլունեցնու մեուլալ յամարտու մոյր Շյեգունու մարունեցն, սպուրաց

* Հալուլ Խալպար ժողովաց.՝ անձեռնու լրամ ճա ծարեն ան լաստանյ-քյ ՝ Տաճ-ճամես. 1370, ժողովաց ազգա, ցը. 64

** История Армении Фавстоса Бузанда. Ереван, 1953, ցը. 153

ობიექტურობის თვალსაზრისით. ასე რომ, გადასინჯვას მოითხოვს ირანისტიკაში გამოთქმული შეხედულება, ფირდოსის ირანის ფეოდალური ყოფა იმდენად აქვს გაიდეალებული, რომ ისტორიული ფაქტები ირანის მონარქებთან ფეოდალების დაპირისპირებისა მიჩქმალულიც კი აქვსო.^{*}

მეფე ნაუდარით უკმაყოფილო ირანელები სამ ფალავანს თხოვენ, შენ იყავი მეფეო, მაგრამ სამი უარზეა — ქამანელთა სამეფო გვარის უფლებების ხელყოფა როგორ შეიძლება, ამას უფალი არ მოგვიწონებსო (გვ. 245), ასევე, ქვეყანამ იცის, რომ ქაუს მეფე ჩერჩეტია, „მას ტვინი არ აბადია“, მაგრამ იტანენ, რადგან მეფეა (გვ. 470). პოემაში გატარებულია სამეფო შარავანდის (ფარრის) იდეა, „ჭარრი არის მონარქის ერთადერთი იმანენტური ატრიბუტი. თეითონ სამანიანთა მხედართმთავარი ბაჟრამ ჩუბინი, „შაპ-ნამეს“ ეს მაქბეტი, რომელსაც პოეტი მხურგალედ და გულწრფელად თანაუგრძნობს, წინასწარ განწირულია დასალუპავად, როცა ის ტახტის ხელში ჩაგდებას ცდილობს. ფარრის პრეროგატივის ხელყოფა კეთილშობილსა და გულად რაინდს მძვინვარე ბოროტმოქმედად აქცევს“.^{**} ეისაც ფარრი არა აქვს, მას ტახტი არ ეკუთვნის. ფარრის უფალი იძლევა (ქე ჭარრ-ე ქამი იზად ურა სოჭორდ — „რადგან სამეფო (ქამანური) ფარრი ღმერთმა მას ჩააბარა“). ამ ტერმინს, როგორც ჩანს, ძალიან აღრე იცნობდნენ ირანელები. ფარრის მქონენი მოხსენიებულნი არიან „ავესტაში“. აქ უწინარეს ყოვლისა იგულისხმებიან ირანის მეფეები. ფარრის მფლობელად ერთხელ იხსენიება აქრასისამავბიც (რვეული 93, იაშთი 19), თუმცა სხვაგან ხაზგასმულია, რომ მას ფარრი არ გააჩნია „არდვისურ-იაშთის“ მიხედვით, აქრასისამავბი ანაპიტას თხოვს ფარრის, მაგრამ ეს უკანასკნელი მის ამ თხოვნას არ აკმაყოფილებს. თავი მე-11). ბისოთუნის წარწერებში ფარრი ცალკე ლექსიკურ ერთეულად არ გვხვდება, მაგრამ კომპაზიტებში იხსენიება (ჭარრუნოსი. ჰეორდოტეს ცნობით, ძვ.წ. 480 წ. ქსერქსეს ლაშქრობის დროს ცხენიდან ჩამოვარდა და მოკვდა ვინმე ჭარრები). ძვ. სპარსულ ენაში. ეს სიტყვა ფიქსირებულია ჭარრაჲ ფორმით, ავესტაშია ხვარენაჲ, ფალაურში — ხვარეჲ (სასურველი რამ);

* K.B. Тревер, Сасанидский Иран в Шах-намэ. „Фердовси“, 1934, გვ. 179.
** М. Занд, Шесть веков славы. М., 1964, გვ. 89.

„სასურველი ნივთი“; „ბედნიერება“; „ოთხფეხი საქონელი“; „ცხვირი“; „მეფობა“; სპარსული ჭარჩ (ბორჯანი, გვ. 789). ჭარჩი ირანელთა წარმოდგენაში განივთებულია ფრინველ ვარელნას („ყვავი“; „თეთრი ქორი“), ასევე ცხვრისა და ნიამორის სახით. არდაშირს გამოკიდებულ არდავნს ეუბნებიან: გაქცეულებს უკან ერქემალი მის-დევდაო. არდავნმა იყითხა, ერქემალი რატომ მისდევსი? უპასუხეს: ეს მისი მეფობის მომასწავებელი ჭარჩიათ (გვ. 1935). ხომ არ არის ამასთან კავშირში ქართული ც-ხვარ-ი; ღორ-ი? რომელ ქართველ ლინგვისტსაც არ დავეკითხე, ყველამ, არა მგონიაო, მიპასუხა, ეს ძირი ქართულში ძალიან ძველი ჩანსო. და მეგრ. ჩხოუ („ძროხებ“) მომიტანეს მაგალითად. მაგრამ იქნება მანამდეა შემოსული ეს სიტყვა ჩვენში და ეგება ც-ხვარ-იც ამან მოგვცა, ღორ-იც და ჩხოუ-ც? ცალკე საკითხია, რა მიმართებაშია ამ ძირთან სპარსული გრძი || გორ-ი („კანჯარი“), რომლის არაბიზირებული ფორმა უნდა იყოს. ჭორ-ი, ქართ. ქურა, ქურუ, მეგრ, ქვირა („კვიცა“), ქურანი, ვირი (მეგრ. ვირინი?).

„შაპ-ნამეში“, ბუნებრივია, ჭარჩი აქვს ყველა, მათ შორის მითიურ მეფეს: ჭამშიდს, ჭარჩდუნს, ჰუშანგს და სხვებს, მაგრამ ხდება ხოლმე, რომ ზოგ მათგანს, როცა ის უფლის მცნებას გადავა, ჭარჩი უქინებება ან სულაც ეკარგება. ასე, მაგალითად, ჭარჩი დაკარგა თვით ისეთმა მორქმულმა ხელმწიფებულმა კი, როგორიც იყო ჭამშიდი ცაამპარტავნებულმა ჭამშიდმა სამეფო კარი შეკრიბა და განუცხადა: მე ისეთი ღამსახურება მაქვს, მეფედ კი არა, ღმერთად მიმიჩინეთო). ჭარჩი უქინებება ან საერთოდ ეკარგება ზოგ უფლისწულს. თუსი და გოსთამში მეფე ნაუდარის შეილები იყვნენ, მაგრამ მათ ჭარჩი საერთოდ არ ჰქონიათ და არც არავის მიაჩნდა ისინი ტახტის მემკვიდრეობად, რიგითი სარდლები იყვნენ. ამიტომ, როცა აქტასის მეფე ნაუდარი მოჰკლა, ზღლის ჩევევით ირანელებმა მეფის ამ შეილებზე კი არ შეაჩერეს არჩევნი, არამედ ჭარჩდუნის ჩამომავალი ვინმე ზიგი გაამეფეს. მაგრამ ჰქონდა შორეული სამეფო შტოს ამ წარმომადგენელს ჭარჩი შეჩენილი? და თუ ჰქონდა, რატომ? ქონებით, ალბათ, ჰაკი მეფედ ის აირჩიეს ჩვენ პოემის გმირთა ლოგიკით ვმსჯელობთ). მაგრამ რა იყო ის კრიტერიუმი, რომლითაც არკევედნენ, ჰქონდა კაცს ჭარჩი თუ არა? ამაზე „შაპ-ნამეში“ არაფერია თქმული. როდესაც თურანიდან ოტებული გრვი, ქად-ხოსროვი და ჭარპანგისი ამუ-და-

რის მოადგებიან, გრვი ეუბნება უფლისწულ ქახ-ხოსროვს, შენ ხომ სამეფო ფარრი გაქვს და ამუ-დარიის გადაცურვისა არ უნდა გეშინოდეს (გვ. 741). რაში უნდა ყოფილიყო გამოხატული ეს თვისება კონკრეტულად, როგორ უნდა გამოდგომოდა ეს ფარრი ქახ-ხოსროვს პრაქტიკულად ამუ-დარიის გადაცურვის დროს, არაფრით არ არის მინიშნებული. არც გრვი ცნობს საჭიროდ, განუმარტოს ეს საკითხი უფლისწულს (მას მხოლოდ მაგალითი მოაქვს, ფარისუნმა არეანდი რომ გასცურა) და არც ფირდოუსი იწუხებს თავს იმით, რომ მკითხველი ჩააყენოს საქმის კურსში.*

სამეფო ფარრი აქვს სიმორლსაც. ერთგან სიმორლი ზოლს ეუბნება: ჰამტ ბაშ დარ სამეფ-ე ფარრ-ე მან — „იყავ ჩემი ფარრის ჩადილის (მფარველობის) ქვეში“ (გვ. 139). ფარრი გააჩნია ფერის (ქე ბარ ჩატრ-ე თო ფარრ-ე ჩატრ-ე ფარსთ — „შენს სახეზე ფერის სახის ფარრია“. ფარრი გააჩნიათ სამეფო გვარის ქალებსაც. ნუშზღდი თავის დედაზე ამბობს: ნაგარდამ მან აზ ფარრო აზ ღინ-ე უმ — „არ გადავალ მე მისი ფარრისა და სჭულისაგან“ (გვ. 2663). ეგვე აღვილი გამოდგება იმის მაგალითადაც, რომ ფარრის მქონენი არიან ქრისტიანებიც, რადგან, პოემის მიხედვით, ნუშზღდის დედა ქრისტიანია, „ავესტას“ მიხედვით, ფარრის მოპოვება შეუძლებელია: „ზამიალ-იაშ-თში“ გაშიშვლებული აფრასიანები სამჯერ ჩაყვინთავს წყალში, რათა ფარრი დაიჭიროს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს (იბ. მე-8 ფრაგმენტი. აქ არეკლილია ზოგ ტომში დაცული შეხედულება, რომლის მიხედვით ფარრი დამალულია წყლის სილრმეში. მე-19 იაშთი, 51-64).

შეიძლება მოხდეს ისეც, რომ კაცს ფარრი არ გააჩნდეს და მეფედ მაინც იჯდეს. ასეთი მეფე უზურპატორია. ზაპექს ფარრი არ ჰქონდა (მას ფარრი არ მისცა ანაპიტამ), მაგრამ ირანის ტახტის

* ახსნა იმისა, თუ რატომა იჩანული ფარრი ცხვრის სახით წარმოდგენილი თავის მკვლევარს ელის აქ ერთი კი ცხადი. როგორც აღნიშვნეთ ეს მოვლენა პარალელს პოლიონს ევერტურ მითოლოგიასთან. აქედან უკავშირდება იგი ალექსანდრე მაკეონელს, რომელსაც არაბები ისქანდარუ ზურანიანს — ორი ერთი მქონე ალექსანდრე¹ უწოდებნ. ორჩქანის შეიძლება, გადატანითი შეიშნელობითაც გავიკოთ არაბ. კარ აგრეთვე ნიშნავს სტულის ჩქას (ეს ცნება იხმარებოდა ქართულ მაცაც გარკვეული რელიგიისა თუ სეტის ძიმდევრობას იჩანული გადმოცემებით რადგან ალექსანდრე ორგვარი წარმომავლობისა იყო, ბერძენიც და ირანელიც. ხომ არ გაუსცეს ისლამურ სამყაროში ამ მოვლენას ხაზი ასეთი ზედწოდებითი

ხელთ გდება მაინც მოახერხა და იქ მთელი ათასი წელიშვილი
იმეფთა. მეფის ხელყოფა ან თუნდაც მის წინააღმდევ ბრძოლისაკენ
მოწოდება დიდ ცოდვად ითვლება:

ქე გებად, ქე პარ ქე ზე ჭარმან-ე შპა
ბე ფაჩირდ, ბე დუშას ბარად უჯაშვა.
მარა ჩანდ გემა: გონამქარ შავ,
ზე ჭარმან-ე გოშთასბ ბაზირ შავ

— „ვინც იტყვის, მეფის ბრძანებას გადავუხევითო, ჭოჭოხეთში
დაიმკვიდრებს ადგილს. რამდენჯერ უნდა მითხრა, ცოდვა ჩაიდი-
ნეო, გოშთასბის ბრძანებას არ დაემორჩილოთ!“ (გვ. 1684).

მეფე ხალხს ღმერთთან აკავშირებს. რელიგია და ტახტი
უერთმანეოთოდ ვერ იარსებებენ:

ნა ბი თახთ-ე შპან ბოვად დან ბეფა,
ნა ბი დან ბოვად შაპრიშარ ბე ჯა.

„ვერც მეფის (მეფობის) ტახტის გარეშე იარსებებს სარწმუ-
ნოება, ვერც სარწმუნოების გარეშე იარსებებს ხელმწიფე ხელმ-
წიფობა“ (გვ. 1995).

ერთ პირში გაცხადებული მეფე, მობედი და ბრძენი უფლის
აჩრდილია დედამიწაზე (ქე პამ შპა-ო პამ მოცმად-ო პამ რაღიშვარ
ბარ ზამნა სამე-შე იზადი) (გვ. 2875).

ირანში ყოფილა შემთხვევები, როცა მობედისა და მეფის
ინსტიტუტები ერთ პიროვნებაში იყო მოცემული, გარდა ზემოთ
მოტანილი ადგილისა, ამის ანარეკლი ჩანს „ვის-ო რამინშიც“,
სადაც მობედი შაპის სახელადაც კი არის ქცეული.

მეფობა მარტო უფლებას არ გულისხმობდა, შემთხვევითი არ
არის, რომ შაპის სინონიმი, ტერმინი ფადეშპი (პატი ხშაბასა)
ფალაურად ნიშნავს „ქვეყნის მცენას“. სახელმწიფო ინტერესები
შაპისთვის ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს, პირად ინტერესებ-
ზედაც კი. მეფე ქად-ხოსროვი არ თაკილობს ორთაბრძოლაში
გაძყვეს არამეფეს. სხვა დროს იგი ირანის ინტერესებისათვის
მზადაა სამკედრო-სასიცოცხლოდ შეებას თავის კეთილისმყოფელ
კაცს, ფირანს, რომელმაც იგი თავის დროზე სიკვდილისაგან
დაიხსნა (გვ. 729). ფირდოუსის აზრით, მეფისთვის დამახასიათე-
ბელია სამი ნიშანი: შეძლება (პონარ), გონიერება და ჩამომავლობა
(რგულისხმება. მეფეური ჩამომავლობა) (გვ. 2327). ფირდოუსის
მიხედვით ქახანთა დინასტიის წარმომაღენელი ფიზიკურად

ლონიერი, ლამაზი და ახოვანია (ცვ. 1976). მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ იჩანის მეფეების ამ თვისებებით ყოველთვის მოქმედიათ თავი. მაგალითად, არდაშირ პაპაქის ძე მეფეებს ჩაიგონებს: შენ ღმერთი არა ხარ, უბრალო მოკვდავი ხარო.^{*} მისივე მოძღვრებით, „თუ მთელი ხალხი შეჭირვებულია და მეფე — მხიარული, ეს სამართალს შორავს“. ^{**} იგივე არდაშირი აფრთხილებდა მეფეებს: „იცოდეთ, თქვენი ძალაუფლება ხალხის ტანზე ვრცელდება, მეფეებს ხალხის გულზე მბრძანებლობა არ შეუძლიათო“. ^{***} ფირდოუსიც ურჩევს მეფეს:

ბა ჯარი-მე ზერდასთან გოზნ,
ქე დაბა ზე პარ ქას ბე დად აფარინ.

„ხელქვეთებს ნუ შეაწუხებ, თუ გინდა, რომ ყველამ გაქოს“ (ცვ. 1987).

„მეფე კეთილშობილი უნდა იყოს და ლეთისნიერი კაცის გული უნდა ჰქონდეს“ (ცვ. 1365). თუ მეფე ეშმაკის გზას გაჰყვება, უფალი მას ფარჩს წაართმევს. მოხდება, მეფე სისასტიკეს გამოიჩენს, მაგრამ იგი იძულებულია ასე მოექცეს მტერს. თვითონ მართლმ-საჭული პნუშირვანიც არ ინდობს ამბოხებულთ (ცვ. 2332). ამ „მართლმსაჭულმა“ შავმა ხომ სისხლით მორწყა მთელი საქართვე-ლო, როგორც დასავლეთი, ასევე აღმოსავლეთი. ხდება ისეც, რომ მეფეები იჩენენ ულმობლობას (ვთქვათ, თავის კეთილისმყოფელსაც არ ინდობენ ძალაუფლების დაკარგვის შიშით. გვ. 2290), მაგრამ თავიანთ საქციელს შემდეგში ინანიებენ კიდევაც (ცვ. 1754) და ა.შ.

მეფის ინსტიტუტს როცა ვეხებით, არ შეიძლება, არ აღინიშნოს ის ერთგვარი დემოკრატია, რომელიც მეფეთა საქციელს ხშირად უკავშირდება ფირდოუსის პოემაში. მეფეები დიდ საქმეებს თვითონებურად არ ჰყიდებენ ხელს, მობედებსა და დიდებულებს რჩევას ეკითხებიან. ასე იქცევა, მაგალითად, პნუშირვანი:

სე რეს ანდარუ ბერ ბერ ბა რკასნ,
ჩე ბა ფაქლავნან-ე ლაშქარ შექან.
ჩაპრომ ბარ ან რასთ შოდ რამ-ე შპპ,
ქე რანად სე-მე ჯანგ-ე ყალარ სეუპპ.

„სამი დღე მრჩეველთან იჯდა, ასევე ლაშქრის მსურველ

* „აქ-უ არგაშირ, ფაფუქანლუ-მე არამ ისთან აქსან ამბას, ბარგარგანი გუ ტანის მოქამბაზ-ალი ქმნე-ე შეუშთარო. თექან, 1348, გვ. 104 შემდეგში.

** იქვე, გვ. 121.
*** იქვე, გვ. 59.

გმირებში. მეოთხე დღეს ასეთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო მეფემ, — კეისრის საწინააღმდევოდ ჯარი უნდა წაესხა“ (ცვ. 2338).

მეფები და სარდლები თითქმის ყოველთვის ჯერ მრჩევლებთან ითათბირებენ და შემდეგ შეუდგებიან საქმეს. ზაპატი რომ ზაპატია, მასაც აქვს ერთგვარი დემოკრატია, ხალხისაგან წერილობით დასტურს ითხოვს იმის შესახებ, რომ ის სიკეთის მოქმედია (ცვ. 45). მეფეს ხელქვეითნი უთამამდებიან, კიცხავენ მას. გუდარზი ქვეოსს უჯავრდება, შენ საგიურეში უნდა იყო და არა სასახლეში (ცვ. 413). ზოგჯერ ჯარი მეფისაგან ახსნა-განმარტებას ითხოვს. მაგალითად, აქრასიანი უწყრებიან: რა დაგიშავა ასეთი სიმარტეში, გვითხარიო (ცვ. 657). ჩვენ შევეჩვიერ შეხედულებას, რომ აღმოსავლეთში ქალი უუფლებოა და მას თავის გათხოვებასაც კი არავინ ეკითხება. ეს ისლამური აღმოსავლეთის მოდელია. „შაპ-ნამეში“, სადაც მაზდეანური ირანია დახატული, მეფეც კი ქალიშვილს უთანხმებს მისი გათხოვების საკითხს (ცვ. 386). და ეს მოვლენა ფირდოუსის დამსახურებად არ უნდა მივიჩნიოთ, — იგი ალბათ იყო მის წყაროებში, ფირდოუსიმ მხოლოდ განიმეორა წყაროს მონაცემი.

საგანგებოდ გვინდა შევეხოთ ე.წ. ანდარზ-ნამაკებს, ანდერძის (დარიგებათა) წიგნს „შაპ-ნამეში“. „სასანიანთა ხანაში წესი იყო, შპები ტახტზე. ასვლის დროს წარმოთქვამდნენ სეფესიტყვას, რომელსაც გააჩნდა დამოძლევრითი და უმეტესად მორალური ხასიათი“*. ფირდოუსის პოემაში ამას ისეთი ხასიათი აქვს მიცემული, რომ აქ გვაქვს სეფესიტყვები თვით ისეთი მეფებისაც კი, რომელთა შესახებ თითქმის არაფერი იკითხება „შაპ-ნამეში“, ასე განსაჭირ, მითიური მეფებისაც კი. ამ მოვლენის შესახებ, შეიძლება, ორი ვარაუდი გამოვთქვათ: ან ამ სეფესიტყვათა გარდა მართლა არაფერი იყო პოეტის წყაროში (ძველ ქონიკაში) დაცული (თანაც ეს სეფესიტყვა მართლა ექუთვნოდა იმ მეფეს თუ არა, ესეც საკითხავია), ანდა ესეც, ეს სეფესიტყვაც, რადგან იგი ზოგად სურეილებსა და სენტენციებს შეიცავს, ისეთს, რომელიც რომელიმე კონკრეტული მეფის თავისებურებას არ უკავშირდება, თვითონ ფირდოუსის მიერ არის შეთხზული, ვინძლო რაიმე

* ქარნამეტ-შე შპან, თალიფ-ე არათურ ქრისთენსენ, თარჯომე-დე ბაკერ ამირათნი და ბაქან საჩერასთან თამარზ, 1350, ცვ. 58.

მაინც ეთქვა მშრალ ქრონიკაში მხოლოდ სახელითა და თარიღით შემორჩენილ მეფეზე. რაც შეეხება ფაქტებს, დაცულია ანდარზნამე⁹ რომელიც არდაშირ პპაპაშის ძემ წარმოოთქვა გამეფების დროს. სხვა ტირადათა შორის მასში იკითხება: „იცოდეთ, ჩვენ მევეცდებით, სამართალს გავუკაფოთ გზა, ფეხი ავადგმევინოთ სიკეთეს, განვამტკიცოთ მემკვიდრეობით შემორჩენილი სათნოება, ავაყუავოთ ქვეყანა, მოწყალე ვექმნეთ მონებს, დავიცვათ ქვეყნის სიკეთენი, რომელთაც იგი დროთა ვითარებაში დასცილდა. ხალხნო, გულარხეინად იყავით, რადგან ჩემი სამართლიანობა დაიცავს ძლიერსა და უძლურს, დამტკირებულსა და ოზურებულს!“ მეფეთა მექვიდრენი, ახალი შაპები, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ამ დარიგებებს, რადგან სეფესიტყვებში მათს ავტორებს ნაანდერძევი ჰქონდათ არა რაიმე ახირება, რაიმე ტენდენციური სურვილი ან უსაგრო ოცნება, არამედ პრაქტიკაში გამოცდილი და პანცეად ოლიარებული ქმედებანი და ვითარებანი. ტყუილა კი არ აფრთხილებდა იგივე არდაშირ პპაპაშის ძე მომავალ მეფეებს: „იცოდეთ, ვითარებანი, რომელიც ჩემს შემდეგ შეგემთხვევათ თქვენ, ის ვითარებანია, რომელიც მე შემემთხვა. თქვენც ის გარდაგხდებათ, რაც მე გარდამხდა. ქვეყნის მართვის დროს თქვენც იმ სიძნელეს წააწყდებით, რასაც მე წავაწყდები ხოლმეო!“¹⁰ ასეთი ანდერძების ტექსტები ახალ მეფეთა მიერ გულდასმით შეისწავლებოდა და სახელმძღვანელოდ მიიჩნეოდა.

სასანიანთა კარზე სხვა მოხელეთა შორის იყო ეპისტოლოგ-რაფიც, რომელსაც, გარდა წერილების წერისა, ევალებოდა მეფის საქმეთა და გამოთქმათა ფიქსირება. ბალაზორის ცნობით, სასანიდი შაპის ბრძანებას მეფის თვალშინ იწერდა მდივანი, მეორე მოხელე

* ჩვენ იძულებული ვართ, ამ ტერმინით მოვიხსენით უველავერი, რაც სასანიან მეფეების გამონათქვამებთაგან შემოგრძნია, როგორი წარმომავლობისა და სახის არ უნდა იყვნენ ისინი. — ტატზე ასელის დროს წარმოთქმული სეფესიტყვა თუ მისი ბრძანებით ჩაწერილი ბრძნული ან პრაქტიკული გამონათქვამი.

** „აძღუ ართაშირ, გვ. 108. ციტირებული შრომის ავტორის თუ დავუკერებოთ „შან-ამეში“ არდაშირის სეფესიტყვა 118 ბეითს შეიცავდა, მაგრამ მისმა არაბულად მთარგმნელმა მონდარიშ იგი ამოაგდო“ იქვე გვ. შე ჩვენ არ შეგვამოწმება, რა ვითარებაა ხელნაწერებში, მაგრამ დღეს კანონიკურად მიღებულ ტექსტში არდაშირის სეფესიტყვა შეიღ ბეითს შეიცავს მასში გამოთქმული შეხელულებანი დაახლოებით თან ხვდება შემორჩენილ „ქარ-ნამაჟს“.

*** იქვე, გვ. 63.

კი მას გადანუსხავდა თავის დავთარში. ეს დავთარი მოწმდებოდა ყოველთვე, იბეჭდებოდა მეფის ბეჭდით და ინახებოდა საცავში." აბუ ლ-ფარაგის „ტეპრესთში“ დასახელებულია სამი ასეთი წიგნი, მათგან ორი პნუშირებას მიეწერება, ერთიც — არდაშირს. სასანიანი მეფეების „ანდარზ-ნამაკებს“ არაბები თარგმნიდნენ და სახელმძღვანელოდ იყენებდნენ.

საინტერესო ინფორმაციებს გვაწვდის „შაპ-ნამე“ მეფის რეგლამენტის, ტახტზე ღრმად მოხუცი მეფის, ასევე მცირეშლოვანი მემკვიდრის ზეობის შესახებ. შაფურ ზე ექთაფი ძალიან დაბერდა, მეფობა აღარ შეუძლია, ტახტის მემკვიდრე ჯერ კიდევ ისე პატარაა, რომ სახელმწიფოს გაძლოლა არ ძალუს. შაპი თავის ძმას, არდაშირს, აძლევს მეფობას იმ პირობით, რომ, როცა ტახტის კანონიერი მემკვიდრე მომწიფდება, იგი ამ უკანასკნელს დაუბრუნებს სამეფო გვირგვინს. ასეც მოხდა, არდაშირმა თავის ძმისშეილს, შაფურს დაუთმო ტახტი. ხდება სხვაგვარადაც. მცირეშლოვანი მემკვიდრის ნაცვლად ტახტზე ჯდება მობედი შაპრუ, იგი მეფობს ხუთი წელიწადი, ამასობაში წამოიზრდება ტახტის მემკვიდრე (ზე ექთაფი) და მობედიც გვირგვინს არქვამს ამ უკანასკნელს. „შაპ-ნამეში“ საინტერესო აზრია გამოთქმული მეფის ინსტიტუტის ლევიტიმურობის შესახებ: „მეფე, ვისაც ჰსურს (ე.ი. ვინც მას მეფედ ჰსურს), მას მისცემს ტახტს და კანონიერი ხელმწიფე ის იქნება“ (გვ. 755). ასეთი შეხედულება არაიშეიათად იწვევდა გაუგებრობას და ტახტის უშუალო მემკვიდრეების უკმაყოფილებას როგორც ირანში, ისე სხვაგან, მათ შორის საქართველოში. ეს პრობლემა არეკლილია ხაყანს ერთ წერილშიც და იგი შეეხება გარკვეული წრეების უკმაყოფილებას ჩვენში გიორგი III-ის მიერ ტახტის დაკერის თაობაზე." ყოფილა წესი, რომელზედაც თანსარი მიგვითითებს, უზენაესი ქურუმი განუმარტავს თაბარისთანის მმართველს, გუშნასტს, თუ როგორ უნდა აირჩიონ მეფე. მეფის გარდა, ამ საქმეში მონაწილეობას ღებულოებ: ქურუმი, კარის მდივანი, სპასპეტი, ჰერბედები. *** აქ

* Al-Baladzori, Liber expugnatione regionum. Ed. de Goeie. Lugduni. Batavorum. 1866გვ. 464.

** გ.თოდეუ, ქართულ-სპარსული ეტიულები. III თბილისი, 1979, გვ. 2372.

*** Minowi, M., Tansar's epistle to Goshnasp. Teheran, 1932, გვ. 38 (В.Луконин, Древний, გვ.110).

შხედველობაში არ ვიღებთ შეთქმულებას, რომელსაც სამეფო კარზე უწყობენ ტახტის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრეს ბა-პრემ-გურს და სხვას ინდომებენ მეფედ (გვ. 2098) და შეთქმულებას მეფის წინააღმდეგ, როცა ცოცხალი მეფის ხოსროვ ფარვიზის აღგილას შეთქმულნი ტახტზე სვამენ ბაჰრმ ჩუბინეს, სამეფო გვარის გარე შტოს წარმომადგენელს (გვ. 2726).

ჩვენი პოემის მიხედვით, შეიძი წლის უფლისწულს უკვე ასპარეზობასა და ბრძოლას ასწავლიან, რვა წლისას — სახელმ-წიოო საქმეებს (გვ. 2030). სამეფო კარის სწავლულები და მოხელეები უფლისწულს გამოცდას უწყობენ, ვარგა თუ არა ის მეფედო (გვ. 2554). ტახტზე, თუ ამის შესაძლებლობა იყო, მზის თვის პირველ დღეს აღიოდნენ, დიდებულები ახალ მეფეს ხოტბას ასხამდნენ.

მაგრამ მეფეთა ცელა, ეტყობა, თეითლინებაზეც არ იყო მიშვებული. ჩვენი აზრით, „შაპ-ნამეში“ არეკლილია სხვადასხვა დაჯგუფებათა ინტერესების დაპირისპირება, ამ ჯგუფთა მიერ მათთვის სასურველი კანდიდატის წამოყენება და გარევეულ ღონისძიებათა გატარების შემდეგ ამ, მათთვის სასურველი, პირის გამეფება, პროვინციებიდან სამეფო გვარის არაპირდაპირი წარმომადგენლების ჩამოყვანა მეფედ, როცა მეტროპოლიაში ტახტის კანონიერი პრე-ტენდენტები არიან. ამის მაგალითად მიგვაჩნია ჩვენ ჯერ როსთამის, ზღლის გვარის წარმომადგენლის, მიერ ქად-ყობების ჩამოყვანა ილბორზიდან, შემდეგ კი უკვე მეორე გვარის, გუდარზის გვარის, წარმომადგენლის, გრვის, მიერ ქად-ხოსროვის ჩამოყვანა თურანიდან. ასეთი მოქმედებანი ყოველთვის იოლად როდი უწარმოებიათ. ვწვმა, როცა ქად-ხოსროვი ჩამოყვანა მეფედ, ტახტის კანონიერი მემკვიდრე, ფარიბორზი, ცოცხალი იყო. და ამას საყვედლურობს კიდევაც ფუსი, თეორიულად ასეთივე პრეტენზიების მქონე პირი, გრვა: ფარიბორზი ქად-ქავოსის შეილია და იგი უფრო ღირსია მეფობისა, ვიდრე ქად-ხოსროვი, მისი შეილიშვილი (გვ. 751).

„შაპ-ნამეში“ რამდენიმე მეფე ქალია გამოყვანილი. ამათგან სამი ირანის შაპია, ერთი ინდოეთის (გვ. 2473), ერთიც ანდალუზისა (გვ. 1756). ირანის შაპები არიან: ესჭანდიქპრის ვაჟის, ბაჰმანის ქალიშვილი და მისივე მეუღლე ჰომად (გვ. 1758), ფარავანის ქალიშვილი ფურანი (გვ. 2956) და ხოსროვ ფარვიზის ქალიშვილი ჯზარმი (გვ. 2958).

როგორც ეს არაიშვილთად ხდება ხოლმე, ირანის ზოგი ისტორიული მეფე მითების ან ლეგენდის პერსონაჟად იქცა. ასეთი სახეა, მაგალითად; ბაპტისტ-გური (ვარაპრან V. 421-439), რომელიც აღმოსავლურ თქმულებებში შევიდა, როგორც ნადირობისა და დროსტარების მოყვარული ხელმწიფე.

„შაპ-ნამეში“ უხვადაა ფიქსირებული ირანული ყოფის ამსახველი მასალები ჩვენ მათზე საგანგებოდ შევჩერდებით). რა თქმა უნდა, აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ფირდოუსიმდელი, მის წყაროებში აღწერილი ყოფა და ყოფა, რომლის შემსწრე „შაპ-ნამეს“ ავტორი იყო. ამჯერად სამეფო რეგალიებს ჩამოვთვლით: ტაბტი, ტავყი (ყელსაბამი), გვირგვინი მისი სინონიმებია: აქსარ, თაჯ, ქოლაპ, ლიკიმ), ოქროს ქოში, ქამარი, საყურე, სამაჯური, ბეჭედი, ხმალი, ხანგალი, ფარგარი, გურზი, საჩრდილობელი...“ ამათვან მეფობის მთავარი ნიშანი, მტყობა, ტახტი იყო. ეს ფანდიქანი ეუბნება დედას, მამაჩემი ხომ დამპირდა, რომ შაპად დამსვამდა, შეასრულოს თავისი სიტყვაო! დედა ამშვიდებს: რითი არა ხარ ირანის შაპი, ჯარი შენს ხელშია და განძი. მამაშენს ტახტიდა დარჩა და მას ნუ ეცილებიო! სწორედ იმიტომ, რომ ტახტი არ ჰქონდა, არ იყო ეს ფანდიქანი ხელმწიფე.^{*} ზოგან მეფის ტახტი კამეჩის თავის გამოსახულების მქონე ფეხებზე დგას (ცვ. 598), ზოგან — ცხვრისაზე (ცვ. 376). ზოგი ტახტი ოქროსია და მას ბროლის ფეხები აქვს (ცვ. 316), ზოგი სპილოსძვლისაა (ცვ. 527). იგი მოოქვილია ძვირფასი თვლებით მომდევნო მეფეები კიდევ უმატებენ ამ ტახტებს თვლებს. ეს ტრადიცია გაგრძელდა ბოლომდე), ზოგი მეფის გვირგვინი იაგუნდისაა (ცვ. 103, 753, 1855), ამასთან ერთად ისესნიება ფირუზიც (ცვ. 1855). ისტორიულად ცნობილია, რომ მეფე პნუშირვანის დროს გვირგვინი

* აქემენიინ მეფეთა თავდაპერაზე, განერებზე, სასახლეზე, ტახტზე მორთულობასა და სამეფო ჩეგალიებზე ის: მაჭავ ჭიქა, პამ-ე შეპანშამ-ე ირან, პონარ-ო შაჩრიოვ, შომბრუ-ე 174, ცვ. 2

** ირანის მეფეთა ტახტისა და გვირგვინის შესახებ ის: სალუ ქიმა, თაქ-თ თამთ. თეპჩან, 1348.

ისე დამძიმეს ძვირფასი თვლებით და ისე გაზარდეს მოცულობით, რომ მისი თავზე დახურვა შეუძლებელი იყო, იგი წვრილი ოქროს ძეწკვით კერზე ეკიდა მეფის თავს ზემოთ და ისე ჩანდა, თითქოს შაპს თავზე ეხურა.^{*} სამეფო სიმბოლო იყო თეთრი ქორი. მეფე გოშთასბს გვირგვინში ჰიმანი (ზღაპრული ფრინველის) ფრთა ჰქონდა გარქობილი (ცვ. 1451). ასევე იქცეოდნენ სამი (ცვ. 229) და ბიუანი (ცვ. 1075), თუმცა ისინი ხელმწიფები არ ყოფილია.

როგორც ადრე ვთქვით, ირანის პირველი მითოლოგიური სამეფო გვარია ფიშდადიანთა დინასტია.^{**} მისი პირველი წარმომადგენელია ქადუმარსი (ცავომართი).^{***} ამ მითოური დინასტიის შესახებ არსებული თქმულებები შეიცავენ „ზოგიერთ რეალურ, ძველ ისტორიულ ფონს“. და ეს გასაგებიც უნდა იყოს; ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, რომ ირანის ზოგი ისტორიული მეფე თქმულებებისა იქცა მითოურ მეფედ, ღმერთადაც კი (ცილგამეში, რომელიც 47 საუკუნის წინ მეფობდა შუმერში, უფრო გვიან — ჩინგიზ-ხანი და სხვები). „შაპ-ნამეს“ მიხედვით ამ დინასტიას ეკუთვნიან შემდეგი მეფები: გამუმართი, პუშანგი, თაპმურასი, ჯამშიდი, ფარიზუნი, მანუჩერი, ნაუდარი, ზავი და გერმასფი. ძველ ლექსიკონებსა და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ამ დინასტიასაა მიკუთვნებული ჯაჭაქიც, რომელიც ჯამშიდის შემდეგ მეფობდა ირანში ათასი წელიწადი. მაგრამ ჯაპეჟი უზურპატორი იყო (იგი ირანელი არ ყოფილა, არაბი იყო წარმომავლობითაც და სისხლითაც), არც მის მემკვიდრეს გაუგრძელებია სამეფო გვარი. ამდენად, ამ მითოლოგიურ დინასტიაში ცხრა მეფე შედის და არა ათი. ამავე დროს „შაპ-ნამეში“ ზოგ ფიშდადიან მეფეზედაც ნათქვამია — ქახნელი იყოთ. ასე, მაგალითად, ჯამშიდის შესახებ პოეტი გვეუბნება: ბეჭარ-ე ქამბ ნარ ქარდ პასჩრა — „ქახს ფარისით რეინა დაარბილა“ (ცვ. 33). ფარიზუნის დედა შვილს ეუბნება მისი მამის, ათბინის, შესახებ: ზე თობე-ე ქამან ბურ-ო ბირა ბურ — „ქამბნთა თესლის იყო და გამჭრიახი [კაცი] იყოო“ (ცვ. 43). მანუჩერზე ნათქვამია: ბა

* ქაპლები, ლერს-ე აბარ-ე მოლუქ, ცვ. 639.

** ფიშდადიანები მრავლ ტორმაა და ნიშნავს: ფიშდადებს. თავალ ფიშდად კომპონიტია: ფიშ („წინ“)და („სამართალი“) და ნიშნავს პირველმაჭულს (პორტი, ცვ. 442).

*** შეიძლებოდა კაცს ეფიქრა (და ზოგი ასეც ფიქრობს), რომ აქ იყითხება ქად როგორც ქამანთა დინასტიის სახელწოდებაში გვედება სინამდვილეში კი აქა, გვაქვს გამო უორმა, — გავო (სული, სიკუცლე) მართან („მოკვდავი“) (მორსი, ცვ. 1872).



სარ მარ ნეპტო ან ქადაგინი ქოლაჲ — „თავზე დაიღვა ქადანური გვირგვინი“ (გვ. 129) და ა.შ.

1. გამუშმართი. ფირდოუსი თავის პოემას ნივთის შექმნიდან იწყებს და მას, ბუნებრივია, პირველი მეფის ვინაობაც აინტერესებს. მაგრამ ვინ იყო იგი, ვინც პირველმა იჩქვა სამეფო გვირგვინი, პოეტმა არ იცის. ეს კიაო, გვაუწყებს ფირდოუსი, ერთი ძველი წიგნის მიხედვით (რა წიგნია ეს, ამაზე არაფერს გვეუბნება), პირველი ხელმწიფე გამუშმართი ყოფილაო (გვ. 14). გამუშმართი ზოგ მითში კაცობრიობის მამამთავრადაცაა მიჩნეული. ჩვენი პოემის მიხედვით კი იგი ე.წ. კულტურული გმირია, რომელსაც მეფის ფუნქციები დაეკისრა. იგი იყო პირველი ფიშდალი, ე.ი. პირველი პირველმასჯული, კაცი, რომელმაც თავის საუფლოს (რომელშიაც ცხოველებიც შედიოდნენ) კანონი დაუწესა. მან ასწავლა ხალხს ტანზე ჩატანა დიქის ტყავი ჩაუცა მათ. აქ, ბუნებრივია, ფირდოუსის საუბარი არა აქვს ჭიქის ტყავის მაგიურ ფუნქციაზე, რომელზედაც შემდეგში გვექნება ლაპარაკი, შით უმეტეს, არ უნდა ყოფილიყო ასეთი მინიშნება იმ მითში, რომელიც პოეტმა გამოიყენა. მას მტრობდა აპრიმანი, რომელთანაც ბრძოლაში გამუშმართს დაელუპა შეილი სიჩამაქი. ანგელოზის ჩაგონებით გამუშმართმა შეადგინა ჭარი (მასში შედიოდნენ ცხოველებიცა და ფრინველებიც), მას თავისი შეილი შეილი, სიჩამპქის ძე პუშანგი უწინამდლვრა და ავ სულებს სძლია.

გამუშმართმა ოცდაათ წელს იმეფა.

2. პუშანგი. გამუშმართის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა პუშანგი.* მან მოიძია ლითონი და მისგან გააკეთა ცული, ხერხი და ეჩო. არხები გაჭრა და ყანები მორწყა. მანამდე ხილით იკვებებოდნენ. მან კი ხალხს პურის კამა დააწყებინა. ცეცხლის გაჩაღება ისწავლა. ნადირს ბეჭვს ხდიდა და ტანსაცმლად იყენებდა. სადეს დღესასწაული შემოილო.

* თუ ჩას ნიშნავს ქუშანგ უცნობი თუ არა, სადაო მაინც არის. „ავესტაში“ იგი იხსენიება როგორც პაოშანგა ფიუსტის ეტიმოლოგიით ივი ნიშნავს „კაცი, რომელიც ჭარე საცხოვერებლებს (საღვომებს) აქეთებს“ (მორქანი, გვ. 2094). ზოგი მეცნიერი შოექცა თავის ფირდოუსისეული ხალხური ეტიმოლოგის გავლენის ძევში: „გრანტმა რა ნამ ქუშანგ ბულოთო გონით ქამე ქუშო ჭარქანგ ბულ“, [იმ] კეთილმობილს სახელად პუშანგი ეჩქვა. იტყოდა, თავიდან ბილომდე გონება და შეცნიერება აჩისო“ (გვ. 16 ქუშ „გონება“, ჭარქანგ — „მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა“).

ჰუშანგმა ორმოც წელს იმეფა.

3. თავმურასი. ჰუშანგი მისმა შვილმა თავმურასმა შეცვალა.^{*} მან ხალხს ცხვრის კრეპა და მატყლისგან ტანსაცმლის დამზადება ასწავლა. ყურშავი და ავაზა მოაშინაურა; ქორი და შევარდენი მოათვინიერა, დედალს მამალი მიუჩინა. აპრიმანი შელოცვით გაჩხიბა და ზედ ამხედრდა. ავსულთ შეება. მათგან ორი მესამედი შელოცვით დაიმორჩილა, დანარჩენები გურზით დაამარცხა. დევებისაგან (ავი სულებისაგან) ისწავლა წერა ოცდათ ენაზე (არაბულზე, სპარსულზე, სოლდურზე, ჩინურზე და სხვ.).

თავმურასმა ოცდათ წელს იმეფა.

4. ჯამშიდი. თავმურასის ტახტზე მისი შვილი ჯამშიდი^{**} ავიდა. მთელი ქვეყნის დევები (ავი სულები), ფრინველები და ფერიები მას ემორჩილებოდნენ. პირველმა განაცხადა, სამეფო ჭარბი მაღას, მეფეც მე ვარ და მობელიცო. გამოჭედა აბჯარი მუზარადი, თორი, ხევთნი, ბარგასთუნი). ბამბის, აბრეშუმისა და მატყლი-საგან ტანისამოსი დამზადა. საზოგადოება ოთხ ფენად დაყო: მლოცველებად, მებრძოლებად, მუშებად და ხელოსნებად. მოიპოვა ძვირფასი ქვები, ნელსაცხებლები და წამლები გამოიგონა. დევს ტახტრევანს შეაბამდა და ასე დადიოდა. „ახალ დღეს“ (ნოვრუზს) ირანელთა ახალ წელს, დაუდო სათავე. თავისი წარმატებით მეტად გაამპარტავნდა და სამეფო კარის მოხელეთ განუცხადა: მე მეფე კი არა, ღმერთი ვარ. და თვევნც ასე მაღიარეთო. ეს რომ თქვა, ჭარბი გაუქრა და სასახლეც კარისკაცებისაგან გაიცალა. მის დროს ერთი ცუდი ამბავი მოხდა. ირანს წაპეჭი დაეპატრონა. ეს წაპეჭი ეშმამ აცდუნა, ჯერ მამა მოაკვლევინა, შემდეგ კი მხერებზე ორი გველი ამოუსხა. ^{***} გველებს დღეში ორი კაცის ტვინით კვებავნენ. ამოწყდა ხალხი. წაპეჭმა ჯამშიდი დაიკირა და შუაზე გახერხა. დარჩა ირანი ტირანის ამარა.

საგულისხმოა, რომ „არღვისურ-ხაშთის“ მიხედვით (იგი „ავესტის“ ნაწილია), წაპეჭმა (აუ-დაპაჭმა) ანაპირს თხოვა ისეთი ძალა, რომლითაც მას შვიდი ქვეყნის დაბყრობა შეეძლებოდა. მაგრამ ანაპირამ არ შეისმინა მისი თხოვა (მე-8, 29-31). პოემაში წაპეჭი უკვე გააღამიანებულია, მას აღამიანის თვისებები უფრო მეტი აქვს, ვიდრე ურჩეულისა. შემთხვევით

* ეს მეტე „ავესტაში“ ისხენიება ფორმით თავმარტა (თაქმა — „ძლიერი, გულადი“, ურცა — „გრძნეულის“) (მორჩინი, გვ. 53).

** ქამერტი „ავესტაში“ შოსხენიებულია უორმით აამაბაეტა („ხამა — „მეფეტი“;

ზშეერა — „ბრწყინვალე“ (მორჩინი, გვ. 53).

*** წაპეჭი არის „ავესტა“ აუ დაძარა (აუ — „გველი“, ლაქ — „შხამიანი“) (მორჩინი, გვ. 53). მას შეორე სახელიც აქვს ბევრასფი, რაც ათ ათასი ცხენის შელობელს ნიშნავს, მაგრამ ასეთი წოდება მცდარი გააზრების შედეგი ჩანს: „არღვისურ ააშთის მიხედვით აუ-დასაკა არის ბევრას ქვეყნიდან (თავი მეტაზე გრავა, ეტყობა, ბავრასფად მიიჩნიეს).

არ არის ისიც, რომ ზაპექის უშეუალო ჩამომავალია როსთამი (გვ. 169), მაგრამ ეს ფაქტი მას არავის თვალში არ ამცირებს, პირიქით, ეესჭანდიდაბრთა შელაპარაკების დროს ამას იგი საგანგებოდ აღნიშნავს კიდევაც, თითქოს თავსაც იქებს ამით (გვ. 1668).

ზაპექის უწინასწარმეტყველებს: ქადანთა სამეფო გვარში ერთი ყმიწვილი დაიბადება და ის მოგიღებს ბოლოს. ახლა ეს ყმიწვილი ეძება ამაოდ, ამასობაში ზაპექის ტრიანის წინააღმდეგ აჯანყებას აწყობს მეტელი ქვეა. ზაპექის დამხმბენ. ფარიდუნს გურზით უხდა მოეკლა ზაპექი, მაგრამ ანგელოზმა გამოუტადა: ნუ მოკელავ, მისი სიკვდილის დრო ჯერ არ დაძლეარა, შეჰქირა იგი და დამავანდის მთაზე დააბიო (მდრ.: ამირანი (პარიმანი) და მჰერი). ასევ მოიქცნენ. ფარიდუნი გაშეფდა.

გამშრდმა სამოცდათ წელს იმეფა.

ზაპექის ათას წელს ეპყრა ირანის ტახტი.

5. ფარიდუნი. ფარიდუნმა (მდრ.: ფრიდონი)* ქვეყანა უკეთურებისაგან გაწმინდა. მან შემოილო მეტრების დლესასწაული. სამ შეილს: სალმს, თურსა და ირაჭს გაუყო თავისი სამეფო. საღმს არგუნა საბერძნეთი, თურს — თურანი, ირაჭს კი — ირანი, ამით უკმაყოფილო ძმებმა მოკლეს ირაჭი. ირაჭის შვილიშვილმა (ქალიშვილის ძემ) მანუჩერმა პაპის შური იძია, ბრძოლაში დაამარცხა და მოკლა სალმი და თური (აქედან დაედო სათავე თურანელებისა და ირანელების ურთიერთმტრობას).

ფარიდუნმა ხუთას წელს იმეფა.

6. მანუჩერმა. მანუჩერმა^{**} თავის სეფესიტყვაში ლარიბთა ქომაგობა იღო თავს. მისი მეფობის დროს გაჩნდა ზალი. ზაბულისთანელი ფალავნის, სამის, ვაჟი ალბინოსი დაიბადა და მამამ იგი ალბორზის მთაზე გადააგდებინა, სადაც სიმორომა გაზარდა. ზალისა და რუდამებს (ქაბულისთანის მეფის, ზაპექის ჩამომავლის ქალიშვილის) სიყვარულის შედეგად ამ ხანაში დაიბადა „შაპ-ნამე“ მთავარი გმირი როსთამი (როსტომი).

მანუჩერმა ასოც წელს იმეფა.

7. ნაუდარი. მანუჩერმა შვილი ნაუდარი^{***} თავის სიცოცხლეშივე გაამეფა. ნაუდარი უსამართლო მეფე დადგა. მის დროს დაიწყო ირანელთა წინააღმდეგ ომი თურანის მეფემ ფეშანგმა, აქრასისაბის მამამ. თურანის ჯარი ატრასის მებრძობის სარდლობით

* „ავესტაში“ ფარიდუნი მოსსენიებულია როგორც ფრაგრანდ სახელი და ავესტაში „მესამე“ საქალაქი როლთან ფარიდუნის ცხოვრებში ეს მოტივი გასლებს „ავესტაში“ არ ვკლილ, ასევე „რიგვედაში“ ასაბულ მისს ცლიდონის შესახებ, რომელშიც სამარად ვრცლად არის აღწერილი, ამ მეფის ცხოვრება

** „ავესტაში“ მანუშ ჩითრა (ჩითრა — „პირისახე“, მანუშ — „სამოთხეული“ (მორქანი, გვ. 204).

*** გამოითქმის ასეც: ნაუდარი, ნაუდარი წინავე „მოსაწონს“ (მორქანი, გვ. 284). აქედანაა ქართული საკ. სახელები: ნოღარი და ნუგბარი.

დაესხა ირანს. ნაუდარი ჭერ ტყველ იგდეს თურქებმა, შემდეგ კი სიცოცხლეს გამოასალმეს.

ნაუდარმა შვიდ წელს იმეფა.

8. ზავი ფაპმასბის ძე. ნაუდარს ორი ვაუი კი დარჩა (ოშსი და გოსთაპმი), მაგრამ მათ, როგორც უკვე ვთქვით, სამეფო ფარრი არა ჰქონდათ. ამიტომ ზელის წინადაღებით, მეფელ ჩამოიყვანეს ვინმე ზავი, ოთხმოცი წლის კაცი, რომელიც ფარიდუნის ჩამომავალი იყო.

ზავმა ხუთ წელს იმეფა.

9. გერშასფი. ტახტზე ავიდა ზავის თავკერძა შვილი გერშასფი⁹ მისი მეფობის დროს მოხდა დიდი ომი ირანსა და თურანს შორის, რომელშიაც თავი გამოიჩინა როსთამშა.

გერშასფმა ცხრა წელს იმეფა.

10. ქახ-ყობპდი. უმეფოლ დარჩენილმა ირანელებმა ზელის ჩერვით როსთამს იალბუზიდან მეფელ ჩამოაყვანინეს ქახ-ყობპდი, ფარიდუნის ჩამომავალი. ქახ-ყობპდის მეფობის დროს დაიღო ზავი ირანელებსა და თურანელებს შორის და ორ სამეფოს საზღვრად ამუ-დარია იქნა მიჩნეული.

⁹ „ავესტაშია“ ქურუს ასპა ქერესა — „შპლე წანდაკი“, ასპა — „ცხენი“, ამ სახელს ატარებს „მაპ-ნამეში“ მეორე პერსონაჟიც (გმირი, არამეული) რომელზედაც ასადწ ფუსს მე-10 სა დაწერილი აქვს პოემ „გერშასფ-ნამე“. როგორც უკვე ვთქვით ამ მეფის ზეობიდან ითელიან ქადანთა მითოლოგიურ ლინასტიას. ადგრძე უთითებს ტიტული ქად (ძვ. სააհისულ ენაზე ქავა — „მეფე“) სხვადასხვა წყაროებშე ქადანდ შეუერთ რაოდენობა სხვადასხვა „მაპ-ნამეში“. თუ ესქანდარისაც (ალექსანდრე მაკელონელსაც) მიეკიდებთ სათვალვში, ათი ქადანელი მეფეა „ავესტაში“ — ჩვევ ქახ-ყობპდი (ქავი-ქაბრა). ქახ-აფიგამი (ქავი აფიგავუ), ქახ-ქერმა (ქავი-ქესან), ქახ-სხაუში (ქავი-სიაგარშინ) და ქად-ზოსტროვი (ქავი-პაუსრავამ) (რევული 132, იაშთა 13, ჩაუკული 7, იაშთა 19). მაგრამ ქერ უკვე გვქონდა ზემოთ შემთხვევა ილგვენიშნა რომ „მაპ-ნამეში“ სხვა მეფეებთანაც არის ეს ტიტული მოხსენიებული. ყომბდ (ლობპდ) ძველ ლექსიონებში განმარტებულია როგორც მართლმასული (მორსპნი, გვ. 175).

ქად-ყობრდმა ას წელს იმეფა.

11. ქად-ქვეოსი. ქად-ყობრდმა სიკვდილის წინ თავის ოთხ ვაჟთაგან მეფედ ქად-ქვეოსი^{*} ამოარჩია. ქად-ქვეოსი კვუამჩატე ხელმწიფე გამოღდგა. აიხირა და არ დაიშალა, ავი სულებით დასახლებულ მაზანდარანში უნდა გავილაშქრო. გაილაშქრა და ტყვედ ჩავარდა. გამოიხსნა როსთამმა, რომელსაც ამ გზაზე შვიდი ფათერაკი გადახდა თავს. პამავარანში ლაშქრობის დროს ქად-ქვეოსმა ცოლად შეირთო ამ ქვეყნის მეფის ქალიშვილი სულპბე. ერთხელ ეშმაკმა კაცის სახე მიიღო და ქად-ქვეოსს ურჩია: ცარგვალს რა ამოძრავებს, რატომ არ გაინტერესებს, მორგვმული ხელმწიფე ხარ და ცაში გაფრენის სურვილი რატომ არა გაქვსო? მეფემ საგანგებოდ გამოშვრთნილი არწივები გოდოლს შეაბმევინა და ცაში აფრინდა, მაგრამ ფრინველებმა დიდხანს ფრენა ვერ შეძლეს და მეფეც მიწაზე დაენარცხა. ქად-ქვეოსის მეფობის დროს დატრიალდა სოჭრაბის (ზურაბის) საცოდაობა. თურანში გაზრდილი როსთამის ვაჟი სოჭრაბი აქრასხაბმა მამის წინააღმდეგ აბრძოლა. როსთამმა ორთაბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრა შვილი, რომელსაც ის არ იცნობდა. ქად-ქვეოსმა კი წამალი არ გამოუგზავნა მისი ტახტის ბურჯს, როსთამს, შვილის მოსარჩენად, — შეეშინდა, სოჭრაბი თავის მუქარის შეასრულებს და მე დამამხობსო!

ქად-ქვეოსის დროს მოხდა მეორე ტრაგედიაც. ქად-ქვეოსის ცოლს, სუდაბეს, შეუყვარდა ტახტის მემკვიდრე სიხანუში, მისი ქმრის შვილი მეორე ცოლისაგან. სიხანუშმა სუდაბეს წინადადება არ მიიღო. მაშინ ქალმა გაითამაშა მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილი სცენა: კაბა შემოიხია და ქმარს შესჩივლა, სიხანუშს ჩემი

* ზოგი მეცნიერი (აქრის ტენისი), ვაქენინი, ი.მ. დაიაკონოვი) თვლის, რომ ქადანიდებში იგულისხმება „ისტორიულ სინამდვილის გარცვალი“, ზოგის აზრით კი ქადანინათ ისტორია „გამოვლინილია“ ზოროსტრიიელი მოგვების მიერ იმ მიზნით, რათა სამართლიანი ქადანიდები დაეპირისპირებინათ სხვადასხვა ეპოქის ნაძვილ და არასამართლიან მეფეებთან“. „მაგრამ ისინი რომ მართლაც მითიურნი ყოფილიყვნენ და შექმნილი უსამართლო მეფეებთან დასაპირისისირებლად, უნაკლონი, მართლაც სამართლიანი და ყოველმხრივ იღეალურები იქნებოდნენ და არა ისეთები, როგორიცაა ქად-ქვეოსი“. „არ არის გამორიცხული, რომ ქადანთა ლინასტიის უკან იმალებოდეს აქემენინათა ლინასტია ხომ შეიძლება, რომ ბეჭისოთნის წარწერებში აქემენიდები თავიანთი ნაძვილი სახელებით იყენენ წარმოდგენილნი, „აკესტის“ საკრალურ ტექსტებში კი თეოფორული ფსევდონიმებით (მიხეილ ქურდიანის ზეპირი შენიშვნას „აკესტაშია“ ქავა უსან (ქავა — „მეფე“, უსან (უსა) — „ბევრი შემოსავლის მქონეობი (მორჩენი, გვ. 1582).

გაუპატიურება უნდოდაო! სიჩაუში გამართლდა, მაგრამ მიხვდა, რომ სასახლეში არ დაედომებოდა და ოფრასისაბთან წავიდა. ოფრასისაბთან თავისი ქალიშვილი ფარანგისი შერთო ირანელ უფლისწულს, მაგრამ შემდეგ იგი მაინც მოაკედინა. ირანელი ფალავანი გივი მიღის თურანში სიჩაუშის ვაჟის ქადაგის მოსაძებნად და შეიდწლიანი ხეტიალის შემდეგ ჩამოჰყავს იგი. ქადაგის გამოეუბენ ჯერ კიდევ პაპამისის სიცოცხლეში.

ქადაგის ასორმოცდაათ წელს იმეტა.

12. ქადაგის გამოეფდა და შეუდგა სახელმწიფო საქმეების გაძლოლას, მაგრამ ქადაგის მაინც რჩებოდა ნომინალურ ხელმწიფელ. ქადაგის გამოეცვა^{*} როსთამთან ერთად მამის შური იძია, დამარცხა და თავისი ხელით მოკლა პაპამისი (დედის მამა) ოფრასისაბთან. ქადაგის განიცდის იმას, რომ იგი ცოდვილია მის ძარღვებში თურქული სისხლიც სდის) და თხოვს უფალს, თავის წიაღში მიიღოს. ირანელ გმირებთან ერთად იგი აღის მთაზე და იქ უჩინარდება.

ქადაგის სამოც წელს იმეტა.

13. ლოპჩასაფი. ქადაგის სანამ გაუჩინარდებოდა, სამეფო გვირგვინი თავისივე ხელით ჰუშანგის ჩამომავალ ლოპჩასაფი^{**} დაადგა, თუმცა ეს საქციელი მას ცველა მისმა ახლობელმა და მის საშასხურში მდგარმა ფალავანმა დაუწუნა. ლოპჩასაფს ორი ვაჟი ჰყავდა: ზარინი და გოშთასფი. მეფეს ზარინი უფრო უყვარდა. მამით უქმაყოფილო გოშთასაფი ჯერ ინდოეთში გადაიხვეწა, შემდეგ კი — საბერძნეთში. იქ კეისრის ქალიშვილი ქეთამუნი შეირთო ცოლად, შემდეგ ბრძოლებში თავი გამოიჩინა და კეისრის მოციქულად ჩამოვიდა ირანში, რომელმაც საბერძნეთს ხარკის გადახდა შეუწყვიტა. მამამ სიყვარულით მიიღო შვილი და გაამეტა. ლოპჩასაფმა ასოც წელს იმეტა.

14. გოშთასაფი. როგორც ვთქვით, ეს თავი დაყიყის მიერ არის დაწერილი. გოშთასაფის^{***} მეფობის დროს ირანში გამოჩნდა ზარდოშთი (ზარატუსტრია) და იქადაგა ახალი რელიგია. მეფეს წარუდგა და უთხრა: მე უფლის მოციქული ვარო. გოშთასაფს საცეცხლური აჩვენა, ეს მე უფალმა სამოთხიდან გამომატანაო.

* „ავესტაშია“: ქადაგის გადასაცავ (ქადაგი — „მეფე“, ქადაგი — „სახელგანთქმული“) (ბორჯანი, გვ. 175).

** „ავესტაშია“ აურგატ ასპა (აურგატ — „ფუტხელი“, ასპა — „ცხენი“) (ბორჯანი, გვ. 198).

*** „ავესტაშია“: გოშთასპა (გოშთა — „მშიშარა“, ასპა — „ცხენი“) (ბორჯანი, გვ. 189). ფალაურ ტექსტში ვიშთასპა, სპანდატა (ესჭანდისარი) და ზარინი ძეგი არიან.

მეფემ ირწმუნა ზარდოშთის რკული და ხალხსაც მიაღებინა იგი. არჯასთმა, აჭრასწმის ჩამომავალმა თურანის მეფემ, ეს რომ გაიგო, ირანს შემოესია. ომში ორივე მხრიდან მრავალი ფალავანი დაიხოცა. თურანელები დამარცხდნენ.

ერთ დღეს გოშთასთვის მისი შვილი ესტანდისარი გამოეცხადა და სამეფო ტახტი მოთხოვა. მეფემ შვილს გვირგვინი და საგანძური უბოძა, ღროშა და სპა ჩააბარა მთავარი, ტახტი კი, თავად დაიტოვა) და სალაშქროდ გაუშვა. ცოტა ხანში დაბეზღებით შვილი დაიშირა და დილეგში ჩააგდო. არჯასთმა განყენებულად მცხოვრები ლოპრისაფი ხმლით აჩება, ქურუმები ამოხოცა და ცეცხლის ტაძარი დააქცია. გოშთასთვი მიუხვდა, რომ თურქებს მხოლოდ ესტანდისარის დაბარებით ძლევდა, იგი ციხიდან გაათვისუფლა. ესტანდისარმა თურქები გააქცია. იგი ყოველი გამარჯვების შემდეგ მამამისს ჯიუტად უმეორებდა, მომეცი ტახტიო! მეფეს ტახტი არ ეთმობოდა და შვილს ახალი ფათერაკების წინააღმდეგ აგზავნიდა, იქნება, დაიღუპოს და ტახტი მე შემრჩესო! ახლა ისევ ახალი პირობა წამოუყენა მეფემ ესტანდისარის: შენს ძმებს თუ დაიხსნი ტყვეობიდან, ტახტს დაგითმობო. ესტანდისარი წავიდა და შვილი გმირობა ჩაიღინა. ბოლოს კი ყველაზე მძიმე დავალება მისცა შვილს: წადი, როსთამი დაატყვევე და ბორკილებგაყრილი აქ მომგვარეო! რა არ ქნა როსთამმა, ზაბულისთანში მასთან ასეთი განზრახევით ჩამოსული ესტანდისარი რომ გონჩე მოეყვანა: მე იმდენი ამაგი მაქეს ირანის შაპებზე, ამას გარდა, მეფის, ჰაპაჟეს ჩამომავალი ვარ, ასე უდიერად მოპყრობას არ ვიმსახურებ, ჩემი ძალით ხელთ გდება და ბორკილების დადებაც შეუძლებელია. საქმე მაინც ორთაბრძოლაზე მიდგა. ესტანდისარი რვალისტანა იყო და ისარი ვერ ატანდა. როსთამს კიდევაც ძლია მან, იგი დაიჭრა, მაგრამ როსთამს აქ მიერველა მისი მფარველი სიმორლი, — მან გაუმთელა ფალავანს ვრიოლობა. სიმორლისვე ჩემვით, როსთამმა ესტანდისარს შიგ თვალებში განუწონა ორკაპი ისარი და მოკლა.

დიდხანს არც როსთამს უცოცხლია. იგი შურით დაღუპა თავისმა ნახევარმამ შალბდმა. შალბდი ქაბულში იზრდებოდა. იქ ქაბულის მეფესთან შეითქვა. ვითომ იჩხუბეს ერთმანეთთან. ზაბულისთანში გამოიქცა და თავის „შეურაცხმყოფელს“ ძმასთან უჩივლა. როსთამიც გზას გაუდგა, ქაბულის მეფე უნდა დაესაჭოო. როგორც შეითქვნენ, გზაზე ორმოები გაუთხარეს და შიგ ალესილი შებები და მახვილები აღმართეს. როსთამი თავისი რახშითურთ შიგ ჩაერდა და სასიკვდილოდ დაიკრა. შალბდს თვალი ჰეიდა და მიუხვდა, მან უღალატა. თხოვა, ირი ცალი ისარი მაინც მომეცი,

ნადირი მოვიგერიონ. შალადი მოტყუფდა. როსთამა ისარი
ეროლა და ხეს მიფარებული ძმა ძელს მიალურსმა.

გოშთასფრა ასოც წელს იმეფა.

15. ბაქმანი. გოშთასფრა სიკვდილის წინ დაიბარა, ჩემს შემდეგ
მეფედ ეს ჭანდინის შეილი ბაქმანი^{*} დასვითო. ბაქმანმა როსთამის
საგვარეულო ამოილო ნიშანში (არადა თვითონ როსთამის გაზრ-
ილი იყო). ზაბულში გაილაშქრა და როსთამის ძმა ჭარამორზი
ძელზე გასვა.

ბაქმანმა ორმოცდაცხრამეტ წელს იმეფა.

16. ჰომან. ბაქმანს ორი შეილი პყავდა, ვაჟი სასანი და
ქალიშეილი — ჰომან. რაღაც ძელი ირანული წესი ნებას
აძლევდა, ბაქმანმა ჰომან ცოლად შეირთო და სიკვდილის წინ
დაიბარა, მეფედ ჯერ ჰომან^{**} დასვით, შემდეგ კი შეილი რომ
შეეძინება, ტახტი მას გადაეცითო. ჰომან ფეხმძიმედ იყო, რომ
გამეფდა. ტახტი ძალიან გაუტკბა და გადაწყვიტა, ახალდაბადე-
ბული შეილი თავიდან მოეშორებინა. ბაეშეი კიდობანში ჩასვეს,
შიგ ოქრო და თვალმარგალიტი ჩაუყარეს და წყალს გაატანეს.
ნაპირზე გამორიყული ჩეილი ერთმა მრეცხავმა იპოვა და იშვილა.
დარჩები (ასე დაარქვეს ზავშეს) რომ წამოიზარდა, მიუხვდა, რომ
მრეცხავის შეილი არ იყო, თავისი ვინაობა გაიგო და მეფის ჭარში
შევიდა. იქ ომებში თავი გამოიჩინა. ერთხელ იგი ჰომანს
წარუდგინეს. ჰომან შეილი შეიცნ და სამეფო ტახტი მას
დაუთმო.

ჰომანმ ოცდათოთხმეტ წელს იმეფა.

17. დარჩები. დარჩების^{***} მეფობის დროს ირანს არაბები
შემოესიენ. დარჩებმა ჯარი შეერიბა და მომხვდეური დაამარცხა.
შემდეგ კი თეითონ წარმატებით გაილაშქრა საბერძნეთში. საბერ-
ძნეთის მეფე ფალრკუსმა (ცილინდერ) დარჩებს ზავი სთხოვა. ისიც
დათანხმდა. ფალრკუსის ქალიშეილი ნაპირი ცოლად შეირთო და
ირანში დაბრუნდა. ცოტა ხანში დარჩებმა ნაპირი ათვალისწუნა
და ფეხმძიმე ქალი მამამისს დაუბრუნა საბერძნეთში. ნაპირს შეილი
ეყოლა და ბავშვს ესქანდარი (ალექსანდრე) დაარქვეს. საბერძნე-
თის მეფემ შეილიშეილი თავისი სახელზე გაზარდა. დარჩებმა კი
მეორე ცოლი შეირთო და მისგან ეყოლა შეილი, რომელსაც დარა
დაარქვეს.

დარჩებმა თორმეტ წელს იმეფა.

* „ავესტაშია: ვოქუმანა (ვოქუ — „ქარგი“, „კეთილი“; მან — „განზრახვა“)
(მოსამართი, გვ. 32).

** „ავესტაშია: ქუმანა („მედინერი“) (მოსამართი, გვ. 236).

*** „ავესტაშია: ლარგ („მორჭელი“, მდრ. ლარგუ, ლარგის) (მოსამართი, გვ. 81).

18. დარჩენის ქ. დარჩენი ააშენა ერთი ქალაქი ზარცულში. მისი მეფობის დროს გარდაიცვალა ფალიკუსი და ტახტზე ესქანდარი ავიდა. ამ ესქანდარს მოძღვრად დაუდგა ერთი ბრძენი, სახელად არესთხმლები (არისტოტელე). პირველი, რაც გააკეთა ესქანდარმა, ის იყო, რომ ირანელებს ხარკის ძლევაზე უარი შეუთვალა. მალე ეგვიპტეში გაილაშქრა და იგი ერთ კვირაში დაიპყრო. ეგვიპტის შემდეგ ბერძნების ჯარი ირანს შეესია. დარჩენი დამარცხდა და გაიქცა. ესქანდარი დაპყრობილ ხალხს რბილად ეპყრობოდა, ამით მათი გული მოიგო. ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ დარჩენი გაიქცა. მისმა ვეზირებმა მაჰმედარმა და ჯანუსარმა მეფეს უღალატეს, დარჩენი მოკლეს და ეს ამბავი ესქანდარს მიახარეს. მაგრამ ესქანდარმა მოღალატეები ძელებზე გასვა, — მეფის მკვლელი ასეთი სიკვდილის ლირსია. მან დარჩენი ქალიშვილი შეირთო ცოლად და ირანის ტახტზე ავიდა.

დარჩენი თოთხმეტ წელს იმეფა.

19. ესქანდარი. ესქანდარმა ქალაქ ისთახრში დაიდო ბინა და ინდოეთში გაილაშქრა. ყანუჭი დაიპყრო და მისი მეფე ფშრი ორთაბრძოლებში მოჰკლა. ამის შემდეგ ქაბაში წავიდა, ქაბიდან ჭიდაში გაილაშქრა, ჭიდიდან — ეგვიპტეში. ეგვიპტიდან კი — ესპანეთში (ანდალუსში). ესპანეთის მეფედ ქალი იჯდა, სახელად ყადღარი. ამ ყადღარი ესქანდართან საერთო ენა გამონახა და საბერძნეთის ხელმწიფე საჩუქრებით გამოისტუმრა. ალექსანდრეს თითქოს ახალი ქვეყნების მოვლა და საკვირველებების ნახევა ეწარდა. შემდეგი მისი გეზი ასეთი იყო: ბრაჟმანთა ქვეყანა, ჰაბაში, რბილოებებიანთა მხარე, ქალთა სამეფო პარუმი (აქ მარტო ქალები ცხოვრობდნენ). ამის შემდეგ ზღვა გაიარა და უკვდავების წყაროს მიაგნო. სხვადასხვა საკვირველი ქვეყნების მოვლის შემდეგ ჩინეთში გავიდა, ჩინეთიდან — სინდში. სინდელები მედგრად დახვდნენ. გაბრაზებულმა ესქანდარმა სასტიკად დასაჯა ისინი, არც დიდი დაინდო და არც პატარა. სინდიდან გაილაშქრა იემენში, იემენიდან — ნიმრუზში, ნიმრუზშიდან — ბაბოლში. აქ ავად გახდა, ეგვიპტეში დამასაფლავეთო, დაიბარა და გარდაიცვალა.

ესქანდარმაც თოთხმეტ წელს იმეფა.

20. არდაშირ ბაბაქის ქ. ესქანდარის შემდეგ ორასმა წელმა განვლო. „მეფედ აღარავინ დარჩა. ყობლის სისხლისა პირველი არსუკი იყო, მეორე — შაფური. შემდეგ: გულარზი, ბიქუნი (რომელიც ქამნელობას ჩემულობდა), ნერსე, ორმოზდი, პარეში, არდავანი (არსუკიანი ბაპტისტი მთავარი რომ გახდა, მას დიდი არდავანი უხმეს). შირაზი და ისპაანი მისი იყო. ისთახრში ბაბაქი იჯდა. მათი ძირი და ტახტი სადაც გახმა, მემატიანეც იქ დაღუმდა.



მათ შესახებ სახელის მეტი არც არაფერი მსმენია და არც მეფეთა წიგნში ამომიყითხავს რამეთ". — გვაუწყებს ფირზოუსი.^{*}

დარბას ერთი ვაჟი ჰყავდა, სასანი. მამა რომ მოუკლეს, ინდოეთში გადაიხვეშა და მანდ აღესრულა. ერთი ბავშვი დარჩა, იმასაც სასანი ერქვა. ეს სასანი ბაბაქის მწყემსების სარქალს დაუდგა ბიჭად. ცოტა ხანში თავად გახდა სარქალი. მალე მას ბაბაქმა თავისი ქალიშვილი მიათხოვა. ბავშვი ეყოლათ, არდაშირი დაარქეს. მალე მისი სიქველე არდავნის ესმა და ყმაწეილი სასახლეში წაიყვანა. სასახლეში არდაშირს მეტის მხევალი შეუყვარდა. მასთან ერთად გაიქცა და ისთახრში ჩავიდა. მალე ხალხი მოიმხრო და არდავნი დაამარცხა. შემდეგ ქურთებიც დაიმორჩილა. ცოტა ხანში ბალდალში გვირგვინი ირქვა.

არდაშირმა არდავნი რომ მოაკლევინა, მისი ქალიშვილი ცოლად შეირთო. ინდოეთში გადახვეშილმა ქალის ძმამ დას საწამლავი გამოუგზავნა, ქმარი მოჰკალიო. არდაშირმა გაუგო და ფეხმძიმე ცოლი ვეზირს მოსაკლავად გადასცა. ქალმა ვეზირს თავი შეაცოლა, ბავშვის დაბადება მაცალეო! ვეზირმაც დაუთმო. ქალმა მოილოგინა. ბავშვი შეფური დაარქეს. მალე ვეზირი კველაფერში გამოუტყდა, ხელმწიფეს. არდაშირმა მას დაუმადლა და ვაჟი სასახლეში წაიყვანა.

არდაშირმა ორმოც წელს იმეფა.

21. შეფურ არდაშირის ძე. შეფურმა^{**} გლეხებს. შელავათი მისურა, მიწის შემოსაცლის მხოლოდ ოცდამეტედ ნაწილს ახდევინებდა. მის ღროს მოხდა ომი ბერძნებთან, რომელშიაც შეფურმა გაიმარჯვა. ააშენა ქალაქი შეფურ-გერდი.

ოცდაათ წელიწადს რომ იმეფა, ჭარრი გაუქრა, შვილი, ურმოზდი, იხმო, და ტახტი მას დაულოცა.

22. ურმოზდ შეფურის ძე. ურმოზდ^{***} ქვეყანას კეთილად მართავდა. ერთი წელი და ორი თვე იმეფა.

* ფირზოუსი, „მაპ-ნამე“, მოთხრობილი მაგალი თოდუას მიერ. თბილისი, 1992 წ., გვ. 220.

** არდაშირ არის იგივე არტაქსერქესე (ძვ. სპარსული არტა „წმინდა“) ჩშატრა („მეტე“), (მორქანი, გვ. 100). აქ განმეორებულია (დაცულია) ძველი ტრადიცია, რადგან სასანიანები თავს უშეალოდ აქემენიანთა ჩამომავლებად თვლილნენ. შეფური ფალაურიად ჰავის ვაჟს ნიშავს.

*** იგივე ორმოზი (პორმოზი) „ავესტაშია“ აქტას მაზრაქ ძე. სპარსულში აქტას მაზრა (სანსკრიტში: ას्त्रა) — „მოთაური“, „წინამდგომი“. მაზრა — „დამახსოვრება, გონიერება“ (ე. აგონიერების წინამდგომი) (ბორპნი, გვ. 109, გვ. 232).

23. ბაპტისტურმოზდის ქ. ღილაშვილის არც ბაპტისტურმოზდის უცოცხლია. იმეფთა სამ წელიწადს, სამ თვესა და სამ დღეს.

24. ბაპტისტურმოზდის ქ. ბაპტისტურმოზდის ძის შემდეგ მეფელ დაჯდა მისი ვაჟი, რომელსაც აგრეთვე ბაპტისტი ერქვა. მამის ტახტზე დაკლომა არ უნდოდა და ვეზირებმა ამაზე ძლივს დაიყოლის.

ბაპტისტურმოზდის ქ. ქ. ცხრამეტ წელს იმეფთა.

25. ბაპტისტი ბაპტისტი. ეს შაპი მხოლოდ ოთხ თვეს მეფობდა” სიკვდილის წინ შვილი ნერსე” იხმო და შაპად დალოცა.

26. ნერსე ბაპტისტი. ნერსემ ცხრა წელიწადს იმეფთა. სიკვდილის წინ თავისი შვილი ურმოზდი აკურთხა ხელმწიფელ.

27. ურმოზდ ნერსეს ქ. ურმოზდს შემკვიდრე არ ჰყავდა, ისე მიიცვალა. ცხრა წელს იმეფთა.

28. შაფუშ ზუ-ლ-აქთაჭი. ურმოზდს ფეხშიმე ცოლი დაურჩა. დიდებულებმა ჯერ ეს ქალი დასვეს ხელმწიფელ, შემდეგ კი ახალგაზრდა უფლისწული გაამეფეს. შაფუშრმა ტახტი ისთახრში გადაიტანა. ირანს არაბთა ერთი ტომი შემოესია. მათმა ბელადმა შაფუშრის მამიდა მოიტაცა და მისგან გოგო ეყოლა. შაფუშრი რომ თავისი ციხეს მიაღდა, ამ გოგომ ირანის მეფეს თვალი ჰქიდა და შეუყვარდა. მისი მეშვეობით შაფუშრმა მტერი დაამარცხა და ის ქალი ცოლად შეირთო. ტყვეებს საკვირველი წესით ეპყრობოდა, მხრებს ზედ ბეჭებზე აკრიდა, ამიტომაც შეარქვეს არაბულად ზუ-ლ-აქთაჭი, რაც ბეჭის მქონეს ნიშავს. იემნის შემდეგ ებრძოდა ბერძნებს, რომლებთანაც უცნაური ხიფათები გარდახდა. სძლია მათ, რის შედეგად კეისარი დილეგში დაიღუპა. ტყვეების შრომით ააშენა ქალაქები: ხორამაბადი, ფირუზშაფუშრი და ქონამეასირანი, რომლებშიაც თავად ტყვეები დასახლა.

შაფუშრის ღრის გამოჩნდა ირანში ერთი ჩინელი, მხატვარი და მეტად მეტყველი, მანი. მან ახალი, მანიქეური რჯული იქადაგა. შაფუშრი მანს ჯერ თანაუგრძნობდა, შემდეგ კი შეეშინდა, ამის მიზეზით ქვეყანა ამერიკაო და იგი სიკვდილით დასაჯა (ტყავი გააძრო).

შაფუშრმა სამოცდაცხრამეტ წელს იმეფთა.

29. არდაშირ ქველმოქმედი. შაფუშრმა ტახტზე თავისი ძმა, არდაშირი დასვა, ოლონდ პირობა ჩამოართვა, ჩემი შვილი შაფუშრი რომ წამოიზრდება, ტახტი მას დაუბრუნეო. პირობისამებრ, შაფუშრ შაფუშრის ქ. რომ წამოიზარდა, ტახტი მას გადაულოცა.

* ესის შვილი იყო ეს ბაპტისტი, პოემაში არ ჩანს. მასზე ნათქვამია, რომ ის არის ბაპტისტ-ბაპტისტი — „ბაპტისტთა ბაპტისტი“ (გვ. 2022).

** „ავესტაშია“ ნაირობა სანქტი (მოსკოვი, გვ. 2028).

*** ეტიმოლოგია სწორია. მაგრამ მისი შეჩემევის ახსნაა საეპვო.

არდაშირმა თორმეტ წელს იმეფა.

30. შაფურ შაფურის ძე. შაფურის გამეფება ბევრს ეწყინა, ბევრსაც გაუხარდა. ერთხელ, ნაღირობაზე, ნაქეიფარს კარავში ეძინა. გრიგალი ამოვარდა და კარიავი ჩაფუშა. თავხე დაეცა და სული განუტევა.

შაფურ შაფურის ძემ ხუთ წელსა და ოთხ თვეს იმეფა.

31. ბაპრამ შაფურის ძე. მამის ტახტზე ბაპრამი ავიდა. ვაჟი არ ჰყოლია, მხოლოდ ქალიშვილი ესვა, ამიტომაც სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, თავისი ტახტი უმცროს მმას, მაზდე-გარდა^{*} ჩააბარა.

ბარპამა თოთხმეტ წელს იმეფა.

32. ავ მაზდეგარდი. მაზდეგარდს მის სიკვდილი გაუხარდა. გამეფდა თუ არა, ხალხს დაემუშავა: ჩემს რისხეას მოერიდეთ, თორმემ, ვინც მე მეურჩება, ყელს გამოვჭრიო! ხალხმა ავი შეარქვა. შეიღო ბაპრამი იემენში გაგზავნა და არაბთა ბელად მონაზერს ჩააბარა აღსაზრდელად. იემენში ბაპრამი უებრო მონადირე და ცხენოსანი დადგა. უფლისწულს კანგარზე (ცურზე) ნაღირობა უყვარდა და ამიტომ შეერქვა ბაპრამ გური. ბოლოს ისთახრში რომ ჩამოვიდა, მამა შვილს აუხირდა და იგი სასახლეში გამოამჷყვდია. ბაპრამმა მეფეს კაცი მიუგზავნა და ისევ იემენში გადასახლდა. მალე ავ მაზდეგარდი ავად შეიქნა და წამლის საძიებლად რომ იყო წასული, წყლიდან ცხენის სახით მოვლენილმა აკეულმა იმსხვერპლა. ტახტს მრავალი პრეტენდენტი გამოუჩნდა, დიდებულებმა ბაპრამს აცილება მისცეს და მეფობა ვიოაც ხოსროეს ჩააბარეს. ბაპრამის პირობის თანახმად, სამეფო გვირგვინი ორ ლომს შეუა მოათვასეს, ვინც მას დაეუფლებოდა, შაპიც ის იქნებოდა. ბაპრამმა გაიმარჯვა და ირანის მეფე გიხდა.

ავ მაზდეგარდმა ოცდაერთ წელს იმეფა.

3. ბაპრამ-გური. მეფე რომ გახდა, ბაპრამმა მასთან პირშავად მყოფი ქვეშევრდომები შეიწყნარა (ის კი არა, მეფედ ნამყოფი ხოსროვიც კი შეიჩიგა). თავისი ძმა ნერსე სპასპეტად დანძშნა. ბაპრამის მეფისადროინდელი ბევრი ლირსახსოვარი შემთხვევაა „შაპ-ნამეში“ აღწერილი, მაგრამ მათგან აქ ორ ამბავს მოვიტან.

ერთ დღეს ბაპრამს კილაც სოფლელმა კაცმა ხილი მიართვა. მეფე სტუმარს ლეინით გაუმასპინძლდა. მოვრალ გლეხს გზაში ჩაეძინა, ყვავი დააფრინდა და თვალები ამოჩორქნა. ამ ამბით შეწუხებულმა ბაპრამმა ლეინის სმა აკრძალა. გამოხდა ხანი. ერთმა

* „აკესტაშია“ ჩანათოექვაა ტალაური: მაზდეგარდ (მაზდეგარდ — „ლმერთი“, ქართ „შექმნილი“, გ. „უფლის შექმნილი“ (მოჩანი, გვ. 2432).

ახალგაზრდამ ცოლი შეირთო და საქორწილო სარეცელზე ვერა-
უერი გააწყო. ბიჭის დედმ შეილს ღვინო დაალევინა, ვაქსაც
სითამამე მიეცა და გულისხმება ისრულა. ერთხელ ლომი გაექცათ.
შეზარხოშებული ბიჭი ამ ამბავს შეესწრო, გამდვინვარებულ ლომს
ზურგზე მოახტა და ყურებით დაიკირა. სვას ხალხმა ღვინო,
ოლონდ ზომაზეო! — ბრძანა ამ ამბით აღტაცებულმა ბაჭრამა.

ჩინეთის ხელმწიფეს ამბავი მიუვიდა, ბაჭრამი ნადირობასა და
ქეიფში ატარებს დროს, სამეფოს ვერ უძლვება და ჯარი უგარესი
ჰყავსო. მაგრამ ანგარიში შეეშალა. ბაჭრამი თავისი ერთგული ძმის
ნერსეს დამარებით (რომელსაც ბაჭრამის მტრები ამაოდ აგული-
ანებდნენ, შენ იყავი მეფეო) გამარჯვებული დარჩა. ერთხელ
ნადირობის დროს ერთ კანჯარს გაეკიდა. ბევრი რომ სდია,
კანჯარმა გამოქვაბულში შეასწრო. შეპყვა და იმ გამოქვაბულში
უამრავი განძი აღმოაჩინა (შრდ.: „ქართლის ცხოვრება“ — მეუე
ფარნავაზის მიერ განძის აღმოჩენა ასეთივე გზით).

ბაჭრამბა სამოცდასამ წელს იმეფა და ტახტი თავის შეილს,
მაზდეგარდს, ჩააბარა.

34. მაზდეგარდი. მაზდეგარდმა თერამეტი წელი იმეფა.
სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, დიდებულები და სწავლუ-
ლები იხმო და ტახტზე თავისი უმცროსი შეილი ჰორმოზი დასვა.

35. ჰორმოზ მაზდეგარდის ქ. ჰორმოზი რომ გამეფდა, მის
უფროს ძმას, ფირუზს, გულში შური აღეძრა. ჰაითალის მეფეს
შეეკრა და ძმა დაამარცხა. დაამარცხა, მაგრამ არ მოჰკლა და
ჰირობა ჩამოართვა, მეფობაზე არ იოცნებო.

ჰორმოზმა ერთ წელსა და ერთ თვეს იმეფა.

36. ფირუზ მაზდეგარდის ქ. ფირუზის მეფობის დროს დიდი
გვალვები დაიკირა, შეიღი წელი წვიმა არ მოსულა. ილაშერა
თურანში, თან წაიყვანა ჰორმოზი, ძმა ნერსე, შეილი ყობადი.
თურანთან ირანელებს ჯერ კიდევ ბაჭრამ-გურის დროს ჰქონდათ
სამშვიდობო ხელშეკრულება დადებული. ამით გაკირვებულმა
თურანის მეფე ხუშავაზმა ხერხს მიმართა, ორმოები ამოთხარა
და ვითომ ბრძოლის ველიდან გაიქცა. მას დადევნებული ირანე-
ლები ამ ორმოებში ჩაცვიდნენ. ვინც დაიღუპა, ხომ დაიღუპა,
სხვები კი ტუვედ ჩაგარღნენ.

ფირუზიმა თერთმეტ წელსა და ოთხ თვეს იმეფა.

37. ბალაშ ფირუზის ქ. ფირუზიმა, ომში რომ მიდიოდა, მეფედ
მცირეშლოვანი ბალაში დატოვა და შირაზელი დიდმოხელე
სურამა ევზირად დაუნიშნა. ახლა ამ სურამაშმ შექრიბა ჯარი,

* იგივე ჰეროზი („გამარჯვება“).



შურის საძიებლად თურანში გაილაშქრა და გაიმარჯვა. ტყვევები, მათ შორის ყობადი, დაიხსნა და შინ გამარჯვებული დაბრუნდა. ბალაში გადააყენა და ყობად ფირზების ძე გაამეფა.

ბალაშმა ხუთ წელს, ერთ თვესა და ექვს დღეს იმეფა.

38. ყობად ფირზების ძე, ყობადმა ტახტი ისთახრიდან თისფუნში გადაიტანა. თვეთონ ამ დროს თექვსმეტი წლის ყმაწვილი იყო და მეფობისა დიდი არაფერი გაეგებოდა. ქვეყანას სუჭრებ მართავდა. ამაზე მეფე შეუგალიანეს და მანაც თავსგასული დიდმოხელე მოაკვდინა. სუჭრებს სიკედილით დასხამ ხალხიც ააღელვა და ჯარიც. ყობადი დაიკირეს და სუჭრებს ვაჟს მიუუკანეს, მამაშენის მკვლელი მოპკალიო. მაგრამ სუჭრებს ვაჟი, ზარმეჩრი, პატივით მოეცყრა მეფეს და მასთან ერთად ჰაითალში გაიპარა. ყობადი მალე ირანში დაბრუნდა და ტახტი დაიბრუნა.

ყობადის მეფობის დროს გამოჩნდა ერთი კაცი, სახელად მაზდაქი, რომელიც ქონების თანასწორობასა და ცოლების ზიარობას მოითხოვდა. ყობადმა პატივით მიიღო იგი. მაზდაქმაც გამოუცხადა ხალხს: ქონება საერთოა, სახლი და ცოლი საზიაროა. ამან უკავიყოლება გამოიწვია. მაზდაქის მოწინააღმდეგე იყო უფლისწული ქესრა.^{*} მობედები მეფეს ეახლნენ და შესჩივლეს: სხვა თუ არაფერი, კაცმა როგორ უნდა გაიგოს, ვისი შვილია, ანდა მამამ თავისი ძე სხვებში როგორ უნდა გამოარჩიოსო? მეფემ მაზდაქზე ხელი აიღო და მისი ბედი ქესრას მიანდო. ამ უკანასკნელმა მაზდაქიც დასახა სიკედილით და მისი მიმდევრებიც. ყობადმა ტახტი სიცოცხლეშივე ჩააბარა ქესრას.

ყობადმა ორმოც წელს იმეფა.

39. ხოსრო ანუშირვენი. ქესრას, ანუ ხოსროს, მართლმსაჯულებისა გამო ხალხმა ანუშირვენი შეარქვა.[#] მან თავისი სახელმწიფო ოთხ სამეფოდ დაყო. პირველში ხორასანი შედიოდა, მეორეში — ყუმი, ისპაანი, აღარბადაგანი და არმენია, მესამეში — ფარსი, ავეგაზი და ხაზარი, მეოთხეში — ერაყი და რუმი. გლეხებს გადასახადად მოსავლის მეათედი დაუწესა. თავისი სამფლობელო მოიარა და საქმე აღგილზე დაიურვა. ამბოხებული ბელუჯები და გილანელები მკაცრად დასახა. შემდეგ ოცდაათიათასიანი ჯარით საბერძნეთში გაილაშქრა და ის ქვეყანა მიწასთან გაასწორა. ამის შემდეგ იერიშით აიღო ანტიოქია. ეს წალკოტის მსგავსი ქვეყანა ანუშირვენს ძალიან მოეწონა, ერთი მას მიმსავ-

* ქესრა არის ხოსროვის ავესტური: ქუ სრავაქ, ფალაური: ქუ სრავ — სახელოვანი) არაბული ფორმა.

** ფალაურალ: ანუშაქ ჩუვან (მარადიული სულის მეონე).

სებული ქალაქი ააშენა, სახელად ზიბე ხოსროვი უწოდა და შეგ ანტიკიდან თუ საბერძნეთიდან წამოსხმული ტყვევები დასახლა. ანუშინებანს ერთი ქრისტიანი ცოლი ჰყავდა და მისგან ვაჟი ესვა, სახელად ნუშზადი. ეს ნუშზადი დედის ჰყუაზე იყო გაზრდილი და ქრისტის ესავდა. ჭარი მოაგროვა და მამას აუგანყდა. ბრძოლაში უფლისწული სასიკედილოდ დაიკრა. ანუშინებანმა დაიხლოვა ბრძენი ყმაწვილი, ბოზორჯმეპრი. ერთხელ მეფეს ესიზმრა, ვითომ ერთი ტანი ანუშინებანის ჯამიდან ღვინოს სვამდა. ბოზორჯმეპრმა მეფეს სიზმარი ასე აუხსნა: შენს ჰარამ-ხანაში ქალად გადაცმული ვაჟი იმალებაო. მეფის სამოცდაათივე ცოლი და ხარჭა გულდასმით რომ გასინჯეს, მისი ერთ-ერთი ცოლის საყვარელი შერჩათ ხელში. იმ გოგოს ის მონა თურმე მამის სახლში ჰყოლოდა საყვარლად და რომ გათხოვდა, თან წამოეყვანა. ორივე ჩამოახრჩევს. ანუშინებანისადმი მიძღვნილ ეპიზოდში ფირდოუსის მოთხოვნილი აქვს ჰარაკისა და ნარდის გამოგონების ამბები, აგრეთვე ალწერილი აქვს, თუ მისმა ბრძენმა ექიმმა ბარზუმ როგორ ჩამოიტანა ინდოეთიდან „ქილილა და დამანა“ (ზეპირად დამახსოვრებული). სამოცდათოთხმეტი წლის რომ გახდა, სიკედილის მოახლოება იგრძნო; ექვსი ვაჟი ჰყავდა, მათგან უფროსი, პორ-მოზდი გაამეფა და მიიცვალა.

ანუშინებანმა ორმოცდარვა წელს იმეფა.

40. პორმოზდი. პორმოზდმა მამამისის მოხელეები, მათ შორის მობედთა მობედიც, აითვალისწუნა და ამოწყვიტა. ბოლო ხანებში თავისი ავეკაცია შეინანა. და სიკეთეზე დაიწყო ფიქრი. გამეფებიდან ათი წლის თავზე ჰარის ხელმწიფე სავა-შპი შემოესია თოხასათასიანი ჭარით. პორმოზდმა არდებილის პატრონი ბაპტისტებნე უსარდლა ჭარს და გაიმარჯვა. ძლევამოსილი ბაპტისმი აღზევდა და თავს გავიდა. მასსა და შაპს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ზოგი თანამებრძოლის მხარდაჭერით ბაპტისმა თავისი თავის მეფედ გამოცხადება მოინდომა. ცოტა ხანში პორმოზდს წერილი მისწერა, შენს შვილს ხოსროვს გავამეფებ, შენ კი დაგამხობო. შეშინებულმა მეფემ შვილის მოსაკლავად კაცი გააგზავნა, მაგრამ ხოსროვმა გაუგო და თავს უშველა. ხოსროვის ბიძებმა ტატტიდან ჩამოაგდეს პორმოზდი და თვალები დათხარეს.

პორმოზდმა თოთხმეტ წელს იმეფა.

41. ხოსროვ ფარვეზი. ხოსროვ ფარვეზს პორმოზდის უბედურებამ გული დაწვა. მამას დაუყვავა. ამასობაში, როდესაც ბაპტისტებნემ გაივო, ხოსროვ ფარვეზი ბალდალში გამეფებულაო, ჭარი შეერჩიბა და მასთან საომრად გამოემართა. ხოსროვი დამარცხდა და საბერძნეთში გაიქცა. როდესაც ქალაქს ტოვებდნენ, იმის

შიშით, რომ ბაპტისტ ჩუბანე პორმოზდს გაამეფებდა და კეისარს ხოსროვის თავს მოთხოვდა, პორმოზდი მოკლეს. კეისარმა ირანის შაპს თავისი ქალიშვილი მიათხოვა და ჯარი გამოაყოლა. ამგზობას ხოსროვმა დაამარცხა ბაპტისტი და ტახტი დაიბრუნა. ბაპტისტი გაიცეა და თავი ჩინეთის ხაყანს შეაფარა. მაგრამ ხოსროვმა მას მკვლელი მიუგზავნა და იგი სიცოცხლეს გამოასალმებინა.

ხოსროვს თურანი, ჩინეთი, ინდოეთი და ბიზანტია უხდიდს ხარეს. მაგრამ ასეთი მორჭმული მეფე შემდეგ და შემდეგ ურჯუკი გახდა და სამართლის დარღვევა დაიწყო. ხოსროვს ბიზანტიის კეისრის ასულისგან ერთი შეილი ჰყავდა, ყობადი (რომელსაც შირქესაც უხმობდნენ). მეფით უკმაყოფილო ხალხმა ეს შირქე ითავა. დამარცხებულ ხოსროვს მკვლელი მიუგზავნეს და შირქე ტახტზე დასვეს.

ხოსროვმა ოცდათვერამეტ წელს იმეფა.

42. ყობად ფარგეზზის ძე. შერქე ყობადის სახელით გამეფდა. შირქეს ხოსროვის ერთ-ერთი ცოლი სომეხთა ასული შირინი მოეწონა და ხელი თხოვა, მაგრამ ქმრის ერთგული ქალი მეფის აკლდამაში შევიდა და იქ თავი მოიკლა.

შირქე დიდხანს არ მჯდარა ტახტზე. შეიდ თვეს იმეფა. მოწამლეს.

43. არდაშირ შირქეს ძე. არდაშირი ტახტზე სულ ყმაშვილი ავიდა. ჯარების უფროსად ხოსროვის ვაჟი ფირქუზი დანიშნა. ფირქუზი შაპით უკმაყოფილო გორაზთან შეითქვა. ერთ ღამეს, როცა არდაშირი ქეიფობდა, დაიმარტოხელა და მოაღრჩო.

არდაშირმა ექვს თვეს იმეფა.

44. ფარაონი. ირანში გორაზის ვაჟი ფარაონი გამეფდა. ქეიფობდა და სახელმწიფო ხაზინას ანიავებდა. ხალხს აწიოკებდა, რის გამო მთელი ქვეყანა აუგანებდა, ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს. ტახტი ცარიელი დარჩა.

ფარაონმა ორმოცდათ დღეს იმეფა.

45. ფურან-დოხთი. ერთი ქალიშვილი იყო. მეფის ცოლი გახდა. ახლა ეს ქალი აიყვანეს ტახტზე. მან კიდევ ფირქუზი მოაძებნინა და მოკვდინა. მალე ავად გახდა და ერთი კვირის თავზე გარდაიცვალა.

ფურან-დოხთმა ექვს თვეს იმეფა.

46. აზარმ-დოხთი. ფურანის შემდეგ ერთი სხვა ქალი აიყვანეს ტახტზე, სახელად აზარმი.

* „ნაცვალი, მემკვიდრე“ (მოჩანანი, გვ. 425).

ოთხ თვეს იმეფა და გარდაიცვალა.

47. ფარრობზედი.^{*} ჯაპრამიდან ირანის შაპების ჩამომავალი ფარაბ-ზედი გამოიხმეს და მეფედ ის დასვეს. ერთ მის ხარჭის ვიღაც სიძეპჩაშმა, მეფის მონამ, არშიყობა დაუწყო. ხარჭამ იგი მეფესთან დააბეზღა. მეფემაც სიძეპჩაშმი დააპატიმრა, მაგრამ მისი მოკეთების თხოვნით ისევ გამოუშვა და სასახლეში დააბრუნა. იმან კიდევ მეფეს საწამლავი შეაპარა. შაპები ერთი კვირა იავადმყოფა და კვირის თავზე გარდაიცვალა.

ფარაბ-ზედმა ერთ თვეს იმეფა.

48. მაზდეგარდი. სამეფო ტახტზე მაზდეგარდი ავიდა. ირანს აჩაბთა ხალიფამ, ომარმა, დაუწყო ომი. ბრძოლები ოცდაათ თვეს გაგრძელდა. ირანი დამარცხდა და მეფეც გაიქცა. ჯერ თუსში ჩავიდა, ამასობაში მეფის ერთი ფალავანი იყო, სახელად ბიუანი. მეფის მოლალატე მაპუშმდ ეს ბიუანი შეაგულიანა და ისიც გაუდგა მეფეს. ბრძოლის დროს მაზდეგარდმა ერთ წისქვილს შეაფარა თავი. იქ კი მეწისქვილებ მოკლა.

მაზდეგარდმა თექვსმეტ წელს იმეფა.

ირანი არაბებმა დაიპყრეს.

„შაპ-ნამეში“ მარტო ირანელი შაპები არ არიან გამოყვანილი. არაირანელ მეფეთა შორის აქ მთავარი იდგილი თურანის მპყრობელთ უკირავთ. მათში უპირველესია აფრანსიძები.^{**} პოემის მიხედვით, იგი ილიოზური ფიგურაა. ირანულ მითოლოგიასა და ეპოსში აფრანსიძები თრაეტონას (ფრიდონის) შეილიშვილია. იგი ირანის დაუძინებელი მტერია. ეს მეფე ავტორს უთუოდ ეწ. უარყოფით გმირად ჰყავს გამოყვანილი. აფრანსიძები დანახულია ირანელი მკითხველის მკერძოებული თვალით, იგი მტარვალია, ახირებული, ირანელთა მოძულე. არ ინდობს საკუთარ შვილს, ძმას, სიძეს. მართალია, ყველაფერს ამას ის აკეთებს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს მისი დაღებითი თვისებებიც: არის გულადი, შეუძლია ქვეშევრდომთა ერთგულების დაფასება, ახლობელთა სიყვარულიც (გავიხსენოთ მისი სიკვდილის მიზეზი). მას ძალიან უყვარდა თავისი ძმა გარსივაზი, თავად სამშეოდორს გასულმა რომ გაიგო, ძმა განსაცლელშიაო, მის საშველად გამოეშურა და დაიღუპა კიდევაც). ზოგი ირანული მითის მიხედვით, მას არ ჰქონდა ფარაო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანაპიტამ მას არ უბოძა ეს უპირატესობა (არდაისურ-ხაშტი, მე-II, 41-43), ზოგი წყარო კი მას იხსენიებს, როგორც ფარაის

* ფარაო — „ბედნიერი, მორშემული“, ზედ — „შეილი“.

** „აკესტუაშია“ ფარაოსას მან („მშეიშარა“) (ბორჯონი, გვ. 146).

მქონეს (იქვე, მე-19, 93). ზოგი წყარო ატრასის მიმოგვიღებს „წარმოგვიღებენს, როგორც ეს. „კულტურულ გმირს“, მას გაჲყავს სარწყავი არხები („ბუნდაპიშინი“, 20, 17), აშენებს ცეცხლისთა ყვანის მცემელთა ტაძრებს. ზოგჯერ წარმატებით ებრძოდა ირანელებს, ერთხელ კიდევაც დაიყრო იგი და თორმეტი წელიწადი მეფობლა იქ. „შაპ-ნამეში“ მას როსთამთან ერთად ებრძეის მისივე შვილიშვილი მისი ქალიშვილის (ძე) მეფე ქადაგოვი, ეს უკანასკნელი იძიებს თავისი მამის, სწავლის, შურს და საკუთარი ხელით ჰკლავს პაპას.

„შაპ-ნამეში“ გამოყვანილია კიდევ ორი მეცე-ფალავანი: ესჭანდიშვილი და ბაჭრამ-ჩუბინე. პირველი მეფის შვილია და, მისი დედის გამოთქმით, ფაქტური მეფე იყო, ოლონდ არ ფლობდა ტახტს (ტახტზე მისი მამა გოშთასფი იჯდა), მაგრამ სწორედ ამიტომ არ გრძნობდა იგი თავს ირანის მეფედ. მეორეს კი, სამეფო გვარის ჩამომავლობა ჰქონდა, მაგრამ მისი ომები ტახტისათვის იყო სამოქალაქო ომი, რის გამო მის მეფობასაც დაფასება არ ჰქონია.

გმირი

უპირველეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, რომ ტერმინ გმირს შუა საუკუნეების ლიტერატურაში არა აქვს მარტო ის მნიშვნელობა, რასაც ჩვენ დღეს ვდებთ მასში, იგი გულისხმობს ზებუნებრივი ძალის მქონე ადამიანს. საბა ასეც განმარტავს: „გმირი — კაცი არს დიდი და საზარელი ტანითა და საქმითაცა მეტი და გარდარეული ძალითა, და ბუმბერაზი — უმყირეს მათსა, უდიდეს და უმჭველეს ჩვენსა“. ე.ი. გმირი ძალითა და ახოვანებით ბუმბერაზე აღმატებული ყოფილა. იმის გამო, რომ შემდეგ და შემდეგ ტერმინი გმირი ორდინალური ცნება გახდა და გმირებიც (წამდვილი თუ მოჩვენებითი) ასე მოხშირდა, დღეს ბუმბერაზს უფრო ზებუნებრივ მოვლენად მივიჩნევთ, ვიდრე გმირს. ჩვენ იქ, რასაკეირველია, შესაძლებლობა გვაქვს „შაპ-ნამეს“ გმირების მხოლოდ ზოგიერთი შტრიხით მოვხაზოთ. ამ პოემაში ისინი ტერმინით ფაქლავან არიან

* ფაქლავართ) ჯერ ირანის ჩრდ. აღმოს. შემდეგ კი მოელს ირანში ჩამოყალიბებული პართიის სახელმწიფოს მეცნიერით თავიანთ თასეს ფაქლავანს უწინდებდნენ. ხახს უსვამდნენ რა თავიანთ გმირებს ბუნებას. ფაქლავანს ხმარობდნენ როგორც პართიელის, ასევე გმირის მნიშვნელობით ფაქლავანს შესახებ „შაპ-ნამეში“ ის ამინ-ფაქლავ ერთსა, ფაქლავ, ფაქლავან და „შაპ-ნამე-დე“ ფეროფერი. თამარი, 1350.

გამოყვანილი. ქართული „ფალავანი“ სწორედ აქედან მოდის, ოლონდ დღეს ეს სიტყვა ჩვენში მოჭიდავეს, კიდაობაში გამარჯვებულს უფრო ნიშნავს. პოემაში ფალავნის ორი კატეგორია მოქმედებს: საკუთრივ ფაქლავნი და ჯავან-ფაქლავნი (მთელი ქვეწის ფაქლავანი“, „საქვეყნო მნიშვნელობის ფაქლავანი“). ამ უკანასკნელი რანგისანი არიან მაგალითად, სამი. და როსთამი.

„შაპ-ნამე“ დროისა და სივრცეში ფართოდ გაშლილი თხზულებაა. მისი სამოქმედო გეოგრაფიული გარემო ვრცელია (ესპანეთი-დან მოკიდებული ჩინეთის ბოლო კიდემდეა გაშლილი), რაც შეეხება დროს, იგი განუზომელია, — ნივთის დასაბამით იწყება და მე-VII საუკუნით მთავრდება. ამ ხნის მანძილზე და ამ ფართო გარემოში, ბუნებრივია, გმირებიც განსხვავებული უნდა ყოფილიყვნენ მით უმეტეს, რომ ფირდოუსის ერთი წყარო ან უნიფიცირებული კორპუსი არ გამოყენებია). და ასეც არის. მისი გმირების გალერეა ჭრელია. აქ მოქმედებენ მითიური, ნახევრად გრძნეული, გმირებიც, ე.წ. უპირველესი წინაპრებიც, კულტურული გმირებიც, საგმირო ეპოსისათვის დამახასიათებელი პერსონაჟებიც და ისტორიული პირებიც. მწერალს რომც მოენდომებინა, მათ უნიფიცირებას ვერ მოახერხებდა, მით უმეტეს, რომ ფირდოუსის ისინი ერთ ქეაბში არ მოუხარშეავს.*

როგორც მრავალი ქვეყნის მითებში, ირანელი მითიური გმირები ჭერ ცალკე, გარკვეულ წიაღში, არიან შექმნილი და შემდეგ — გაერთიანებული ეპოპეაში. აქ მოსალოდნელი იყო გარკვეული აღაპტაცია, ასევე, — დროისა და გეოგრაფიული მიჯნის გადაწევა. თუსის, როსთამის, გუდარზის, ზარინისა და სხვათა სახეები, აღბათ, უკვე იყო ჩამოყალიბებული ფირდოუსის სათანადო წყაროების შექმნამდე (რა ვუყოთ, რომ როსთამი „ავესტრაში“ არ იხსენიება). ასე, მაგალითად, აღმოსავლეთი ირანში ჩასახული საგმირო თქმულებები ქადანთა შესახებ წარმოადგენს ძირითად წყაროს მთელი ირანის უფრო გვიანდელ ხანებში

* 1990 წ. ფირდოუსის „შაპ-ნამესალმი“ მიძღვნილ კონგრესზე ეჭსან ჩარმოთქრს წაუკითხავს მოხსნებას: „გმირი და გმირობა „შაპ-ნამეში“ ამის შესახებ ის: „წერდაუს“, ლაჭარე ავგალ, თერან, 1369, გვ. 18.

შემუშავებული ეპოსისათვის. ვთქვათ, თუ ზარატუსტრა აღმოსავალი ლეთ ირანის მმართველ ქადანგბთან იყო კავშირში, აღმოსავლეთ ირანელებს, თუ ზორიასტრიზმის მიღება უნდოდათ, მათ იგი მასთან დაკავშირებული ეპოსის ციკლითურთ უნდა მიეღოთ. ასე მოხდა აღმოსავლერი მითებისა და თქმულებების გათვისება დასავლელი ირანელების მიერ.*

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გმირების ხასიათების აქცენტთა გადაწევა. თვითონ ეს პროცესი იმაზე მიუთითებს, რომ აღებული მითი თუ ლეგენდა, რომელშიაც ეს გმირი მოქმედებს, სიცოცხლისუნარიანია. მან გაუძლო დროთა ცვლილებას და ტრანსფორმაციის ოქროს კანონს დაექვემდებარა. აქ ორ გმირის, ზარიტრისა და თუსის, მაგალითს მოვიტანთ „უკანასკნელ ხანს გაჩნდა მრავალი სპეციალური გამოკვლევა, მიძლვნილი გოშთასფისა და ზარიტრეს ამბის ვერსიებისადმი. ეს ინტერესი ამ ამბისადმი გამოწვეულია იმ ყურადღებით, რომელსაც აქცევენ ირანელი ხალხების ეპოსის შექმნისა და ციკლიზაციის უფრო ზოგად საკითხებს“).** თვით „დადგარ-ე ზარერანი“, რომელშიაც ამ გმირის ამბავი დაახლოებით ისეა გაღმოცემული, როგორც „შაპ-ნამეში“, ეტყობა, ძველი მითის უკვე ტრანსფორმირებული და აქცენტგადაწეული ვერსიაა. აქაც, ისე როგორც „შაპ-ნამეში“, ზარერე უკვე მეორე ეშელონის გმირია. მაგრამ მისი კულტის „ზარიადრი და ოდატიდა“) რუდიმენტი რომ არის, იგრძნობა. ზარერე, რომელიც „შაპ-ნამეში“ მეცვე არ არის (მეცვის ძმაა), სათაყვანებელია გოშთასფისათვის, რომელიც მეცვეა. იგი მეტაფორულად მოხსენიებულია, როგორც გოშთასფის „მთვარე“, „მთვარის ანგელოზი“ (?). გვ.გვ. 1530, 1533). ასევე ტრანსფორმირებული „შაპ-ნამეში“ თუსის სახე. ეს გმირი მოხსენიებულია ჯერ კიდევ „ავესტაში“. მართალია, მას ანაპიტა თხოვნას არ უსრულებს, არ უბოძებს წარჩას, მაგრამ ანიჭებს დიდ ფიზიკურ ძალას ვასაკის („შაპ-ნამეში“ — ვისას, ფრინანის მამის) ძეთა წინააღმდეგ საბრძოლველად (არღვისურ-მაშთის, მე-14, 53-55). თუსი ფირდოუსის პოემაში

* Ричард Фрай, გვ. 60 თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იყო შემთხვევები. როცა ზორიასტრული სამყაროს თქმულებებს კი ითვისებდნენ, მაგრამ რელიგიას — არა (იხ: В.И. Абаев, Скифский быт и реформа Зороастря. „Archiv orientalni“, 24, 1956, გვ. 23.

** В.Луконин, გვ. 406.

Мурзин с Швили го ани, магарам оғи ӯзака 3лъончиға ғафуғулули, оғирбонда, ҳомм әж қулдиғен татаң ғоақиқи һафти. түр ғафындиша тағиси оғи ғолди დа ҳоммандиғи ғулди ғоигуруа (ғв. 1523), ფირდовишиს 3мөмбаშи ეს სიღიადე მას დაკარგული აქვს. მართალია, აჯ იგი სარდალია, სამეფო დროშა და ქმი აბარია, მაგრამ მოწიწებით არავინ ეპყრობა, პირიქით, ირანელი სარდლები მას უკმეხადაც კი მიმართავენ.*

მითიური გმირები, ბუნებრივია, ღვთაებრივ თუ ჯადოსნურ ძალებთან არიან წილნაყარი. მითოლოგიური სტილი საერთოდ გასდევს მთელს ეპოპეას, იმდენად, რომ არარეალური სიტუაციები და ქმედებანი გვედება თვით ისტორიულ ნაწილშიც კი (გავიხ-სენოთ, როგორ გადაარჩინა ხოსროვ ფარვიზი მწვანით მოსილმა ანგელოზმა მას შემდეგ, რაც ხოსროვმა უფალს შემწეობა თხოვა). ეპოპეაში არეკლილია ირანის როგორც ადრეული, ასევე გვანი ანტიკურობის გადმონაშობი, იმ ხანის მოვლენები. როცა „მხეცუ-რი საწყისის აღქმა დაიწყეს, როგორც ბოროტებისა და უარყო-ფითისა, ხოლო ადამიანურის — როგორც სიკეთისა და დადები-თისა.“^{**} როცა „წარმოებდა ყველა მხატვრული სახეების გაადა-მიანურება“ და „უმალლეს მხატვრულ მილწვევად ადამიანი-გმირის, დევებთან მებრძოლი ბუმბერაზის სახე იქცა“.*** პოემის მითიური ნაწილის ზოგ გმირს, მეფეების ჩათვლით, შემორჩენილი აქვს გრძნეულების რაიმე ნიშანი მაინც. მაგ., სიმაუშმა წინასწარ იცის, რომ მას მოკლავენ, შემდეგ ეყოლება შვილი, მას მოძებნის ირანელი გმირი, წაიყვანს სამშობლოში და გაამეფებს (ғვ. 651). „შაჰ-ნამე“ თავიდან ბოლომდე საგმირო მმების შემცველი წიგნია, მაგრამ აჯ ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ საგმირო მითები და საგმირო (საფალავნო) ამბები. პირველი გულისხმობს ეტიოლოგიურ, კოსმოგონიურ, ანთროპოგონიურ, ასტრალურ (სოლარულ და ლუნარულ) მითებს, მეორე კი აქა-იქ ზებუნებრივი მოვლენებით

* გმირთა ხასიათების აქცენტების გადაწევა აღმოსავლურ ლიტერატურაში ფირდოესის შემდეგაც ხდებოდა. ფირდოესისა და ნეზამის პოემების ქუთილშობილი ფარვიზი მათი მიმბაძერებების ხელში ანტიპატიურ პერსონაჟებიც იქცა.

** И.С. Брагинский, Из истории таджикской и персидской литературы. М., 1972, ғв. 163.

*** იქცა.

შეფერადებულ ჩვეულებრივ ამბებს. „შაპ-ნამეში“ გამოყვანილია ისეთი გმირებიც, რომელთაც ცალი ფეხი მითიურ სამყაროში უდგათ, ცალი კიდევ — ისტორიულ სინამდვილეში. ერთ-ერთი ასეთი გმირია პოემაში სხვა თვისებებით ისედაც გამორჩეული ფალავანი — როსთამი.

როგორც აღვნიშნეთ, „შაპ-ნამეს“ თვით ერთიმეორის თანამედროვე გმირთა გავლენა ერთ ეთნიკურ წიაღსა თუ გეოგრაფიულ გარემოში არაა შექმნილი, ისინი შემდეგ დაუკავშირდნენ (თუ შეერწყნენ) ერთმანეთს იმ ცალკეულ მითთა თუ ლეგენდათა ერთმანეთთან დაკავშირებისა (თუ შერწყმის) შედეგად. რაც შეეხება როსთამს, იგი, როგორც ვთქვით, წარმოშობით საკია და საკურ-სოლდურ მითოლოგიას ეკუთვნის. ამიტომაც არაა მოხსენიებული „ავესტაში“. კიდევ მეტი, — შეა აზიაში შემორჩენილი მითების მიხედვით, როსთამი ებრძევის თვით ირანელებს. როსთამის საკობა აშკარაა ჩვენს პოემაშიც, — იგი სიისთანელი ფალავანია, შეიძლება ითქვას, სიისთანის მეფეა, ცხოვრებითაც სიისთანში (ზაბულისთანში) ცხოვრობს. როგორც ერთიანი ირანის პატრიოტი, როცა საჭიროა, მოქმედებს მეტროპოლიაში, მაგრამ როგორც კი დასრულდება ის კამპანიები, რომლის ჩატარებაში მან მთავარი როლი უნდა შეასრულოს, ბრუნდება შინ, ზაბულისთანში, საღაც აქვს სახლი და ჰყავს ოჯახი (მშობლები და ცოლ-შვილი). „შაპ-ნამეში“ წინა პლანზეა წამოწეული სწორედ სიისთანური (სკვითური) ციკლი. ეტყობა, სიისთანის მეფე-გმირებზე (ნარიმანი, სამი, ზალი, როსთამი, ფარამორზი, სოპრაბი) შექმნილი თქმულებები იოლად შეერწყა დასავლეთ ირანის ლეგიტიმისტურ გაღმოცემებს და აქ ისტორიული ფატები უნდა იყოს არეკლილი. სკვითები ძვრ. მე-4-მე-5 საუკუნეებში მართლაც შეერწყნენ ირანულ ზამეფოს. ცალკე ვერსიებად ასასებული როსთამის პაპის, სამის ამბები, ეტყობა, მთლიანად არ შესულა „შაპ-ნამეში“ (ამიტომ ხომ არა, რომ იგი დაჩრდილავდა ირანული ელემენტის პეგმონობის ნიშნით ჩამოყალიბებულ ციკლს).

„პერცფელდის ბოლო გამოკვლევების მიხედვით ისე ჩანს, რომ როსთამის პიროვნებაში მეფე გუნდაფარის... ნიშნები შეიმჩნევა.

* „ავესტაში“ ეს გმირი არ იხსენიება, იგი ფიგურირებს გვიანდელ ძეგლებში „ჩადგარ-ზარერანსა“ და „დრახთ-ასურიქში“, ფალაურადა როტასთამ „დევგმირი“ ქართულში შემოუიდა როტაშ ფორმით.

ეს უკანასკნელი არშაკილი უფლისწული იყო და ჩვენი წელთაღ-
რიცხვის პირველი საუკუნის დასაწყისში საკების მხარეს ფლობ-
და".

სამი, ისე როგორც მისი შვილი ზელი და შვილიშვილი
როსთამი, პოემაში ირანის შაპების გასალებად არიან გამოყვანილი.
„ერთის მხრივ სამი ემორჩილება თავის „სუვერენ“ მანუჩერს,
მეორეს მხრივ კი ხაზგასმულია სიისთანის ფაქტიური დამოუკი-
დებლობა, ხოლო მისი მძყრობელი სამი გამოდის მანუჩერის
მეურვედ, რომელიც აღარც პატარაა და არც ამ მეურვეობას
საკიროებს".^{*}

როგორც უკვე ვთქვით, როსთამი დიდხანს ცოცხლობს. მან,
მითიურმა გმირმა, გაღმოაბიჯა ისტორიულ ხანაშიც. თუ შეიძლება
რომელიმე გმირზე ითქვას, ეპოპეის მთავარი მოქმედი გმირია,
ეს როსთამზე ამიტომაც ითქმის. მაგრამ, როგორც თ. კოვალსკი
აღნიშნავდა, „შაპ-ნამე“ იმდენად დიდ და ხანგრძლივ პერიოდს
მოიცავს, რომ შეუძლებელია, მისი მთავარი გმირი ერთი პიროვნება
ანდა ერთი რომელიმე ოჯახი იყოს.^{**} როსთამი ტიპური გმირია იმ
თვალსაზრისით, რომ მას მიწერილი აქვს ის თვისებები და
მოქმედებანი, რომელიც გმირს ახასიათებს: იგი უცნაურად დაიბადა
(როსთამის დედას, რუდაბეს, მუცელი გაუკრეს და ბავშვი ისე
გამოიყვანეს), აქვს დიდი ძალა, გმირობას ჩაღის ბავშვობაშივე
(კულავს აწყვეტილ სპილოს), ირჩევს ცხენს მისი ცხენი გრძნეული
რაში გამოდგა), ჩადის შეცდ საგმირო საქმეს (შდრ.: ჰერკულესის
საგმირო საქმეები), არის ჭალოსნურ ძალებთან კავშირში მას
მფარველობს ზღაპრული ფრინველი სიმორლი). როსთამი უკვე
მხოლოდ ადამიანია. კი, მას აქვს არაადამიანური ფიზიკური ძალა,
მაგრამ ზებუნებრივი თვისება აღარ გააჩნია. მას შეუძლია, ასწიოს
ვეგბა ლოდი, მაგრამ გარდასახვის უნარი არა აქვს, არ ძალუდს,
ვთქვათ, უჩინარი გახდეს.^{***} როსთამის სახით უკვე გვაქვს
დახვეწილი და გადამუშავებული ვარიანტი მისი პროტოტიპისა,
რომელიც კოსმიური გმირიდან ჩაინდული ფენის იდეალად
ქცეულა.[†] ფირდოუსის პოემაში ზოგ გმირს, მათ შორის როს-

* აქრისთენსუნ, გვ. 28.

** A.A. Стариков, გვ. 526.

*** ა. კოვალსკი, II გვ. 314.

**** A.A. Стариков, გვ. 527.

+ Ю. Марр, К Чайкин, გვ. 207. როსთამის გარდა ჰერკულესისა უღარებენ
ანთარას (ის, „ერთადაც“, ღამთარე ლოვეობ თეატრ, 1869, გვ. 22), ოდისეუსს (იგი
მასაფრთხოებულია, ის C.M.Boura, Heroic Poetry. London, 1852, გვ. 100. მაგრეც
ამიღასლარ, როსთამ-სომხებ, თანა-შენასი, 1869, შომრეულ ლოვეობ, გვ. 25).

თამსაც, აქვს ფარრი ამ ფარრის ქონას მას დაბადებამდე უწინასწარმეტყველებენ: „მას ექნება ძალა, სახელი და ფარრი“. გვ. 207). ფარრი აქვს გრვსაც („ბრძოლაში შენ გრვი წაგიძლვება, მას აქვს ფარრი, კვერთი და ვეფხვის ჭანგი“. გვ. 845). ჩვენი აზრით, მათ ფარრი აქვთ არა იმიტომ, რომ არიან ძლიერი და თვალსაჩინო ფალავნები, არამედ იმიტომ, რომ ისინი ამავე დროს გვირგვინოსანნიც არიან.

ჩვენს განსაუთოებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ „შაპ-ნამებ“ ავტორს თავისი გმირების ხატვის დროს მარტო შავი ან თეთრი ფერი არა აქვს გამოყენებული, აյ ფერების ფართო სპექტრია. გმირების ბუნება სწორხაზოვანი ან უარყოფითი, ან დადებითი როდია. თვით ზაპქაცაც აქვს, ასე ვთქვათ, დადებითი თვისებები და, პირიქით, ისეთი მეფეებიც კი, როგორიც არიან ქად-ხოსროვი და პარმენი, არაერთ ნაკლა და ადამიანურ ხინჯს ატარებენ. ეს მოვლენა შეიძლება ერთხელ კიდევ მეტყველებდეს იმაზე, რომ ფირდოუსის კი უქვეს წინ მითოლოგიური და საფალავნო მასალა, მაგრამ ამ მასალას იგი ახალი თვალით უყურებს. მისთვის წინა პლანზე გამოდის ადამიანი, მას ადამიანური თვისებებისაკენ უჭირავს თვალი და იცნობს რა ადამიანს, დეტალურად და სიყვარულით გვიხატავს მას.

როგორ სათუთად უყვარს გრეს თავისი ვაჟი ბიჟანი, როგორ დაკანკალებს მის სიცოცხლეს, მაგრამ მანაც სისუსტე გამოიჩინა და კინალამ სიჩაუშის თორი არ ათხვავა პირშის, რითაც ხიფათში აგდებდა ორთაბრძოლაში გასულ შვილს. გავიხსენოთ ქად-ხოსროვის საძებნელად წასული იმავე გრვის შვიდწლიანი ხეტიალი (ცოების მკითხველს აქ მოაგონდება ავთანდილი). როსთამიც, ეს ირანის მტრების მუსრის გამვლები დევგმირი, ფაქიზ გრძნობებს გამოამუღავნებს ხოლმე. როცა ვითარება მოიტანს, ამ ტიტანის გული ვერხვის ფოთოლივით თრთის (გავიხსენოთ, როგორ დაიტირა მან თავისი გაზრდილი უფლისწული სიჩაუში და შვილი სოცრაბი), ერთხელ იგი საკრავზედაც კი ამღერებს სანტიმენტალურ სოფლის სამდურავს. როსთამი მოხერხებულია და ეშმაკი (გვ.გვ. 1054, 1058), როცა საჭიროა, თავმდაბალი და თვინიერი (გვ. 1025). ყველაფერი ამით და კიდევ იმ მასალების გათვალისწინებით, რომელიც უამრავია „შაპ-ნამეში“ და აქ არ მოგვაქვს (გავიხსენოთ ბაპტისტ-ჩრდინებს აღწერა, გვ. 2588), იმის თქმა გვინდა, რომ აღმოსავლური ჩენესანსის ნიავი აზიაში უცბად არ ამოვარდნილა, მას წინ უძღვდა აშკარად შესამჩნევი სიო, რომელიც ფირდოუსის „შაპ-ნამედან“ ქრის.

პოემაში ტრაგიკული ბედის გმირებიცა გამოყვანილი. აქ ორ

მათგანს დავასახელებთ: სოჭრაბს და ესჭანდიშარს. ორივე როს-
თამის ხელით იქნა განგმირული (ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშ-
ნოთ, რომ ზოგ მეცნიერს ეს გმირები ეწ. თავტედ ტიპებად
მიაჩინიათ. სოჭრაბი, მაგალითად, არც მამას ეპუება და არც ცხებულ
მეფეებს. მისი აზრით, მეფობა მას ეკუთვნის, ვინც ამის ლირსია,
როგორი წარმოშობისაც არ უნდა იყოს იგი).

ფალავნები სათანადოდ არიან აღჭურვილნი. ოლონდ გასარკ-
ვევია, ეს აღჭურვილობა რა მიმართებაშია დროსთან, ფირფოუსის
უამინდელია იგი, თუ მის წინარე პერიოდისა. უმაღ ისაა
მოსალოდნელი, რომ ძირითადად აქ პოეტის ხანის ფაქტურასთან
გვაქვს საქმე. შუბი, ხმალი, გურზი, ისარი, მშვილდი, კაპარჭი,
ჯავშანი, ბარგასთუანი და მისთანანი ფირფოუსის დროინდელი
საომარი იარაღებია. მაგრამ „შაპ-ნამეში“ შემორჩენილია მითო-
ლოგიური საბრძოლო ფაქტურაც. აქ, უპირველეს ყოვლისა,
ვეფხვის ტყავი უნდა დავასახელოთ. ვეფხვის თუ ლომის ტყავი
ბერი ხალხის მითებში გვხვდება მაგალითად, ლომის ტყავი აცვია
ბრძოლის დროს პერკულესს). ვეფხვის ტყავს იცვაშს როსთამი.
გვახსოვს, ვეფხვის ტყავი აცვია ტარიელსაც (ამიტომაც ეწოდება
პოემას „ვეფხისტყაოსანი“). ტარიელი თავის ვეფხისტყაოსნობას
ასე ხსნის: ვეფხვის ტყავი სატროოს მაგონებს და მის სახსოვრად
მაცვიაო. „შაპ-ნამეში“ ვეფხვის ტყავი ისარგაუმტარი ჯავშანია,
ყოველშემთხვევაში, როსთამისათვის ჯავშანან ერთად თავდაცვის
საშუალებაა. როსთამი ვეფხვის ტყავს იცვაშს ბრძოლის წინ.
მეტოქე მას ეუბნება: გაიხადე ვეფხვის ტყავი და მეც გამოვიცვლი
სამოსსო. მაგრამ ამაზე როსთამი არ თანხმდება. ვაბაევის აზრით,
როსთამის ვეფხვის ტყავს აქვს არა უტილიტარული ან სიმბოლუ-
რი, არამედ მაგიური დანიშნულება. საამისოდ მას მოაქვს მრავალი
მაგალითი მსოფლიოს სხევადასხევა ეპოსებიდან თუ თქმულებები-
დან,* მათ შორის ასეთიც: სიკედილის წინ გმირს ეუბნება ცხენი,
გამაძრე ტყავი და დაიმალე მასში. ჩემი ტყავით შემოსილს კიდევ
შეგიძლია შვილი დღე იბრძოლოო, — მოქმედებს კანონი: მაგია
ძლიერია იარაღზე, შამანი ძლიერია მეომარზე.“

„შაპ-ნამე“ მეფეთა წიგნი კი არის, მაგრამ მეფეები აქ არენაზე
ყოველთვის როდი არიან. როგორც კი გამოჩენდებიან ფალავნები,
მთავარი მოქმედი გმირები ისინი ხდებიან, აეტორს მათკენ გაურბის

* В.И. Абаев, გვ. 340.

** უკვ. გვ. 343, 345.

თვალი, მათი საგმირო საქმეები უნდა რომ აგვიწეროს, — მეფეები მეორე პრანზე გადაინაცვლებენ.

სახელის მოხვეჭა გმირთა იდეალია. ისე, როგორც დასავლურ ეპისტეში („უფროსი ედა“: „ერთი ჩამ ვიცი: უკვდავია უკუნითი უკუნისამდე გარდაცვლილის დიდება“).^{*} პოემის გმირები თავიანთ სახელს ზომაზე მეტად უფროთხილდებიან. გავიხსენოთ, როგორ გასწირა თავი ბაჟრმა მათრახისა გამო. მას ბრძოლის ელზე დარჩა მათრახი, რომელსაც მისი სახელი ეწერა. გმირს ეს ამბავი, მათრახის უპატრონოდ მიგდება, სამარცხვინო საქმედ მიაჩინა, ხომ შეიძლება, მისი მათრახი იპოვოს ეინძებ და ამით იფიქროს, ბაჟრმს იარაღის ხმარება არ შეძლებიან („უფრო გვიან სუქი პოეტები სახელის მაძიებელთ მასხად აიგდებენ, როგორც მანიაკებს“).

განსაკუთრებით თვალში საცემია „შაპ-ნამეს“ გმირების (როგორც მეფეების, ასევე ფალავნების) ღვთისმოსაობა. ამ თვისებით გამოიჩინევა თვით ისეთი დევგმირიც კი, როგორიცაა როსთამი. იგი თავის ძალას ღვთის მიერ ბოძებულად თვლის და სულ მუდამ უფლის თაყვანისცემაშია, თუმცა მას პრაქტიკულად ეხმარება და ძალას უმატებს სიმორლი (გვ. 1055). რა მხურვალედ ლოცულობს ქად-ხოსროვი უფლის წინაშე განრთხმული და როგორ გულწრფელია ეს მეფე ღმერთთან მიმართებაში!

ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ პოემაში თურანი ბოროტ ძალადაა გამოყვანილი, შესაბამისად, მათი მეფეებიც და მეომრებიც პოეტს სიმპათიით არა ჰყავს დახატული. და მაინც, მათ შორისაც გვხვდება ნათელი სახეები. ერთი ასეთი გმირია ფირანი, არასწორხაზოვანი და არაორგინალური ხასიათი არა მარტო „შაპ-ნამეში“, არამედ მთელს სპარსულ ეპიკაში. იგი დაამშვენებდა ნებისმიერ რენესანსულ რომანს, თუ რენესანსულობის სასინჯი ქვა გმირის შინაგანი ბუნების გახსნაშია საძიებელი. ამ კაცს, რომელიც პირად კეთილდღეობაზე მალლა სახელმწიფოს ინტერესებს აყენებს (გვიხსენოთ მისი საუბარი აჭრასიშებთან. გვ. 609), გული ერთდროულად სათუთიცა აქვს და ულმობელიც. იგი ცდილობს სიკეთეს მისდიოს, თუმცა იცის, რომ ბოროტი მეფის სამსახურშია ჩამდგარი. როცა ეს სიკეთისთვის საჭიროა, კადრულობს ტყუილს, სიმართლეს უმალავს თავის მეფეს, რომელსაც ერთგულად ემსახურება (გვ. 675). იგი ექომაგება თავისი სახელმწიფოს მტრებს, ირანელ გმირებს, როგორც აღამიანი — ადამიანს, თუმცა თავისიანების, თურქების, მოღალატე სულაც არ არის, პირიქით, გულშეურვალე პატრიოტია. „ფირანის სახე ტრაგიკულია,

* უფროსი ედა (რუს. ენაზე), გ. 1963, გვ. 22

թաշմո մոլորդ մուղու ծրագուղա մոզալլեռիս ցհճնօնիս, — հռմելուց մաս յըմուղա, հռցորկը յասալու յրտցոյլո սամսաերո մեցուսագմո, — դա միս յեցնեցիս Շորիս, հռմ յև մեց յէպինու ծեգուտցու արասթոր, սասթրիսա դա մաշն սայցուղևս ազլենս. մոզալլեռիս ամսուղա որո, դամուրիուղեռուղա յսամարտուղ մեցու, ուժմբա յորան յարցադ եցաւզա յցելա մու նայլուցանցիս*. ցորհնոն ցուղագու դա յեցնուցարո յալուցանո. „ոյուրանմա ուրու, հռմ ծեցմա („Ծրագմ“) մուս դամարցեցիս յանցո, մաշրամ մանց յերկցու մու ցանյարցուլցիս. յարցանցուն յուղատո, հռմելուց յորհնոնիս դա յշուարինու որհտածրագուղա օլթերուղ. ձանցունցիս յորհնոնիս սուցուցելու յունալո. սահրանուղու յնու յելիցա յարցու միմուտցու լուրս, հռմ յապմա յև յըունուղու որհցունալնու Շայուտեռու (ցը. 1242-1245).

յաձլացանցիս ուղարցուան մեցյեցի (ցը. 131).

Կոյեմանու յալացնեցիս յուրտույրտուա յեցքեատ ზօրաձրուլ արսց-ծեցտանաց. այ մովմեցուցին չալոյինցի, յուրուցի, անցելունցի, յորհինցուցի, նօրաձրուլու յորինցուցի, լուցեցի, ցրմեցուցի, մունցիս մուսան չամասոյ, հռմելուց ցարկուցուլ հռլու ասրուցեցիս կոյեմու ձանցունցու նախունի, ուղարցու ար ցանսեցաւցիս „մալցար-յ նարցրանմու“ ցամուցանուղու մուս Ցրուրութիւնուացան).

„Շաձ-նամյը“ ցմորեցիսատցու ձամաեսացուցից յուրու տցուսեցի — Ծրածանո. ցմորեցի տաց յիշեց. ցանսայուտրուցիտ հաջոան ամաս ուսոնու որհտածրագուղու Շին (ամուտ տացաւ ոմենցուցին և մունուն-ալմեցցեսաւ ա՛նոնցեց), այշեց տացուանտ մամաս, Յաձան և ա. Ռ. մունուրաձանուց յու ամացեցի և լանձնուցու. հռուտամուց յու յիշեց տաց յևիսանձնածրատան ծրագուղու Շին. յևիսանձնածրատ յու ամացեցի մաս, հռցորկը նելու յցուուլու նելու լուցուսեցու ոպոռ. մեցուցուցին յիշեց մուս օլնոնունուան). Ծրածանուտ սեց յըուսեցիս ցմորեցից ցամուրինցուան (ցազուսեցու, հռցորկ ոյշեցի տաց և հռցորկ ամբուրեցին մունունալմեցցես „ոլուածաւ“ ցմորեցի). նոցքը Ծրածա-նաւ մոհին ուսուու օլցուղեցի, սալու յալացան տցուտոն օլթերու մուս մոյր ցալասուղ ծրագուղու (ցը. 284, 285, 732). „Շաձ-նամյը“ ցմորեցիսատցու յւցետ ար արու Ցորույրուա, ահացուլութիւնուցու յատոնայրեցի մեցյետա մոմարտ. մաց, ցրց Ցորնու այշեց յաճ-յացուս, յենուտան մեց յաճիւ ար սնածացու, մանու հռուցսաւ սոնամլցու-լունի սախոնաալմեցցու յցեցուլցիսա տացու մեցյենց (ցը. 1428). արւ անցարցեա մատուցու յւցետ ելու. հռուցսաւ յաճ-եռունու լաամուրեցի յիշենացտան Շասվուղու և ամ յցեցնու լացլեցիս, ոցո

* M.-H. Օսմանօ, Փիրծուս. Ժիշն և տարչեատ. Մ., 1959, յը. 114.
** Ենատաց, ցը. 312 (Արոցցինց, ցը. 15).

შეკრებს თავის ახლობელთ და გულისამაჩუყებელი სიტყვებით აუწყებს მათ თავის განზრახვას, „შაპ-ნამეს“ მთავარი გმირები, ეს ჩვენს მიერ ასე აღიარებული ფალავნები, გრვი, ფუსი, ზალი და სხვები, რომელებსაც ჩვენ მათი საუკეთესო თვისებებით ვიცნობთ, არ იძნევიან და მეფეს სამოძვრებს და საგარინტიო ფირმანებს მოსთხოვენ; თორემ შენ რომ აღარ იქნები ამ ქვეყნად, ამ მამულებსა და სახელოებს, ვინ იცის, მოგვცემენ ან შეგვარჩენენ ჩვენ თუ არა (გვ. 1428). ზოგიერთი ეწ. დადებითი გმირისთვისაც კი დამახასიათებელია ღალატი, — გაეიხსენოთ, როგორ ღალატობს გორგნი ბიქანს (გვ. 1073), — პირობის დარღვევა და ფიცის გატეხვა (გვ. 1082).^a ზოგი ირანისტის შრომაში ერთგვაჩად გამადიდებელი შუშითაა დანახული დარღვიმანდი გმირის ჩანასახი „შაპ-ნამეში“, აპოკრიფული რამინის მსგავსი პერსონაჟი ბიქანი, რომელსაც ჭორუდთან ბრძოლის წინ არც ცხენი აღმოაჩნდა და არც თორი.

ყველა ომი, რომელსაც ირანელები იხდიან პოემაში, შურის საძიებელი ომია. აქ ირანელი მეფეები და ფალავნები, რად უნდა თქმა, სასტიკნი და დაუნდობელნი არიან. მაგრამ საერთოდ მახვილი თვალი არ უნდა იმის შემჩნევას, რომ მიუხედავად გმირების ასეთი სიმრავლისა და სიკრელისა, მიუხედავად ამდენი ომებისა და სისხლის თქმისა, ირანელ გმირებს ომი თეოთმიზნად არა აქვს ქცეული, კაცისკვლასა და სისხლისლვრას ისინი გაურბიან კიდევაც. თვით როსთამი და გრძელზი, ეს, ასე ვთქვათ, პროფესიონალი მეომრები, ამბობენ: ომს მშვიდობა სჯობსო (გვ. 983).

გმირების გასართობია ქეიფი და ნადირობა. გაბმული სმა იციან, თანაც სადღეგრძელოებით (გამოკიდება უნდა, აღმოსავლურ ლიტერატურაში პირველად „შაპ-ნამეში“ ხომ არ არის ფიქსირებული სადღეგრძელოების ინსტიტუტი). გმირებს ხალხში დიდი პატივის-ცემა აქვთ. პოემის მიხედვით, ხოსროვ ფარვენზის ღროს უკვე მღერიან ესჭანდიშარის გმირობის ამბავს (გვ. 2663).

და კიდევ ერთი თვისება „შაპ-ნამეს“ გმირებისა: შექსპირის ტრაგედიების გმირებისა არ იყოს, ისინი ჯერ მოკლავენ (ან მოაკვლევინებენ) მოწინააღმდეგეს, შემდეგ კი აქებენ და ადიდებენ მას (გვ. 825, 1246, 1264).

^a ჩალა ჩალეურ მოფლაც, ბირან-ო მანიუ კა კას-ო რამინ, „ირან-შენასი“, 1369, შომპრე-ავ როვეომ, გვ. 276.

როგორც ვთქვით, „შაპ-ნამეში“ აღწერილი და ირანელების მიერ წარმოებული ყველა ომი შურის საძიებელი ომია. ომებს პეტეში ძალიან დიდი ადგილი ეთმობა და ისინი გულმოდგინებით არის აღწერილი. სხვანაირად მოსალოდნელი არც იყო, — სადაც გმირები მოქმედებენ, იქ ხომ ბრძოლებიც უნდა იყოს.* პ.მასე აღნიშნავს: ფირდოუსი ერთგან ომის სტრატეგიის ისეთ ციდნას ამჟღავნებს, რომ თუ იგი მის წყაროებში არ იყო, მაშინ ვიღაც მეომრისაგან აქვს მოსმენილიო.** შესაძლებელია, პოეტს ეხელმძღვანელოს მის დროს არაბულ და სპარსულ ენებზე არსებული სამხედრო ლიტერატურითაც. ბუნებრივია, სასანიანთა, არშაკიანთა და, გნებავთ, აქემენიანთა ირანში, რომელიც ეკონომიკის, პოლიტიკისა და სამხედრო პოტენციის თვალსაზრისით ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო იმ იმ დროის მსოფლიოში და, ამდენად, შექმნილი პეტონდა შესაბამისი მატერიალურ-კულტურული დონე, ექნებოდათ არა მარტო „ანდარზ-ნამები“, რომლებშიაც ძირითადად იდეალური მეფისა და სახელმწიფოს მოწყობის კოდექსები პეტონდათ შეტანილი, არამედ სამხედრო ტრაქტატები, საომარი ალჭურვილობის დამზადებისა და ომის წარმოების ერთგვარი სახელმძღვანელოები; დახვეწილი ექნებოდათ ომის სტრატეგია და ტაქტიკა, ამა თუ იმ იარაღის ხმარების მეაცრად ჩამოყალიბებული წესები. კარგა ხანია, მიაქციეს ყურადღება იმას, რომ, მაგალითად, იმა ყუთამაბა თავის „ალ-აბბაზი“ სამჯერ წერს: „წესდებაში ასე წამიკითხავსო“ და სამჯერე იარაღებსა და ომის ხელოვნებაზე მოგვითხრობს.*** აბუ ლ-ფარავის „ქეპრესთში“ იკითხება საგანგებო თავი, სადაც ლაპარაკია სპარსულ წიგნებზე მშეილდოსნობის, ბრძოლის წარმოების, ციხეთა აღების, ქალაქთა დაპყრობის, სანგრების გამართვის, ჯაშუშთა მიჩენისა და მზევერავთა გაგზავნის შესახებ. როგორც გაღმოგვცემენ, ეს წიგნები არღაშიჩ პაპაკანი-სათვის იყო შედგენილი.**** რ.ფრაი აღნიშნავს: სპარსელთა დიდი ინტერესზე სამხედრო საქმისადმი მათ ენაში სამხედრო ლექსიკის სიუხვეც მეტყველებსო.†

პოემაში ომს აწარმოებენ ირანელებიც და თურანელებიც, სხვებიც, მაგრამ ირანელების ომი ყოველთვის სამართლიანია,

* ომის შესახებ „შაპ-ნამეში“ იხ: აგრეთვა თ. კოვალსკი, გვ. 77-77.

** ქ.მასე, გვ. 185.

*** აქრისტენენ, გვ. 77.

**** იქვე, გვ. 78.

† იქვე, გვ. 153.

სხვებისა — უსამართლო. ასე რომ, ძველ ბერძნულ მითთან რომ გვერდეს საქმე, ვიტყოდით, ირანელების ომი ათინა პალატის, სამართლიანი ომის ღვთაების, მეოხებით ხდება, ხოლო თურანელებისა — არესის, მუხანათური ომის ღვთაების, ნებითო. „შაჰ-ნამეს“ გმირები, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, პროფესიონალი მეომრები არიან, მაგრამ ეს როდი ნიშავს იმას, რომ მათი ოცნება ომის წარმოება იყოს. მართალია, შურისძიებისა და მტრისათვის ანგარიშის გასწორების გრძნობა მათში ისე მძაფრია, რომ ისინი რიტუალების დაცვითაც კი აწარმოებენ მას (გავიხსენთ: გუდარზი ფირანს რომ მოკლავს, მის სისხლს შესვამს ჰეშვით), გამარჯვებულები არ ინდობენ დამარცხებულთ (უდანაშაულო ხალხსაც კი), არც დიღს, არც პატარას, მაგრამ ვიმეორებთ, ომზე არ იცნებოდენ. თვით როსთამი და გუდარზიც კი, ეს პროფესიონალი მეომრები ამბობენ: ომს მშვიდობა სჭობსო (ზე ჯანგ ეშთ მის გომზნ მატასასთ) — „რა თქმა უნდა, ომს მშვიდობა სჭობს“. თავად ფირდოუსიც არასოდეს არ შედის ბატალურ ექსტაზში. „ფირდოუსის არასოდეს არ დაუკეტავს მშვიდობისა და ზავის კარები, პირიქით, იგი მშვიდობის მომხრეა და ომის გაჩაღებას არ ემხრობა“.*

რადგან სათანადო ცოდნა არ გაგვაჩნია, ჩეენ აქ პოემაში ასახული სამხედრო ხელოვნებისა და ომის მხოლოდ ზოგ მომენტსა და ინფორმაციას შევეხებით. მათ ფრაგმენტულად წარმოვადგენთ.

1. ფირდოუსის პოემის თვით მითოლოგიურ ნაწილშიაც ჯარი სასანური რიგით არის გაწყობილი. ჯარის დიდი შენაერთი ძალიან ხშირად 12 ათას კაცს ითვლის (მაგ., როსთამის ჯარი. გვ. 2954). მას ბრძოლის წინ სამი ძირითადი განთვენა აქვს. მარჯვენა ფრთა, მარცხენა ფრთა, ზურგი (გვ. 1156). ჯარში ზოგ სარდალს ძირითადად ორმოცწლიანი მეომრები ჰყავს და ეს ფაქტი რამდენიმე არგუმენტით არის მოტივირებული (გვ. 2594). სასანიანთა ჯარში არიან სამი თაობის ჯარისკაცები (გვ. 2707).

2. რ.ტურაის აზრით, აქემენიდების დროს მთელს ირანის იმპერიაში უნდა არსებულიყო ომში წვეულთა შესაკრები პუნქტები, სადაც ერთგვარი არსენალებიც უნდა ჰქონდათ.”**

3. ზოგზე არჩევენ კარგ, ბედნიერ დროს ომის დასაწყებად (გვ. 1290).

4. ომის (თუ ბრძოლის) წინ მეფე ათვალიერებს თავის

* ჩატურ შეარ, ანდრშე-დე ფერდოუსი. „სოხან“, 1354. შომარექ-დე დაქომ-თ ჩატურაქობ, გვ. 119.

** P. ფრან, გვ. 153.

შეიარაღებულ ძალებს (გვ.გვ. 785-788, 801-802 და სხვ.), რითაც „შაჲ-ნამე“ პომერისის პოემას გვაგონებს.

5. შაჲები ხშირად თავიანთ სარდლებს პირობას უდებენ, ოლონდ ეს ბრძოლა მოიგე და ასე და ასე დაგაჭილდოებო! აქრასიშვაბი, მაგალითად, ფრილსაში პპირდება, თუ როსთამს დაამარცხებ; თურანისა და ირანის ორ ნაწილს გაჩუქებ და ჩემს ქალიშვილსაც ცოლად შეგრთავო (გვ. 696).

6. მეფე დალოცავს ხოლმე საომრად მიმავალ ჯარს (გვ. 558).

7. მეფე-გმირი უფალს გამარჯვებას თხოვს და სამაგიეროდ კპირდება, ცხენსა და სამეფო რეგალიებს შენს ტაძარს შევწირავო (გვ. 2691).

8. სარდალი კარლინალურ საკითხებზე ჯარს ეთათბირება და ისე იღებს გადაწყვეტილებას (გვ. 2284).

9. ომის ხანგრძლივობა სხვადასხვანაირია, ხდება, იგი 40 დღეს გრძელდება (გვ. 1016).

10. „შაჲ-ნამეში“ მრავალი ორთაბრძოლაა ნაჩვენები. ისინი ისე დეტალურად აქვს პოეტს აღწერილი, რომ მეცნიერული ინტერესების შემნე ავტორს შემუტდება. ამ მხრივ ჩვენი პოემა გვაგონებს „ილიადასა“ და „ნიბელუნგებს“.

11. ბრძოლის დროს მეფე სპილოზეა ამხედრებული (გვ. 2481).

12. ომის ტაქტიკა: მოპირდაპირე მხარე მთასაა მიღარებული და ბრძოლას თავს არიდებს, უნდა მტერმა დაიწყოს შეტევა (გვ. 900). სარდალი ბრძოლას არ იწყებს, რადგან ქარი მისი ჯარისაკენ უბერავს (გვ. 903). მაშველი ჯარის მოლოდინში იმს ავიანურებენ (გვ. 911). აღწერილია ალყები (გვ. 903), დაზვერვაზე წასვლა (გვ. 904). მზევერავებს შეამში აქვთ შუბის წვერი ამოვლებული (გვ. 1767). საერთოდ, სამხედრო დაზვერვა მაღალ დონეზეა (გვ.გვ. 1030, 2049). ჯარებს დარაჯი უყენიათ, მოთვალყურეები შორს გამოჩენილ მტერს შენიშნავენ და ამას სასწრაფოდ თავისიანებს აცნობებენ.

13. ჯარისკაცებს ბრძოლის წინ ურიგებენ ჯაეშანსა და მუზარადს (ალბათ იმიტომაც), რომ მათ უძნელდებოდათ რეინის აბჯრის ზიღვა და იგი საგანგებო ტრანსპორტს დაპქონდა. გვ.გვ. 936, 944, 2340).

14. როგორც წესი, ომში შესვლის წინ ჯარს სარგოს ურიგებენ (გვ.გვ. 473, 1366, 2340).

15. სამხედრო ხელოვნება: თავდაცვის შიზნით მისასვლელ გზებს

- ხის მორებით ჩახერგავენ მთარამ არც მომხვდური რჩება ბრიყეად: ამ ხეებს ცეცხლს წაუკიდებს, დაწვავს და გზას იყაფავს. გვ. 832).
16. როგორც პ.მასემ შენიშნა, ირანელები ომში ხრიკებს მიმართავენ. მაგ., როსთამმა მარილის კასრებში დამალა თავისი მეომრები და ისე შევიდა ციხეში ვაჭრულად გადაცმული (გვ. 1610). ალყაში მყოფი მეფის კარისკაცი გამოეწყობა სამეფო ტანსაცმლით და ერვენება მტერს, რათა იგი შეიქციოს, ვითომ მეფე აგერ ვარო და ამასობაში მეფე გააპაროს (გვ. 2718).
17. მიმართავენ მტრის დეზორინეტირებას (გვ.გვ. 2771, 2895).
18. „შაპ-ნამეში“ აღწერილია იმ დროისათვის ერთგვარად საძრახისი ტაქტიკა, ღამით უეცარი იერიში, ე.წ. „შაბანეშნი“ (გვ. 904). ბრძოლის ამ სახეობას ძირითადად თურანელები მიმართავენ.
19. ციხეს რომ აიღებენ, არ ინდობენ არავის (გვ. 2343).
20. ირანელებიც კი უდანაშაულო ხალხს ხოცავენ (გვ. 1376).
21. სამხედრო ხელოვნების უამრავი მაგალითია პოემაში (გვ.გვ. 1157, 1180, 1286, 1289, 1329, 1338, 1340, 1353, 1579).
22. როცა ორი ქვეყანა სამშევიდობო ხელშეკრულებას დებს, უფრო სუსტი (რომელსაც ომში დამარცხება ელოდა) მასზე ძლიერი ქვეყნის მეფეს უგზავნის საჩუქრებს.
23. დამარცხებულ სახელმწიფოს, როგორც წესი, ხარკი ედება.
24. გმირებს ჩვეულებრივ სიკვდილს ომში დალუპვა ურჩევნიათ (ვუმნი ამბობს: „თუ სიკვდილია, რად უნდა ამას ლაპარაკი, ომში სიკვდილი მირჩევნიათ“. გვ. 885).
25. ჯარი ყოველთვის ხალისით როდი მიღის საომრად. ზოგჯერ იგი დრტვინავს, ომი არ უნდა (გვ. 1361). ჯარში დეზერტირობაც არაა უცხო ხილი, დეზერტირებს თავის მოვრით ემუქრებიან (გვ. 2612). როგორც საბჭოთა კავშირის გერმანიასთან ომში, „შაპ-ნამეშიც“ თურანელთა მეომარ ლაშქარს ზურგს უკან უყენია „заградительный батальон“ (გვ. 1512), რათა უკან დახეულნი ადგილზე დახოცოს (რაღაც ამის მაგვარ ხერხს მიმართა დავით ალმაშენებელმა დიდორის ბრძოლაში, როცა მან თავის ლაშქარს უკან დასახევი გზა გადაუკეტა).
26. ფალავანი ყველა იარაღს თან არ ატარებს (მისი სიმძიმისა გამო), ე.ი. ჰყავთ მეაბჭრები. მაგალითად, ფალავნის შუბი ექირა საცეციალურად ამისთვის დანიშნულ ჯარისკაცს, რომელსაც სენანდრა ან ნემზედარ („შუბის მქონე“) ერქვა, სავიროების შემთხვევაში ფალავანი მას გადასძიებდა, „შუბი მომაწოდეო“ (მდრ. „ვეფხისტყაოსანი“: „შუბი ვსთხოვე... 445,1).

27. საბრძოლო იარაღებია:

თოლ (ზმალი, მახვილი). პოემაში მოხსენიებულია სხვადასხვა წარმოშობის მახვილი: „ეგვიპტური მახვილი“ (თოლ-ე მერქა, გვ. 1786); „ინდური მახვილი“ (თოლ-ე ჰენდა, გვ. 573, 1155); „ბერძნული მახვილი“ (თოლ-ე რუმი). ლაპარაკია იისფერ, წყლისფერ, ალმასის-ფერ ხმლებზე. თოლ-ის სინონიმია შამშირ.

ძალიან ხშირად იხსენიება ხანჯალი (ხანჯარ), ნაქებია ქაბულური ხანჯალი (გვ. 108).

შების შემდეგი სახეობებია: ნემზე (ნახმარია მისი არაბული სახელწოდებაც; სენანი). აჩაიშვიათად გვხვდება ნემზე-მე დერაზ (გრძელი შუბი); ხეშთ (ხიშტი, ლექსიკონებში ეს ტერმინი გამარტებულია, როგორც მოკლე შუბი. ბორკენი, გვ. 751); უშტნ (უშტნ, ზუჯტნ) — მოკლე შუბი, რომელსაც ძველი ლექსიკონები გილანური წარმოშობისად თვლიან ბორკენი, გვ. 1043). მოხსენიებულია სენან-ე პალდე (წყალმიცემული), ნაქრთობი სენანი, გვ. 486).

ისარი სხვადასხვა სახეობით (თუ ტერმინითაა) წარმოდგენილი: ფედქენ (ერთგან ამაზე ნათქვამია, რკინას ატანდაო). ზოგი ფედქენი ორწვერა (დუშხე) ყოფილა (ასეთი ისარი ესროლა როსთამა ესქანდრაშტარს თვალებში და ორივე თვალით დააბრმავა). ნახსენებია ოთხურთიანი ისარიც (გვ. 1009). თარ — საუკეთესო ყოფილა ხადანგის ხისგან დამზადებული ისარი. ნახსენებია ჭავშნის გამტარი. ისარი, ალმასის მსგავსი (ფერით? სიმაგრით?).

ისარი თარქაშში (თარქაშ — „ისრის სატარებელი“) უდევთ.

მშვილდის მხოლოდ ერთი ტერმინია ნახმარი — ქამპნ. ხშირად გვხვდება ქამპნ-ე ჩანჩ, „ჩანჩური (ტაშკენტური?) მშვილდი“, ქამპნ-ე ჩანჩ, რომელსაც ძველი ლექსიკონები გამარტავენ, როგორც მტკიცე მშვილდს (ბორკენი, გვ. 630), მაგრამ იგი ჩარხის სახეობის მშვილდს (არმოლეტს) უნდა ნიშნავდეს (მდრ. „ვისრამიანი“: ჩალხის ისარი).

არაიშვიათად ხმარობენ საომარ ცულს (თამარ), იგი უნაგირზე უკიდიათ (თამარე ზინ — „უნაგირის ცული“).

გურზი (გორზი). ისიც უნაგირზე უკიდიათ და ბრძოლის დროს იღებენ ხელთ. მისი სინონიმი უნდა იყოს გორზე — ფარისტუნის გურზებში: გორზე-მე გაუსარ („ხარისთავა გორზე“), გორზე-მე გაუჩაქრ („ხარისსახა გორზე“); გორზე-მე გაუფადქარ („ხარისმგავსი გორზე“). გორზეთი სწორედ გურზი უნდა იგულისხმებოდეს და არა გველი, როგორც ეს ბორკანის ლექსიკონშია განმარტებული (გვ. 1794).

პოემაში ხშირად იხსენიება ამულ (კვერთხი) როგორც საომარი იარალი. ვთქვათ: 'ამულ-ე გერან (მძიმე კვერთხი)', 'ამულ-ე რუმი

(„ბერძნული კვერთხი“), მაგრამ არ ვიცით, იგი გურჩის სახეობაა, თუ საერთოდ აღნიშნავს გურჩის ტიპის საომარი იარალს. ამ ტერმინის სინონიმი უნდა იყოს პოემაში ხშირად ნახმარი ქუფალ (გუფალ).

არც ისე ხშირად ხმარობენ ფარის, რომელიც საფარ ტერმინით არის პოემაში წარმოლგენილი.* „შაპ-ნამეში“ მოხსენიებულია ჩინური ფარი, ოქროს ფარი, გილანური ფარი.

ქამანდ (ქამანდი). ჭარბდუნი ამზადებს ქამანდს ლომის ტყავისაგან (გვ. 59). ქამანდი მოხსენიებულია, როგორც სიგრძის საზომიც (გვ. 761).

ჯავშანი რამდენიმე ტერმინითაა წარმოლგენილი. საკუთრივ ეს სიტყვა სპარსულია (ჯავშან) და ამავე მნიშვნელობით იხმარება, იგი რამდე კონკრეტულ მოსაცმელს არ ნიშნავს. ვთქვათ, ნახმარია „ვეფხის ტყავის ჯავშანი“; ზარე („ჯავშის პერანგი“), ხიჭან, ქამჩ (ფაბჩ) — ბრძოლის დროს ჩასაცმელი). პოემაში ფიგურირებს სიჩეუშის ხმალგაუმტარი ფარი (დერი), რომელიც შემდეგ ჭარბნესმა, მისმა ცოლმა, გრვს აჩუქა (გვ. 724). რკინის ჯავშანი ითარიავს ბრძოლის დროს ცხენებს და სპილოებს, ამ ჯავშანს ბარგასთოვნენ (ბარგასთოვნენ) ეწოდება. ზემოთ უკვე გვძონდა ლაპარაკი იმაზე, რომ როსთამს ტანთ აცვია ვეფხვის ტყავი, რომელსაც გარდა მაგიური დანიშნულებისა აქვს ჯავშნის ფუნქციაც. მაგრამ ბრძოლის დროს როსთამი მასთან ერთად იცვამს ჯავშანსაც.

მეომრებს თავზე რკინის მუზარადი ახურავს. იგი ხან წარმოლგენილია, როგორც რკინის ქოლპში (ქოლპ-ე პან), ხანაც — თარგა ეს უკანასკნელი საომარი რკინის ქუდი იყო. „შაპ-ნამე“ იცნობს ჩინურ და ბერძნულ თარგებს. გვხვდება მისი არაბული შესატყვისიც — მაღარ.

საომარ აღჭურვილობას უნდა მივათვალოთ „შაპ-ნამეში“ მოხსენიებული მატე (გვ. 312), ერთგვარი აკვნის მსგავსი საჭდომი, რომელიც საბრძოლო სპილოზე ედგათ. ასეთივე დანიშნულებისაა სანდუქ (ზანდუქი). უნაგირი (ზენ), რომელიც, თუ მეფისაა, ოქროსიცაა; საწყვეტი (ათრაქ) და მათრახი (თაზიმანენ).^{*}

საომარ აღჭურვილობას ეკუთვნის პოემაში მოხსენიებული არადე (ლაფეტი, ურემი); მანჯანიყ (ლოდსატყორცინი).

* ქართველ სტელენტებს სპარსული საფარი ქართულ სიტყვას (მოსაფარებელი) აგინება. მაგრამ გა ავმირი ასა აქვთ ერთმანეთთან. სპარსულ საფარ ქველი ინდოეროპული სიტყვაა (ფალატრის სტარ, სანსკრიტული ტ्रासा, სომხური — ასპარ და ა.შ. ხოლო ქართული საფარი ნიშავს მოსაფარებელს, დასაფარებელს, თავის შესაფარებელს.



„შაპ-ნამეში“ აღწერილ ომებს, როგორც წესი, ახლავს საკრატიკო ვები. აქ საბრძოლო მუსიკა ხუთი სახეობისაა: ჯარის შემკრები, მოედანზე გამყავინი, ბრძოლისკენ მომწოდებელი, ფალავნებისა და მეომრებისათვის საჭირო ინფორმაციის მიმტანი და გამამხნევებელი. ისინი ზოგი ლითონისაა, ზოგი — ტყავის: პოემის „რუსენ-დე ხომ“ ძველ ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც რვალის ქონი (რუს — „რვალი“, ხომ — „ქვაბი, ქვევრი“). თამარე — ზოგადი სახელია იმ საკრავებისა, რომლებიც ჩვენს პოემაში ისედაც გვხვდება: დოლის, ქონის (ქოსს ხშირად ლომის ტყავი აქვს გადაკრული), ნაღარის, ტაბლის; ხშირია სანჯ — დასარტყმელი თევზები; მუჟ — მუჟი, ნამ ქარნამ — საყვირი; შემფურ — პატარა ქარნამ.

ომს ერთიმეორის პირისპირ დაბანაკებული ჯარები აწარმოებენ. ბანაკში კარვებისა დაცემული. კარვები სხვადასხვა მასალისაგან არის შეკერილი, აქ ვეღვხვის ტყავის კარავსაც ვხვდებით (გვ. 95). სამეფო კარავს აქვს ერთგვარი კორიდორი (დეპლიზ) (გვ.გვ. 125, 1230).

დროშა ლაშქრის აუცილებელი ატრიბუტია. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მჭედელი ქავეს დროშა (ზაპაქის წინააღმდეგ აჯანყებულმა ქავამ მოიხსნა თავისი ფეშტამალი და იგი დროშად დაიგირა). ამ დროშას დარატე-ე ქავისან („ქავასეული დროშა“) დაარქევს. იგი სამეფო გახდა. მაგრამ აქ მოხდა ერთგვარი გაუგებრობა: მას შეერწყა ქადანთა მითიური სამეფო დინასტიის სახელი და ჯერ პარალელურად უხმობდნენ ქამნურ დროშას, შემდეგ კი სულაც ამ უკანასკნელის სახელით იხსენიებდნენ. ეს დროშა, როგორც ეროვნული რეგალია, მოწიწებით ჰქონდათ ირანელებს შემონახული 637 წლამდე, იმ დრომდე, ვიდრე არაბებმა ირანი არ დაიპყრეს და კადისიასთან ბრძოლის ველზე იგი ხელთ არ იგდეს (მას ძეირფასი ქვები შემოაცალეს, თავად დროშა კი დაწვეს).^{*} პოემის მიხედვით ირანელთა საბრძოლო დროშები ატარებენ სპილოს, მგლის, ტანის, კამეჩის, ლომის, ვეღვხის, ნიამორის, გარეული ცხვრის, გველეშაპის (როსთამის დროშა), ფენიქსის (ესჭანდონარის დროშა), მზის, მთვარის სახეებს. ხშირია აბრეშუმის დროშები. დროშათა ფერებია: წითელი, ყვითელი, ისტერი, შავი, მწვანე, ცისფერი.

ომებში ქვეითი ჯარიც ლებულობს მონაწილეობას და მხედრებიც. მხედრები ჯერ ცხენებით იბრძვიან, ხოლო როცა ცხენს გამოუკლავენ — ქვეითადაც. კარგ ცხენს უნდა ჰქონდეს: შავი

* ბორჯანი, გვ. 1582

თვალები, შავი საურეალები, ხარივით კუდი, ფოლადივით შაგარი ფლოქვები. იგი ფიცხი უნდა იყოს.

როსთამისა და სოპრანის ორთაბრძოლა შემდეგი წესით მიმღინარეობს: ჯერ შუბებს ამსხვრევენ ერთმანეთს, შემდეგ ხმლით იბრძვიან, ამასაც რომ დაამტკრევენ, გურზე მიმართავენ. გურზიც რომ გაიღუნა და ცხენებსაც ბარგასთოვენი რომ დაემსხვრათ, გმირებიც დაიღალნენ. ცოტა ხანს რომ შეისუენეს, ისრები დააყარეს ერთმანეთს. ამითაც რომ ვერაფერს გახდნენ, ქამარში დაავლეს ერთმანეთს ხელი. ასეც რომ ვერაფერი დააკლეს ერთმანეთს, ისევ გურზე მიმართეს (გვ. 489).

ომის დროს, ხდება, გმირები ორთაბრძოლაში იწვევენ ერთმანეთს. ზოგჯერ აქ პირობა იდება: ვინც გაიმარჯვებს, მისი მხარე უნდა ჩაითვალოს ოში გამარჯვებულად (გვ.გვ. 1295, 1844). პირობები სხვადასხვანაირია, გააჩნია, როგორ დათქვამენ: ჯავშნის გამოცვლის ნება ჰქონდეთ (გვ. 1039), სხვა არ დაიხმარონ (გვ. 1040), თარჯიმანი (არბიტრი) არ უნდა მოკლან და ა.შ. ზოგჯერ ეს ორთაბრძოლები იმდენად რაინდულია, რომ პირებელი დარტყმის უფლებას ერთმანეთს სთავაზობენ (გვ. 2804), ზოგჯერ კი, პირიქით, დამარცხების პირზე მისულს ამხანაგები ესმარებიან (გვ. 679), დაცემულს ხანჭლით კლავენ (გვ. 1040) და ა.შ.

ომში მონაწილეობას ღებულობენ მობედები (გვ. 20), ექიმები და დასთურები (გვ. 1208). როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, ბრძოლის ველზე იმყოფებიან და ფალავნებს ემსახურებიან მეაბჯრები, სენანდარები და ნეაზედარები („შუბის შეონენი“). ერთგან: ფალავანს თურქის ბიჭი (რძალავ) ახლავს, მას გმირის ფარი უჭირავს (გვ. 212). ჯარში სამი იერარქიული წოდებაა: რიგითი ჯარისკაცი, სახელმოვანი (ნაშროვა) და ფალავანი (ფაპლავენ). მითოლოგიურ ნაწილში ბრძოლის ველზე ვერდავთ ცხოველებს, ფრინველებსა და დევებს.

„შაპ-ნამეში“ აღწერილია როგორც სხვადასხვა სახელმწიფოთა ურთიერთშორის (ძირითადად, ირანელებისა და თურქნელების), ასევე სამოქალაქო ომებიც (როსთამისა და ესტანდრმარის, ფარვიზისა და ბაპტისტ ჩუბანესი).

ყოფა

ფირდოსის მიერ ყოფის აღწერას ერთ-ერთმა პირველმა ინდოელმა ირანისტმა შემლი ნომინიშ მიაქცია ყურადღება.*

* შემლი ნომინი, გვ. 114.

როგორც აღვნიშნეთ, როდესაც ყოფის რაიმე გამოვლინებაზე ვლაპარაკობთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენეული კლასიფიკაცია, ერთმანეთისაგან გამიჯვნა ძველი, ფირდოუსიმდელი, რეალიებისა თვითონ პოეტის დროინდელი მოვლენებისაგან მეტად და მეტად პირობითია, არ არის გამორიცხული, რომ ზოგჯერ ფაქტლაურ ხანას ფირდოუსი თავისი დროის რეალიებით ასახავდეს და ამით ის ჰგავდეს სეფიანთა და ყაჭართა ხანის მინიატურისტებს, რომლებიც „შაპ-ნამეს“ მითიურ გმირებს ყიზილბაშებისა თუ ყაჭარების მორთულობითა და აქსესუარებით გვიხატავენ. შემოწმება უნდა: თვითონ ომებისა და ორთაბრძოლების აღწერის დროს როდინდელ სურათს წარმოგვიდგენს ფირდოუსი.

„შაპ-ნამეს“ პირველივე მეფეები ებრძევან დევებს. და ეს ბუნებრივია, რადგან პოემის მითოლოგიური ნაწილი კეთილისა და ბოროტის დაპირისპირების ფონზე გაშლილი. დევი გრძნეული, ბოროტი ძალაა, მაგრამ გრძნეულებას არც დადგინთი გმირები არიან მოკლებული. გავისხენოთ, რომ თაპტურასი დევთაგან მხოლოდ ერთ მესამედს ანადგურებს გურჩით, ორ მესამედს კი შელოცვით (აქსურ) უსწორდება. გრძნეულია ფარისდუნიც. იგი თავის ვაჟებს „სხვად ქცეული“ დახვდება გამოსაცდელად. ეს თვისება პოემის სხვა გმირთაც ახასიათებს. აქ გრძნეულები არიან ცხოველებიც, კერძოდ, ცხენები. გრძნეულია როსთამის რახში, სიჩაურეშის შაბდიზი. როგორც შენიშნულია, დაყჟყე ერთ თავის ლექსში როსთამის რახში ისხენიებს როგორც ჯადოქარს. * სამართლიანად განარჩევს მ-ჭ. მაჟჭბი პოემაში „ლვთაებრივ (ლვთისმეტე) ჯადოქრებს“ „შმაკეული (აპრაშნისეული) ჯადოქრებისაგან.“ თაპტურასი, ფარისდუნის, ქამ-ხოსროვის და სხვების ჯადოქრობა ლვთისმიერია, სიკეთეზე ორიენტირებული. დევების შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე და მის თაობაზე აქ საუბარი არ გვექნება. აღვნიშნავთ, რომ ირანული სამყაროს დევი, რომელმაც ზარატუსტრის გამოჩენის შემდეგ ინდურ მითოლოგიასთან დაპირისპირების შედევგად ამ უკანასკნელისათვის მიღებული გაეგების (ძველინდურ მითოლოგიაში დევა ღმერთს ნიშავდა და, რა თქმა უნდა, იგი კეთილი იყო) საპირისპირო, ანტიგონისტური (ავი სულის) შენაარსი მიიღო. ირანული დევი სულაც არ არის ისეთი სულელი, ტლანქი და ერთგვარად სიძპათიური პერსონაჟი, როგორც ის, ვთქვათ, ქართულ ზღაპრებშია, თუმცა გარკვეულ არაბუნებრივ ძალასა და ზეადამიანურ შესაძლებლობებს იგი

* თაყჩ-ზარე, გვ. 7.

** დევებისა და ავი სულების შესახებ „შაპ-ნამეში“ უფრო ვრცლად ის მოქამალ აპალ ბავრლ, პარან დარ „შაპ-ნამე-აუ“ ტერიტორიაზე, თამაზ, 1350, გვ. 7.

ფლობს. მაინც, პოემაში ერთგან, როცა დევის ძალის გაზვიადება უნდათ, მას ლომს ადარებენ (გვ. 187). „შაპ-ნამეს“ პერსონაჟ თეთრ დევს ადვილად შეუძლია აყენოს მტვრის კორიანტული, აღძრას გრიგალი, შავი ლრუბლებით მოგრაგნოს ცა, მოიყვანოს წვიმა და თოვლი, მესეულად დააბნელოს დღე. პაპანაქებაში ყინვით გათოშოს ქვეყნა და ა.შ. უფრო ძლიერია აქვთ-დევი, თუმცა გულუბრყევილობა მასაც არ აკლია ცაში არაცებულ როსთამს ეკითხება: სად ჩამოგადო, ხმელეთზე თუ ზღვაშით როსთამმა მოატყუა, არ მინდა ზღვაში თევზებმა შემქამონ, მირჩევნია, ისევ ხმელზე დამაგდოთ. კრიჭაში ჩამდგარმა დევმა „სურვილი“ არ შეუსრულა როსთამს და იგი ზღვაში ჩაგდო (გვ. 1049). როსთამსაც ეს უნდოდა. როსთამის აღწერით, აქვთ-დევს აქვს: სპილოს თავი, გრძელი თმები, შავი ტუჩები, ტახის ეშვები, ლურჯი (ცისფერი) თვალები. პოემაში გამოყვანილია ურჩეულიც. პიპერბოლურად ნათქვამია, რომ იგი სპილოს ძლევდა (გვ. 339). აქ მოქმედებენ დადებითი ზებუნებრივი ძალები, კერძოდ, მწვანით მოსილი ანგელოზი სორუში. მან ვალარჩინა ვამოუვალ ძღვომარებობაში მყოფი ხოსროვ ფარვაზი (გვ. 2783). ალანიშვანია, რომ ეს მწვანით მოსილი ზებუნებრივი ძალა ვახვდება ან იხსენიება ბევრ ძეგლში, მათ შორის „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“. პოემის მიხედვით, თილისმის ქმნა და ჯადოქრობა მათ მოქმედთ ყოველთვის ბუხებით, დაბადებიდან, კი არა აქვთ დაყოლილი, არამედ ნასწარვლი აქვთ. მაგ., თურანის ლაშქარში ჰყავთ ვინმე ბაზური, რომელსაც ფრინვენი ბრძოლის დროს გამოიყენებს ხოლმე. მასზე ნათქვამია: ბე აქტებთ ქაუზ-მო ჯადურ — „ესწავლა ქაჯობა და ჯადოქრობა“ (გვ. 891). ფრინვენი მას ავალებს, აეიდეს მთის მწვერვალზე და ირანელებს თოვლი და თოში დაატეხოს. შემთხვევითი არ ჩანს, რომ ფირდოსი ამ კაცს ახასიათებს, როგორც აქტებ-ფაუზებს („თილისმის შეცალინე“). ინდოევროპულ მითებში ჯადოქრებისა და ავი სულების წინააღმდეგ იბრძეონ ჩეინით. ამისი ნიმუში ჩანს ზაპქის წინააღმდეგ მეტელი ქვას გამოსელა (შრ. რუს. კოვატ — „ქედვა“). თხზულებაში ფიგურირებს აქტებანიც. „შაპ-ნამეში“ ფერისაც მოქმედებს, მაგრამ იგი უმეტესად შეტაფორად ან ეპითეტადა გამოყენებული. ფერიები უფრო მრავლად გვიან შემოფრინდნენ სპარსულ და არაბულ ლიტერატურაში, მაგრამ განსხვავებით „ავესტისა“ და ფალაური ძეგლების წარმოდგენებისა მათში ფერი აქტებანის თანამდგომი ბორტი სულია, ახალ სპარსულ ლიტერატურაში ისინი ლამაზ არსებებად იქცნენ, ისეთ მომხიბლავ ქმნილებებად, რომ ძალიან ხშირად ჩვეულებრივ

* ფლობა, პოემისი, შავთელი, რუსთაველი, „მნათობი“, 1960, №2 მთლიანი, ზოგი ჩამ ნიზამის „ხოსროვშინიანის“ შესახებ. წიგნში ნიზამი განცელი, ხოსროვი და შირინი. თარგმანი ამბავ შელიძისა, თბილისი, 1964 გვ. 23.

მოკვდავთაც შეუყვარდებათ ხოლმე. ისე როგორც „ვისრამიანში“, აქაც სატრიფოსთან პაემანზე მყოფი ბიჭანი ტყუის, ფერიამ ამიყვანა და აქ ჩამოშვაო (გვ. 1083). პოემაში ხშირად გვხვდებიან ნახვერად ადამიანები, სხეულის ფორმითა თუ სულიერი თავისი ებურებებით ანომალიური არსებანი.

„შაპ-ნამეში“ ზღაპრული ფრინველებიც მოქმედებენ. უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა ვახსენოთ სიმორალი, როსთამისა და მისი გვარის ძფარველი ფასკუნჯი. მან სიკედილისაგან იხსნა და გაზარდა ზღლი, როსთამის შამა, მანვე გაუწია როსთამს დახმარება ბრძოლებში. სიმორალთან ურთიერთობის ფორმებიც ზღაპრულია. იგი მინდობილ გმირს შესანახავად აძლევს თავის ბუმბულს, გაჭირვების დროს მას დაწვავს გმირი და სიმორალიც მასთან გააჩნდება (გვ. 139).

ზღაპრების უანრიდან არის შემორჩენილი პოემის ამბავში ამოცანებით გმირის გამოცდის (გვ. 208), უცოდველობის ცეცხლში გავლით დამტკიცების (გვ. 552), ქალაქის აღაყაფზე მეფის ლამაზი ასულის სურათის დაკიდების (გვ. 155), მეფის ქალიშვილის მიერ საქმროს თავად არჩევის (გვ. 1460) და მისთანა მოტივები.

პოემაში ერთმანეთს დაუპირისპირდება ორი გვარი, წარმავალი მითიური ხანის მოპირანს, როსთამს ებრძევის ახალი, მაზდეანური კულტურის წარმომადგენელი ესტანდინარი.

როგორც შუასაუკუნეების ბევრ სხვა ძეგლში, „შაპ-ნამეშიც“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სიზმარი. იგი საინტერესოა არა მარტო რწმენის, არამედ პოეტის მხატვრული აზროვნებისა და მის მიერ ხალხური წარმოდგენების, ასახვის თვალსაზრისით. სიზმრისა, რა თქმა უნდა, სჯერათ; სასახლეებში სიზმრის ამხსნელები (ჩამოვაზრ) ჰყავთ (გვ. 2367). ძალიან ხშირად ეს სიზმრები მაღალი მხატვრული ხერხებით არის გადმოცემული. სიზმრები ესიზმრებათ არა საამისო პირობითი ნიშნებით, მეტაფორებით, — სიზმარში ეცხადებათ ანგელოზები თუ სხვა ვინმე და ისინი გმირს უწინასწარმეტყველებენ: ასე და ასე მოხდება, ასეთი და ასეთი საქმე დაგემართებაო (გვ. 710) (სიზმრები იხ.: გვ.გვ. 295, 820, 1818 და სხვაგან).*

„შაპ-ნამეში“ აღწერილია ზაპქის, სამის, სიმარტის, აქრასინების, გუდარზის, ფრინჯის, თუსის, ნაცუშირვენის, ბაპრამჩქმებნებს და სხვათა სიზმრები. პოეტი გაღმოგვცემს საკუთარ სიზმარსაც. მას ესიზმრა (თუ ეს სიზმარი მხატვრული ხერხი არ

* „შაპ-ნამეში“ სიზმრის შესახებ იხ.: მოძამალ-ქა'ჭარ მაჭრუმ, „შაპ-ნამე“ ვა ჭარანანგ-ე პმე „ირან-შენასი“, 1369, მომარტ-ე დოვეკომ, გვ. 250.

არის) ტახტზე მჯდარი შაპი მაჰმედი, დაყიყი. პოეტს სიზმრისა
სკერა და ჩვენც გვაფრთხილებს:

მაგარ ხატრა მისწულე ნაშმარი.

„ვინძლო სიზმარი ფუჭი არ გეგონოს“ (გვ. 2367).

„შაპ-ნამეს“ გმირთა სამოქმედო ასპარეზი მეტად ვრცელია, იგი
მოიცავს როგორც მახლობელ, ასევე შორეულ აღმოსავლეთს.*
თავისი წყაროების გეოგრაფიულ სახელებს ფირდოუსი არ ცვლის,
ზოგჯერ ხდება, რომ პარალელურად მოიტანს თავისი ღროის
სახელწოდებასაც (ცოქვათ, ახსენებს ძეველ ნავანდს და იქვე
განმარტავს: დღე მას პზარ მორჩინი ეწოდებათ (გვ. 416). ქ.მასეს
დაკეირვებით, ფირდოუსი ზღვებს არ იცნობს და ნაოსნობაზე
სუსტი წარმოლგვენა აქვს (ვატარა ტბის, ზარეს, ხომალდით
გადაურვას ფირდოუსის გმირები შვიდი თვე უნდებიან).“

როგორც ზემოთ უკვე ვთქვეთ, ტერმინი ირანი პოემაში ორმაგი
მნიშვნელობით არის ნახმარი, იგი გულისხმობს როგორც საკუთრივ
ირანს, ასევე ირანული მოდგმით დასახლებულ მის მოსაზღვრე
მხარეებსაც: ზაბულისთანს, სიისთანს, მაზანდარანს და ა.შ. ზაბუ-
ლისთანში მყოფი როსთამი მასთან სტუმრად ჩასულ გრძეს ირანის
ამბავს ეკითხება (აზ ირან მეფორსილ-ო აზ შაჰრიამარ — „ირანისა
და მეფის ამბავი ჰყითხა“. გვ. 462). ასევე, მაზანდარანის შაპი
ამბობს: მეგრუმაშ ქე სალარე ირან თო ... მანამ შპჲ-ე მაზანდარან
— „უთხარი მას: ირანის მეთაური შენა ხარ-თქო... მე [კი] მაზანდარანის მეფე ვარ“ (გვ. 364). ირანის მოსაზღვრე ქვეყნებს
შორისაა თურანი, ბიზანტია (რუმი), ინდოეთი, არაბეთი. უფრო
შორს პოეტს ეგულება ჩინეთი. პოემაში დაცულია საინტერესო
ინფორმაცია ინდოეთის შესახებ, იგი შვიდ სამეფოს შეიცავს (გვ.
2250). ინდოეთი შვიდ სამეფოდ იხსენიება ჯერ კიდევ „ავესტაში“.
აქურამაზდა ჩამოთვლის 16 ქვეყანას, რომელიც მან ააღორძინა.
მათ შორის მეთხუთმეტე ქვეყნად მოხსენიებულია „ჰაქთა ჰენდავ“
(„შვიდი ჰინდუ“). ამავე ძეგლის მიხედვით იქ დის შვიდი მდინარე.
შვიდ სამეფოდაა დაყოფილი ინდოეთი „ვეფხისტუმის“.

გარდა რეალური გარემოსი, პოემაში ფიქსირებულია ფანტასტი-
კური სამყაროც. აქ აღწერილია ქერგსარების, საგსარების,

* „შაპ-ნამეს“ გეოგრაფიულ გარემოზე იხ: თ.კოვალსკი, 1 გვ. 27.
** ქ.მასეს, გვ. 242

ნარმფამანთა, ხაჯუჯისა და მშენების ქვეყნები, პოეტს შევყავართ
ამორძალების ქალაქშიაც. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქერგ-
სარები (ქერგ-ის ① თავიანები) უნდა გულისხმობდეს ბეჭისთუნის
წარწერებში მოხსენიებულ კარკის ხალხს, რომლებიც ქართველთა
წინაპარი უნდა ყოფილიყო.^{*} ასევე, აქვე გხვდებით ერთ პირს გორჯეს
(თუ გარჯეს), საგსარის ქვეყნიდან. ეს, რა თქმა უნდა, უკვე ჰგავს
ქართველთა სპარსულ სახელწოდებას — გორჯ,^{**} მაგრამ უნდა
გვახსოვდეს, რომ ფორმა გორჯ გვიანდელია და, ღმერთმა ქნას, ამ
გორჯეს რაიმე კავშირი ჰქონდეს ქართველობასთან.

„შაპ-ნამეში“ ძირითადად ზოროასტრული ირანია ასახული.
პოეტს აღწერილი აქვს დაახლოებით 14 საუკუნოვანი პერიოდი
იმ რელიგიის ზეობისა, მაგრამ ავტორი უფრო ძელი შრეების,
მითოლოგიური ხანის, აღწერის ღრიოსაც განიცდის მის გავლენას.
ფირდოსის ძალიან ხშირად დეტალურად გვიხატავს მაზლეანურ
ყოფას, მის რიტუალებს, ტაძრებს (საერთოდ მთელ წიგნში
ბატონობს უზენაესის კულტი და ნაქადაგებია მისი მორჩილება).
ფირდოსის, ამ მუსულმან მორწმუნებს, თუ არ გაუცხოველებია,
თორემ არ დაუსუსტებია მის ხელში თავმოყრილი ზოროასტრული
იდეებით გამსჭვალული წყაროების ტენდენცია. აღვნიშნავთ პო-
ემაში ფიქსირებულ ზოგ ზოროასტრულ რეალიას.

როგორც ყველა ღრიოს მონარქიულ სახელმწიფოში, „შაპ-ნა-
მეს“ მეფეებიც იმის ცდაში არიან, რომ სარწმუნოება პოლიტიკის
სამსახურში ჩააყენონ. ჩვენ ვიცით, როგორ იწრმუნებოდა ა-
დაშირი, სარწმუნოება და მეფობა ტყუპი ძმები არიანო. ისტო-
რიულად ცეცხლის ტაძრებით იყო მოფენილი არა მარტო ირანი,
არამედ მისი კოლონიები. ამაზე მეტყველებს თუნდაც დედოფლის
მინდვრის გრანდიოზული საკულტო ნაგებობები ჩვენში.^{***}

აი, როგორი სურათია დახატული „შაპ-ნამეში“ ერთგან:
ხოსროვ ნნუშტრვენი აზერბაიჯანში წავიდა სალოცავად. „როდესაც
აზარგოშასეფი დაინახა, შორს ჩამოქვეითდა და ცხენი დატოვა.
დასთურს წმინდა ბარსამი მოთხოვა. ორივე ლაწვი ირთავ თვალის
წყლით გაიბანა. ბეჭთან მოვიდა ცეცხლის ტაძარში და სასახლეში

* A. Стариков, გვ. 624 ეს მოსაზრება მეტად საეკვთა ლაპარაკია კარგის
თავის მქონეებთან, კარგით კი საფის (ძალის)[†] და ტრაგის (მგლის)[‡] თავიანთა
ანალოგით რომელიმაც ცხოველი უნდა იგულისხმებოდეს.

** იქვე გვ. 622

*** მის შესახებ იხ: Ю.М. Гагошидзе, Из истории грузино-иранских
взаимоотношений. „Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье“. М.,
1981, გვ. 102.

საღეს დღესასწაული დასდო. ბრძანა, მოშედს ხმამაღლა და კარგად წაეკითხა „ზენდ-ავესტას“ წიგნი. ტანზე სამოსშემოხეული რადი და ჰირმოდი მის წინაშე მიწაზე განერთხნენ. დიდებულებმა მას თვალმარგალიტი აყარეს და ზემზემით ხოტბა შეასხეს: როდესაც უფრო ახლოს მივიღა, ლოცვა აღავლინა და ქვეყნის შემოქმედი აღიდა“ (გვ. 2339).

ზოგი რეალია:

1. ფირდოუსის მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ქრისტიანული სამყაროს სამოხელეო და სასულიერო ინსტიტუტებზე. ეს მოულოდნერელი არც იყო, უფრო ნათელი წარმოდგენა მათზე არა აქვთ თვით ისეთ პოეტებს, როგორიც იყვნენ: ხაყანი და ნებამი, რომლებიც ამ სამყაროს, კერძოდ საქართველოს, ყურისძირში მოღვაწეობდნენ და მცირო კონტაქტი ჰქონდათ (ხაყანი ერთხანს საქართველოში ცხოვრიბდა კიდევაც) ქრისტიანულ ყოფასთან. აი, „შაპ-ნამეში“ მოხსენიებული ზოგი ქრისტიანული ტერმინი: ქლოსა („ეკლესია“), ჯასალუ („ქათოლიკოსი“), ოცნება, სოქეტა („პისკოპისი“), ყესსს („მღვდელი, პრესვიტერი“), ბათქრუ („პატრიარქი“), რაბბან („განდევგილი“), ჩელიუ („გვარი“). პოემაში გვხვდება ანაქრონიზმებიც: მე-7 საუკუნის (ძვ. წ.) საბერძნეთში კეისარს საქმეს ურჩევს ეპისკოპოსი (გვ. 1459).

2. მეფესთან აუდიენციის დროს იარაღი არ ასხიათ. შინ, ხალვათად, ყოფნისას მეფეც უიარალო (გაბრაზებული ქამ-ქვეოსი როსთამს უწყრება: იარაღი რომ მქონდეს ზედ, მოგკლავდიო! გვ. 754).

3. ვიქტორ ნოზაძეს შემჩნეული აქვს, რომ ფირდოუსის გმირები მეფის წინ მიწას კოცნიან. მევლევარის აზრით, „ეს წესი მომდინარეობს იმ უძველესი რწმენიდან, როდესაც მიწა ღმერთად ითვლებოდა; მას ეთაყვანებოდნენ კოცნის სახითაც“. აუდიენციის დროს როსთამი მეფის ტახტსაც კოცნის (გვ. 1111).

4. განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ ძვირფას პირს, — მეფეს, ნამეტურ მაშინ, როცა იგი ტახტზე აიის ან ომიდან გამარჯვებული ბრუნდება. საყოველთაოდ გავრცელებული წესისამებრ, მას თავზე (ცვირგვინზე) აყრიან ნეკარს, ზაბარჯაღს (გვ. 96). მარგალიტს (გვ. 2678), ფეხებში — ძვირფას თვლებს, ზაფრანას, ამბარს, მუშეს (გვ. 388), ღინარს, ღირებს (გვ. 145). ფეხეცვეშ შაქარსა და ღირებს უყრიან სასურველ სტუმარსაც (გვ. 747). ზეიმის დროს კედლებზე

* ვნოზაძე ვეფხისტუაოსნის საზოგადოებათშეზელება გვ. 192.

დიბას კიდებენ (გვ. 1379), ცხენებს ფაფარს მუშკითა და ლვინით უზელენ (გვ.გვ. 747, 2440).

5. პოემაში უხვადაა მისალმებათა სხვა სახეობების აღწერაც. უფროსს რომ ეახლებიან, ხელს მკერდზე მიიღებენ (გვ.გვ. 576, 1201), ზოგჯერ, როცა მეფის წინ წარსდგებიან, წელში იყაკვებიან (გვ. 611). გმირები ერთმანეთს კოცნიან მისალმების დროს. აქ გამონაკლისი მეფეც არ არის (გვ. 126). მისალმებისას გმირები ერთმანეთს (განსაკუთრებით, უფრო დიდებულს) უკოცნიან ხელს, თავს, ფეხს (გვ. 1107). სასურველ კაცს მეფე მკერდზე იკრავს (გვ. 449). შეილი მამას ხელზე ეამბორება (გვ. 713). გმირები გულში იკრავენ ერთმანეთს (გვ. 141):

6. პოემაში არეკლილია ირანელი ხალხის ერთი მომხიბვლელი თვისება, ზრდილობიანი და არაფამილიარული მოქცევა ურთიერთისადმი. მოწიწებას ამჟღავნებენ საუბარში: მამა — შეილთან, ცოლი — ქმართან, ძმა — ძმასთან (გვ. 712) და ა.შ.

7. თანხმობის ნიშნად ხელს ართმევენ ერთმანეთს (გვ. 203), თითებს იდებენ თვალსა და თავზე (გვ. 673).

8. განსაკუთრებული აღგილი უჭირავს მეფეთა და დიდგვაროვანთა საქმიანობაში წერილს. სამეფო წერილს ამბრიო წერენ ქალალდა (ყერის. გვ.გვ. 1316, 1328, 1365) და აბრეშუმზე და ქვიშით აშრობენ (გვ.გვ. 1010, 2632), ხშირად იგი ნაირფერად არის მოხატული (გვ. 309), მას ბეჭედს უსვამენ (გვ. 2119). წერილის წერასთან დაკავშირებული საგნებია: კუპრი, მუშკი, გულაბი (ცარდისწყალი) (გვ. 1362). როგორც წესი, ფირდოსი დაწვრილებით გაღმოსცემს წერილის შინაარსს. წერილის თავში, ჩვეულებრივ, უფლის ქებაა აღვლენილი. წერილს მღივანი წერს. მოსულ წერილს აღრესატის დაბრი (მღივანი) კითხულობს. მისი მიღების დროს წერილს სახესა და თვალზე ისვამენ (გვ.გვ. 1192, 1196). სასიხარულო წერილისა და კარგი ამბის მომტანს მეფე იაყუთითა და წმინდა წყლის მარგალიტით უვსებს პირს (გვ.2391), ხან კი მას ძვირფას თვლებს აყრიან მხრებზე (გვ. 2885). ხდება, თავად ამ სასიხარულო წერილსაც აყრიან თვალმარგალიტს (გვ. 745).

9. ყურადღებას მივაჭცევთ ჩვეულებას, რომელიც დღესაც აქვთ

ისლამურ ქვეყნებში და ბიბლიაშიცაა ფიქსირებული: ძმა ირთავს მკვდარი ძმის ცოლს (გვ. 912).

10. გამარჯვებული გმირი სვამის მის მიერ მოკლული მტრის სისხლს. ძველი რწმენით, „თუ შენი მტერი მოჰკალი, მისი სისხლი უნდა შესვა ან ალოკო, რათა მისი ძალა შენ შეგემატოს“^{*} გუდარზი სვამის ფირანის სისხლს.

11. „შაპ-ნამეში“, რომელიც ირანის სახელმწიფოს გალექსილი ისტორიაა, ბუნებრივია, აღწერილია პოლიტიკური ხვანებიც, დიდი და მცირე, სახელმწიფოს თუ პირად ინტერესებს მსხვერპლად სწირიავენ მახლობელ ადამიანებს, — მიზანი ამართლებს საშუალებას. ბაჰრამ ჩუბანესთან ომში დამარცხებული ხოსროვ ფარვიზი თავისი მამის, მოხუცი პორმოზდის კეთილი რჩევით ბიზანტიაში აპირებს გაქცევას. თავად პორმოზდი შინ ჩჩება. ხოსროეს მისი უერთგულესი კარისკაცი და თანამებრძოლი, ბიძამისი ბანდუმ უუბნება: ბაჰრამი მამაშენს ნომინალურად დაადგამს შაპის გვირგვინს, თავად კი იმეფებს. იგი შენს მასპინძელს, კეისარს, მისი სახელით მისწერს, ურჩი შვილი ფარვიზი გამოგვექცა და დაიჭირეო! კეისარმა პორმოზდს რომ არ უსმინოს, ბიზანტიას ირანთან ურთიერთობა გაურთულდება. ხოსროეს დუმილი ბანდუმ თანხმობის ნიშანად მიიღო. მობრუნდა და პორმოზდი მოკლა (გვ. 2714). უფრო აღვილად იმეტებს მეფე ყობადი თავის კეთილისმყოფელ სუჭრებს (გვ. 2290). ამალელვებელია თურანის კეთილშობილი გმირის, აქრასიშვაბის ბანაკის ერთ-ერთი ნათელი პიროვნების ფირანის ბერი. მეფე ქად-ხოსროეს ფირანის გაზრდილია, იგი სიცოცხლით არის მისგან დავალებული. მაგრამ როდესაც საქმე ირანის ინტერესებს შეეხო, კეთილშობილი ქად-ხოსროეს გულში არჩევანის პინა თავისი ბებერი გამზრდელის საწინააღმდეგო მხარეზე გადაიხარა. იგი სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უმართავს ფირანს, რასაც ეს უკანასკნელი შეეწირება (ცვგვ. 883, 1149). განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან ესტანდიდარია და როსთამს. ესტანდიდარი როსთამის მოთაყვანე და პატივისმცემელია. მაგრამ ამავე დროს მისი ინტერესები როსთამისას ეჯახება. ესტანდიდარის მამა, გოშთასბი, იმ დინასტიის წარმომადგენელი არ არის, რომელსაც როსთამი ემსახურა, რო-

* იქვე გვ. 220 სულ სხვა პოზიცია უკირავს ბიბლიას. „ბიბლიის მიხედვით, სისხლის ქამან ან დალევა აქრასალურია ჩადგან მოსქე ჩწმით სისხლი არის სული. და ეს სრულიად გარეკაული დაწერებით ლევიტელთა წიგნში, სადაც ნათევამია „179. რომელმან ჭამის სისხლი, წარეცხუმილო ერისაგან თოვისია“ სისხლის ქამას სისხლის დალევა ქველთაგან აქრასალური იყო და დარჩა მხოლოდ გამოიტანა „სისხლის დალევა“ ვით შერჩისებისა და გამარჯვების სიტყვა“. იქვე გვ. 29.

მელზედაც ამ უკანასკნელს დიდი ამავი ჰქონდა და რომელიც ფატერიურად მისით სულევდა. გარდა ამისა, გოშთასთი ახალ რელიგიას ესავს, თანაც შეილს ტახტს არ უთმობს და ხან რა. დავალებებს აძლევს და ხან — რას, ამას რომ შეასრულებ, მერე დაგითმობ ტახტსო. ახლა ესტანდიდას როსთამის შეპყრობა აქვს დავალებული. ეს ორი გრძნობა: როსთამისადმი მოწიწება და ტახტის დაუფლებისათვის აუცილებელი ასეთი სათაკილო დავალების შესრულება (თანაც მას მეფის ბრძანების შესრულება საერთოდ აუცილებელ საქმედ მიაჩნია) ეპრძეის ერთმანეთს ესტანდიდას გულში. საბოლოოდ ამ მეორე გრძნობამ გაიმარჯვა, მაგრამ როსთამი თავს ყოველზაირად იცავს და ამარცხებს ესტანდიდას (გვ. 1689-1719). აქ, დიდი პოლიტიკის ფონზე უნდა მოვიხსენიოთ კარისკაცთა მიერ მეფისთვის ერთგულების გამოჩენა საკუთარი სიცოცხლის რისკით (გვ. 2717) და პოლიტიკური ტერორი (გვ. 2824).

12. ჩენ აქ მოკლედ შეეხებით (ისე კი საგანგებოდ შესწავლის ლირისა) აღზრდის საკითხს „შაპ-ნამეში“. დიდგვაროვანთა ბავშვები შეიდ წლამდე საქალებოში იზრდებიან (გვ. 1978). ეს ფაქტი სხვა, ფალაურ ძეგლებითაც არის ცნობილი.* ირანში ასეთი ტრადიცია გვიანობამდე შემორჩინა.** უფლისწულებს პროვინციაში აბარებენ გასაზრდელად ერთგულ ქვეშევრდომებს. სრდაუში როსთამმა აღზარდა ზაბულისთანში (გვ. 528), მან უფლისწულს შეასწავლა: მხედრობა, მშვილდისრის ხმარება, ე.წ. „რა“, „როგორ“ და „რამდენი“; ქამანდის სროლა, მეჯლისი („მილება“ — მპრ), ღვინის სმა, ნადირობა (ვეზითა და ქორ-შევარდნით), სამართალი, ტახტისა და გვირგვინის შეფერება, სიტყვის წარმოთქმის წესები, ბრძოლა და ჭარის სარლობა (გვ. 528). უფლისწულს სამეფო გვირგვინი არ აღიას, მას ქოლაპი ამშვენებს (გვ. 530).

13. რა სამოხელეო ინსტიტუტებია გამოყვანილი „შაპ-ნამეში“, ძნელი სათქმელია. ეს უცნაური გაურკვევლობა იმითაა გამოწვეული, რომ დაზუსტებული არ არის მოტანილი ტერმინების მინარესი. დროის დიაპაზონის სიღიდის გამო მისი უნიფიცირება შეუძლებელიც იყო. და მაინც ზოგჯერ შესაძლებელი ხდება კონკრეტულ ინსტიტუტებზე წარმოდგენის ქონა. არდაშირ პაპაქის

* არდაშირ პაპაქის მის საჭმეთა წიგნი. ფალაურიდან თარგმნა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთოთ თეთ ჩენიძემ. თბილისი, 1975 გვ. 26.
** შაპ-აბაზ თას დღია ქართველი არ იყო. მაგრამ მან ქართული იცოდა, — ბავშვების ქეონდა ნასწავლი ქარებში, საღაც უმეტესობა ქართველები იყვნენ. ამის გამო იქ ქართული ისმოდა.

ძის დროს, მაგალითად, ასეთი სურათი გვაქვს: „შაპი-გაზირი-მო-ბედთა მობედი — უზენაესი მოსამართლე, სეფაშმოდი (სპასპეტი) — მისი მოადგილე (მარჩბენი). როგორც ლიტერატურაში უთი-თებენ, სასანიანთა დროს არსებობდა სახელმწიფო საბჭო, რო-მელშიაც შედიოდნენ: პროვინციათა შპართველები, მეფის ნათესა-ვები და ღიღებულები.*

14. პირველი ინსტიტუტი, რომელიც ყურადღებას იქცევს პოემაში, არის მობედი (მოვბად). ლექსიკონებში ეს ტერმინი, ჩვეულებრივ, განმარტებულია, როგორც ბრძენი, სწავლული, მეცნიერი, ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრის გამგებელი, ზოროას-ტრიელთა ქურუმი. და ყველა ეს განმარტება რომ სწორია, მიუთითებს ამ ტერმინის მნიშვნელობის ფართო დიაპაზონზე. „ვწ-ო რამინშიც“ მობედი მეფეა მასზე ნათევამია, იგი მეფეც იყო და მობედიც).** ფიქრობენ, რომ ზოგან მაგალითად, მიღიაში) „მოგვები წარმოადგენენ მიწათმფლობელთა კასტას“, „მათი კლასის სათავეში იდგა მობედთა მობედი“*** ა.სტარიკოვის დაკვირვებით, „შაპ-ნამეში“ მობედები კულტის მსახურები კი არა, მეფეთა მრჩევლები და ტრადიციის მცოდნენი თუ დამცველი არიან.**** ერთგან მეფისა და მობედის ინსტიტუტები გაერთიანებულია „შაპ-ნამეშიაც“: „ოქვა: იზადის ტარის ძალით მე ვარო მეფეც და მობედიც“ (გვ. 23). სხვაგან შაპი მობედთა მეთაურად ითვლება: „აქეი მეფევ და მობედთა მეთაურო“ (გვ. 1263). პოემაში მობედი მარტო ლეთისმსახურებას არ ასრულებს. მაზდეგარდის ძის, ბაჰრამ-გურის ალაზარდელად (როცა მას შვიდი წელი შეუსრულდა) განამწესეს სამი მობედი. ერთს მისთვის დაბძრობა (მღივნობა) უნდა ესწავლებინა, მეორეს — ქორითა და ავაზით ნადირობა, მესამეს — ჩოგნის თამაში, მშვილდოსნობა, ბრძოლა და ცხენოსნობა (გვ. 2082). აქ მობედი ნებისმიერი საქმის საუკეთესოდ მცოდნეს, ოსტატს ნიშნავს. სხვაგან მობედი მეფის ვაზირიცაა. მეფეს მეჯლისში (მიღების დროს) ცალ მხარეს მობედი უზის, მეორე მხარეს — დამტრი: „ერთ მხარეს [დაისვა] მობედი, რომელიც მისი ვაზირიც იყო“ (გვ. 2394). პოემაში მობედი არის

* В.Г. Лукомский. Древний и раннесредневековый Иран, М., 1987, гл. 11а.

** ეს-ო ჩამნ აზ ფახრ ად-დან ას'ად გორგან, თაპაჟ-ე მაქლი თოლექ ვა ალექსანდრ გვაბარებ თექან, 1349, გვ. 38.

*** არდამირ ვაპაჟის ძის ხაქმათ წიგნი, გვ. 34.

**** А. Стариков, გვ. 604.

აგრეთვე მუსიკალიც (ქირურგი). მან მოახდინა რუდაბეს საკეიისრო, განკვეთა და მუცლიდან გამოიყვანა როსთამი (გვ. 223). იგი საქმეთა მმართველიცაა (გვ. 439). ერთგან ერთი და იგივე პიროვნება ფირდოსის მიერ მოხსენიებულია როგორც კაზირი, ქეთხოღა და დასთური (გვ. 1967-1969) (თუმცა ზოგი მეცნიერი ამ აღრევას ხსნის იმით, რომ ვითომ ტექსტი გადამუშავებული იყო უფრო მოგვიანო ხანაში)." როგორც უკვე აღნიშნეთ, „შაპ-ნამეში“ გვევდებიან მომედთა მომედებიც (გვ.გვ. 1773-2876).

15. „შაპ-ნამე“ ერთ-ერთი პირველი ძეგლთაგანია, რომელშიაც ფიქსირებულია კარის მინისტრის ინსტიტუტი — სალპრ-ე მარ (გვ. 783)."

16. „შაპ-ნამეში“ ხშირად იხსენიება დასთური, ჭარჩშენე („გონიერი“), რამზანი („მრჩეველი“) (გვ.გვ. 1746, 2473 და სხვ.), მაგრამ მათი განსაზღვრა (თუ რა ინსტიტუტებია ეს და სხვადასხვა ხანასა და გარემოში რა ფუნქციები ჰქონდათ მათ) ჭირს. მაგალითად, დასთური, რომელიც ძელ ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც ვაზირი და მდივანი (მორავნი, გვ. 862), პოემაში ერთგან გამოყვანილია როგორც განძის მცველი (გვ. 2034).

17. „შაპ-ნამეში“ მეფისა და ვასალის, ვთქვათ, ქად-ხოსროვისა და როსთამის, ურთიერთობა გვიანდელ, ფეოდალურ, ურთიერთობას არა ჰგავს. მასში წინაფერდალური ხანის დანაშრევი ჩანს და იგი საგანგებოდ უნდა იქნეს შესწავლილი. ისე კი, პოემაში ასეთი იერარქია იკვეთება: შაპი (მანუჩერი), — შაპის ვასალი (ზალი), შაპის ვასალის ვასალი (მეპრაბი), შაპის ვასალის ვასალის ქვეშევრდომები.

18. დეკანი „შაპ-ნამეშიც“ ნიშავს მიწის მეურნეს; ფეოდალს (იგი არაბიზირებული ფორმა სპარსული სიტყვისა დექან, რომელიც სოფლის მფლობელს ნიშავს), მაგრამ მას აქ, როგორც ეს ზემოთაც უკვე გვაქვს ნათევამი, მიღებული აქვს საერთოდ ირანელის მნიშვ-

* არაუშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი, გვ. 6

** ამ ინსტიტუტის შესახებ ირანში ის: ჩალან ბალუკ მოთლაკ, მარ ვა პან-ე ან ლარ ირან. მასლუქ-დე არან-ნამე“, სალ-ფ ფარმა, მომარუ-დე სუკომ, გვ. 425; სალ-ფ ქამთომ, შომარუ-დე აკეალ, გვ. 183 საერთოდ, როდესაც გველი ირანის ყოფის წარმოსალგენად „შაპ-ნამეს“ ვეურდნობით, ფრთხილად უნდა ვიყოთ — აღნიშნეთ და კიდევ ვიმეორებით ჩვენ არ ვიცით, ვთქვათ სასანირ ირანს ფილდოუსი სასანურიკე მასალებით ხატავს (ცი. იმეორებს თავისი წყაროების ლეტალებს), თუ თავისი დროის მანაცემებით ამას იმიტომაც უუსტამთ ხაზს, რომ აქ მითითებული ამ შემომსი შესახებ დაუტერილ რეცენზიაში ცხობილი ირანელი მეცნიერი მოთლაკი გამოკვლეული ავტორს საყველორბის ამა და ამის შესახებ მართალი არა ხარ, რაღაც „შაპ-ნამეში“ ამის თაობაზე ასე კი არა, ისე წერია (ნოქთე დარ ბარუ-დე ბარ „ირან-ნამე“, 1367, შომარუ-დე აკეალ, გვ. 183).

ნელობაც: „არც დევინი იქნება, არც თურქი და არც არაბი“ (გვ. 2969), „ორი არაბი და ქამს თესლის ორი დევინი“ (გვ. 2081).

19. ჯაშუშობა. ისტორიულად ცნობილია, რომ ჯერ კიდევ აქემენიინთა ხანაში ირანელ მეფეებს უამრავი ინფორმაციის მომწოდებელი, ჯაშუში, ჰყავდათ და მათი მეშვეობით იგებდნენ, თუ რა ხდებოდა პროვინციებში, ძირითადად ეს იყო სამხედრო დაზეერვა (გვ. 2816). ამავე მიზნით შედიან მტრის ბანაკსა თუ სასახლეში სხვის ტანსაცმლით გამოწყობილი პოემის გმირები. ეს უძველესი ხერხი, რომელიც „მაპაბპარატაშიც“ არის ფიქსირებული, გამოყენებულია „შაპ-ნამეშიც“. ზოგჯერ მზევრავებად მიღიან თვითონ ფალავნები და მეფეები. პოემის მიხედვით, ასეთი საქმიანობა ჩვევად ჰქონდა გადაქცეული, მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელს, იგი გამოცხადდებოდა მტრის სასახლეში და თავს ალექსანდრეს ელჩად გაასაღებდა. ასევე იქცევა როსთამი (იგი ვაჭრულად გადატმული შეაღწევს მტრის ბანაკში), ესტანდიდარი, შაფური (გვ.გვ. 2038, 2049). ჩენი პოემის გმირები ამარჯულ ხერხებსაც არ თაკილობენ.“ პოემის მიხედვით ინფორმაციის მოპოვების საშუალებაა ე.წ. ჯამ-ე ვითხ ნომრა — „ქვენის მაჩვენებელი ჯამი“, (ასტროლაბი?) რომელიც სასახლეში აქვთ და რომელშიც იხედება, მაგალითად, ქამ-ხოსროე და იპოვის სადღაც შორს, თურანში, ვაში ჩაგდებულ ბიუანს. (გვ. 1099). ამ ჯამში გაზაფხულის მოსკოვიდე ვერ იხედებიან, ჰაერის გაწმენდას უციდან.

20. ქეიფი. „შაპ-ნამეში“ ხშირად ქეიფობენ, ლვინოს სვამენ და თვრებიან. „ქეიფობენ ზეიმის ღრუს, სტუმრის პატივსაცემად, ომში გამარჯვების აღსანიშნავად, ბრძოლის შემდეგ, ნადირობისას. ლვინის სმას თავისი წესები აქვს და პოემის გმირები მას საგანგებოდ სწავლობენ, როგორც სერიოზულ საქმიანობას. მომაკვდავი ესტანდიდარი როსთამს თხოვს, მის უკვე მოწიფულ შვილს ასწავლოს ცხენოსნობა, მიღება (მარ) და ლვინის სმა (გვ. 1725). ეს არც უნდა გაგვიკირდეს, ირანელები არა თუ ლვინის სმის, არამედ ვამის ღრუსაც იცავდნენ რიტუალებს, ბაჟუსა და ბარსამის გარეშე ნაწილს არ მიიღებდნენ.“ როგორც ეს დღესაც წესად აქვთ აღმოსავლეთში, პოემის გმირები ჯერ ჭამენ და სმას მერე იწყებენ (გვ.გვ. 206, 1404, 1733). სასახლეში სულ ლვინის სმაში არიან, იქ მეფეც და მისი სტუმრებიც ერთიანად გამოთვ-

* მოქამმაღ-ჯა'ფარ გაქრიბ, რავეშ-მე 'ამრი ვა ნოქუ-ე ქარ-თ ქარდა-ე 'ამარან ღარ 'შაპ-ნამე'. „ქონარ-თ მარომ“, შომარ-მე 178, გვ. 2

** ლვინის სმაზე „შაპ-ნამეში“ იხ: Ф.А. Розенберг, О вине и пирах в персидской национальной эпосе. Пр. 1918.

რებიან ხოლმე (გვ.გვ. 472, 627, 2846). სუფრიდან აშლილ მთვრალ სტუმრებს ერთმანეთი მიჰყავთ. ღვინოს სვამენ და ქეიფობენ მობედებიც (გვ. 2850). ზოგჯერ სმა მთელი კვირა აქვთ გაბმული (გვ. 219). თავად პოეტი ლოთობის აპოლოვეტი არ არის, ღვინო კი სვი, მაგრამ არ ილოთოო, ურჩევს იგი მკითხველს (გვ. 2366). ჩვენ ქვემოთ გვეჩნება საუბარი იმის თაობაზე, რომ ომარ ხადასმის ყველა მოტივი „შაპ-ნამეს“ ლირიკულ წილს ვლებში გვაქვს და ვინიუობაა, იქ დაგვავიშვდეს ამის თქმა, აქ ვიტყვეთ: ერთადერთი მათი განმასხვავებელი მოტივი ესაა: ფირდოუსის დათრობისკენ არ მოგვიშოდებს, ხადასმი — კი მხოლოდ ერთი თუ ორი გამონაკლისია). ჟყავთ მწდეები (მერიქიფეები), ასეთ ფუნქციას უშეტესად ყმაშვილები ასრულებენ (მწდეებად ბიჭების გამოყენება ფართოდ იყო გავრცელებული ძველ და შუასაუკუნეების ისლამურ აღმოსავლეთში. ჭარხების ღაზელების სატრფო, უზენაესის ემანაცია, სწორედ ქორფა ბიჭია) (გვ.გვ. 1677, 2034, 2883). ღვინის დადებითსა და უარყოფით მხარეებზე ფირდოუსის ერთი ასეთი ამბავი აქვს გადმოცემული (იგი ერთხელ უკვე მოვუყევით მკითხველს): ბაპრემ-გურს ერთმა სოფულელმა კაცმა ხილი და ვარდის კონა მოართვა. მეფე სტუმარს გაუმასპინძლდა და ღვინო ასვა. მთვრალი გლეხი უკან რომ ბრუნდებოდა, გზაში ცხენიდან ჩამოვარდა. მოვიდა ყვავი და ორივე თვალი ამოჩორქნა. მეფემ ეს რომ გაიგო, მთელს სახელმწიფოში ღვინის სმა აკრძალა. გამოხდა ხანი. ერთმა მეწალემ ცოლი შეირთო. ქალთან რომ მივიდა, მამაკაცური უნარი არ აღმოჩნდა. მაშინ ვაჟის დედამ შვილს გადამალული ძეელი ღვინო დაალევინა. ვაჟი აღეგზნო და საწადელს ეწია. ერთ დღეს შეზარხოშებული ახალგაზრდა გაქცეულ ლომს გადაეყარა, არ შეეპუა და ზურგზე მოახტა. ლომის მომვლელმა ეს ამბავი მეფეს აცნობა. მეფემ ვითარება გამოიძია და როცა გაიგო, რაშიც იყო საქმე, ხალხს ღვინის სმის ნება ისევ დართო (გვ. 2134). „შაპ-ნამეში“ ნახსენებია წითელი ღვინო (გვ. 1365), ძეელი ღვინო (გვ.გვ. 32, 1644), კამატა ღვინო (გვ. 62), ინდისხურმის ღვინო (გვ. 2716), ზამულოსთანური ღვინო (გვ. 421), უწყლო ღვინო, აღულებული (ანადულარი?) ღვინო, შემი ღვინო, ხოსროვური (სამეფო?) ღვინო, ხოშარული (საუკეთესო?) ღვინო ლალოს ღვინო და ა.შ. ღვინო უსხიათ ბროლის ჯამებში (გვ. 2142), ბოლბოლიში, დიდ ჯამში, ხუთმანიან ჯამში, ფირუზის ჯამში, ოქროს ჯამში, სამეფო ჯამში და ა.შ.

როგორც აღნიშნეთ, „შაპ-ნამე“ ერთ-ერთი პირველი ძეგლია სპარსულ პოეზიაში, რომელშიაც ფიქსირებულია სადლეგრძელოები. აქ წარმოთქვამენ ერთ (გვ.გვ. 73, 636, 1662, 2850), ორ (გვ.გვ.



294, 1006) და მრავალ (გვ.გვ. 186, 421) სადლეგრძელოს. სვამენ ე.წ. თავისუფალ სადლეგრძელოებსაც. როსთამი თვითონ რომ დალევს ერთ სადლეგრძელოს, ბაჟმანზე გადადის ალავერდს და უზნება: ვისიც გინდოდეს, მისი სადლეგრძელო დალიეთ (გვ. 1652).

21. ქეიფს მუსიკა ახლავს. აქ მუსიკალური ინსტრუმენტებია: ჩანგი, რობაში (ხემიანი), ლური (სიმებიანი), ბარბაცი (ხემიანი), ნად (ზურნა), აბრეშიმი (აბრეშუმის სიმებიანი საკრავი). ჰყავთ დამკვრელები (ხონისმგარ — „დამკვრელი“. ასეთები არიან ქალებიც). ჩამე-გუ (ჩექპერ-გუ — „პოეტი-მომღერალი“), ჩანგზან („ჩანგის დამკვრელი“). სორლუ-ხან, რამეშვარ („მემუსიკე; მოცეკვავე“); რულზან (ტრუდის დამკვრელი“), ლური („მოხეტიალე მუსიკოსი“). ხმები: პანგ, პანგ-ე ფაფქპრეგარდ, პანგ-ე დადაჭმარედ, პანგ-ე სამზ დარ სამზ, ჩამე, ზირ (მაღალი ტონი), ბაშ (ზანი), მელოდია: გაზანდარანული (გვ. 317). რეპერტუარი: მავანთა და მავანთა საგმირო თუ სამარცხევინო საქმეები (გვ. 731). ისე როგორც დღეს, გაშინაც სკოლნიათ მომღერლების დაჯილდოება (გვ. 277). „შაპ-ნამეში“ საინტერესო ამბავია მოთხერობილი ხოსროვ ფარგიზის კარის მუსიკოსის ბერბოლის შესახებ, იგი მაშინ სრულიად უცნობი ახალგაზრდა ოსტატი, შეიპარა სამეფო ბალში (რადგან სხვა გზა არა ჰქონდა. — მეფის პირველმა მუსიკოსმა რაყიფი არ გაიკარა) და სის ტოტებში დამალულმა თავისი მოხსიბლავი ხმა მეფეს მოასმენინა (გვ. 2882). თუ როგორი ფაქტორი იყო მუსიკა ირანელთათვის, ჩანს იქიდანაც, რომ „შაპ-ნამეს“ ცნობით, ბაპრამ გურმა მდაბიო ირანელების გასართობად ინდოეთიდან საგანგებოდ ჩამოასახლა ლურები, რომელთა ხელობა სიმღერა, დაკვრა და ცეკვა იყო (გვ. 2258). *

22. ჩოგანბურთი. ჩოგანბურთს, ჩეულებრივ, ცხენით თამაშობენ (გვ. 601-602). გუნდში რვა კაცია, თამაში ნამსა და ქოსის თანხლებით მიმღინარეობს (იქვე).

23. ნადირობა. პოემაში ხშირადაა ნადირობის სცენები იღწერილი.** ნადირობის, მეურნეობისა და გართობის ამ უძველესი ფორმის შესახებ ირანელებს ჭერ კიდევ ფალაურ ენაზე ჰქონიათ წიგნი. იგი შემდეგში არაბულადაც უთარგმნიათ (აბუ ლ-ფარაჯის „ტექრესთში“ დასახელებულია თხზულება „ქეთაბ-ე ბაზშექპრეს“ — „წიგნი ქორით ნადირობის შესახებ“). ნადირობა ორნაირია: ნადირობა ნადირობისათვის (გვ. 434) და იძულებითი ნადირობა,

* ლურისები (ბოშები) ხომ არაই ცნობილია, რომ ბოშები ინდოეთიდან წამოედნენ.

** ნადირობის შესახებ „შაპ-ნამეში“ ის: „ალ-ლარავი, სარდ კა პრაბ-ე პან დარ „შაპ-ნამე-ჩე“ ფერდაუსი, „ქონარ-ო მარღომ“, შომპრე-ფე 153-154, ვ. 121.

როდესაც შემოსეულ ღორებსა და ურჩხულებზე ნადირობენ მათი მოსპობის მიზნით (გვ. 1070), ნადირობენ გულის გადასაყოლებლად (მაგ., სოჭრაბი როსთამთან ორთაბრძოლის შემდეგ, გვ. 500), ნადირობენ ქორით, ძალლით, ავაზით (გვ. 2071), ნადირობენ კანჯარზე, ნიამორზე (აპუზე), ლომებზე, გარეულ თხაზე, ხოხობზე, თანაც ისე არიან დახელოვნებული ამ საქმეში, რომ, მაგალითად, ბაჟრამი კანჯარს ისრით ფეხს თავზე მიულორსმავს. სანადიროდ შორსაც მიღიან, ზოგჯერ ორმოცი დღის სავალზე მუნებრივია, სათანადო საგზალიც მიაქვთ).

24. მიცვალებულის გაპატიოსნება. გლოვა. სტრაბონის დროს სპარსელები მიცვალებულებს ცვილით გოზავდნენ და მიწაში მარხავდნენ, საწინააღმდეგოდ შოგვების ჩვევისა, რომლებიც, სტრაბონისვე ცნობით, მკვდრებს გარევეულ აღვილზე დებენ, რათა იგი ფრინველებმა გაძიგნონ.

ირაჭის მოკრილი თავი აბრეშუმი განვიეს და ოქროს კუბოში ჩაასვენეს (გვ. 91). ფარიდუნს მანუჩერმა „წითელი ოქროსი და ლავვარდის ქვის აკლდამა აუშენა. მასში სპილოსძვლის ტახტი დაღეს, [ხოლო] ტახტზე გვირგვინი დაკიდეს“ (გვ. 128).^{*} ქახ-ქვეოსი ასე გააპატიოსნეს: „აიღეს ეგვიპტური ფარჩა და შავი ბერძნული დიბა. გაელინთეს იგი უდით, ქაფურითა და მუშკით, მეფის გვამი მასში მშრალად გაახვიეს და სპილოსძვლის ტახტზე დასვენეს. თავზე მუშკისა და ქაფურის გვირგვინი დაარქეს“ (გვ. 1399). ფირანს ასე მარხავენ: „ბრძანა შემდეგ: აელოთ მუშკი და წმინდა ქაფური, ამბრი გოლაბში აერიათ. მიცვალებულის ტანი თავიდან ბოლომდე მითი გაელინთა, ქაფურითა და მუშკით ამოუტენა მექრდი. მისი სპეტაკი ტანი ბერძნული დიბით შემოსა“ (გვ. 1265). როსთამის ცხედარი ასე გააპატიოსნეს: „მისი მექრდი, კისერი და წვერები ჯერ ფაქიზად თბილი წყლით დაბანეს, ზედ მუშკი და ამბარი აყარეს, ყველა ჭრილობა ამოუკერეს. თავზე გოლაბი ასხეს, ტანი წმინდა ქაფურით დაუზილეს, დიბა ჩააცვეს, შემდეგ კი ვარდი, მუშკი და ღვინო მოითხოვეს. სავანის მკერვალმა სისხლის [ცრემლები] აფრქვია მას, ქაფურივით თეთრი წვერები დაუვარცხნა. სოჭის ერთი კარგი კუბო შეუკრეს, იგი ოქროს ლურსმებით იყო დაკედილი და სპილოს ძვლით მოპირკეთებული.

* აქ ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე როგორც ვწერდით ტახტის თავზე გვირგვინის ჩამოყიდება გვიან, სასანიდების დროს დაიწყეს.

ლრიჭოები ფისით ჰქონდა ამოგლესილი, ფისში კი მუშკი და ამბარი იყო გარეული" (გვ. 1741).

მიცვალებულს მწარედ დაიტირებენ და დიდხანს გლოვობენ. თალპანდის დედამ შვილის სიკვდილის ამბავი რომ გაიგო, თავი დაიწვა. ეს მან ინდოელთა წესით გააკეთაო, გვიხსნის ფირფოუსი (თალპანდი ინდოელი იყო) (გვ. 2496). ასევე მოიქცენ ფორჩუდის ცოლები, მოკვდავი ქმრის სურვილის თანახმად, მათ ციხიდან გადმოიქციეს თავი (გვ. 823). სოპრაბის დალუპვის ამბავი რომ გაიგეს, „მთელი სიისთანი მოვიდა მასთან. დამწუხრებული იყვნენ და გულზე ვაების ცეცხლი ეკიდათ. მოედინებოდა სპა კუბოსთან, დიდებულები თავზე მიწას და მტვერს იყრიდნენ. ცხენს კუდი მოჭრილი ჰქონდა, ქოსი დაგლეჭილი იყო" (გვ. 514). თაპმინეს, სოპრაბის დედის, ვაება ასეა აღწერილი: „წანგი გაიკრა და პერანგი შემოიხია (გამოანათა მისმა ბროლის ლამაზმა ტანმა). ამოიგმინა და გოდება დაიწყო. დროდადრო გონებას კარგავდა. ის დახვეული ქამანდის მსგავსი წინამოები სულ თითებით დაიფუშა და დაიგლიჭა. სახეზე სისხლის ნაკადული სდიოდა. დროდადრო ძირს ემხობოდა. თავზე შავ მიწას იყრიდა, კბილებით მკლავებს იჭამდა. თავზე ცეცხლი მოინთო და მუშკის თმა ერთიანად დაიხრუკა" (გვ. 517). (ზარი და დატირება იხ. აგრეთვე: გვ.გვ. 1913, 2496, 2826). ინდოთა მეფეს ერთი თვე გლოვობენ (გვ. 2473), ამდენსავე ხანს გლოვობს სიმაუში დედას (გვ. 531). ფარისუნი ორმოცი დღე იგლოვა მანშეჩრმა (გვ. 129). როსთამი ერთ წელს იგლოვეს (გვ. 1745). აქ დამატებით ლიტონად ჩამოვთვლით მიცვალებულის გაპატიოსნებასა და დატირებასთან დაკავშირებულ მოქმედებებს, რომელიც პოემაში გვხვდება: დროშას დახვენ, დოლს შავად შეეღბავენ, ბალს გადაწვავენ, „სისხლიან ზონარს ირტყამენ წელზე“, მიცვალებულის ქონების ნაწილს ანადგურებენ, ნაწილს კიდევ ღარიბებს ურიგებენ (გვ. 519), ცისფრად (ლურჯად) იმოსებიან (გვ. 520), მიცვალებულის ცხენს უკუღმა კაზმავენ და ა.შ.

25. მოსაკითხავები და საჩუქრები: მონები, მხევლები, სპილოები, აქლემები, ცხენები, სხვადასხვა სახმარი ნივთები, ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი, იარალი, ტახტი, გვირგვინი, ტანსაცმელი, ნელ-საცხებლები.

26. ქალის გათხოვება საგანგებო აქტით ხდება (გვ. 219). ზოგი ქორწილი ერთ კვირას გრძელდება, ერთგან იგი ჯერ აფასში გამართეს, შემდეგ კი სასახლეში(ქაბ) გააგრძელეს მთელი სამი

კვირა (გვ. 219). პატარძლის დედა ქალის წასაყვანად მოსულ მზაბალს „საჭავახური ხუმრობით“ საჩუქრებს თხოვს (გვ. 219).

27. ლოცვა. „შავ-ნამეს“ გმირები ლრმად მორწმუნენი არიან. მათი აზრით, კარგიც და ავიც ლმერთისგან მოდის. ამიტომ საჭიროა მის წინაშე ლოცვა. როგორც ვთქვით, როსთამიც კი, ეს უძლეველი დევგმირი, მორწმუნეა. მისი აზრით, თუ ლმერთს უნდა, გაიმარჯვებ, თუ არა და, დამარცხდები (გვ. 982). სხვაგან იგი ამბობს: „არავინ არ მინდა დამხმარედ, რაზმის ფეხი და იზადი (უფალი) მეგობრად მეყოთა“ (გვ. 995). მეფე ქავოსმა მთელი კვირა ილოცა უფლის წინაშე (გვ. 375). გმირები ძნელი ომის წინ უფალს შემწეობას ევედრებიან, ხოლო რომ გაიმარჯვებენ, მადლობის ლოცვას აღავლენენ (იქვე). ლოცვის წინ მეფე განიბანება, შემდეგ კი ახალ ტანსაცმელს იცვამს, წელში იღუნება, თავს ხრის და ტირილით ლოცულობს (გვ. 1191). ცრემლის ლვრა, როგორც წესი, თან ახლავს მეფეთა ლოცვას (ვგვ. 1386, 2797). აქ არ შეიძლება, არ მოგვაგონდეს „შავ-აბბას პირველი, რომელიც თურმე ასევე ლვრიდა ცრემლებს ლოცვის დროს.“

28. ფიცი. ფიცი პოემის გმირებისათვის აბსოლუტური გარანტია. ფიცი მტკიცეა. თავად გამოთქმა „ფიცის გატეხა“ ქართულში მიუთითებს იმაზე, თუ ხალხის წარმოდგენით რა მაგარი, მტკიცე უნდა ყოფილიყო იგი, რომ მისი უგულებელყოფა გამოხეატათ ზმით „გატეხა“, რაც მკვრივ საგანთა თვისებაა.“ ფიცი და პირობა ისე ძლიერია, რომ მისგან ცაზე მზე, მთვარე და ვარსკვლავები ძრწიან (გვ. 662). ისე, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ეპოსის გმირებს, „შავ-ნამეს“ მოქმედ პირთაც თავიანთი საფიცარი აქვთ. ფიცულობენ ლმერთს (გვ. 685), ზარდოშთს, ნუშ პზარს, ცეცხლს, მზეს, მთვარეს, „ავესტას“, „ზენდს“ (გვ. 1709), დღესა და ღამეს (გვ. 676), მიწას (გვ. 2753), ხმალს, ბრძოლის ელს (გვ. 1695), ზონარს, ფარჩს, გვირგვინს (გვ. 2033), მეფეს (გვ. 817), მეფის ტახტს (გვ. 735), ცისკრის ვარსკვლავს (გვ. 83), ბეჭედს (გვ. 771), მეფის სულსა და თავს (გვ. 2740), ძვირფასი კაცის საფლავს, ირანის სპას. ფიცი ორნაირია: ერთი ისეთი, როგორც უკვე ჩამოვთვალეთ, როცა ვინმეს ან რაიმეს იფიცებენ და მეორე, როცა ამბობენ, თუ ასე და ასე გავაკეთო, ესა და ეს დამემართოსო (გვ. 2728). ფიცს იძლევიან ზეპირად და

* ნასრ ლუ-ლაქ ჭალაშვილი, ქულე-ე ლოვეომ, გვ. 89.

** ვნოზარე, ვეფხისტყაოსნის საზოგადოებაომეტყველება, გვ. 20.

*** მაგ- „უფროისი ედას“ გმირის საფიცარია: „გარე წრე ფარისა, ქიმი ხომალდისა, ფოლადი შებისა, ქელი ბედაურისა“. ის: უფროისი ედა, გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურითო გიორგი კალანდაძემ. თბილისი, 1971 წ. გვ. 136.

წერილობითაც (გვ. 772). ფიცი რადგან დაიდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი საჩტმუნო იყო. ამდენად ის იურიდიულ აქტს წარმოადგენდა. ფიცით თავის უცოდველობასაც ირწმუნებოდნენ და იგი ამის საბუთად მიიღებოდა. ფიცითა და ცეცხლით გამოცდა პრაქტიკაში იყო ძველ ირანში. დარიისის წარწერაში ნათქვამია: „ერთი კაცი თუ მეორეს ადანაშაულებს, ეს მე მანამდე არ მჯერა, სანამ იგი სათანადო ფიცს არ წარმოთქვამს“.* რაიმეს დაქაღნება, თუ იგი ფიცით იყო გამტკიცებული, აუცილებლად უნდა შესრულებულიყო, თუნდაც გმირს მის შესრულებამდე გუნება გამოცვლიდა. გრვს დაფიცებული ჰქონდა მთვარე, მეფის გვირგვინი დატახტი, თუ ფირანი ჩაუვარდებოდა ხელთ, მის სისხლს დაიღვრიდა. ასეთი შემთხვევა მას მართლა მიეცა, მაგრამ სიტუაცია უკვე გამოცვლილია, მეფე ქაქ-ხოსროვი თხოვს მას, აპატიოს ფირანს დაანაშაული და მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებასაც ასწავლის: ყური ხანჭლით გაუკაშრე და სისხლი გამოადინე. ფიცი შესრულებული გექნება, ფირანის სისხლი მართლაც ხომ დაიღვრებათ. გრვიც ასე მოიქცევა (გვ. 735).

29. სტუმარმასპინძლობა. ირანელები ოღითგანვე სტუმართმოყვარენი იყვნენ და მათი ეს თვისება „შაპ-ნამეშიცაა“ არეკლილი. სტუმარს პატივისცემით იღებენ და, რითაც შეუძლიათ, უმასპინძლებიან. უცხო მოგზაურს მასპინძლის გოგონები ტამტითა და ხელის დასაბანი წყლით ხვდებიან (გვ. 2170). თუ ფალავანი ამას იმსახურებს, მას მასპინძელი მეფე თვითონ გამოეგებება გზაზე (გვ. 141). მოსისხლე მტრის მიერ გამოგზავნილ მოციქულსაც კი, რადგანაც იგი სტუმარია, თბილად ღებულობენ და ხშირად ასაჩქრებენ კიდევაც (გვ. 631). პოემაში უხვადაა ასახული სტუმრის მიღების სცენები და მისი გამასპინძლების ატრიბუტები (ასე, მაგალითად, სუდაბემ რამ სიმარტი იწვია, მისი საქალებო საესე იყო მუშკით, ღინარით, ზაფრანით. მას ფეხევეშ სულ ოქრო და თვალმარგალიტი უყარეს. გვ. 535).

30. ფირდოსუსის პოემაში საზოგადოება დაყოფილია ოთხ წოდებად. ესენია: მიწის მუშები, ხელოსნები, მეომრები და ქურუმები (მოგვები).^{**} არაიშვიათადაა ოწერილი მდაბიოთა ყოფა, გლეხის ოჯახი, მათი შრომა, გართობა და პურისკამა (გვ. 2155). გლეხები ერთმანეთისაგან ვირსა და ხარს თხოულობენ (გვ. 2139). მაგრამ ძირითადად აქ მეოვთა და ფალავინთა სამყაროა

* P. Фрай, გვ. 148.

** ამის შესახებ იხ: A.Нушин, О четырех сословиях в „Шах-наме“. „Народы Азии и Африки“, 1966, N 6, გვ. 109.

ასახული. იმათი ყოფაა დახატული, რომელთაც სტუმრად წასულთ
მაგალითად, სინდონების) თან ახლავს სამასი მსახური, რომელთაც
ხელში მუშკითა და თვალ-მარგალიტით საესე ოქროს ჯამი
უჭირავთ (გვ. 218) და რომლებიც ასობითა და ათასობით მონასა
თუ ტყვეს ჩუქნიან ერთმანეთს. საჩუქართა შორის უპირველესია
ლამაზი მხევლები (გვ. 1435).

31. სხვადასხვა. პოემაში თვალში საცემია ერთი დეტალი:
ბრძოლის ველზე საომრად გასულ ირანელებსა და თურანელებს
თან მიჰყავთ ე.წ. თარჯიშანი (გვ. 1307).^{*} იგი არბიტრია.

32. უმეტესობა გმირებისა ცრუმორწმუნება. ეს ფანდიქარი
სალაშქროდ რომ მიდიოდა, მისი ქარავნის წინამძღოლი აქლემი
დავარდა. ბევრი ურტყეს, მაგრამ ვერ წამოაყენეს. ეს ფანდიქარის
ეს შემთხვევა ცუდად ენიშნა და ის აქლემი დააკვლევინა მაგრამ
ამან მაინც ვერ უშველა. მოსახლენი მოხდა, — ეს ფანდიქარი ამ
ლაშქრობაში დაიღუპა). პოემის გმირთა რწმენით, გზიდან გაბრუ-
ნება ავის მომასწავებელია (გვ. 2598).

პოემის გმირებს ავი თვალისა ეშინიათ. ავი თვალი მეცესაც
კი აძაბუნებს და ფარრს უკნინებს. ავი თვალი ბუნებით ავ კაცს
აქეს. ირანში ჩანს კვალი მსოფლიოში გავრცელებული ჩვევის,
ბავშვისთვის ორი სახელის დარქმევისა (ერთი სახელი ნამდვილია,
მეორე — ავი სულისთვის გზის ამბნევი). ხოსროვ ფარვენია შეიღს
ორი სახელი დაარქეა: შრრუდე და ყობადი. პირელი ბავშვის
აშკარა სახელი იყო, მეორე — საიდუმლო.

33. ძველ აღმოსავლეთში ზეჯზე წინასწარმეტყველებდნენ,
მოსალოდნელ შემთხვევებს ასტრონომიული ტაბულების მიხედვით
აზუსტებდნენ. ბუნებრივია, „შაპ-ნამეს“ გმირებიც ასე იქცევიან,
ისინი მომავლის შესაცნობად ასტროლოგებსა და მკითხავებს
მიმართავენ. პირველთა აღმინშვნელი ტერმინებია: ახთარშენს,
სეთარეშენს, სეთარეშომპარ („ვარსკვლავის მცოდნე“, „ვარსკვლავ-
თმრიცხველი“), მეორეთა — ჭალგუმ ჭალზან. ლაშქრობას ზეჯის
გარეშე არ იწყებენ (გვ. 1290). ზეჯი (ასტროლაბი). საუკეთესო
უნდა ყოფილიყო, ჰქონიათ ინდური ასტროლაბებიც (გვ. 1416).
ასტროლოგთა წინასწარმეტყველება სრულდება და იგი, ბუნებ-
რივია, სჭერათ. მაგალითად, პოემის მიხედვით, ალექსანდრე
მაკედონელმა წინასწარ იციდა, როდის მოკვდებოდა. ბედისწერა
გარდაუვალია და მისი შეცვლა შეუძლებელია. ზოგჯერ გმირი, თუ
ის გულთმისნობის ნიჭით არის დაჯილდოებული, თვითონ უწინას-
წარმეტყველებს თავის თავს მასზე გარდასახდელს. მაგალითად,

* ეს შემწეული აქეს თკოვალსკისაც. იხ: თკოვალსკი, I გვ. 252

სინამდებობაში წინასწარ იცის, რაც მოუგა, დეტალებში აქვს წარმოდებული, როგორ მოკლავენ, როგორ მოკრიან თავს და ა.შ. (გვ. 652). პოემაში გვხვდება მდიდარი მკითხავი ქალი (გვ. 2670).

34. პოემის გმირები ხმირად იწყეველებიან (გვგვ. 93, 2412).

35. პოემაში უცხო არ არის ისეთი ავი თვისებაც, როგორიცაა ღალატი (გვ. 2729).

36. იციან გინება (გვ. 730).

37. როგორც ჩუსტველის, პომეროსის, ვერგილიუსისა და ბევრ სხვა კლასიკოსთა გმირები, ფირდოსუსის პოემის მოქმედი პირნიც ტირიან. ტირილი განსაკუთრებული ფსიქოლოგიური კატეგორიაა და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ჩვენს პოემაშიც.* ვნოზაძეს „შემწეული“ აქვს, რომ „შაპ-ნამეში“ ტირის ზოგი ცხოველიც, კერძოდ, სინამდების ცხენი შაბდიზი.** როგორც ვთვით, ტირიან ლოცვის დროსაც.

38. „უძველესი ჩვენწელთ აღრიცხვის მესამე ათასეულ წელთა იქით დაწერილი ბაბილონური პოემა „გილგამეში“ ეხება სიკვდილისა და სახელის საკითხს. თვით გილგამეში ამბობს: თუმცა მოვკვდები, სახელს მაინც მოვიპოვებ“.***

სახელის მოხვევის პიმია „ვეტენის ტყაოსანიც“. სახელის მოსახვეჭად თავს არ ზოგავენ „შაპნამეს“ გმირებიც (როგორც აღნიშნეთ, ორი საუკუნის შემდეგ სახელის შოვნის ეს ტენდენცია გაანელა სუფიზმი). ჯალბარ ედ-დინ რუმისთვის, მაგალითად, სახელის მოხვევა მდაბიო, ეგოისტური გრძნობისთვის დამახასიათებელი ქმედებაა).

39. პოემაში კულტურული საზოგადოებაა ასახული: ყოველ მანძილზე (სადგურზე) ცხენებს იცვლიან (გვ. 845).

40. ბერძნები ფილოსოფოსებს უგზავნიან ირანელებს (გვ. 1493).

41. თურანის მეფე არასუი ირანის მეფეს ემუქრება, შენს ქვეყანას იავარვყოფ, ხეებს ძირფესვიანად ამოგითხრიო (გვ. 1505).

42. არაბული ცხენები ჰყავთ (იყო მაშინ ირანში არაბული ცხენები? გვ. 573). ცხენებს მეფის დალი აქვთ დასმული.

43. სამეფოში საავადმყოფოები აქვთ (გვგვ. 413, 2062).

44. მათრახზე მისი პატრონის სახელი აწერია (გვ. 857).

* ტირილის შესახებ თხზულებაში ის: Dr Lucien Beszard, Des Larmes dans L'Epopee, particulierement dans L'Epopee franſise jusqu'a la fin du XIII e siecle. Etude de litterature compaſee. Halle sur Saale. 1903 ვ ნოზაძე ვეუსისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება, გვ. 223.

** იქვე, გვ. 229.

*** იქვე, გვ. 245.

45. როსთამის რახში ნალითაა დაჭედილი (გვ. 955).

46. ქალს საკეისრო განკუეთით ამშობიარებენ ნარკოზის ქვეშ ნარკოზად ღვინითა გამოყენებული) (გვ. 223).

47. გმირებს სხვადასხვა სფეროებიდან მოტანილი შეკითხვებით ცდიან (გვ. 208) და ა.შ.

48. „შაპ-ნამეში“ მრავალი ლეგენდაა ფიქსირებული: მათ შორის ამბავი ქურთების გაჩენის (გვ. 36),^{*} კადრაკისა (გვ. 2497) და ნარდის გამოგონების (გვ. 2465), „ქილილა და დამანას“ ინდურიდან სპარსულად თარგმნის შესახებ (გვ. 2499) და სხვ.

თ.კოვალსკიმ შენიშნა, რომ ფირდოუსი უფრო მეტი სიმოვნებით აღწერს ბალებს, ვიღრე — სტეპებს, ქალაქებს, ვიღრე — მთებს, მას ფუფუნება და სიმდიდრე უფრო იზიდავს, როგორც მწერალს, ვიღრე — სილარიბე.

49. ქალი.^{**} ზოგი ირანელი მკვლევარი უთუოდ აქარბებს, როდესაც „შაპ-ნამეშ“ ქალებზე წერს: „თქვენ ვერ ნახავთ მის სახეს თვინიერ კდემისა და დარცხვენისა, მის გულს — თვინიერ სიყვარულისა და სისპეტაკისა, მის ფიქრს — თვინიერ სილრმისა და შორსმკვრეტელობისა, მის საქმეს — თვინიერ სიმართლისა, მის საქციელს — თვინიერ თავშეკავებისა და მოთმენისაო”^{***}. „შაპ-ნამეში“ გამოყვანილი ყველა ქალი, ირანელი იქნება იგი თუ თურანელი, თავშეკავებული სწორედ რომ არ არის, ბევრ სასიყვარულო წყვილში ქალი აქტიურობს. მანიურმა გადადგა ნაბიჯები ბირანისაკენ ამ სიტყვის როგორც გადატანითი, ასე პირდაპირი მნიშვნელობით, თაპმნე თვითონ შეუვარდა საწოლში როსთამს, — შეწან შვილი მინდა მეყოლოსო, — ისე, რომ ეს უკანასკნელი მას არც ელოდა და არც იცნობდა. სუდაბე ჰრმაგად არლვევს ზემოთ მოტანილ მოსაზრებას: იგი თვითონ აქტიურობს აღათით აკრძალულ სიყვარულში, შემდეგ ცილს სწამებს უდანაშაულო კაცს, რითაც სასიკვდილოდ სწირავს მას. „შაპ-ნამეში“, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, ქალებიც ისხდნენ სამეფო ტახტზე. აქ გამოყვანილია გმირი ქალებიც და მათთვის ნახმარია სათანადო ტერმინიც კი ზან-ე ფაპლავნი „ქალი-ფაპლავნი“. გვ. 2849). ასეთია, მაგალითად, ირანელი ფაპლავნის,

* ქურთები დღემდე აღნიშნავენ ზაპქისაგან თავის დახსნის დღესასწაულს.

** კ. კოვალსკი. II გვ. 322

*** თავად ფირდოუსის დროს ქალთა მღვრმარეობის შესახებ ის: შერჩნ ბარაბანი, ზე დარ თარგმანი ბექასურ, „მაღალმუსე აბერ ლა-ჭაჭილ ბექასურ.“ მაშეაღ, 1350, გ3. 63.

**** მოქამად დაბრი სიმაყი, ფერდაუსი კა ზან-ე თრასუელი, გვ. 28

გორდაპამის ასული გორდაქარიტი, რომელიც კაცურად გამოეწყობა, იარაღს აისამს და სოპრაბს შეებმება. უფრო კოლორიტული სახეა ბაპრამ-ჩუბინებს და გორდობა, რომელიც პოლიტიკაშიც აქტიურ როლს ასრულებს და ფიზიკურადაც ძლიერია, ასპარეზობს, იბრძვის და სეამს მამაკაცივით (გვ.გვ. 2703, 2849). „შაპ-ნამეს“ ქალები (ირანელები იქნებიან ისინი, თუ თურანელები) უმეტესად ერთგული მეუღლეები (შირინი, როგორც ეთქვით, თავისი საყვარელი ქმრის აკლდამაში იკლავს თავს. გვ. 2942) და თავგადადებული დედები არიან (ჭარიტე, სიმაუშის ცოლი, თავისი შეილის, ჭორუდის ცხედარზე იკლავს თავს. გვ. 824). განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქაბულის პატრიონის მექანის მეუღლე სწნდოხთი, რომელიც პოლიტიკურ აღლოსა და დიპლომატიურ ნიჭს ამჟღავნებს (გვ. 200). როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, პოემის ღროის დიაპაზონი მეტად დიდია, გეოგრაფიული არე — ძალიან ვრცელი. ამის გამო ჩვენს ეპოპეაში ნაირი მოვლენები და ხასიათები იყო მოსალოდნელი. ამიტომ არ შეიძლება, ეს მოვლენები და ხასიათები განზოგადოებული იყოს, შესაბამისად, ყველა ისინი ირანელებს მიეწეროს. პოემაში ქალის კრიტერიუმი არა გვაქვს, მაგრამ ლამაზი ქალის ეტალონი არ შეიძლება, ავტორს არ ჰქონდა. ხასიათით იგი უნდა იყოს ზნედაცული და კდემამოსილი, გარეგნულად კი მაღალი, სარისტანა, პირმთვარე, უნდა ჰქონდეს ვიწრო წელი, ქამანდივით ნაწნავები, ყანდივით ტებილი ტუჩები და ა.შ. (გვ. 384). ქალი წესიერი უნდა იყოს (გვ. 555), ვინც სხეის ცოლს შეხედავს, მას საღრმობელა ემუქრება (გვ. 2448), ქალებს მაკანელებს უგზავნიან (გვ. 385). როგორც ეს სინამდვილეში იყო და როგორც ამას მაზდეანური რელიგია მოითხოვდა, პოემაში გვაქვს უახლოესი ნათესავების ქორწინების შემთხვევები. არდაშირ პეპაკნის სახელით ცნობილ დარიგებებში ნათევამია: „ნათესავებთან იქორწინეთ, ეს გვარს უკეთესად შეინახავს და ნათესავებსაც ერთმანეთთან უფრო დაახლოებსო“. და მართლაც, ბაქმანი ცოლად ირთავს თავის ქალიშვილს ჰომანს (გვ. 1756); სულაბეს უნდა სიმაუშს ცოლად შეჩროს მისი ნახევარდა, მისი მამის ასული (გვ. 532). პოემაში გამოყვანილია არაერთი ზნედაცემული და ქმრის მოლალატე ქალი (გვ. 555).

* აქევე არსაშირ, ფარეჯანლუ-ზე 'არაბი ასთარ აქსან' ამბეს, ბარგარდანლუ-ზე მე ჭარს მოტამბალუ-ალო ემაშ-ე შემთარი, თექრან, 1348, გვ. 103.

ზოგი მათგანის დახმარებით ამ დიაცის საყვარელი კლავს ქალის შეულლეს (გვ. 2730).

საინტერესო ცნობებია პოემაში დაცული ქალის შზითვზე. ფაქტურად აქ გვაქვს რამდენიმე მზითვის წიგნი (გვ.გვ. 219, 387, 2763).

„შაპ-ნამეში“ შემავალი არც ერთი სატრუთიალო ამბავი რომანულ ჟანრად ჭერ კიდევ არ არის ქცეული. ჭერ კიდევ საფალავნო ჟანრთან გვაქვს საქმე. საჭირო არის აქვე ამდგარი რენესანსული სიოს გაძლიერება, რათა ადამიანის ინტიმი მთლიანად გადაეშალოს მკითხველს, შესაბამისად, საჭიროა ნეზიმის მოსვლა, რათა „შაპ-ნამეში“ დატანებული სასიყვარულო ამბების ნერგები სამიჯნურო რომანებად აყვავდეს (ამიტომაცაა, რომ „შაპ-ნამეში“, კაცმა რომ თქვას, არც მეგობრობაა ასახული, — ვიღაცა კი უბამს მხარს ვიღაცას, გვერდში უდგას და ეხმარება, მაგრამ აქ მეგობრობის გრძნობებთან, მეგობრობის ცნებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ სოციალურად დაკისრებული როლის შესრულებასთან). ნ.ნათაძემ თვით ნეზიმიც კი უკან გადასწია, იგი ფირდოსუსის გვერდით დააყენა და მათ მიერ ასახული სიყვარული ტიპობრივად ერთ სიბრტყეში წარმოადგინა. მისი აზრით, „აღმოსავლური ეპიკის გმირი ქალი ძალიან შორსაა სრულყოფისაგან: იგი ან სუსტია და ამასთან არცთუ ძალიან ჩეალური, როგორც ლეილი, ან მხოლოდ ქალურად სათხო, მორჩილი და უბედურია, როგორც შირინი (ორივე ნიზამი განჯელის პერსონაჟი)...“. „ვეფხისტყაოსნის ტრუთობის ობიექტები — ნესტანი და თინათინი — იმ ინტიმურ ადამიანურ მხარესაც მოიცავენ და ამავე დროს სხვას, ამაზე მაღალსა და სრულებით ირაციონალურად შთამბეჭდავ ნიშან-თვისებას ატარებენ: ისინი არ არიან მხოლოდ ადამიანები და ქალები, ისინი არიან უმაღლესი ანგილია ადამიანები და ქალები და ისეთ დონეზე დგანან, რომ მათდამი ტრუთობის შებედვა თავისთავად გმირობაა“. თუ ნეზიმის ქალების დონე ასეთია, რა იქნება ფირდოსუსის ქალებისა, — უფრო დაბალი. მკვლევარს მთლად ვერ დავეთანხმებით. უთუოდ სამართლიანად წერს ვაკირმუსი: ნეზიმი, რადგან იგი ასახავდა საზოგადოებრივი ყოფის უფრო მაღალ დონეს, რაც იმ დროის მახლობელ აღმოსავლეთს ახასიათებდა, უფრო მაღალსა

* უთუოდ მართალია აბოლუტორევი, როცა უარყოფს ზოგი მეცნიერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, ვითომ „შაპ-ნამეში“ ქალები ისე იყოს დაბატული, თოთქოს მას, ფირდოსუსის, ეს სახეებიც ანიჭებდნენ უკვდავებას, აბოლუტორევის აზრით პირიქითაა — „შაპ-ნამეს“ ქალები სქემატური არიან. იხ: А.Н. Болдырев, Фирдоуси, Шахнамэ. „Известия АН СССР. Отделение литературы и языка“. Том XVII, вып. 1. 1958, გვ. 70.

** ნ.ნათაძე, რუსთველური მიკნურობა და რენესანსი, თბილისი, 1961, გვ. 232.

და ფაქტის სიყვარულს (ე.წ. „მაღალ სიყვარულს“) ასახავს, ვიდრე
მისი თანამედროვე ეკრაპულ რომანთა აეტორები. მისი სიყვარული
თავისუფალია ვიწრო ფერდალურ კონცეფციათაგან, და დანტეს
„ახალ ცხოვრებას“ უახლოვდება. აქ როლი შეასრულა „იდეოლო-
გიურმა ფაქტორმა, იმან, რომ დასავლეთში ბატონობდა ქრისტი-
ანულად გაფორმებული ნეოპლატონიზმი, აღმოსავლეთში კი —
მისი სუფიური ვარიანტი. ამ მხრივ „შაპ-ნამეს“ სიყვარული
კურტუაზიული (რომანული) სიყვარულის განვითარების უფრო
აღრეულ ხანას ასახავს და ამიტომაც კრეტიკის სასიყვარულო
ეპიზოდებს უფრო უახლოვდება, ვიდრე ნიზამისას და რუსთავე-
ლისას*. საკითხი სწორედ ასე დგას და ამ კუთხიდან უნდა შევხედოთ
ასტარიკოვის მოსაზრებას, რომ ფირდოსის არც შეეძლო უფრო მეტი
გრძენობელობა, გართულება და სილრმე შეეტანა ამ რომანებში იმ
მიზეზით, რომ მაშინ იმისი ნახელავი ეპოქის სტილიდან ამოვარდე-
ბოდა.** ასე რომ, ნებამისეული დონე, ამ თვალსაზრისით, უმაღლესი
მწვერვალი აღმოჩნდა სპარსულ პოეზიაში.

როგორც მოხდენილად გამოთქვა თ.კოვალსკიმ, სპარსულ
ლიტერატურაში ქალზე ორი თვალსაზრისია გამოხატული: ლირი-
კაში იგი მშვენიერების ეტალონი იყო, ხოლო დიდაქტიკურ
პროზაში — ცოდვის წყარო და ეშმაკის ზიარი.*** მაგრამ
ყოველთვის იყო კი ქალი სპარსული ლირიკის გმირი თუ აქ
ღაზელების გმირი იგულისხმება, მაშინ ასეთი შეხედულების
გაზიარებისაგან თავის შეკავება გვმართებს, რადგან ამ უანრის
ე.წ. მაშუყი (სატრუქო) სუფიური ლვთაების ემანაციაა და იგი
შეიძლებოდა კაციც ყოფილიყო (მწდე ბიჭის სახით) და იყო
კიდევაც მაგალითად, ჭარბების დრენში).

„შაპ-ნამეს“ ზოგი მხატვრული თავისებურების შესახებ

„ირანში, მსგავსად მრავალი სხვა ქვეყნისა, ლექსი პროზაზე
აღრე გაჩნდა. ასე რომ, „ავესტას“ წმინდა წიგნების უძველესი
ნაწილები სიმღერებია“.**** ერთი არაბი აეტორის ცნობით, ჯერ

* В.М. Жирмунский Сравнительное литературоведение. М. 1979. гл. 4
შემდეგში: В.М. Жирмунский, Сравнительное.

** А.Стариков, гл. 533.

*** თ.კოვალსკი, II, гл. 317.

**** ქ.მასხე, гл. 22.

კიდევ ხოსროვ ფარევის (459-484) პყოლია კარის პოეტები რომლებიც შაპის დავალებით სწერდნენ ლექსებს.^{*} ფირდოუსის, რა თქმა უნდა, პყავდა თავისი უშუალო წინამორბედები, მას წინ უსწრებდა რუდაქი და მისი პლეადა. რუდაქის მილიონზე მეტი ბეითი თუ ლექსი ჰქონია და ერთნაირი ოსტატობით უწერია როგორც ლირიკული, ასევე ეპიკური უანრის თხზულებები. არ არის გამორიცხული, მას გაელექსოს თვითონ „შაპ-ნამეც“.

„შაპ-ნამე“ მრჩებლედითაა გაწყობილი: aa bb cc dd და a. ხოლო მისი საზომია მოთაყაჩები: a— | a— | a— | a—
მას უდინ მარვაზის „შაპ-ნამე“ გაწყობილი ყოფილა პაზაჯ-ე მოსად-დასით a— | a— | a— | a— , ანუ იმავე საზომით, რომლითაც შემდეგში აელერებულ იქნა გორგანის „ვის-ო რამინი“ და ნეზამის „ხოსროვი და შირანი“. ამდენად, ჯერჯერობით მაინც უნდა ჩავთვალოთ, რომ მოთაყაჩების საზომი „შაპ-ნამეს“ დაყრიცმ დაუკავშირა.

ფირდოუსი ძევს ამბებს, ზეპირს თუ წერილობითს, ხელახლა თუ გადაამუშავებდა, ეს გადამუშავება თეორიულად ორნაირი შეიძლებოდა ყოფილიყო: პირველი, პროზითი წყაროს ლექსად გადაკეთება და, შეორე, ლექსითი წყაროს ხელახლა გალექსვა. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ფირდოუსის წყაროები პროზითი ტექსტები იყო და მან იგი გალექსა. რა მოხდებოდა, თუ ფირდოუსის წყარო ლექსითი ტექსტია ღმოჩნდებოდა? თუ ის მცირე მოცულობისა იქნებოდა, ფირდოუსი მას ჩართავდა თავის პოემაში (აյნ ჩართო კიდევაც დაყრიცს ნაწილი), მაგრამ თუ დიდი მოცულობისა, მაშინ? აქ პასუხი არ მოგვეპოვება. ჩვენ არ ვიცით, რას მოიმოქმედებდა პოეტი. არა გვაქვს საფუძველი, დაუშვათ ვარაუდი, რომ ის შექმნიდა ახალ ლექსით ვერსიას, ნაზირას, ვთქვათ, როგორც მისი ეპოვეს საფუძველზე ნეზამიმ შექმნა ასევე გენიალური ნაზირები: „ესქანდარ-ნამე“, „ხოსროვი და შირანი“ და „შვიდი მთიები“. შეიძლებოდა, მას საერთოდ არ მოეკიდა ამ საქმისათვის ხელი, — ირანის „ისტორია“ ასე თუ ისე უმისოდაც გალექსილი იქნებოდა. მაგრამ ბერნიერება აღმოჩნდა სწორედ ის, რომ ეს ისტორია იყო: 1) გაულექსავი, 2) ძევლი (ძევლი ენით, სტილითა და ყაიდით გაწყობილი), და 3) ფრაგმენტული (ზოგს რა ნაწილი ჰქონდა მისი გადმოცემული და ზოგს — რა). საჭირო იყო, ვინმეს შეეკრიბა ეს ნაწილები, ერთ მონოლითად გაემთლი-

* თაყი-ზებდე, გვ. 130.

** რუდაქის უსაჩარჩაზირი მემკვიდრეობიდან მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწია, მაინც. ასც დარჩა, დიდ ეფექტს იძლევა.

ანებინა და ახალი სპარსული ლექსით გადმოეცა. ყველაფერი ამის საჭიროება ფირდოუსის დროს, როცა ირანული ეროვნული სული იღვიძებდა, ეტყობა, აუცილებელი აღმოჩნდა. ეს უნდა გაკეთებულიყო (დაყიყიმ ეს ვერ შეძლო) და ეს გააკეთა ფირდოუსიმ.

ფირდოუსი დაყიყის საყვადურობს: მან ძევლი ამბები ვერ გააცოცხლა. რას ნიშნავს ეს გაცოცხლება? — ალბათ ამას: ძევლი ამბავი მკედრად ქცეულა, სხვადასხვა (და არა მარტო ენობრივი) მიზეზების გამო ხალხი მას აღარ კითხულობს, საჭიროა, ახალი სული ჩაებეროს მას, თანამედროვე მკითხველს მოერგოს მისი ენა, სტილი და ფოკუსი. აი, რისი გაკეთება განიზრახა პოეტმა. თომას მანი წერს: „ჩვენ ეს უკვე ვიცით!“ სულელური ნათქვამია. ამ ისტორიის ცოდნა ყველას ხელეშიფერა. მისი მოწმედ ყოფნა — აი, რა არის თავი და თავი?* ფირდოუსიმ მკითხველი გახდა ირანის ისტორიის და, რაც მთავარია, მითების მოწმედ. ფირდოუსიმ მეცნიერის სამუშაოც შეასრულა და მწერლისაც: როგორც მეცნიერმა, მან შეკრიბა ირანის ისტორიის ძველი მასალები (როგორც ქრონიკები, ასევე დასთანები), შეუწამა ისინი ერთმანეთს და ქრონოლოგიურად დაალაგა; ხოლო როგორც მწერალმა, თავის ქურაში გადაადნო ისინი, დახვეწა, განუახლა სტილი, ენა და, რაც მთავარია, მას ახალი სული შთაბერა. ამაშია ფირდოუსის დამსახურება კაცობრიობის წინაშე. ამდენად, ჩვენ ვერ დავეთან-ხმებით ირანისტიკაში გამოთქმულ მოსაზრებას: „ფირდოუსის, როგორც ეს პოემიდან ჩანს, ნაკლებად აინტერესებდა ფაქტები და თარიღები, ყოველშემთხვევაში, ეტყობა, უფრო ნაკლებად, ვიდრე იმ ოთხ ზოროასტრელ მოგვს, რომელთაც შეადგინეს „დიდი შაპ-ნამე“, და ეს კი ნამდვილად შეიძლება ითქვას, გაცილებით უფრო ნაკლებად, ვიდრე თაბარის და ბალ'ამის. ფირდოუსი პოეტი იყო და ხასიათებს ხატავდა“^{**}.

ფირდოუსიმ შექმნა პოემის ის მოდელი, რომელიც მას აქეთ მე-19 საუკუნემდე შენარჩუნებული აქვს სპარსულ და თურქულენოვან ეპიკას, პროლოგი+პოემა+ეპილოგი. მანვე შემოუშვა ეპიკურ ტილოში ლირიკული წიალსვლები იმ დოზითა და იმ სახით, როგორითაც იგი დღეს გვაქვს.

ფირდოუსი თხრობის ოსტატია. მისი ეპოპეის ზოგი პოემა შეიძლება სათავგადასავლო ჟანრს მიეკუთვნოს, მათი შინაარსი,

* Томас Манн, Иосиф и его братья. т. I, 1987, გვ. 600.

** В.Луконин, გვ. 357.

ამბის დინამიკა და სიუცეტის განვითარება დღემდე სამაგალითოდ ჩამოაყენება. ზოგჯერ აქ ისეთი დრამატული სცენები იქმნება, რომ იგი სათავეგადასავლო ფილმშიც კი შეშურდებოდა. ვისაც თუნდაც გოშთასაფისა და ხოსროვ ფარვების ამბების მომთხრობელი პოემები უკითხავს, ამაში ადვილად დაგვეთანხმება.”

ნებამნ არაუგონ სამარყანდელი დაბირისთვის აუცილებლად თელიდა, ხშირად ეკითხა მას „სპარსულ ლექსთაგან — რუდაქს ლექსები, ფირდოსის მესნევი (პოემა) და ონქორის ოდები“.^{*} ცნობილი ინგლისელი ირანისტი ედუარდ ბროუნი ერთი იმ გამონაკლისთაგანია, რომლებიც ფირდოსის გენიალური პოემით აღტაცებაში ვერ მოდიან. მისი აზრით, „შაპ-ნამე“ არ შეიძლება, შევადაროთ სილამაზით, გრძნობითა და სინატიფით სპარსელების დიდაქტიკური, რომანტიკული და ლირიკული პოეზიის ბრწყინვა-ლე ნიმუშებს.”

ჩენებში, სამწუხაროდ, მხატვრულ ნაწარმოებს ჭერ კიდევ სოციოლოგის თვალით განიხილავენ; ეს მცდარი და იოლი გზაა. რა უნდა იყოს იმაზე ადვილი, რომ მიუხვდე, რაზეა თხშულება დაწერილი, როდინდელ ყოფას ასახავს იგი, მისი გმირები რომელ კლასთა წარმომადგენელი არიან, როგორი ხასიათი აქვთ და ა.შ. ასეთი ანალიზი მხატვრული ნაწარმოების შესაცნობად ვერაცითარ ინფორმაციას ვერ გვაძლევს. მხატვრული ნაწარმოების, საერთოდ ხელოვნების ნიმუშის, ანალიზი უნდა პასუხობდეს ერთ შეკითხვას: რატომ არის იგი მხატვრული ასეთი? აქ კი ესთეტიკის მოშველიებაა საკირო და არა ისტორიისა. ამ თვალსაზრისით, ფირდოსის „შაპ-ნამეს“ გენიალურობის თეორიული დამტკიცება მომავლის საქმეა ცრაქტიკულად კი ამას დამტკიცება არ უნდა, უფალმა იმთავითვე ჩაუდო მკითხველს მშვენიერების აღსაქმელი კოდი.

ერთ-ერთი უპირველესი ნიმუში, რომლითაც ფირდოსი გამოიჩინება, მისი გენიალური უბრალოებაა. „შაპ-ნამე“ დაწერილია ე.წ. საქლ-ე მომთანებელის (მიულწეველი სისადავის)[†] სტილით. ეს ტექტი ფირდოსიმდე გააჩნდა სპარსულ ლიტერატურათმცოდნეობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ირანელ თეორეტიკოსებს

* ვისაც სპარსულ ორიგინალზე ხელი არ მიუწვდება, კურჩევთ, ამ მიზნით წაიყითხონ: ფირდოსი, შაპ-ნამე, მოთხრობილი მაგალი თოლუას მიერ, თბილისი, 1992 წ. გვგვ. 205-244, 364-421.

** ჩაქრ მაჟალუ გვ. 2.

*** E.Browne, II, გვ. 142.

ფირდოუსის მიმართ არც გამოუყენებიათ. ვათვეთი, მაგალითად, ასეთად მიიჩნევდა ქაროხებს, 'ათწ ალ-ლაპი — ჯამშის და ნავაშის და ა.შ. არც ახალი დროის მკვლევართ მიუჩნევიათ ფირდოუსი ასეთ მწერლად. არადა, როგორც იმარმა შენიშნა, ფირდოუსის ლექსი დაწერილია ისე ბუნებრივიდ და გასაგებად, რომ კაცი მას პროზითაც კი ვერ იტყოდა სხვანაირად.^{*} ებერტელის „შაპ-ნამეს“ ენას ახასიათებდა, როგორც „მკაცრ უბრალოებას“. ^{**} ფირდოუსის პოეტური ენა ტებილშმოვანია („აზუმათ) და ამდენად იგი მკითხველის გულის სიმებს ეხება. გავიხსენოთ, რას წერდა ამის შესახებ ნებამზ არუშის სამარყანდელი: „ლექსის სიწმინდეში მან მიაღწია მინიარე წყლის სიწმინდეს. შესწევს კი რომელსამე სხვა ასეთ ტალანტს იძღვნი ძალა, რომ სიტყვა ასეთ სიმაღლემდე აიყვანოს? ... სპარსულ პოეზიაში მე ვერ ვხედავ ასეთ მჭერმეტყველებას, და თუ გნებავთ, არაბულ პოეზიაშიც!“^{***}

უნებლივ გვაგონდება იგოგებაშვილის მეტად გონებამახვილური შედარება, მისი გამონათქვამი იაკის შემოქმედების შესახებ: „ამ კამაძა მორევის ძირში ისე ცხადად სჩანს ყველაფერი, რომ ოვითეულს კენჭს ადვილად დასთვლი. სწორედ ამას, ამ საარაკო სიწმინდეს და სიმევრევალეს, მოტყუებაში შეძყევხარ: შენ ეს მორევი თხელი გვონია, მაგრამ ... მორევი მეტად ღრმაა“.^{****}

ფირდოუსის სინტაქსი მარტივია და ბუნებრივი. ნუ ვიტყვით, ეს რა ასე საგანგებოდ აღსანიშნავია. ი. როგორ წერდა მისი თანამედროვე კლასიკოსი თნსორის: ბოლომ, სხთ-ო ყველა, გოჭთ, ბაშ, პპნრა — „ღმერთმა, მტკიცე და მაგარი, უთხრა, იყავიო, რეინას“ — ე.ი. ღმერთმა რეინას უთხრა: მტკიცე და მაგარი იყავიო.

ფირდოუსი ხშირად მიმართავს ბგერით განმეორებებს, განსაკუთრებით აქვს გაფაქიზებული ბგერის შეგრძნება, მაგრამ არა-სოდეს არ ახდენს მის უტრიირებას. ამის გამო მისი ლექსი იკითხება იოლად და თავისუფლად, და არ იგრძნობა მასში არავითარი დაძაბულობა, [†] მისი განმაცვითრებელი ტექნიკა ბუნებრივია და თეალში არ ეცემა კაცს.[‡] აქ საოცრადაა გაწონასწორებული ლექსის ფორმა და შინაარსი.

როგორც ითქვა, „შაპ-ნამეს“ პირველი დიდი ნაწილი მითია.

* Ю.Н. Mapp, II, გვ. 52

** Е.Э. Бертиелюс, გვ. 231

*** ჩაქარ მაჟარუ, გვ. 68-69.

**** ი. გოგებაშვილი, იალბუზი ქართული პოეზიისა, ჩრეული თხზულებები,

ტ. III თბილისი, 1990, გვ. 148

+ Ю.Н. Mapp, II, გვ. 51

++ იქვე, გვ. 53

მაგრამ მითიური ელემენტები და სტილი საგრძნობია სხვა, საფალავნო და ისტორიულ ნაწილებში ისე, როგორც საფალავნო ელემენტები უხვადაა წარმოდგენილი ისტორიულ და მითიურ ნაწილებში). მითებისათვის დამახასიათებელია კოლექტური ყოფის დაუნაწევრებლობა, მითში ჯერ კიდევ იგნორირებულია ინდივიდი, მისი კონკრეტული თავისებურებანი. „შაპ-ნამეში“ უკვე იგრძნობა ამ მითიური ერთიანობის რღვევა, ჩედებიან კონკრეტულ, სტანდარტულ ჩარჩოებში ჩაუტეველი ხასიათები და ქმედებანი. აქ კი ავტორის ხელი ჩანს. ეს ფირფლოუსია, თავის ნების შესაბამისად რომ აფერადებს მექვიდრეობით მიღებულ და შტრიხებით მოხაზულ მითოლოგიურ თუ ისტორიულ შავ-თეთრ პანოს. ეს უკვე რენესანსის ალიონმა შელება აღმოსავლეთი, მაგრამ რენესანსის არა თუ ალიონი, რენესანსის შუალლეც რომ იდგეს, ეს არ გამორიცხავს ერთგვარი სტანდარტების ჰეგემონობას ფირფლოუსის პოემაში, რომლის მიზეზებს დღემდე არავინ იძიებს და რომელიც საგანგებოდ გვინდა აქ განვიხილოთ.

„შაპ-ნამე“, უზარმაზარი ფორმატის ეპოპეაა და მოსალონელი იყო, მასში შეგვემჩნია ორი ნიშანი: თხზულების მეორე ნაწილში დიდი ჯავით ქანცგაცლილი და ლრმა სიბერეში შესული მგოსნის ოსტატობის მოშვებულობა და მხატვრული სახეების საგუბარის ამოწყვა, ანუ თავად ამ პოეტური სახეების ძალაუნებური განმეორება. მაგრამ ნიშანლობლივი ეს არ არის. იური მარი წერდა (ეხებოდა რა „შაპ-ნამეს“): „რითი აიხსნება გავიანურებათა, გადამღერებათა და პოემის ბოლო ნაწილებში თვით ბეითთა პირწმინდად განმეორებების სიმრავლეზე იმით, რომ ავტორი მოხუცდა, თუ იმით, რომ ეს ბეითები ჩედაქტორთა შრომის ნაყოფია? მეტ თუ ნაკლებ გონებამახვილობაზე დაფუძნებული ვარაუდების გარდა, ჯერჯერობით არაფერს არ უნდა ველოდეთ. „შაპ-ნამეს“ ორგანიზებული შესწავლა სკირდება და ასეთი შესწავლა მას მართლაც მოელის“. დიდი ქართველი ირანისტის მიერ საკითხის ასე დასმა კარგა ხანია მოითხოვს გამოპასუხებას.

კველა მკვლევარი, ვინც ამ საკითხს შეხებია, ამ ფაქტს ფირფლოუსის სისუსტედ მიჩნევს, მწერალი დაიღალა და ეპოპეის მეორე ნაწილში ძალაუნებურად პირველი ნაწილის პოეტური სახეები და ოსტატური ხერხები განიმეორაო. რუს მეცნიერს ა. სტარიკოვს წიგნის მეორე ნაწილი სუსტად არ ეჩვენება, მაგრამ ამას ასე (ციტიკლით, მეტად საინტერესოდ) ხსნის: როგორ

* იქვე

Шеюдлуба, мөрөнкө ნаწიлли სუსტი იყოს, მაშინ, როდესაც არ არის გამორიცხული, მასში შემავალი ზოგი ზოემა ავტორს უფრო ძღვე ჰქონდეს დაწერილი, აღრე კი დალლილი ხომ არ იყო. ^{*} ე.ბროუნი, რომელიც, როგორც ვთქვით, აღტაცებული არ იყო „შაპ-ნამეთი“, პოემას დეველეტებად უთვლის იმას, რომ იგი დიდი მოცულობისაა, მეტრი ერთფეროვანი აქვს, ერთგვაროვანი შედარებებითაა სავსე მისი ყველა გმირი მრისხანე ლომს ან გამძვინვარებულ სპილოს ჰგავს). ^{**} ე.ბროუნი „მართალია“ ანალიზის დროს, — ოლონდაც, რომ პოემის შედარებები და საერთოდ პოეტური სახეები „ერთფეროვანია“. ჩვენ მეტსაც ვიტყოდით, თვითონ გმირებიც ერთმანეთს გვანან, მათი მოქმედებანიც „ერთნაირია“. არც ფაზულებია ორიგინალური, ისინი ხომ, — ჩვენ ეს კარგად ვიცით, — არაიშვიათად ნასხვისარია. ე.ბროუნი ცდება დასკვნის გამოტანის დროს, რადგან ამ „ერთფეროვნებით“ პოემას ლირსება ემატება, თორემ არ აკლდება. დიახ. ემატება. საქმე გვაქვს არა პარალოქ-სთან, არამედ შუა საუკუნეებსა და ანტიკურ ხანაში დომინირებულ ტიპიურ მოვლენასთან. შუა საუკუნეების მწერლობაში (საერთოდ ხელოვნებაში) ბატონობდა სხვა პრინციპი. ლაპარაკია ე.წ. „შეჩვეულის (ნაცნობის) ესთეტიკაზე“, როცა „მსმენელის ესთეტიკური გრძნობა კმაყოფილდება მხოლოდ მისთვის ნაცნობი ფორმებითა და სიუკეტებით. ის პოეტისაგან მოელის არა ახალ სიუკეტს, რომელიც აღქმული იქნება, არა როგორც რაღაც უწევეულო, უცხო, უინტერესო, არამედ როგორც მისთვის ნაცნობი და შეჩვეული სიუკეტის ჩაც შეიძლება უფრო ოსტატური და გამომსახველობითი ვარიაცია... და პოეტი, რომლის ესთეტიკური შეხედულებები არ განსხვავდება მისი მსმენელის ესთეტიკური შეხედულებებისაგან, ცდილობს, გააფერადოს ძველი სიუკეტის ქარგა რაც შეიძლება გამომსახველად“ ^{***}. დ.ლიხაჩოვის აზრით, ეს იყო სტერეოტიპის შექმნის პრინციპზე აგებული ლიტერატურა. „სტერეოტიპი ავტორის უნიკობისა და მისი ნაწარმოების მხატვრული სისუსტის

^{*} A.Стариков, გვ. 529.

^{**} E.Browne, II, გვ. 142.

^{***} Б.Я. Шидфар, Образная система арабской классической литературы, (VI-XII вв.). М., 1974, გვ. 12.

მაჩვენებელი არ იყო... შუასაუკუნეების ხელოვნება ორიენტირებული იყო „ნაცნობზე“ და არა უცნობსა და „უცნაურზე“^{*}. „შუასაუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ლიტერატურაში ავტორსა და მკითხველს შორის არ არსებობს ის მაღლული ბრძოლა, რომელიც თანამედროვე ლიტერატურას ახასიათებს, მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა სუფექს. მეტიც, ხშირად ავტორის „სტრუქტურა“ ემთხვევა მკითხველის „სტრუქტურას“ და მათ შორის მყარდება ისეთი მიმართება, რომელიც ავტორისა და მკითხველის სრულ ურთიერთგაგებას წინასწარვე გულისხმობს და პოტენციურად მოიცავს“. ^{**} „თუ თანამედროვე ხელოვნება ამდღის იმ შეხედულებიდან, რომ ორიგინალობა და ინდივიდუალური თავისებურება მიეკუთვნება მხატვრული ნაწარმოების ღირსებებს, შუა საუკუნეების ესთეტიკა ყოველგვარ ინდივიდუალურს ცოდვისმიერად, ამპარტავნობის გამოვლინებად თვლიდა და იმ თავიდან თანდაყოლილი „ლეთივჩავონებული“ ნიმუშების ერთგულებას მოითხოვდა. მხატვრული რიტუალის რთული პირობების ოსტატური განმეორება და არა საკუთარი გამოგონება, — ა. რა მოეთხოვებოდა მხატვარს“^{***} ამდენად, პოემაში ასე თვალსაჩინო ეს განმეორებანი, ჩვენი აზრით, არც ფირდოუსის სიბერეს უნდა მივაწეროთ, არც მის მოქანცვას და არც პოემის გადამწერებს. გავიხსენოთ „აუქსის ზემოთ უკვე მოტანილი გამოთქმა: „ფირდოუსის ხელოვნების სრულქმნილება იმაშია, რომ [ეს წიგნი] თავიდან ბოლომდე ერთი სტილითაა გამართული და ერთი მანერითაა გაწყობილი. მისი დასასრული ისეთივე მომხიბლავია, როგორც დასაწყისი. ეს კი ოსტატობის ძლიერება და უმაღლესი ხარისხის სრულქმნილებაა“^{****}. არ ვიცით, ახალი ხანის სპეციალისტთაგან, „ნაცნობის ესთეტიკის“ ფონზე პირველად ვინ განიხილა აღმოსავლეური ლიტერატურა, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს იგი, ამ დარგში პირველი სიტყვა მას არ ეკუთვნის, — „ლობაბ ალ-ალბაბის“ ავტორს ჯერ კიდევ როდის, მე-13 საუკუნეში, უკვე აქვს თქმული მთავარი სათქმელი. იგი,

* Д.С. Лихачев, Пoэтика древнерусской литературы. М., 1979, гл. 7. ასე რომ, იბრაგინსკის შეხედულება — „ქალაკონსები უოველთვის სრულებითაც არ ყოფილან პირველალმომჩნევები, არაი შეიათად ისიზე ზღებოდნენ ძველი, გამომდინარე ტრადიციის გამგრძელებელნი“ (И.С. Брагинский, Из истории, гл. 164) საქმეს სრულად არ ასახავს.

** ვაკევლინგ შეუღიერდა, თბილისი, 1985, гл. 15.

*** Ю.М. Лотман, Структура художественного текста. М., 1970, гл. 156. Страница, гл. 269.



ემსეორებთ, გვასწავლის: ფირდოუსის პოემა იმიტომაც არის საქებარი, რომ იგი ერთი სტილითაა გამართული და ერთი მანერითაა გაწყობილი. ამის გამოა, რომ მისი დასასრული ისეთივე მომხილავია, როგორც დასაწყისით. ფირდოუსიმ 120 ათასი ტაქპიანი ეპოპეის მანძილზე ბოლომდე გაითავისა „ნაცნობის ესთეტიკა“. მისი ეპიზოდების, პასაუების, პერსონაჟთა გარეგანი და შინაგანი თვისებების, რითმების, სენტენციებისა და მხატვრული სახეების განმეორებანი მკითხველს კი არ ეჩითირება, პირიქით, იგი მათ უკვე მიეჩივა და კითხვის დროს გზადაგზა მათთან, ამ მომხილავ ხატებთან, ერთხელ კიდევ შეხვედრის სურვილი უწინდება. მოელის მათ. შეიძლება გვითხრან: თუ ასეა, მაშინ ხელოვანთა ყველა ნიმუში ერთმანეთის განმეორება ყოფილა და მისი განვითარება და გამრავალფეროვნება თავიდანვე უნდა გამოირიცხოს. მართლაც არის საშიშროება, ზემოთ ნათქვამი ისე გაგვიგონ, თითქოს ვამტკიცებდეთ, ყოველი ახალი ამბის გადამშუშავებელი მისი წინა-მორბედის ასლს იძლევა; ასევე, ერთსა და იმავე პოემაშიც კი ავტორი დაახლოებით ნახევარ თხზულებას რომ შექმნის, შემდეგ ახალს არაფერს გვთავაზობსო. ეს ასე არ ხდება. ხდება ევოლუცია. ფაბულების მაგალითზე თუ ვილაპარაკებთ, საქმე გვაქვს არა ზუსტი ასლების გადაღებასთან, არამედ მათში გარევნულად არც თუ ისე თვალში საცემი ცვლილებების შეტანასთან. ხოლო ერთსა და იმავე ნაწარმოებში პოეტური სახეების განმეორებაზე თუ მიღება საქმე — ახალ სიტუაციაში მის მორგებასთან და ახალი რაკურსით მისთვის შეხედვასთან. აქ სულ ახალი და ახალი, უფრო დახვეწილი და უფრო სრულებრივი ვარიანტები იქმნება. ესაა იდეალურთან მიახლების (უფრო სწორად, იდეალურს გამოკიდების) ნაცადი გზა. მხატვრული იდეალი გაქვავებული იდეა-ფიქსი არ არის. იგი ყოველთვის იმდენად უნდა იყოს მიუწვდომელი, რამდენადაც გვგონია, რომ მას მიუვახლოვდით. იგი მირაცს უნდა ჰგავდეს. ასეთია ხელოვნების ევოლუციის მექანიზმი.

ჭრ კიდევ პ.მასსემ შენიშნა, რომ „შაპ-ნამეში“ მეორდება გმირთა ქმედებები და მოკლენები. მაგ., ესჭანდომეპრის შეიდი ფათერაკი ფაქტიურად როსთამის შეიდი გმირობის ვარიაციაა. „ნაცნობის ესთეტიკა“ მოქმედებს ამ ორი გმირის სხვა მონაცემების დახატვის დროსაც. ფიქრობენ, რომ ერთი შექმნილი უნდა იყოს შეორის გავლენით. მაგრამ აქ ბანალურ გავლენასთან როდი გვაქვს საქმე, — მკითხველს, რომელმაც იცის, რა განსაცდელი გარდახდა როსთამს და რითი დამთავრდა იგი, ახლა ინტერესებს, როგორ გამოვა ესჭანდომეპრი ასეთივე ფათერაკებიდან. როგორც ზემოთ

უკვე აღვნიშნეთ, „შაპ-ნამეს“ ერთი ტიპის გმირებიც კი გარეგნოვანი ბითა და მოქმედებით იდენტურნი არიან. აქ „შაპ-ნამე“ გამონაკლისი არ არის და არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო. „ვეფხის-ტყაოსანი“, რომელიც როგორც ცნობილი ფაბულისაგან გარკვეული სიუჟეტის შექმნის, ასევე გმირთა ხასიათების ძერწვის თვალსაზრისით, „შაპ-ნამეს“ ტიპის თხზულებაა, ასეთსავე „ტრაფიარეტულ“ გმირებს იძლევა. ვ.ნოზაძის ანალიზის თანახმად, ნესტანისა და თინათინის მშევნება ერთნაირი აქსესუარების მქონეა. თინათინის ტანი, პირი, ღაწვები, თვალები, ბაგები, კბილები, წარბ-წამწამები, თმა, ყელი, მკერდი ისეთივე მეტაფორებითა და შედარებებითაა დახატული, როგორც ნესტანის. „თინათინის ტანი არის: მაღალი, წერწეტი, ნაზი, სურნელი, მჭევრი“^{*}. „ნესტანის ტანი არის: მაღალი, წერწეტი, ნაზი, მაგარი, მტკიცე, სურნელოვანი“^{**} და ა.შ. საერთოდ, მათი მშევნება ერთნაირია: მათი ღაწვი წითელია, ბაგე — წითელი, თვალი — შავი, კბილი — თეთრი, წარბ-წამწამი — შავი, გრძელი, ხშირი; თმა — შავი, გრძელი, ხშირი, ყელი — თეთრი. „მაღალი“^{***} ასევე იდენტურია ტარიელისა და ავთანდილის მშევნებანი.^{****} სამართლიანად წერდა ი.ბრაგინსკი ეპოსის გმირებზე: „ჩვეულებრივ ეპოსის გმირები არიან არა იმდენად ხასიათები მათ ყოველგვარ ცვალებად გამოვლინებაში, არამდენადაც წარმოადგენენ მთლიან ტიპებს, რომლებიც მკაცრად ფიქსირებულ და ნაკლებად ცვალებად ხასიათებს ატარებენ. ამაში მდგომარეობს ერთ-ერთი განსხვავება გმირთა გამოსახვისა ეპოსსა და, კოქვათ, დრამას შორის“[†] (თუმცა ი.ბრაგინსკი იქვე შენიშვანეს, რომ, ამისდამისუხედავად, „შაპ-ნამეში“ გამოყენებულია დრამისათვის დამახასიათებელი გამოსახვის საშუალებანი).[‡] მას საამისო მაგალითად მთავრს როსთამის სახე, რომელიც, მისი აზრით, თუმცა არის „ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ხასიათის მატარებელი“, მაგრამ „ფსიქოლოგიურად ფაქტზად იხსნება მისი სულის მოძრაობანი, მისი ქმედებანი, განცდანი შვილთან ორთაბრძოლისა და ესტანდიმართან შეხვედრის დროს“).⁺⁺⁺

„ნაცნობის ესთეტიკას“ ემორჩილება „შაპ-ნამეს“ საომარი და ყოფითი ეპიზოდებიც კი, რომელიც მეორდება. მოვიტანთ თითოზე

^{*} ვ.ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება, გვ. 155.

^{**} იქვე გვ. 155.

^{***} იქვე გვ. 157.

^{****} იქვე გვ. 155. 168.

[†] И.С. Брагинский, Из истории, გვ. 263.

[‡] იქვე გვ. 264.

⁺⁺⁺ იქვე გვ. 260.

თითო მაგალითს: აქრანსიდი ირანელებს სთავაზობს ან ზაგს, ანდა ორთაბრძოლაში გამარჯვებულის სასაჩერებლოდ ომის დამთავრებას. ქად-ხოსროვი არ ლებულობს ამ წინადადებას. იწყება ბრძოლა. ოხრილი. გრიგალი (გვ.გვ. 1323, 1356). ბავშვები ბურთს თამაშობენ. მეფესთან ახლოს მიკორებულ ბურთს არც ერთი ბავშვი არ გაეკიდა გარდა იმისა, რომელიც მეფის ძეა, თუმცა მან ეს არც იცის. სისხლი თავის სათქმელს ამბობს (გვ.გვ. 1970, 1978). ამავე ესთეტიკის მოთხოვნილებებს პასუხობს პოემაში თითქმის ყველა წერილი, პოემის თავების ტიპური სიტუაციის ამსახველი „ტრაფარეტული“ დასაწყისები ({მეორე დღეს, როცა...“ და ა.შ.)* და განსაკუთრებით პოეტური სახეები და რითმები. ფირდოუსი იმღორებს ტაეპებსა და ბეითებს, ფრაზებს. როდესაც ირანელები ლაშქრობებიდან სამშობლოში ბრუნდებიან (ასეთი სცენები კი ხშირია) და ამას აღწერს პოეტი, ყოველთვის გინდა და მოელი, რომ მან განიმეოროს თავისი ერთხელ უკვე ნათქვამი ტაები: სუ-დე მარბ-ე ირან ნეპტუნიდ რუდ ჭირანის ქვეყნის მხარისაკენ დაადეს პირი). თითქოს ფირდოუსიმ იცის ჩვენი ეს გულისწადილი, გვაწვალებს და გვათამაშებს, სხვა ფაქტურით გვეტყვის ამ სათქმელს, ზოგჯერ კი გაგვახარებს და ბრძანებს: სუ-დე მარბ-ე ირან ნეპტუნიდ რუდ ძალიან ხშირად ეს განმეორებანი, როგორც უკვე ვთქვით, ახალი ვარიაციებით ხდება. მაგალითად, შედარებას: ბე დარიმა ნეპტუნ ბე ხოშქ ფალანგ (წყალში ნიანგი და ხმელზე — ვეფხვი) სხვაგან ასე გვეტყვის: ბე დარიმა ნეპტუნ ბე ჰამუნ ფალანგ (წყალში — ნიანგი და ველზე — ვეფხვი).

„შაპ-ნამეს“ რითმა პირწმინდად ემორჩილება „ნაცნობის ესთე-

* ფირდოუსის უკვარს პოემის თავის დაწყება გათხნების აღწერით (და თითქმის ყოველთვის მეტაფორებით) ამის შესახებ იხ: P. Horn, Sonnenauflage im Schahname. „Orientalistische Studien Th. Noldeke zum 70-stem Geburstag“, 1906, Bd II, გვ. 103a.

ტიკას". აქ აკეიატებული შერითმებები გვაქეს და ეს გამოწვეულია არა იმით, რომ ფირდოუსის თუნდაც მისგანვე გაცვეტილი რითმები აქვს ნახმარი, არამედ იმით, რომ ესთეტიკურ ტკბობას სწორედ ეს მოსალოდნელი რითმები ანიჭებს მკითხველს. მოულოდნელ რითმებს ის არ მოიტანს, თუმცა რთული რითმების ვირტუოზიც არის. სიტყვა ქუს-ის რითმა უნდა იყოს თუ, აჭაპსიშაბ-ისა — აბ, ვრც-ისა — ნივ, რაზმ-ისა — ბაზმ, თახთ-ისა — მახთ, თაქ-ისა — ჟაქ, ჯანგ-ისა — ჩანგ, რუს-ისა — ბუშ და ა.შ.

„შაპ-ნამეს“ ლექსი საოცრად მელოდიურია.“ მართალია, სწორად შენიშნავდა თ. ნილდეკე, ეს პოემა არც სიმღერისთვის იყო დაწერილი და არც კანტილაციისთვის, მაგრამ იგი გარკვეული რეგიტატივით იკითხებოდა ჩეენ უკვე ვწერდით შესავალში „შაპ-ნამეს“ წამკითხველებზე და აქ მათ შესახებ მეტს აღარაფერს ვიტვით). ამაში მას ხელს უწყობს თვითონ საზომი (მოთაყრები). იგი, როგორც ეს საბოლოოდ დაამტკიცა ი.მარმა, ირანული საზომია (კერ კიდევ მე-7 საუკუნის ფილოლოგი შამს ად-დინ ყავსი თავის ნაშრომში: „ალ-მუ‘ ჯამ ქი მეპაშირ აშ-შრ ალ-აჯამ“ აღნიშნავდა, რომ მოთაყრები სპარსული სალექსო ზომა...).^{*} მისი საშუალებით ფირდოუსი აღწევს საოცარ ევრითმიას, თუმცა თავის ნიჭისა და ლექსის საზომის შესაძლებლობებს ბოროტად არ იყენებს და ლექსს პოეტური ხატებით ზედმეტად არ ტვირთავს. მან მშვენივრად იცის ძელი კეშმარიტება, რომ ლექსის ტექნიკის ვირტუოზულობა იწვევს მკითხველის გაოცებას და არა აღტაცებას (აღვილი წარმოსალგენია, როგორ ურევდა მას გულს ფარობის პოეტური სალტო-მორტალები). ჩეენ ამ ნაშრომში ფირდოუსის პოეტიკის ზოგად პრინციპებზე ემსჯელობთ და მის კონკრეტულ

* არც იმის თქმა შეიძლება, რომ ფირდოუსი უველგან ერთნაირად ძლიერია ერთ ირანულ მეცნიერის თქმისა არ იყოს, „მსაგასად უველა აღამიანისა. მისაც გრძელება გაანისა და მასზედაც მოქმედებს ცხოვრების ავი და კარგი (კავკა შეკარ, ანდრშე-შე ჭრალაუში, „სომან“, ლორუ-შე მისთ-ი ჩამარმ, შომარუ-შე 10-11, გვ. 1029, ვე წლის შანჩილზე სიბერეში შესულ პოეტს 120 ათასი ტავეს შეთხვის დროს, ბუნებრივია, ერთგვარად. ცოტათი მანც შეეცალებოდა სტილი და მახრა, ამის გარდა, ჩეენ ვიცით, რომ უმრავლეს შემთხვევაში სიბერეში ახალგაზრდული ბგზნებარებით ვეღარ წერენ. ეცემა მხატვრული ლონგ-გამოცლილება, რომელიც ასაქს მოაქს, საქეც ვეღარ შეელის სიბერეში „ხელოვანს ეჩვენება, რომ ახლა მეტი იცის, უკავთ წერს ეს მხოლოდ ილუზიაა“ სოსო სიგუა კონსტანტინე გამსაზრდისა პრინის სტრუქტურა, თბილისი, 1989, გვ. 251.

** „შაპ-ნამეს“ ლექსის მუსიკალობაზე საგანვებო მოხსენება წაუკითხავთ. ის: ირაზ ფარსი ნეკარ, მუსიკი-შე შე'რ დარ „შაპ-ნამე“. „ფერდაუს“, დაჭმარე სუკუმ, გვ. 18.

*** IO.H. Mapp., II. გვ. 64

